

# მზა

№19 (309) 11/V-17/V.2006. ფასი 10

რას ვუვება ავთო  
სევიტინიკა სიღაღრა



1168  
2006

ქართველები  
უიზვლდებინან




ანუ სუსტი სქესის კლიერი  
ნარმოვადგენელი?!



არატრადისიული  
ქორწილი,  
თაფლოვის ერთი დღე  
და პატარძლის  
ემოსიური ინტერვიუ

მადალი მოდა

მათის  
ტყავისგან  
დამზადებული  
ფხვსასმელი  
ქართველი  
დიზაინერისაგან



როგორ მოქმედებს გარეული ჯვრისწერა ოჯახურ ბედნიერებაზე



№10 (122) 11.V-24.V.2006

ოჯახის

# მკურნალი

საავღისინო ჟურნალი

შანი 70 თვეში

**ვიტილიგო**

**ასთვიანი  
გაუშვები**

**ლიფოსტაზი**

**როგორ  
შეინარჩუნოთ  
მხადველობა**

**ვიზიტი  
ჭეჭვოლოვთან  
C ჰეპატიტი**

**მთავარი თემა:  
მავნე გამოსხივება**

**გულის  
იშემიური  
დაავადება –  
სტენოკარდია**

**დღენაკლული  
ჩვილები**



## მავნე გამოსხივება

- ✓ დასხივების როგორი ღონა იწვევს სხივურ დაავადებას?
- ✓ უსაფრთხოა თუ არა მობილური ტელეფონი?
- ✓ საშიშია თუ არა ორსულისთვის კომპიუტერთან ჯდომა?

## C ჰეპატიტი

- ✓ გადადება თუ არა C ვირუსი ხელის ჩამორთმევისა და კოცნის დროს?
- ✓ რა სიახლეებია C ჰეპატიტის მკურნალობაში?

## ვიტილიგო

- ✓ რა აჩენს თეთრ ლაქებს კანზე?
- ✓ როგორ მკურნალობენ ვიტილიგოს?

## გულის იშემიური

## დაავადება – სტენოკარდია

- ✓ სტენოკარდიის რომელი ფორმაა ყველაზე საშიში?

## ორსულობა და მედიკამენტები

- ✓ რომელი პრეპარატების მიღება არ შეიძლება ორსულთათვის?

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის





<b>მინიატურები</b>	3
<b>ერთი კითხვა</b>	4
<b>მიმოსილვა</b>	
საქართველოს დსთ-დან გამოსვლა სურს(?!)	6
<b>ზეიმი</b>	
„სოფლის გვიმი“ რიყეზე, წარმატებული პროექტი და ქართული შოუბიზნესის ვარსკვლავები	8
<b>ქორწილი</b>	
არატრადიციული ქორწილი, თაფლობის ერთი დღე და პატარაღის ეროვნული ინტერვიუ 9	
<b>მოდელი</b>	
„ძვირან ძაღვს ჩემი არ უნდა ეძინოდათ!“ 11	
<b>ჟურნალისტის როლი</b>	
კასი, რომელსაც ბელმა ბაუდიმა ანუ სიკა-სიღვერის გაბაასება	12
<b>კრიმინალი</b>	
● 19 და 20 წლის ახალგაზრდები სასტიკი წამებისა და ეკველეობის ბრალდებით გაასამართლეს	14
● რა მოხდა კაფე „დელ მარეში“?	16
<b>გზავნილები</b>	
„ღვინო, ღუღუკი, ქალები...“ ყაფა, როიალი და... 3 კასი 100 ლარად	17
<b>ჩემი თაობა</b>	
პროფესიის გამო დარბარული, ულაამაზს გოგონებს შორის გამარჯვებული და ბუმბარაგების „ტოლი“ და მებობარი	20
<b>თინეიჯერული პონტაჟი</b>	
ქმრური ცხოვრება, ქალების „ლაკერვის“ მეთოდები, რუსული არაყი და მამაკაცური ღირსება	22
<b>წეს-ჩვეულებები</b>	
შეიძლება თუ არა მისში ჯვრის დაწერა?	24
<b>საზღვრებს მიღმა</b>	
„თბილისში შვედური ფხსსაფლით სიუჟენ სარანდონმა წითელ ხალიჩაზე გაიარა“	26
<b>ანტიდევარესანტი</b>	
ინფორმაციულ-შემეცნებითი კულაჟი გორა ღვალის უბნ ნიზნაპიდან	28
<b>სხვათა შორის</b>	
შელოკ ჰოლმისა და ლოქტორ უოტსონის საიდუმლო მოგზაურობა საქართველოში!	28
<b>პროფესია</b>	
47 წლის „პენსიონერის“ აღსარება	30
<b>ოპიქტივი</b>	
შოტობრაფის აღბოგიდან	33
<b>შთამოგავლობა</b>	
„ჩემს წინაპრებს იმდენად შეუყვარდათ საქართველო, რომ შოტლანდიელები გაქართველდნენ“	34
<b>ტაიმ-აუტი</b>	36
<b>ბესტსელარი</b>	
შიო გვეტაძე. მონანიება (ბაბრქელება)	38

# 47 წლის „პენსიონერის“ აღსარება



„არავითარ მეწოლას არ განვიცდიდი – არც გვიადის და არც შევარდნადის ხელისუფლების დროს. პირიქით, თენგიზ სიგუამ მითხრა – არავითარ შემთხვევაში არ ჩავერევი არც საკადრო პოლიტიკაში და არც სამინისტროს სხვა საქმეებში...“

30

# არატრადიციული ქორწილი, თაფლობის ერთი დღე და პატარაღის ეროვნული ინტერვიუ

„კაბა ავთო ცქვიგინიძემ შემიკერა. ძალიან მინდოდა, შაბიამნისფერი კაბა მცმოდა, რადგან ეს ფერი, ჩემი თვალის ფერს უხდება... ასე აღმოვჩნდი „არატრადიციულ“ ჭრულ კაბაში...“



9

# კასი, რომელიც თაბისი გედიტ კეკეოფილია




„სანამ ჩვენი სიძე გახდებოდა, შენთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა და დღემდე მიჭირს იმის დაჯერება, რომ ჩემი სიძე ხარ... გაფასებ უბრალოდ იმიტომ, რომ ნორმალური და კარგი ადამიანი ხარ, როგორც სიძეს, ისე ვერ გიყურებ.“

12

# შეიძლება თუ არა მისში ჯვრის დაწერა?

არაფინ იცის, ეს ყველაფერი გრადიციაა, თუ უბრალოდ, ხალხის ცრურწმენა. ფაქტი კი ის არის, რომ მისში მექორწინეთა რიცხვი საგრძნობლად იკლებს. მოქმედებს თუ არა მისში დაქორწინება ოჯახის ბედნიერებაზე? ამ საკითხზე, იმ ოჯახების წევრები გვესაუბრებიან, ვინც ჯვარი სწორედ ამ თვეში დაიწერეს.



24

**ქვალი**

ბათონებზე გაღარჩენილი ქენია, გაქარიას ღალატი და აფხაზების ტყვე, რომელსაც ცოლი გაუთხოვდა... 43

**ესე**

ბრიტოლ რობაქიძე. ალოღო ჰიბლერი უხსოვლი მწერლის თვალთ (ნიგნის შრაბმენტები) 45

**სსსწაული**

მშენებარე ტაქრის ბუმბათგე ბამოსასული ჯვარი, მცირედ მორწმუნენი და სსსწაულები, რომლებიც არ უნდა „გააფხვბიშოთ“ 48

**დღესასწაული**

„მეოხი გვეყავ წმიდა კეთილმსახურო მეფე თამარ“ 49

**ჯანერთელთა**

- როგორ და რატომ ითვლიან კულს
- ამბა: იცოცხლეთ ღიჯანს და ბეწინარა 50

**საზარეული**

„პირველად ჩემს მეუღლეს ნახებრად უმი სპაბები ვაჭაბე“ 52

**ასპარეზი**

- მოკრძის რინგიდან – შოტოსტატობა 53
- ასუბრტელასავით გაგრდლი 56

**ქალთბურთელი**

უიტნი ჰიუსტონი სიბიქის მღვარგე 59

**რომანი**

რუსუდან ბერიძე. თქვეი (ბაბრქელება) 60

**მოუბიჯენი**

ახალი სასიყვარულო ამბავი, ჯორჯ ბენსონი და „ამერიკელი“ ქართველი ბაღერინა 64

**სპორტული მოზაიკა**

66

**ავტო**

67

**ნერგები**

„იმედი“ ქართული ქორეობრაფიის სპალინდელი დღეა 68

**სქანერდი**

კვირის (11-17 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 70

**ტესტი**

როგორ აფასებთ საქუთარ თავს და გოლოს... 72

ბარეკანვა: ირბა ღივარტელიანის კოლაჰი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ ბამოლის კვირაში მრთხვლ. სუთუბაბათოპით ბაზვით „კვირის პალიტრის“ ღამატქვა

ჟურნალი ზელმდევანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რელაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რელაქტორი: ზურაბ აბაშიძე

რელაქტორი: გონა ტყემელაშვილი

მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებშიძის ქ. №49

ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispaitra.com

# ქათმის ფეხების ტყავისგან დაგზადებული ფესსამელი



„კომპანია „ტუფლა“ 2 წყვილი ფესსამელი შეუკერა ცნობილ მსახიობს – სიუმენ სარანდონს, ხოლო ერთი წყვილი – მის ქალიშვილს არუქა. ფესსამელი შეგვიკვეთა ივანა გრამქმა, მისმა შეილმა ივანქამ“.

26


# უიტნი ჰიუსტონი – სიბიქის ზღვარზე

პოპვარსკვლავს ნარკოტიკები ღუქავს. მისი პიროვნება, სხეული, ოჯახი და ფინანსები კოკაინმა გაანადგურა. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ჰიუსტონი საკუთარ გრადედიას ვერ აცნობიერებს. მისთვის დღეს ერთადერთი რეალობა – კოკაინის მორიგი დოზაა.



59

# მოკრძის რინგიდან – ფობტოსტატობა




ყოფილი მოკრძის ბიოგრაფია იმითაც გახლავთ საინტერესო, რომ მან საკუთარი თავის რეალიზება არა მხოლოდ სპორტში, არამედ ფოტოხელოვნებაშიც მოახერხა. ამჟამად სანქტ-პეტერბურგში მცხოვრებმა დავით კვაჭაძემ ამ სფეროში ბევრ წარმატებას მიაღწია და მის ნამუშევართა გამოფენა სხვადასხვა გალერეაში საკმაოდ ხშირად ეწყობა

53

# მონანიება


ბალავაძე დაჭრილი ნადირივით წამოიჭრა სკამიდან, შიშმა საზარლად დაუმანჭა სახე, წამით მეტყველების უნარიც დაკარგა, ქეიშაზე დაგდებული თევზივით, რამდენჯერმე დაალო პირი, ჰაერი სტვენით შეისუნთქა, შემდეგ, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო...



38



# „61-ე День победы“ და „СНГ-დან ჰერი, ჰერი!..“



მას შემდეგ, რაც საქართველომ საბჭოთა კავშირიდან დაიძვრინა თავი, ახალი კალენდარი შეადგინა და უქმე დღეები და დღესასწაულები ფეტვივით მიმოაბნია ზედ. გვიყვარს „პრაზდნიკები“ და რა ექნათ? ამიტომ „ვზარ-ზეიმობთ“ ყველაფერს: დამოუკიდებლობას, თბილისობას, ყურძნობას, ძმობას, ჩახუტებას და ა.შ. სამაგიეროდ, 7 ნოემბერი და 1-ელი მაისი უარყვავით, კომუნისტურია და — იმიტომ. მოკლედ, ერთადერთი დღე, რომელიც წითლად შემორჩა ძველი, საბჭოური კალენდრიდან — 9 მაისია.

ეს ის დღეა, როცა ყველა ტელეარხზე „ჯარისკაცის მამა“, „ღმიღის ბიჭები“ და „შენყვეტილი სიმღერა“ გადის. ვაკის პარკში კი, ომის ვეტერანები იკრიბებიან და „Фронтной марш“-ისა და

ცას გადაუჩურჩულა, რო და-გილია პირი, ხომ ხედავ, როგორ გიზგიზებს მარადიული ცეცხლი იმ ვარსკვლავზე, დაუნიე ცოტა, არ იცი, გაზი რო გაძვირდაო?!

ძველებურ პანგებთან ერთად, თანამედროვე მუსიკაც აჟღერდა: ვაკის პარკის შესასვლელში ჯგუფი „ვაკის პარკი“ მღეროდა, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან — „უცნობი“. 40-იანი წლების დისკოთეკის შემდეგ, ვეტერანები პარლამენტში მიიწვიეს და საკვები პროდუქტები გადასცეს საჩუქრად. გაგიჟდნენ სიხარულით — ნახეთ, რა სიმბოლური საჩუქრებია, ზუსტად ისეთივე მწირი „პაიოკია“, როგორსაც „სტარშინა“ გვირიგებდა შეტევის წინო...



„День победы“-ს ფონზე 61 წლის წინანდელ ამბებს იხსენებენ.

ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, დიდი სურვილი ჰქონდა, ჯეროვანი პატივი მიეგო დარჩენილი 12 ათასი ვეტერანისთვის, მაგრამ ამდენი დღესასწაულის შემდეგ შეთხელდა ხაზინა და ერთი თვის დამატებითი პენსიითა და პარლამენტში მოწყობილი ა-ლა-ფურშეტიტ შემოიფარგლა. სამაგიეროდ, სიტყვიერი მაღლობები დაიყარა „ОПТОМ“.

ვეტერანები მაინც კმაყოფილები იყვნენ, დიდი მაღლობა, რომ გახსოვართო. ჰოდა, თუ მარტო ესაა საკმარისი, იმ პენსიისა და ბანკეტიისთვისაც რალას დაიხარჯნენ, სად გვაქვს გადასაყრელი ფული?!

მოკლედ, ფაშიზმზე გამარჯვების 61-ე ზეიმი შედგა: ვაკის პარკში კვლავ შეიკრიბნენ ორდენმედელებით „განყობილი“, ფარაჯიანი მოხუცები. მთავრობაც მივიდა, მაღლობა უთხრა, მერე ვილა-

ისე, ისტორია მეორდებაო, ამაზეა ნათქვამი. იყო დრო, როცა ეს ვეტერანები ერთი სულსკვეთებით ცოცხლობდნენ: ჩაელწიათ გერმანიამდე. გავიდა ექვსი ათეული წელი და დღესაც ასეა: ნახევარი საქართველო უკვე გერმანიაშია, მეორე ნახევარს კი ერთი სული აქვს, როდის წავა სამუშაოდ ან მანქანის ჩამოსაყვანად. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს განვითარების უსწრაფესი ტემპის ნიშანია. მთელი მსოფლიო დღემდეა გაოგნებული, სტალინს გერმანიაშიც თავისი აგენტები ჰყავდაო!.. რა არის ამაში გასაკვირი?! აგენტები ჩვენს პრეზიდენტს რომ ჰყავს, იმდენი უნდა: ოჯახი არაა გერმანიაში, თითო ქართველი „აგენტი“ რომ არ ცხოვრობდეს ბავშვის ან მოხუცის მომვლელად.

საცხრამაისო ზეიმი დამთავრდა თუ არა, მორიგი დღესასწაულისთვის მზადება დაიწყო. 10 მაისი ხომ „ბუშობის დღეა“ — ანუ საქართველოში ჯორჯ ბუშის ჩამობრძანების დღეა.

ხომ ხედავთ, რა ბედნიერი კალენდრით ცვხოვრობთ ქართველები. ამ დღეებში კიდევ ერთი დღესასწაული დაგვემატება — СНГ-დან „დახვევის“ დღე. თუმცა, ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ორად გახლეჩილი პარლამენტი: უმრავლესობა ამბობს, უნდა გამოვიდეთ დსთ-დანო; ოპოზიცია ამტკიცებს, აქამდეც უნდა გამოვსულიყავითო და ამ ორი „ურთიერთგამომრიცხავი“ მოსაზრებიდან რომელს დაამტკიცებენ, კაცმა არ იცის.

ყველაზე სწორი კი, ერთი დეპუტატის განცხადებაა: დროზე გამოვიდეთ СНГ-დან, სანამ გვიან არაა, თორემ, მერე, ავტობუსები აღარ იქნებაო...

პროპოკატორი





**თაგუნა როსტიაშვილი**  
**ლალა დაუშვილი, პრესის გამ-  
ავრცელებელი:**

— უკვე 3-4 წელია, რაც პრესის რე-  
ალიზაციით ვარ დაკავებული. მანამდე,  
ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში ლაბო-  
რანტად ვმუშაობდი. სამსახურის  
დაკარგვის შემდეგ, ჩემმა ახლობელმა  
ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა შემომთავა-  
ზა. ბევრი არ მიფიქრია, ასაკოვანი ქალი  
ვარ და კარგი სამსახურის შოვნა უკვე  
არარეალურად მიმაჩნდა. არადა, მრავალ-  
წლიანი ოჯახი მაქვს, ნაშოვნი „გრო-  
შებით“ შვილებს ვეხმარები. ყველაფერი  
დღითი დღე ძვირდება. მძიმე სამუშაო  
არა მაქვს, დღეები ჟურნალ-გაზეთების  
კითხვაში ინჟერბა... დაახლოებით ორი  
კვირია, რაც საპატრულო პოლიციის თან-  
ამშრომლები მოდიან და მაფრთხილებენ,  
რომ პრესის სარეალიზაციო დახვს ცე-  
ლოფანი ჩამოვამორო და მხოლოდ  
ქოლგით ვისარგებლო. სტელაჟებზე დაახ-  
ლოებით 30-35 დასახელების ჟურნალ-  
გაზეთია, ერთი ქოლგის ქვეშ ამ რაოდენ-  
ობის გამოცემების მოთავსება შეუძლე-  
ბელია. გამოდის, რომ ორი ქოლგა უნდა  
შევიძინო, რაც ჩემთვის ამჟამად შეუძლე-  
ბელია: ერთი ქოლგა საშუალოდ, 50  
ლარი ღირს. იქნებ, გაითვალისწინოს  
მერიამ და ბიუჯეტიდან გამოყოფილი  
თანხით შეძენილი ქოლგებით მოაწყოს  
პრესის სარეალიზაციო პუნქტები?.. ჯობს,  
ასე იზრუნოს თბილისის იერის გალაშ-  
ვებაზე.

რამდენიმე თვის წინ, გარე ვაჭრო-  
ბის აკრძალვასთან ერთად, ცენტრალური  
სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორი-  
აზე პოლიციელთა რაოდენობამ  
მკვეთრად იმატა. მაშინ, ადგილობრივ-  
მა მმართველობამ პრესის გამავრცელებ-  
ლებისთვისაც გარკვეული შეზღუდვე-  
ბი დააწესა, რომლებიც მოვაჭრეთა პრო-  
ტესტის გამო, მალევე მოიხსნა. ახლა,  
პრესის რეალიზატორებს ახალი მოთხ-  
ვონა წაუყენეს.

დედაქალაქის იერის „გაკეთილშობილების“ მოტივით, საპატრულო  
პოლიციის თანამშრომლებმა ჟურნალ-გაზეთების რეალიზატორებს (ე.წ.  
„კოკუნებს“) კიდევ ერთხელ შეუტყეს. ამჯერად, სამართალდამცველები  
ქალაქის მთავრობის ბრძანებას ასრულებენ და პრესის გამავრცელებ-  
ლებს ქუჩაში დაწყობილი დახლებისა და სტელაჟების მოწესრიგებას  
სთხოვენ. პრესის რეალიზატორთა უმრავლესობა თბილისის მერიის  
გადაწყვეტილებას მორჩილად ასრულებს, მაგრამ ნაწილი აპროტესტებს  
და გამოთქვამს ვარაუდს, რომ აღნიშნული მოთხოვნა, საბოლოოდ,  
ქუჩიდან მათ განდევნას ისახავს მიზნად.

დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში ჟურნალ-გაზეთების სარეალიზა-  
ციო პუნქტები უმეტესწილად, კეთილმოწყობილია, მაგრამ ზოგ ადგი-  
ლას ჟურნალ-გაზეთებს, თავკარა მიზისა თუ ავდრისაგან დასაცავად,  
სახელდახელოვან გამართული კარავი იცავს...

# რაგომ აპინრობენ „კრიკუნებს“?

... . ჟურნალები ჩანთაში ჩაალაგე.  
შენ ყი დაიხურე ქუდი და სახლში წადიო... .

**ნარგიზა კუხიანიძე, პრესის გამ-  
ავრცელებელი:**

— დაახლოებით 10-12 დღეა, რაც  
საპატრულო პოლიციის თანამშრომლები  
მოდიან და გვაფრთხილებენ, რომ პრე-  
სის სარეალიზაციო სტელაჟები ცელო-  
ფანით აღარ გადავხუროთ და ჟურ-  
ნალ-გაზეთების შესაძლო დაზიანებისგან  
დასაცავად, ქოლგა გამოვიყენოთ.  
ქოლგის შექმნას ჯერჯერობით, ვერ  
ვახერხებ. როდესაც ვიცი, წვიმის  
დროს რა ვქნა, ჟურნალ-გაზეთები ცე-  
ლოფანის გარეშე ხომ დამისველდება-  
მეთქი? — ერთ-ერთმა პატრულმა მი-  
პასუხა — ჟურნალები ჩანთაში ჩაალაგე,  
შენ კი დაიხურე ქუდი და სახლში წა-  
დიო... აქამდე, ბრეზენტს ვიყენებდი, წვი-  
მისგანაც მიცავდა და ზაფხულის პა-  
პანაქება სიცხისგანაც. საკმაოდ კომ-  
ფორტული იყო და არც ისე უშნო.  
პრესის რეალიზაციას კვლავ ღია ცის  
ქვეშ ვაგრძელებ, მაგრამ ქოლგის შექმ-  
ნა ალბათ, მანაც მომიწევს...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცენ-  
ტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე  
ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციის  
თანამშრომლის მოქმენა პრობლემას არ  
წარმოადგენს. დიქტოფონის დანახვაზე,  
ზოგი მათგანი, ცოტა არ იყოს, დაფრ-  
თხა, კომენტარზე უარი თქვა და ასმე-  
თაურისკენ გაიშვირა თითი — მას მი-  
მართეთო. როდესაც დავით ცირდავას  
მივადექი, ის თბილისის მერიის ზედამ-  
ხედველობის სამსახურის წარმომად-  
გენელს ელაპარაკებოდა.

**ლავით ცირდავა, საპატრულო  
პოლიციის ასმეთაური:**

— რა მოსაწონია, რომ პრესის სტე-  
ლაჟები ჩამოდონძილი ბრეზენტით ან  
ცელოფანით იყოს გადახურული?!  
თბილისის მერიის გადაწყვეტილების  
საფუძველზე, საპატრულო პოლიციის ხე-  
ლმძღვანელობისგან მივიღეთ ბრძანება,  
რომ პრესის სარეალიზაციო სტელაჟებ-  
ის ფორმა შეიცვალოს. წვიმის დროს,  
წყალი სტელაჟებზე გადაფარებულ ცე-

ლოფანზე გროვდება, რომელიც შემდეგ,  
შესაძლოა, გამვლელს თავზე დაესხას.  
პრესის სარეალიზაციო წერტილების ამგ-  
ვარი ფორმა არც ერთ ცივილიზებულ  
ქვეყანაში არ არსებობს. ამ ადამიანებთან  
არანაირი კონფლიქტი არ გვექონია.

**— იმ რეალიზატორმა, რომელ-  
საც ქოლგის შექმნის საშუალება  
არა აქვს, რა უნდა იღონოს?**

— არ ვამბობთ, რომ ქოლგის შექმ-  
ნა აუცილებელია. ვისაც ამის საშუალებ-  
ა არა აქვს, შეუძლია, სტელაჟი მუქი  
ფერის პოლიეთილენის პარკით ისე გადა-  
ხუროს, რომ ლამაზიც იყოს და  
ამავდროულად, გამვლელ-გამომვლელ-  
საც დისკომფორტი არ შეუქმნას.

რალა გვეთქმის? თურმე, ყველაზე  
მეტად იმაზე ზრუნავენ, რომ ყველამ  
კომფორტულად ვიგრძნოთ თავი. მა-  
გრამ თუ პრესის რეალიზატორებს ეს  
„კომფორტი“ ყელში ამოუვათ და მარ-  
თლაც, შინისკენ აიღებენ გეზს, კიდევ  
რამდენიმე უმუშევარი შეემატება დიდ  
არმიას და ჟურნალ-გაზეთების მკითხ-  
ველთა რაოდენობაც საგრძნობლად  
დაიკლებს...

**იქნებ, გაითვალისწინოს მერიამ და ბი-  
უჯეტადან გამოყოფილი თანხით შექმ-  
ნილი ქოლგებით მოაწყოს პრესის სარ-  
ეალიზაციო პუნქტები?..**





### „საიქედო პროგნოზს ნამდვილად ვერ გავაკეთებ“

— ხელისუფლების ზოგიერთი წევრი იმედოვნებს, რომ რუსეთის ბაზარს ქართული ღვინო და მინერალური წყლები კვლავ დაიკავენ. როგორ ფიქრობთ — რამდენად რეალურია მათი ოპტიმისტური პროგნოზი?

**მუკო ორველაშვილი**, ეკონომიკური ექსპერტი:

— საქართველოს ხელისუფლებამ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის არასწორი პოლიტიკა აირჩია. ამის შედეგს უკვე ვიშვით. არა მარტო ღვინისა და მინერალური წყლების აკრძალვა, საერთოდ, რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები ჩვენში სამეწარმეო ბიზნესს სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებს. ქართული ღვინის ექსპორტის უდიდესი ნაწილი, სწორედ რუსეთზე მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ მეღვინეებს საქართველოს მთავრობამ გარკვეული საგადასახადო შეღავათები დაუწესა, მიმაჩნია, რომ ღვინის ემბარგო ქართული ღვინის მწარმოებლებს საშემოდგომოდ მანაც ძალზე დააზარალებს. უფრო მეტად, რასაკვირველია, ქართველი გლეხი დაზარალდება. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისგან განსხვავებით, ქართულ ღვინისა თუ მინერალური წყლების რუსეთის ბაზარზე კვლავ დაბრუნებასთან დაკავშირებით, საიქედო პროგნოზს ნამდვილად ვერ გავაკეთებ. ვფიქრობ, აუცილებელია, ხელისუფლებამ წინდახედულება გამოიჩინოს და რუსეთის მიმართ მეტად გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკა აწარმოოს.

### „ეს არის პოლიციულთა ნახალისება, რომ შეაღბოვონ კანონდარღვევით იმოქმედონ“

— ბოლო დროს ჩატარებული სპეცოპერაციების უმეტესობა სავალალო შედეგით დასრულდა. როგორ ფიქრობთ — ამის მიზეზი, სამართალდამცველთა არაპროფესიონალიზმია თუ კრიმინალების წინააღმდეგ მოქმედი მიზანმიმართული პოლიტიკა?

**ნანა კაკაბაძე**, არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი:

— საერთაშორისო ორგანიზაციებთან თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს. ისინი ზოგადად ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. ბოლო დროს გახშირებული, ტრაგიკულად დასრულებული სპეცოპერაციები, სამართალდამცველების მიზანმიმართულ ქმედებაზე მეტყველებს. ზოგიერთ შემთხვევაში, მათი არაპროფესიონალიზმიც აშკარაა. საერთაშორისო ორგანიზაციებს ყოველდღიურად ვაწვდით მასალებს, თუ რა ვითარებაში იმყოფებიან საპრობილეებში პატიმრები. ადგილი აქვს რელიგიური ნიშნით პატიმრების დევნასაც. ციხეებში გახშირდა ტუსალების ცემის შემთხვევა. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს. ბოლოდროინდელი სპეცოპერაციები უდიდესი სისასტიკით გამოირჩევა, რაც მიმაჩნია, რომ დასაგმობია. სამწუხაროდ, ამგვარ სპეცოპერაციებს ხელისუფლება წარმატებულს უწოდებს. ეს არის პოლიციელთა ნახალისება იმისათვის, რომ მათ შემდგომშიც კანონდარღვევით იმოქმედონ.

# 12 მაისს პარასკევს, ახალი გაზეთი!

კვირის პალიტრა  
**ყველა**

# სიასლე

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის პარასკეობით.

## კვირის პალიტრისგან





როგორც საქმეში ღრმად ჩახედულნი ირწმუნებიან, საქართველოს ამის გაკეთება იმ დღიდან სურს, რაც ამ თანამეგობრობაში შევიდა (თუ ძალით შეიყვანეს). თუმცა, როცა საქმე საქართველოს ხელისუფლებას და კონკრეტულად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ეხება, ანალიტიკოსები, მათ შორის ქართველებიც, ირონიის გარეშე როდი შენიშნავენ, რომ ის ამ საქმეშიც თავის წინამორბედ ედუარდ შევარდნაძეს ჰბაძავს. „თეთრი მელას“ დროს, — აღნიშნავენ ისინი, — დსთ-დან გამოსვლით რუსეთის დაშანტაჟება თბილისის საყვარელი ტაქტიკა იყო. თანამეგობრობიდან გამოსვლის მუქარა გაისმოდა მაშინვე, როგორც კი ორმხრივ ურთიერთობებში პრობლემები ჩნდებოდა. თუმცა, სიტყვიდან საქმეზე საქართველოს ხელისუფლება არასდროს გადადიოდა.

რა მდგომარეობაა დღეს? რეალურად აპირებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება, დსთ-დან გამოსვლას და რას უქადის ეს ნაბიჯი ჩვენს ქვეყანას? აი, საკითხები, რომლებზეც დღეს ესაუბრება შტაბშური თავგამოდებით (ძირითადად, მხოლოდ უარყოფით კონტექსტში...) მსჯელობენ რუსული საინფორმაციო საშუალებები.

# საქართველოს დსთ-დან გამოსვლა სურს(?!)

## რუსულან ლებანიძე

### „საქართველო უმარმამარ მარალს ნახავს“

გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის (საქართველო) ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ჭაჭიამ „strana.ru“-სთვის მიცემულ ინტერვიუში დსთ-დან საქართველოს გამოსვლის პერსპექტივას რეალური, მაგრამ მისთვისვე დამლუპველი უწოდა. საქართველოს არნახული ეკონომიკური ზრდის შესახებ სააკაშვილის განცხადების მიუხედავად, ჭაჭია მიიჩნევს, რომ ქვეყანა ამ მხრივ, მთელი 100 წლით უკან გადაისროლეს.

— რამდენადაა შესაძლებელი დსთ-დან საქართველოს გამოსვლა? მსგავსი განზრახვა მხოლოდ დეკლარაციაა თუ ამას ეკონომიკური წინამძღვრებიც აქვს?

— სავსებით შესაძლებელია. დსთ-დან საქართველოს გამოსვლა, რუსეთის ბაზების საქართველოდან გაყვანასთან ერთად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარების იმ ლოგიკურ დასასრულად შეიძლება იქცეს, რომლებსაც ბოლო წლებში ვაკვირდებით. ამ წლების მანძილზე ხომ, სწორედ აქეთვე მიდიოდა ყველაფერი.

— მიგაჩნიათ, რომ ასეთი გადაწყვეტილება ობიექტურია?

— საქართველოს ხელმძღვანელობა არ არის პოსტსაბჭოურ სივრცეში ინტეგრაციული პროცესებს მომხრე, რადგან მიაჩნია, რომ მას რუსეთთან და შესაბამისად, დსთ-სთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს. ეს, მთლიანად ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე ორიენტირებული ქართული პოლიტიკის პირდაპირი მიზანდასახულობაა. ამისთვის კი, საქართველოს ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს დსთ-დან გამოსვლა. ეკონომიკური შეღავათების და პირველ რიგში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის

შესაძლებლობის დაკარგვა მას დსთ-ის ეკონომიკური სტრუქტურებიდან გამოსვლისკენ უბიძგებს. თანამეგობრობის პოლიტიკურ სტრუქტურაში კი, საქართველო ფაქტობრივად, დიდი ხანია, აღარ მონაწილეობს. თავის მხრივ, აღარც რუსეთს რჩება საქართველოსთვის რაიმე ეკონომიკური ხასიათის შეღავათების განწვევის საბაზი, მას შემდეგ, რაც იქ მისი ბაზები აღარ იქნება.

— თანამეგობრობის სხვა ქვეყნები რაღას ფიქრობენ?

— მე არ მეგულება დსთ-ის არც ერთი ქვეყანა, რომელიც საქართველოს წევრობით ეკონომიკურად იყოს დაინტერესებული.

— მიუხედავად ამისა, სააკაშვილს დსთ-დან დაუყოვნებლივ გამოსვლის შესახებ პირდაპირ მანძი არ განუცხადებია. ლაპარაკი იყო „დაჯდომასა და დაანგარიშებაზე“, უღირს თუ არა საქართველოს დსთ-ში დარჩენა. ამასთან, მან იქვე ისიც დასძინა, რომ საჭიროა დსთ-ის ქვეყნებთან პოლიტიკის კოორდინირება, რაც საერთოდ აბსურდულად უღერს. ვითომ ეს გაუბედაობის შედეგია?

— ეს შევარდნაძის საგარეო პოლიტიკური ხერხების გამოვრებაა, რომელიც ყოველთვის, როცა რუსეთთან ურთიერთობა მწვავედებოდა, დსთ-დან

საქართველოს გამოსვლის შესაძლებლობით აპელირებდა. და ეს, ასეა თუ ისე, ჭრიდა, გაგლენას ახდენდა რუსეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკაზე, იმიტომ, რომ საქართველოში რუსეთის ბაზები იყო განლაგებული. ახლა რუსეთს დათმობებზე წასვლის და დსთ-დან საქართველოს გამოსვლისთვის ხელის შეშლის არანაირი მიზეზი აღარ აქვს. ამიტომაც, თუ სააკაშვილს რუსეთის ხელმძღვანელების დამინება სურდა, ნამდვილად არ გაუმართლა.

— დსთ-დან გამოსვლის შემთხვევაში, საქართველო ყოველგვარი ეკონომიკური ინტეგრაციის მიღმა აღმოჩნდება, რადგან რეალურად, ნატოს წევრობა მას არანაირ სარგებელს არ მოუტანს, ხოლო ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა სრულიად ეფემერულია. საქართველო მზადაა ამაზე წასასვლელად?

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს, ქვეყანას უდიდეს ზარალს მიიყენებს. ამჟამად, საქართველოში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი დონეა, რომ ის დროს, 100 წლით უკან დაბრუნებაზე ვილაპარაკოთ. ამიტომაც, დსთ-დან გამოსვლა, მისი ეკონომიკის უამისოდაც კრიტიკულ მდგომარეობას, კიდევ უფრო დაამძიმებს.

— სხვა ყველაფერთან ერთად, თავის ვრცელ განცხადებაში სააკაშვილმა წარმოთქვა ფრაზა იმის შესახებ, რომ საქართველოში „გრამი რუსეთიც“ კი არ უნდა დარჩეს. ხომ არ არის მსგავსი განცხადებები სახიფათო?

— შევარდნაძის დროინდელი ხელმძღვანელობის განცხადებები, რომლებიც „შთამომავლობით“ გადმოიცა დღევანდელ ხელმძღვანელობასაც, ხალხის მსოფლმხედველობაზე გავლენას ვერ ახდენს. ამიტომაც, მასებში რაიმე ანტირუსული ისტერიის პერსპექტივას ვერ ვხედავ. მართალია, უკვე მრავალი წელია, რაც ის





საკაპილს, მატროსის კოსტიუმში გამოწყობილს, ყალბი დოკუმენტებით მოუწევს აშშ-ში გაქცევა



ტელეეთერსა და პოლიტიკოსების გამოსვლებში ღვივდება, მაგრამ ადამიანებს რუსეთთან ცუდი დამოკიდებულება არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. მეტიც, საქართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას აუარესებს და შედეგად, ხალხში ხელისუფლებისადმი უკიდურესად ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს.

### „ეს გადაწყვეტილება ვაშინგტონში კარგა ხნის წინ მიიღეს“

„პრეზიდენტმა სააკაშვილმა მთავრობას დსთ-ში საქართველოს ყოფნის ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთების მომზადება მოსთხოვა, რაც ძალიან ჰგავს იმის დამტკიცების მცდელობას, თითქოს ადამიანს წყალი და საჭმელი არ სჭირდება, — ნერს „რია-ნოვოსტი“. — ცხადია, არგუმენტები მოიქმნება. მაგრამ მზად არის სააკაშვილი იმისთვის, რომ დაემსგავსოს ნაცისტ ჯალათებს, რომლებიც მსგავს არაადამიანურ ცდებს საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეებზე ატარებდნენ? როგორც ჩანს, მზად არის. ქვეშევრდომებისგან ის არა იმდენად დსთ-ში შემდგომი ყოფნის დასაბუთებას ითხოვს, რამდენადაც თანამეგობრობის შემადგენლობიდან საკუთარი ქვეყნის გამოსვლის მიზანშეწონილობის დადასტურებას. და თუ „ქართული დემოკრატიის“ თავისებურებებს გავითვალისწინებთ, ეჭვგარეშეა, რომ დავალება დასმული ამოცანის ფარგლების მკაცრი დაცვით და ვადაზე ადრეც შესრულდება.

სინამდვილეში, ყველაფერი უკვე დიდი ხნის წინაა გადაწყვეტილი. დსთ-დან საქართველოს გამოსვლისა და ნატოში შესვლის გადაწყვეტილება ვაშინგტონში კარგა ხნის წინ მიიღეს. გაუგებარა მხოლოდ ისაა, თუ რაში სჭირდება სააკაშვილს თვალთმაქცობა? რა სჭირდა თავის მოკატუნება, თითქოს რუსეთთან „გაყრისა“ და დსთ-დან გამოსვლის მიზეზი, ეკონომიკაა?.. ვისთვისაა სჭირო მთელი ეს სპექტაკლი? ვისთვის ცდილობენ ქართველი პოლიტიკოსები იმის დამტკიცებას, თითქოს მათი ანტირუსული ისტერია სხვა რამით და არა დასავლეთის სპეც-


სამსახურების მითითებებით არის გამოწვეული?

ამასობაში კი, რუსეთი საქართველოდან ექსპორტირებულ უხარისხო პროდუქციასთან თანამიმდევრულ ბრძოლას განაგრძობს. სამწუხაროდ, ღვინოსთან დაკავშირებულმა გაკვეთილმა ჭკუა ვერავის ასწავლა, ამიტომაც, რიგში „ბორჯომი“ ჩადგა. რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ რუსეთში მინერალური წყლის შეტანა აკრძალა, რადგან ლაბორატორიული შემოწმებების შედეგად გაირკვა, რომ მისი ბევრი ნიმუში სანიტარული ნორმების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს...

რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის გადაწყვეტილების კომენტარებისას, დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის ამიერკავკასიის განყოფილების ხელმძღვანელმა მისაილ ალექსანდროვმა განაცხადა, რომ შესაძლოა, საქართველოს მიმართ შემდეგ ნაბიჯებად, შრომითი მიგრანტების საკითხი და რუსეთში ქართული ბიზნესის მდგომარეობა იქცეს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები თანდათან უარესდება. აშშ ჯერ კიდევ ასპონსორებს ჩვენი მეზობლის ხატოვან „პროტესტს“. მაგრამ, მალე, საქართველოში ეკონომიკური მაჩვენებლები იმდენად გაუარესდება, რომ სიტუაციის გაკონტროლება შეუძლებელი გახდება და მაშინ სააკაშვილს, მატროსის კოსტიუმში გამოწყობილს, ყალბი დოკუმენტებით მოუწევს აშშ-ში გაქცევა. მაგრამ იქნებინ კი მზად ყოფილი მფარველები მის მისაღებად?..“

რაკი სიტყვამ მოიტანა, ნაცისტები მეც უნდა ვახსენო. ადოლფ ჰიტლერს უთქვამს — სინდისი ებრაელების მოგონილიაო. ალბათ, ამიტომაც ბრძანდებოდა ყველაზე დიდი ნაცისტი და ჯალათი სინდისთან ეგზომ მწყრალად. ისე, სინდისი დიდად არც ზემოთ მოხმობილი პუბლიკაციის ავტორს უნდა აწუხებდეს, თორემ, აუცილებლად მიხვდებოდა, რომ, ყველაფრისდა მიუხედავად, უსინდისობასაც აქვს საზღვარი...

სამწუხაროდ, ღვინოსთან დაკავშირებულმა გაკვეთილმა ჭკუა ვერავის ასწავლა, ამიტომაც, რიგში „ბორჯომი“ ჩადგა



## „თვითგამოსხადავული პრეზიდენტის გააპტიურების მიზეზი, კრემლის პოლიტიკაა“

— დსთ-დან საქართველოს ოფიციალურად გამოსვლის შემდეგ, ეკონომიკური სანქციების გარდა, რუსეთისგან კიდევ რას უნდა ველოდოთ?

რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:

— დსთ-დან ოფიციალურად გამოსვლის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა, რასაკვირველია, უფრო მეტად დაიძაბება. ამას რუსეთი არც მალავს. საქართველოზე გავლენის მოსახდენად, რუსეთს საკმაოდ მძლავრი ბერკეტები აქვს: ენერგომატარებლები და გაყინული კონფლიქტები. დსთ-დან გამოსვლის შემდეგ, სავარაუდოა, რომ ჩრდილოელი მეზობელი ენერგომატარებლებზე ფასებს კიდევ უფრო გაზრდის. ბოლო დროს, ხშირად ისმის თვითმარქვია პრეზიდენტის, სერგეი ბალაფშის განცხადება იმის თაობაზე, რომ დადგა დრო, საქართველომ აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიაროს. აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ჩვენ მიერ აღიარება თავის დროზე, არძინბასაც სურდა და ამას ღიად ამბობდა, მაგრამ ამ მხრივ, ბალაფში უფრო აქტიურია. თვითგამოსხადავული პრეზიდენტის გააპტიურების მიზეზი, რა თქმა უნდა, საქართველოს ყველაზე მიმართ არჩეული, კრემლის პოლიტიკაა: თვითმარქვია პრეზიდენტის ამგვარი განცხადებები უფრო ხშირდება, რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის დაძაბულობის მომატებასთან ერთად... თუ საქართველო დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობას დატოვებს (და შეიძლება ითქვას, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია), ბალაფში მყისვე შევა დსთ-ში. სერგეი ბალაფშმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში განწევრების სურვილი კარგა ხანია, რაც გამოთქვა. მაგრამ არა მგონია, რუსეთს ხელს აძლევდეს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აუღიარებელი აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, შევიდეს დსთ-ში.

მოაგზავნა თამუნა როსტიაშვილი





14 მაისს, ჩვენს ქვეყანაში „ცოდნის ზეიმი“ ფუძნდება. მისი თანაორგანიზატორები არიან: საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი; თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის სამსახური; საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი.

ამ დღეს, რიყეზე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული „ეტალონები“ მოიყრიან თავს. მოგვიანებით, მოზარდები თბილისის მერიისა და საკრებულოს წევრებს შეხვდებიან, შემდეგ კი, მთავრობის სასახლეში პარლამენტის თავმჯდომარეს ესტუმრებიან. შუადღეზე, რიყეზე კონცერტი გაიმართება. „ცოდნის ზეიმის“ კულმინაცია, წმინდა სამების საკათედრო ტაძარშია დაგეგმილი, სადაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ლოცვას აღავლენს და პარაკლისს გადაიხდის. ტაძრის ეზოში ფოლკლორის თეატრ „ნაბადის“ წარმოდგენა გაიმართება. ზეიმი საეკლესიო ზარების რეკვა დაგვირგვინებს.

რიყეზე დაგეგმილ კონცერტს უურნაღისტები: ნინო მურღულია და ნიკა ხაჩიძე გაუძღვებიან, რომლებიც თვით მედიაპროექტ „ეტალონის“ განხორციელებაშიც მონაწილეობენ.

# „ცოდნის ზეიმი“ ზიყეზე, წარმაცებული ჯრთუქტი „ეტალონი“ და ქართული შობიზნესის ვარსკვლავები

## ლალი შახია

**ნინო მურღულია:**  
— როდესაც ეს პროექტი დაიწყო, მამინვე დიდი ინტერესით ჩავები. ვიცოდი თითოეული დეტალი, ვაკვირდებოდი იმ პროცესს, თუ როგორ იხვეწებოდა. ასე რომ, დღევანდელი, სრულყოფილი სახით მის ჩამოყალიბებაში მეც მაქვს მიღებული მონაწილეობა. ჩემი ოჯახისთვის ძალზე მნიშვნელოვანია განათლება, ამასთან, აღნიშნულ პროექტში მამაჩემიც (გია მურღულია — ავტ.) აქტიურადაა ჩაბმული. იმედი მაქვს, „ეტალონის“ — ყველაზე ეროვნული მედიპროექტის განვითარების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. უახლოეს მომავალში, ის კიდევ უფრო მასშტაბური გახდება. ამისთვის 14 მაისი — „ცოდნის ზეიმი“ აღსანიშნავი, რომელშიც საზოგადოება მასობრივად ჩაებმება. ეს დღე არა მხოლოდ „ეტალონელთათვის“, არამედ ნებისმიერი ადამიანისთვის იქნება მნიშვნელოვანი, რადგან ცოდნის შეძენა გვიანი არასდროს არ არის...

**ნიკა ხაჩიძე:**  
— „ეტალონის“ წყალობით, მოზარდებს ეძლევათ საშუალება, საკუთარი ცოდნით, წლიური სტიპენდია მიიღონ. ეს კარგი სტიმულია. მნიშვნელოვანია, როცა ვიღაც აფასებს მოსწავლის განათლების დონეს, განსწავლულობას. სამწუხაროდ, წიგნი დღესდღეობით, უკანა პლანზეა გადასული. ამიტომ კარგია, რომ „ეტალონი“ მთელი საქართველოდან უყრის თავს მონაწილეებს.  
— **აღსანიშნავია, რომ „ეტალონში“ უფრო მეტ ენთუზიაზმსა და მონდომებას, რეგიონებში მცხოვრები მოსწავლეები**

იჩენენ. ისინი თითქოს, მეტად მომზადებულები და წიგნიერები არიან, არა?

**ნინო:**  
— ეს ტელეპროექტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის გარკვეულ მონაცემებს გვანვდის იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა განათლების სისტემაში საქართველოს მასშტაბით: ნათლად ვხედავ, სად უფრო მეტი ძლიერი მოსწავლეა. ტელემაშინის ფორმის მიუხედავად, „ეტალონი“ არა მარტო გასართობი გადაცემაა. სწორედ ამიტომ, უცხოელმა მეცნიერებმა მას მედიაპედაგოგიკა უწოდეს. ასეთი პროექტი ნებისმიერ ქვეყანაში გაამართლებს — ნათლად წარმოაჩენს იმის სურათს, თუ განათლების სისტემაში როგორი სიტუაციაა და გამოავლენს იმ ხარვეზებს, რომლებიც აღმოსაფხვრელია... გეთანხმებით იმაში, რომ მოზარდები რეგიონებიდან უფრო აქტიურობენ. ეს აღ-

ბათ, იმით აიხსნება, რომ ისინი წიგნს უფრო დაწაფებული არიან.

**ნიკა:**  
— ნაწილობრივ მეც გეთანხმებით, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ თბილისშიც ბევრია წიგნიერი მოზარდი. პირადად ვიცნობ მათ, ვისთვისაც კარგი განათლების მიღება უმთავრესია.

— **როცა რიყეზე 14 მაისისთვის დაგეგმილი კონცერტის წაყვანა შემოგთავაზეს, რა რეაქცია გქონდათ?**

**ნინო:**  
— პირველად, როგორც წამყვანები ერთად, ამ ცოტა ხნის წინ, გაზეთ „კვირის პალიტრის“ „დაბადების დღის“ ზეიმს ვუძღვებოდი. კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს. ამას აღნიშნავდა მაყურებელიც... როდესაც „ეტალონის“ ავტორმა, გოჩა ტყეშელაშვილმა კონცერტის წაყვანა შემოგვთავაზა, თავიდან გამიკვირდა. ეს დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე უნდა გამოვიდე. ამის გამოცდილება ნაკლებად მაქვს. „ცოდნის ზეიმი“ და საერთოდ, „ეტალონი“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება და ეს კიდევ უფრო ზრდის ამ პასუხისმგებლობას. ამასთან, მინდა, რიყეზე



ნიკა და ნინო



მოსულ ახალგაზრდებს, ჩვენ მიერ მოწყობილი ღონისძიება მოეწონათ. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. კონცერტის წამყვანის ამპლუის პარალელურად, მე და ნიკა ამ ღონისძიების ორგანიზატორებიც ვართ, დათო ოქიტაშვილთან და გია ჯაჯანიძესთან ერთად. კონცერტზე გამოვლენ და იმღერებენ შოუბიზნესის ის წარმომადგენლები, რომლებიც ყველაზე რეიტინგულები აღმოჩნდნენ გამოკითხვების მიხედვით.

**ნიკა:**

— როცა გოჩამ მითხრა — კონცერტი შენ უნდა წაიყვანო, — თავიდან, ხუმრობა მეგონა. მერე შემომთავაზა, საორგანიზაციო საქმეების მოგვარებაშიც მიმელო მონაწილეობა. დიდი პასუხისმგებლობა დამაკისრა. ჩემთვის რიყეზე კონცერტის წამყვანა ძნელი იქნება, მაგრამ ვეცდები, რომ ყველაფერი კარგად წარიმართოს.

**ნინო:**

— რიყეზე მოსვლა შეუძლია ყველას, ვისაც ამის სურვილი ექნება. ეს მხოლოდ „ეტალონელთა“ ზეიმი როდია — ეს საყოველთაო „ცოდნის ზეიმი“. ამით ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ჩვენთვის განათლება, ცოდნა — ყველაზე მნიშვნელოვანია.

**ნიკა:**

— კონცერტი 4 საათი გაგრძელდება. მასში რამდენიმე ისეთი ქართველი მომღერალიც მიიღებს მონაწილეობას, რომელიც საქართველოში არ მოღვაწეობს, მაგრამ მათ ჯერჯერობით, ვერ დაგისახელებთ — სიურპრიზი იქნება.

**დავით ოქიტაშვილი:**

— მიხარია, რომ პროექტი „ეტალონი“ წარმატებით ხორციელდება. ცოტა ხნის წინ, ჩემთან მოვიდა ბატონი გოჩა ტყეშელაშვილი და „ცოდნის ზეიმის“ ორგანიზებაში დახმარება გვთხოვა. აღნიშნულ კონცერტში მონაწილე მომღერალთა შესარჩევად, ჟურნალ „რეიტინგის“ მეშვეობით გამოკითხვა ჩავატარეთ. ბავშვებს, რომლებიც მხოლოდ ტელეეკრანიდან იცნობენ მომღერლებს, 14 მაისს საშუალება ექნებათ, ახლოს ნახონ, პირადად გაიცნონ, ავტოგრაფი ჩამოართვან, მათთან ერთად სურათები გადაიღონ... ყველანი ვნერვიულობთ, გვინდა, რომ ყველაფერი კარგად გამოვიდეს და ისეთივე წარმატებით ჩაიაროს, როგორც თვით „ეტალონი“ ხორციელდება.

**— მაინც ვინ მიიღებს კონცერტში მონაწილეობას?**

— ყველა ის მომღერალი, ვინც ახალგაზრდებს უყვართ. კონცერტი საქველმოქმედო იქნება. ბევრმა მომღერალმა, როცა დაფუკავშირდით, გამოთქვა სურვილი, რომ მასში უსასყიდლოდ მიიღოს მონაწილეობა. სხვათა შორის, კონცერტის დროს, მასწავლებელი უამრავი ექსპრომტის მნახველი გახდება. თავად მასწავლებელსაც, ვისაც სიმღერის სურვილი გაუჩნდება, ამის საშუალება მიეცემა. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დამთავრდება. ■

**სურათში ვხვდებით: 2005 წელს გამარჯვებული „ეტალონელები“ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან შეხვედრისას**

წლების წინ დაწყებული მეგობრობა 6 მაისს, რესტორან „მეტეხის ჩრდილში“ ხელის მოწერის ცერემონიითა და ქორნილით დაგვირგვინდა. სიძე-პატარძალი, კოლეგები — ცნობილი ტელეჟურნალისტები არიან... ნინო შუბლაძეს, ქორნილის შემდეგ, დასასვენებლად მხოლოდ ერთი დღე ერგო. საერთოდ, „რუსთავი 2“ თანამშრომლებს დასვენების დღეებით დიდად არ ანებივრებს და როგორც ნინო ამბობს, მას თავლობის თვე კი არა, რეალურად, „თავლობის ერთი დღე“ ჰქონდა.

არატრადიციული ქორნილი, თავლობის ერთი დღე და პატარძლის ემოციური ინტერვიუ

**ლალი შაშია**

— ნინო, სად და როგორ გაცანი შენი მომავალი მეუღლე?

— ალექო ფარულავა გავიცანი 2000 წელს, როდესაც „ალიონში“ მივედი სამუშაოდ. მალევე დავემეგობრდით და დროთა განმავლობაში, ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპი გავიარეთ. ბოლოს მივხვდით, რომ თურმე ერთმანეთი გვყვარებია.

— ალექო წლების მანძილზე |



არხის სახე იყო — ჯერ „ალიონში“ მუშაობდა, შემდეგ „მოამბეში“... ახლაც თავისი პროფესიით მუშაობს?

— დიას, თავისი პროფესია ძალიან უყვარს. ამასთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციაშიც საქმიანობს.

— გვექონდა საშუალება, შენი ქორნილის გარკვეული ეპიზოდები ტელევიზიით გვეჩვენებო. სიუჟეტში თქვი, — არატრადიციული ქორნილი გვექონდაო. რატომ უწოდე ასე?

— არატრადიციული ვუნოდე იმიტომ, რომ ხელის მოწერის ცერემონია რესტორან „მეტეხის ჩრდილში“ გვექონდა; სტუმრად მხოლოდ ახალგაზრდები გვყავდა (კოლეგები, მეგობრები, ნათესავები); არ მეცვა თეთრი ფერის კაბა...

— სულ რამდენი ადამიანი იყო ქორნილში?

— დაახლოებით 80 კაცი.

— საქორნილო კაბა სად შეიძინე?

— კაბა ავთო ცეკვიტინიძემ შემიკერა. ძალიან მინდოდა, შაბიამნისფერი კაბა მცმოდა, რადგან ეს ფერი, ჩემი თვალის ფერს უხდება... ასე აღმოვჩნდი „არატრადიციულ“ ჭრელ კა-



გრადიციულობს მანც ვერ აყვდ, „ქართული“ ვიცევე თამადასთან ერთად...





განსხვავებულები რომ ვართ, ალბათ იმიტომაც მშენიფრად შევეწყვეთ ერთმანეთს

**სასიათით თუ ჰგავნართ?**

— განსხვავებულები რომ ვართ, ალბათ იმიტომაც მშენიფრად შევეწყვეთ ერთმანეთს. თავიდანვე ვამბობდი — პლუს-მინუსი ვართ-მეთქი (იციან). ასე რომ, ერთმანეთს ვავსებთ.

**— თუმცა, როგორც ვიცი, ორივენი აქტიურები, ემოციურები და ენერჯიულები ხართ...**

— გეთანხმები, ასეა. ენერჯია არც ერთს არ გვაკლია. ჩემ გვერდით სხვაგვარ ადამიანს ვერც ვავიტანდი.

**— ქორნილის დღეს მეუღლემ რა გაჩუქა?**

— თავის თავი — ისევე, როგორც მე

ბაში... მაგრამ „ტრადიციულობას“ მაინც ვერ ავცდი — „ქართულიც“ ვიცეკვეთ და ჩოხაში გამოწყობილი თამადაც გვყავდა.

**— თამადა ვინ იყო?**

— ჩვენი მეგობარი — ანდრო გეგენავა. ის აჩიკო გეგენავას („თელიანი ველის“ ხელმძღვანელი, რომელიც მყურებელმა შოუთი — „იდეა, ფული და ერთი შანსი“ გაიცნო. — ავტ.) ძმავა. ანდრო არაჩვეულებრივად გაუძღვა სუფრას.

**— ჯვარი არ დაგინერიათ?**

— არა, მაგრამ აუცილებლად დავინერეთ. ყველაფერი უცებ გადაწყვიტეთ და ამიტომ, ჯვრისწერა შემდეგისთვის გადავდეთ — ანუ მორიგი შეკრების მიზეზი გააქვს (ილიმება).

**— მაისში დაქორწინებას უმრავლესობა თავს არიდებს. თქვენ ამ თვეში ქორნილის გადახდა რატომ გადაწყვიტეთ?**

— მეგობრებიც მეუბნებოდნენ, — მაისში ქორნილს ნუ გადაიხდითო, მაგრამ მეც და ალექოც მორწმუნე ადამიანები ვართ და ცრურწმენების არ გვჯერა: ამბობენ — ვარდმა თქვა, მაისში მარტო მე ვყვავიო... ვარდის შიშით, ქორნილზე უარს ვერ ვიტყვოდი. 6 მაისს — გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს გადავიხადეთ ქორნილი და როგორ შეიძლება, ეს დღე ბედნიერი არ იყოს?

**— შენ და ალექო ერთმანეთს**



სგუმრად მხოლოდ ახალგაზრდები გვყავდა

მივუძღვენი მას ჩემი თავი. ერთმანეთისთვის მიძღვნილი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი ეს იყო.

**— საქორწინო მოგზაურობაში წასვლას აპირებთ?**

— საქორწინო მოგზაურობას ზაფხულისთვის ვგეგმავთ. ახლა რომ წავიდეთ, მთელი ზაფხულის გატარება თბილისში მოგვიწევს (შვებულებას აღარ მო-

მცემენ)... შეიძლება ესპანეთში ან თურქეთში გავემგზავროთ.

**— ქორნილის წინა სამზადისისთვის, „რუსთავი 2“-მა რამდენი დღით გაგათავისუფლა?**

— ქორნილამდე ერთი კვირით ადრე, რამდენიმე დღით გაათავისუფლეს; ქორნილის წინ, ორი თავისუფალი დღე მომცეს და ქორნილის შემდეგ — ერთი. დღეს, სამზაბათს (ინტერვიუ ჩანერილია 9 მაისს. — ავტ.) უკვე ეთერში ვარ. ე.ი. გამოვიდა, რომ თავლობის ერთი დღე მქონდა.

**— შენი მეჯვარე ნანუკა ფორულიანი იყო, არა?**

— არა მარტო ნანუკა: მეც და ალექოსაც სამ-სამი მეჯვარე გვყავდა...

**— ნანუკას ეტყობოდა, კარგად მოილხნა შენს ქორნილში...**

— (იციან) ყველამ მოილხინა, ვინც იქ

იყო — ამბობდნენ, ქორნილში ასეთი კარგი დრო ჯერ არ გვიტარებიაო.

**— ეს წელიწადი შენთვის წარმატებული აღმოჩნდა: შენმა პროექტმა შოუში — „იდეა, ფული და ერთი შანსი“ გაიმარჯვა; ოჯახი შექმენი. სამომავლოდ რას გეგმავ? როგორ ფიქრობ, კარიერასა და ბიზნესსაქმიანობაში ოჯახი ხელს ხომ არ შეგიშლის?**

— ბიზნესს აუცილებლად მივხედავ. ჩემი პროექტის დამფინანსებელთან — ბიზნესმენ ლაშა პაპაშვილთან, უკვე მქონდა შესვედრა. ტელეკარიერის პარალელურად, საქმესაც ავანყობ. არა მგონია, ოჯახის შექმნამ ამაში ხელი შემიშალოს. არაჩვეულებრივი მეუღლე მყავს. ის ჩემი დიდი გულშემატკივარია, როცა დავიღლები, მაგულიანებს ხოლმე... საერთოდ, მოსწონს საქმიანი ქალები.

**— თვითონაც საქმიანი და ენერჯიულია...**

— ჰოდა, ეტყობა, მეც ამიტომ შევუყვარდი (ილიმება)...

**— ალბათ შვილის გაჩენასაც აპირებთ...**

— რა თქმა უნდა. ვოცნებობ, ღმერთმა ბედნიერი და ჯანმრთელი შვილი მოგვცეს.

**— კიდევ ერთხელ გილოცავ და წარმატებებს გისურვებ!**



„რუსთავი 2“-ის თანამშრომლებმა ქორნილში კარგად მოილხინეს



27 წლის დიანა მჭედლიშვილი ერთ-ერთი იმ იშვიათ ქართველ მოდელთაგანია, ვინც ფოტოკამერის წინ შიშვლდება. 1998 წელს, ფესტივალ „დიზაინზე“ ის საუკეთესო მოდელის ტიტულით, ხოლო 1999 წელს, ამავე ფესტივალზე, პოდუმიზე საუკეთესოდ სიარულისთვის დააჯილდოეს. დიანა პარალელურად, სამხედრო სამსახურშია, ამიტომ, სამხედრო ფორმაში გამონაწობილი მოდელი, უცხოელებს ხშირად ხვდება და თავის უკომპლექსობას, სწორედ ამას აბრალებს.



დიანა მჭედლიშვილი:  
„ქმრის ცხლებს ჩემი  
ას უნდა ეშინოდეთ!...“

**სოფო ყარალაშვილი**

— თხუთმეტი წლისამ გადაწყვიტე, რომ მოდელი გამოვსულიყავი. ადრე, ყველა მოდელი მსუბუქი ყოფაქცევის ეგონათ. ამის გამო, მამაჩემი მეუბნებოდა — ხალხი ვერ გაგიგებსო, თუმცა ოჯახმა ხელი მაინც შემიწყობ. ადრე უფრო თინეიჯერულ სურათებს ვიღებდი, ახლა, მგონი, დაეკლადი. რაც შეეხება ჩემი შემოსავლის ძირითად წყაროს, 4 წელია, სამხედრო ბაზაზე ვმუშაობ. თარჯიმნების ცვლის უფროსი ვარ. ყოველთვის სამხედრო ფორმა და ჩემმა მაცვია, ყველანაირ იარაღთან მაქვს შეხება, ვიცი ტყვიამფრქვევის დაშლა-ანგობა. საერთოდ, რისკიანი ვარ, ველზე უნდა გავიდე და PING-ის მსროლელის გვერდით ვიდეგ, რომელ-

მაც ჭურვი უნდა გაისროლოს. ერთხელ სახეში საკმაოდ ახლო მანძილიდან ფუჭი ტყვია მესროლეს. 2 საათი არაფერი მესმოდა, კანტუნია დამემართა, არადა, ოთხ დღეში ჩვენება მქონდა, პოდუმიზე უნდა გამოვსულიყავი... ტონა გრიმი დამადგეს.

— **შენ საკმაოდ თამამ სურათებს იღებ, რასაც ქართველები ვერ ვერ ვგუებთან. ე. ი. მშობლებს წინააღმდეგობა არ გაუნწევიათ, სომ?**

— ძალიან თანამედროვე ოჯახის წევრები მყავს. სხვისი აზრი არ მაინტერესებს, ვაკეთებ იმას, რაც მსიამოვნებს და ამით ფოტოგრაფსაც უუადვილებ მუშაობას, არაფერზე ვეწუნებ. ჩემს სურათებში ვერ ვხედავ პორნოგრაფიას, ეს უფრო ეროტიკაა და მიმარჩნია, რომ ლამაზია. შარშან ვიპოვე ისეთი ფოტოგრაფი, რომელმაც კარგად იცის თავისი საქმე. თავიდან ეჭვის თვალით შემომხედა, ქართველებთან მუშაობა მიჭირს, უნდა ვხვეწო, კომპლექსიანები არიანო. ვუთხარი, რომ ჩემთან პრობლემა არ შეექმნებოდა, რადგან შინაგანად ვარ თავისუფალი. კონკურს „ცხელ კალენდარში“ კონტრაქტს რომ ვაფორმებდით, იქ არის ასეთი პუნქტი: საჭიროების შემთხვევაში დათანხმდებით თუ არა სხეულის რომელიმე ნაწილის გამოჩენას? ყველამ მოან-

ერა ხელი, რომ თანახმაა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, არ ვიცი, რას იზამენ. მიწახავს რას აკეთებენ ქართველი გოგონები ლამის კლუბებში — ამას ისევე „ცხელი კალენდრისთვის“ გაშიშვლება სჯობს. მიმარჩნია, რომ ეს ხელოვნებაა, ვინც ასე არ ფიქრობს, ის „ბინძურია“. იმ დღეს ტელესერიალ „ასაში“ მიმიწვიეს ერთ-ერთ სერიისში გადასაღებად. სცენარის მიხედვით, მალბაზ ქვრივიშვილს ჩავენუტე. მეორე დღეს მეზობელმა დაურეკა დედაჩემს, შენი შვილი ვნახე, „ასაში“ და ძალიან მომეწონაო. ჩემი ოჯახის წევრები ჩემით ამაყობენ.

— **შეყვარებული გაყავს?**

— ადამიანი, რომელიც მიყვარს, ამერიკელია, ტეხასიდანაა. ჩემით ისიც ამაყობს. ახლა ამერიკაშია და ჩემი სურათები აქვს წაღებული, ყველას აჩვენებს — ნახეთ, რა ლამაზი ქალი მყავსო. ქართველი მამაკაცი ასეთ სურათებს ბალიშის ქვეშ დამალავდა.

ქართველმა კაცმა ვერ ისწავლა ქალის დაფასება. უცხოელებს ეს არ ეშლებათ. გრძნობენ ჩვენს სითბოსა და ერთგულებას.

— **ესე იგი, შენ ქართველი მამაკაცები არ მოგწონს?**

გაგრძელება იხ. გვ. 57



ძალიან თანამედროვე ოჯახის წევრები მყავს

**მალაზია „ოფის-სერვის ცენტრი“**

**გთავაზობთ**  
**ფაიფურის ჭურჭელს**  
**სასაუბროებისთვის,**  
**რესტორნებისა და**  
**ბარებისთვის**

მის: ვაჟა-ფშაველას №25  
(სასტუმრო „აფხაზეთი“)  
☎ 899-51-53-06 (10-20სთ.)





ლალი შანი

ქარნალისტი — ავთო ცქვიბინია, რესპონდენტი — გვიან თოთლაძე

— სწორად ისე ხდება, რომ სიდედრს სიძის მიმართ პრეტენზიები აქვს. როგორც სიდედრს, რა არ მოგწონს ჩემში?

— შენ მიმართ საპრეტენზიო არაფერი მაქვს. უბრალოდ, ყოველთვის მეგონა, რომ ნორმალური გემოვნება მქონდა, მაგრამ როცა რაღაცას ვიცვამ, ისე გამომხედავ ხოლმე, რომ შენს თვალეში მაშინვე ვკითხულობ — რა არის, მზია, რა ჩაგიცვამსო (იციანს)?!

— ეს ძალზე იშვიათად ხდება.

— მეც ხომ აღვნიშნე — ხანდახან-მეთქი.

— ამ დროს, ჩემს სათქმელს ძირითადად, ჩემი მეუღლე — ხათუნა ამბობს ხოლმე.

— არ გეგონოს, რომ ამაზე ვბრაზდები ან ვლიზიანდები — არა, უბრალოდ, ეს ამბავი მაფიქრებს ხოლმე. ნუთუ, ასე უგემოვნოდ ვიცვამ?!

ამ დროს, ავთო მომიბრუნდა და ქალბატონი მზიას ჩაცმულობასთან დაკავშირებით, საკუთარი მოსაზრება გამოთქვა:

— მზიას უყვარს ლამაზად, ქალურად ჩაცმა. ვინაიდან ის სერიოზული პროფესიის ადამიანია, მინდა, რომ კლასიკურად ეცვას, მაგრამ მკაცრი სტილის სამოსში ქალური სინაზე იკარგება, ამიტომ ვცდილობ, მისთვის ისეთი კოსტიუმი შევქმნა, რომელშიც ორივე ელემენტი შეერწყმება ერთმანეთს. სხვათა შორის, მას რამდენიმე ასეთი კოსტიუმი შეუუკერეთ კიდეც მაგრამ მისთვის მაინცდამაინც მისაღები არ აღმოჩნდა (იციანს)... თავზე დობაში ნუ ჩამითვლი, როგორც ოჯახის წევრსა და ახლობელ ადამიანს, საჯაროდ მინდა გკითხო — რამდენი წლის ხარ? ეს ბევრს აინტერესებს და სწორად მეკითხებიან. ისიც აინტერესებთ — გაქვს თუ არა გაკეთებული, მაგალითად, ცხვირის, ტუჩების პლასტიკური ოპერაცია, რადგან სახის ლამაზი ნაკეთები გაქვს...

— ჩემი ცხოვრებიდან ერთ ეპიზოდს გავისვენებ. მეთუ კლასში ვიყავი. ერთხელ, სკოლიდან ვბრუნდებოდი, როცა ქალბატონმა გამაჩერა. მას ზრდასრული ასაკის გოგონა ახლდა, რომელსაც უზარმაზარი ცხვირი ჰქონდა. ქალბატონმა მკითხა — დედაშვილურად გთხოვ, სწორად გამიგე, რაიონიდან ვართ ჩამოსულები, არ ვიცით, სად წავიდეთ და მითხარი — ვინ გაგიკეთა ცხვირის

სიძე-სიდედრის ტრადიციულად „ტკბილი ბაასი“ ვფიქრობ, ყველა დროში აქტუალური იყო და ალბათ, კვლავაც ასე იქნება, რადგან ქართველი სიძეები მაინც არ აიკრძალავენ სიდედრებზე ანეკდოტების მოყოლას. მაგრამ მათ შორის, იშვიათ გამონაკლისს, დიზაინერი ავთო ცქვიბინიძე წარმოადგენს. როგორც ამბობს, მას ბედმა გაუღიმა — მეუღლეს კარგი შეხვდა და სიდედრიც. ამიტომაც, არანაირი საფუძველი არა აქვს საიმიხოდ, რომ სიდედრზე ანეკდოტი მოჰყვეს. ამის შესახებ პირადად უთხრა კიდეც თავის სიდედრს — მზია თოთლაძეს, როდესაც „გზისთვის“ ინტერვიუს ჩასაწერად შეხვდა...

კასი, ჩოქიცი თაჟისი ზელით კაჟოფილია



ანუ სიქა-სიდედრის გზაასება

ჩათომ არ მოჰყავა ავთო ცქვიბინია სიდედრა ანაჟოს

ოპერაციაო? გავოგნდი. რაღაც ხომ უნდა მეპასუხა და — ჩემი სახლის მისამართი ვუთხარი. ბოლოს მკითხა — იმ ქირურგს რა ჰქვიაო? ვუპასუხე — ის „ქირურგი“, მამაჩემია-მეთქი (იციანს)... რაც შეეხება ჩემს წლოვანებას, არასდროს მქონია სურვილი, ასაკი დამემალა, ამიტომ, ახლაც თამამად ვიტყვი და დავაკმაყოფილებ ცნობისმოყვარე ადამიანების ინტერესს, რომ 49 წლის ვარ და 8 თვეში, 50 წელი შემისრულდება.

— სხვათა შორის, ჩვენს შვილს გამოჰყავა შენი ცხვირი. იმედი მაქვს, არ შეიცვლება... ნებისმიერ დედას დაახლოებით წარმოდგენილი ჰყავს მისი ქალიშვილისთვის სასურველი მომავალი ქმარი. ხათუნასთვის ჩემნაირი ადამიანი გინდოდა? წარმოიდგენდი, რომ ისეთი სიძე შეგგვდებოდა, როგორც მე ვარ?

— სიმართლე რომ გითხრა, დიზაინერ სიძეს ვერ წარმოვიდგენდი. ისე, ძალიან ძნელია რაღაცის წინასწარ წარმოსახვა, დაგეგმვა, რადგან არ იცი, შენი ქალიშვილი ცხოვრების თანამგზავრად

ვის აირჩევს. მაგრამ როდესაც გავიგე, რომ ხათუნას არჩევანი საკმაოდ მტკიცე იყო და თქვენი ურთიერთობაც სერიოზულ ფაზაში შევიდა, მე ამ საქმეში არ ჩავრეულვარ.

— როგორი სიძე აღმოგჩნდი?

— სანამ ჩვენი სიძე გახდებოდი, შენთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა და დღემდე მიჭირს იმის დაჯერება, რომ ჩემი სიძე ხარ... გაფასებ უბრალოდ იმიტომ, რომ ნორმალური და კარგი ადამიანი ხარ, როგორც სიძეს, ისე ვერ გიყურებ. ერთ ჭერქვეშ გვინევს ცხოვრება, არანაირი პრობლემა ჩვენს ურთიერთობაში არ შექმნილა, ალბათ, ხასიათით ერთმანეთს ვწყობით. ჩვენ შორის ისევე ისეთი მეგობრობაა, როგორც მანამდე იყო (ქალბატონი მზია მე მომმართავს. — ავტ.). ავთო კარგად აღზრდილი ადამიანია, იცის უფროსის პატივისცემა, არაფერი ეშლება, რაც ძალიან მახარებს, თბილია და ბევრი კარგი თვისება აქვს. ავთოთი კმაყოფილი ვარ.

— სულ ბოლოს, რას ვერ მაპატიებდი?

— ...უპასუხისმგებლობას და ამ ერთი სიტყვით, მგონი, ბევრ რამეა ნათქვამი...



# „უპილი მისაკლავად არ უნდა გაამეფებინა...“

## „მოვითხოვ, მამაჩემი ყანონის მთელი სიმეცხრით დაისაჯოს...“

გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი სამინელი დანაშაულის საქმის განხილვა ბევრისთვის წარმოუდგენელი ფინალით დასრულდა. 53 წლის განსასჯელი, რომელიც სასამართლოს წინაშე საკუთარი შვილის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით წარდგა, სხდომაზე დანაშაულის მოტივის შესახებ ალაპარაკდა. განსასჯელის ჩვენებამ ყველა გააოგნა. მან დეტალურად აღწერა როგორც შვილის, ასევე საკუთარი ცოლის მკვლელობის მცდელობის შემზარავი დეტალები (რეალურ გვარ-სახელებსა და საცხოვრებელ ადგილს, გარკვეული მიზეზების გამო არ ვასახელებთ)...

„ვცხოვრობ ამ სოფელში. იმ დღეს შინ ვიყავი, სახლიდან არ გავსულვარ. საოჯახო საქმეებით გახლდით დაკავებული, შემას ვაპობდი. დაახლოებით საღამოს 10 საათი იქნებოდა, როცა ჩვენი მეზობელი — გოგი თვალთშევილი მოვიდა ჩვენთან. სახე შეშლილი ჰქონდა და რაღაც აბნეულად ლაპარაკობდა. თავიდან ვერც გავიგე, რას ამბობდა. მეუბნებოდა, ტარომ მგონი, ზაზა მოკლა და ჩქარა, წამოდი, მიშველეო. ტარო გოგის ძმა იყო. მაშინვე მივბრუნე ყველაფერი და სახლიდან გავიქვედი. გოგი უკან მომდევდა. იქ რომ შევედი, შემზარავი სურათი დამხვდა. ზაზა სანოლზე უგონოდ, გულაღმა იწვა, თავ-პირი სულ გასისხლიანებული ჰქონდა და არ ინძრეოდა. ლოგინიც სულ სისხლით იყო მოსვრილი. იქვე იდგა ოჯახის ნათესავი, რუსი ქალბატონი, რომელსაც ხელში გასისხლიანებული ნაჯახი ეჭირა. გაფითრებული იყო და არაფერს ამბობდა. ზაზასთან ახლოს მივედი, შევამოწმე და ვიგრძენი, რომ ძალიან სუსტად, მაგრამ ჯერ კიდევ სუნთქავდა. მაშინვე ვიყვირე, ჩქარა, მანქანა იშოვეთ სადმე, ამის აქ გაჩერება არ შეიძლება, სასწრაფოდ საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ-მეთქი. გოგი მანქანის საშოვნელად გავარდა...“ — წერს ჩვენებაში დაზარალებულის მეზობელი და მეგობარი **არჩილ ძირიაზვილი**.

რამდენიმე წუთში, დაჭრილი გორის რაიონის საავადმყოფოში მიიყვანეს. ექიმებმა დაზიანებები რომ ნახეს, ნათესავებს უთხრეს, რომ ჭრილობები სიცოცხლისთვის სახიფათო იყო და დაჭრილი დაუყოვნებლივ საოპერაციოში შეიყვანეს...

როგორც მოგვიანებით გაირკვა, 25 წლის ზაზა თვალთშევილი იმ საღამოს შინ მარტო არ იმყოფებოდა. მასთან ერთად სახლში იყვნენ მისი ნათესავი — ოლია ბონდარევა, მცირეწლოვანი ძმისშვილი — 7 წლის პაატა და მამამისი — ტარიელ (მეტსახელად ტარო)

თვალთშევილი. მომხდარის შემდეგ ყველანი საავადმყოფოში წავიდნენ, არსად ჩანდა მხოლოდ დაჭრილის მამა. გაოგნებული ოლია ბონდარევა ჰყვებოდა, რომ დამნაშავე სწორედ ის იყო. მისი თქმით, მძინარე შვილს მან თავში ნაჯახი ჩაარტყა. გამოძიებამ მოწმის ეს სიტყვები დაადასტურა.

საქმის მასალების მიხედვით, ტარიელ თვალთშევილმა დანაშაული წინასწარ დაგეგმა. შეშის საჭრელი ცული, რომელსაც წინადღეს კარგად გალესილი პირი და ერთი მეტრის სიგრძის ტარი ჰქონდა, მან მას შემდეგ აიღო, რაც მისი შვილი საძინებელში შევიდა. დასაძინებლად დაწვეს ასევე მისი მცირეწლოვანი შვილიშვილი და სტუმარი ქალი. როცა დარწმუნდა, რომ ზაზას უკვე ეძინა, ნაჯახმომარჯვებული შევიდა საძინებელში და მძინარე შვილს თავზე დაადგა. აღსანიშნავია ის, რომ ზაზა და 7 წლის პაატა იმ საღამოს ერთ სანოლში დაწვეს. ოთახში კი ძალიან ბნელოდა და ადამიანების გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. ამის მიუხედავად, ტარიელ თვალთშევილმა საშინელ განზრახვაზე ხელი არ აიღო. შვილს მან ალესილი ნაჯახი ზედიზედ ორჯერ ჩაარტყა, მესამედაც აპირებდა ცულის მოქნევას, მაგრამ ხმაურზე ბედად, გაღვიძებულმა ოლიამ მას დროულად მიუსწრო და ხელში სწვდა...

### გოგი თვალთშევილის ჩვენებიდან:

„იმ დღეს მეგობარს ვაშლის ჩაწყობაში ვეხმარებოდი. სახლში დაახლოებით საღამოს 10 საათისთვის დავბრუნდი. მეუღლემ მითხრა, დღეს შენი ძმისშვილი — ზაზა ჩამოვიდა ვლადიკავკაზიდან. ზაზა ვაჭრობდა, ვაშლი დაჰქონდა გასაყიდად ვლადიკავკაზში. ოჯახს დედასთან ერთად არჩენდა. როგორც შევიტყვე, დედასთან ერთად წასულა, მაგრამ ჩემი რძალი არ ჩამოჰყოლია, იქ დარჩენილა. ზაზას რამდენიმე ყუთი ჩემი ვაშლიც ჰქონდა წაღებული და საფასური უნდა ჩამო-

ეტანა ჩემთვის. ამის გამო ძმის სახლში გადასვლა დავაპირე, მაგრამ მეუღლემ შემაჩერა, ტყუილად წახვალ, ზაზას ფული არ ჩამოუტანია, დედამისს აქვს და რომ ჩამოვა, ის ჩამოიტანსო. რამდენიმე ხანში დასაძინებლად დავწექით. მოულოდნელად კარზე ბრახუნი ატყდა. კარი რომ გავაღე, ოლია შემჩრა, ტიროდა და ხელში დიდი ნაჯახი ეჭირა, ძლივს მითხრა, ჩქარა, ზაზა დაჭრილი, მიშველეო...“

### ოლია ბონდარევა:

„მე ბესლანში ვცხოვრობ. ზაზა ჩემი მამიდაშვილი გახლავთ. იანვარში ის და დედამისი ჩვენთან ბესლანში სტუმრად ჩამოვიდნენ. ვაშლი ჰქონდათ გასაყიდად ჩამოტანილი. როცა ზაზამ ყველაფერი გაყიდა და საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, მე შევთავაზე, შენთან ერთად წამოვალ, ვაშლის იაფად ყიდვაში დამეხმარე-მეთქი. ისიც დამეთანხმა და ბესლანიდან ერთად წამოვედით მე, ზაზა და ზაზას პატარა ძმისშვილი. მამიდაჩემი ბესლანში დარჩა... სახლში რომ მივედით, არავინ დაგვხვდა. ზაზა მამასთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ რატომღაც ის შინ არ დაგვხვდა. ვისადიღეთ და ამის შემდეგ ზაზამ მეზობელთან წასვლა გადაწყვიტა, საქმე მაქვსო. მამამისი შინ მასზე ადრე მოვიდა. გაუკვირდა, რომ დაგვინახა. ჩემი ოჯახის წევრები მოიკითხა, ცოტა მე-საუბრა, იკითხა — ჩემი მეუღლე სად არისო, ვუთხარი, ის ბესლანში დარჩა-მეთქი. ამაზე არაფერი უთქვამს. რამდენიმე წუთში ზაზაც მოვიდა. მამამისმა მაშინვე დაუწყო ჩხუბი, დედაშენი იქ რატომ დატოვე, რატომ არ ჩამოიყვანეო? ზაზას არაფერი უპასუხია. მხოლოდ ის უთხრა — თავი დამანებეო. ამის შემდეგ, მათ არაფერზე უსაუბრიათ. დაახლოებით 11 საათისთვის ზაზა დასაძინებლად დაწვა. მის გვერდით დანვა პაატა, მეორე სანოლზე კი — მე. ტარო არ დანოლილა. დაჯდა სანოლზე და თავის თავს რაღაცას ელაპარაკებოდა. რას ამბობდა, ვერ გავარკვიე. იმ ოთახში, სადაც ის იჯდა, ლამპა ენთო. ცოტა ხანში ზაზამ და პაატამ დაიძინეს. ალბათ 12 საათი სრულდებოდა, როცა სრულიად შემთხვევით გამეღვიძა. არ ვიცი, ვიგრძენი რამე თუ ხმაურმა გამაღვიძა. თვალი გავახილე თუ არა, ზაზასკენ გავიხედე და დავინახე, რომ ტარო მის სანოლთან იდგა, ხელში კი დიდი ნაჯახი ეკავა. ტარომ ხელი ასწია და ის იყო, დარტყმას უპირებდა ზაზას, რომ



# „სხალი ჟიო სკუთარ სიძას სხელჳა მიადო...“

## 19 და 20 წლის ახალგაზრდები სასტიკი წამებისა და მკვლელობის ბრალდებით გაასამართლეს

პირების მიველად ხელში ჩაგდება, მათთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა (მოკვლის მუქარით); სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება; გაუპატიურება ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით, არაერთგზის, ძალადობითა და მოკვლის მუქარით; ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა, შენახვა (გასაღების მიზნით); ე.წ. ბუნაგის მოწყობა (ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მიზნით); რამდენიმე პირის დაყოლიება ნარკოტიკულ საშუალებების მოხმარებაზე; სისტემატური ცემა და ძალადობა, რასაც წამების ხასიათი ჰქონდა; ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა და ტარება, ასევე იარაღის დამზადება; შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმა ჯგუფურად, სხვისი ქონების დიდი ოდენობით დაუფლების მიზნით, განხორციელებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობითა და მუქარით, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში — ყველა ეს მუხლი 19 და 20 წლის ახალგაზრდებს პროკურატურამ მაშინ წაუყენა, როცა თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის დროს გასროლილი ტყვიის შედეგად 52 წლის ვალერიან ნუცუბიძე დაიღუპა. მან ურთულესი ოპერაციის გადატანა ვერ შეძლო და მომხდარი ფაქტიდან მეორე დღეს, სასწრაფო ქირურგიული ჩარევის მიუხედავად, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

დამნაშავეთაგან პოლიციამ ყაჩაღური დაჯგუფების მხოლოდ ორი წევრის დაკავება მოახერხა. სამართალდამცველების ვარაუდით, დანაშაულში კიდევ ორი წევრი მონაწილეობდა, თუმცა მათი ვინაობა, როგორც ეს საქმის მასალებში წერია, გამოძიებისთვის უცნობი დარჩა. თანამზრახველებისა და დანაშაულში თანამონაწილეების ვინაობა დაკავებულიებმა არ გაამჟღავნეს. მათ არც მომხდარი ყაჩაღობაში ცნეს თავი დამნაშავედ.

დაკავებულ პირთაგან ერთი, ან გარდაცვლილის მეზობელი აღმოჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროისთვის ის და მისი მეგობარი ეჭვმიტანილები იყვნენ სხვა დანაშაულშიც და პოლიცია მათ ეძებდა. მომხდარი ყაჩაღობამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე, პოლიციას ორმა ახალგაზრდა ქალმა მიმართა განცხადებით. განცხადებაში ისინი წარმოუდგენელი ძალადობის, ცემისა და წამების ფაქტებს აღწერდნენ და ყოველივე ამასი ორ პიროვნებას, თავიანთ ნაცნობებს — 19 წლის არჩილ (აჩი) გელაშვილსა და 20 წლის ნოდარ კოპალიანს ადანაშაულებდნენ. დაზარალებულების თქმით, კოპალიანმა და გელაშვილმა ისინი მოულოდნელად მოიტაცეს, შემდეგ, 5 დღით უცნობის საცხოვრებელ ბინაში გამოამწყვდიეს, დროდადრო იქ აკითხავდნენ, სცემდნენ, აწამებდნენ და რიგრიგობით აუპატიურებდნენ. დაზარალებულების თქმით, ამ ძალადობაში მონაწილეობდა კიდევ ორი უცნობი პირი, რომელთა ვინაობა მათთვის უცნობი დარჩა, რადგან მათ სახელებით არ

მიმართავდნენ.

დაზარალებულების სხეულებზე ძალადობისა და სასტიკი წამების კვალი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამაც დაადასტურა. სისხლნაჟღერებისა და სისხლჩაქცევების გარდა, ქალებს რამდენიმე ადგილზე დამწვრობებიც აღენიშნებოდათ. ნანაები ქალები ამბობდნენ, რომ ბოროტმოქმედებმა ისინი გაცხელებული უთოთი დაშანტეს. მათი თქმით, ცხელ უთოს მათ განსაკუთრებულად მგრძობიარე და მტკივნეულ ადგილებზე ადებდნენ...

გამოძიების მასალებში, ჩადენილი დანაშაულის დეტალები და სასტიკი წამების მიზეზიცაა დაფიქსირებული. როგორც პროკურატურამ გაარკვია, ახალგაზრდები სამიწელ ძალადობას ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ჩნადიონდნენ.

საქმის მასალების მიხედვით, ზემოთ ხსენებულ ქალებს — ნათია ბუცხრიკიძესა და თამარ ისაევას (გვარები შეცვლილია) ნოდარ კოპალიანის სიძე — სპარტაკ ბაიაშვილი იცნობდა. დღისით, დაახლოებით პირველი საათისთვის, ისინი ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ის ბუცხრიკიძესა და ისაევას სრულიად შემთხვევით შეხვდა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ, ისინი იქვე, ახლოს მდებარე თავის საცხოვრებელ ბინაში მიიპატიჟა. ბაიაშვილი ცოლშვილიანი გახლდათ, მაგრამ იმ პერიოდში მუუღვე მცირეწლოვან ბავშვთან ერთად დასასვენებლად ჰყავდა გაშვებული ბაზალეთზე, ნათესავების სააგარაკო სახლში. ასე რომ, შინ მარტო

იყო და ბინაში მსუბუქი ყოფაქცევის ქალების მიყვანასაც არ მოერიდა. იმ ღამით, მან სქესობრივი კავშირი დაამყარა ორივესთან, დღით კი ისინი ბინიდან გაისტუმრა. საღამოს, სახლში მარტო დარჩენილმა ბაიაშვილმა კვლავ გადაწყვიტა შინ ბუცხრიკიძისა და ისაევას მიყვანა, მაგრამ იმის გამო, რომ მათთვის გადასახდელი თანხა არ ჰქონდა, თავისი და მეუღლის კუთვნილი ნივთების გაყიდვა განიზრახა. საქროო ფულის შოვნის მიზნით, შეარჩია სხვადასხვა საოჯახო ნივთი, მათ შორის, ხალიჩა, ყავის სერვიზი, ტელეფონის აპარატი, თავისი ტყავის ქურთუკი და მეუღლის მიერ ახლობლისგან ნათხოვარი ტყავის ლაბადა. ყველა ეს ნივთი და ტანსაცმელი იმავე დღეს მიჰყიდა უცნობ პირებს.

სამი დღის შემდეგ ბაიაშვილთან ბინაში მივიდა მისი ცოლისძმა — ნოდარ კოპალიანი თავის მეგობრებთან — მათ შორის, აჩი გელაშვილთან ერთად. კოპალიანმა, რომელიც დის ოჯახს საკმაოდ ხშირად სტუმრობდა, შენიშნა, რომ ბინაში რამდენიმე ნივთი აღარ იყო და ამის თაობაზე სიძეს შეეკითხა. ბაიაშვილმა ცოლისძმასთან სიმაართლის თქმა ვერ გაბედა და იცრუა — ნივთები ჩემმა ცოლმა წასვლის წინ სადღაც შეინახა. მაშინ სიძის სიტყვებში კოპალიანს ეჭვი არ შეჰპარვია.

ამ ფაქტიდან ორ დღეში ბაზალეთიდან ბაიაშვილის მეუღლე — ელისო კოპალიანიც დაბრუნდა და მაშინვე შენიშნა სახლში ნივთების ნაკლებობა. მის თვალს არ გამოჰპარვია არც ტანსაცმლის გაუჩინარების ფაქტი. ელისო კოპალიანი მისვდა, რომ ტანსაცმელი და ნივთები ქმარს ექნებოდა ნაღებული. ასეთ შემთხვევას ადრეც ჰქონია ადგილი, ამიტომ ეჭვი მაშინვე მასზე მიიტანა. დახმარებისთვის ელისო კოპალიანმა ძმას მიმართა.

მომხდარის გამო გაბრაზებულმა ნოდარ კოპალიანმა სიძე სცემა. მაშინ, თავის მართლების მიზნით, ბაიაშვილმა მას უთხრა — ნივთები შესაძლოა, რამდენიმე დღის წინ სახლში მოყვანილმა ქალებმა მოიპარესო. ამის შემდეგ კოპალიანმა სიძის მიერ დასახელებული ქალების მიქვლად აყვანა და ამ გზით, მათგან ნივთების დაბრუნება განიზრახა.

ამ საქმის მოსაგვარებლად კოპალიანი თავად ბაიაშვილს შეუთანხმდა, ასევე განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის მეგობრებს — გელაშვილსა და გამოძიებით დაუდგენელ ორ პირს. ხუთივემ მოილაპარაკა და გადაწყვიტა, მოტყუებით მიეყვანათ ბუცხრიკიძე და ისაევა დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე მათი ნაცნობის —



გაგა ოსიაურის მიერ დროებით დაქირავე-  
ბულ ბინაში. შეთანხმდნენ, რომ ოსიაურ-  
რისთვის, რომელიც იმ დღეებში მოშობულთ-  
ან რაიონში აპირებდა ერთი კვირის წასე-  
ლას, სიმართლე არ გაუმხილავს. ასეც მოქცნენ.  
გასაღები გამოართვეს, უთხრეს, რომ ბინა  
ერთი ღამით სჭირდებოდათ, მაგრამ  
ჩანაფიქრი არ გაუმხილეს. კოპალიანი, გე-  
ლაშვილი და გამოძიებით დაუდგენელი პირი  
ბუცხრიკიძეს ისინი ტერიტორიაზე, ტაქსე-  
ის გაჩერებასთან, ერთად შეხვდნენ და გაყ-  
ოლა მოსთხოვეს. ბუცხრიკიძემ ამავე უარი  
თქვა. მაშინ მას მკლავში ხელი ჩაავლეს და  
ძალით აიყვანეს სამარშრუტო ტაქსიში.  
მეტროს სადგურ „მარჯანიშვილთან“ კვლავ  
ძალის გამოყენებით ჩამოიყვანეს „მარშრუტ-  
კიდან“ და დავით აღმაშენებლის გამზირზე  
მდებარე, ზემოთ აღნიშნულ ბინაში მიიყ-  
ვანეს.

**ნათია გუცხრიკიძის** ჩვენებიდან:

„...მათგან არც ერთს არ ვიცნობდი. მხ-  
ოლოდ კოპალიანი მყავდა ერთხელ ნანახი,  
ბაიაშვილთან ერთად. მოულოდნელად მოვ-  
იდნენ, მკლავში ხელი ჩამავლეს და მითხრეს  
— ახლავე უნდა წამოხვიდეთ. ვეცადე,  
წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ მალევე დაფრ-  
წმუნდი, რომ ამას აზრი აღარ ჰქონდა.  
მაგინებდნენ და ძალიან აგრესიულად, უხე-  
შად მეტყობდნენ, თან არ მეუბნებოდნენ ამის  
მიზეზს. მითხრეს — წამოდი და ყველაფერს  
აგინსნით, ისე მოიქცევი, როგორც გეტყვი-  
თო. ბაიაშვილი არსად ჩანდა. ბინაში რომ  
მივდივით, არც მაშინ გამოჩენილა... ოთხნი  
იყვნენ. რაღაც ნივთების დაბრუნება მომთხო-  
ვეს. აზრზე ვერ მოვიდივდი, რაში იყო  
საქმე და ვუბნებოდი კიდევაც მათ ამის  
შესახებ. არაფრის გაგონება არ სურდათ,  
ამჟამად იყო, რომ ჩემი არ სჯეროდათ.  
არაფერი მომიპარავს-მეთქი, რომ ვთქვი,  
კოპალიანმა მუშტი ჩამარტყა ძლიერად სახ-  
ეში. ზედა ტუჩიდან სისხლი წამსკდა. ტირ-  
ილი ამიტყდა და ვთხოვდი, თავი დაენებე-  
ბინათ ჩემთვის, მაგრამ რაც უფრო და-  
უყინებით უარყოფდი დანაშაულს, უფრო  
აგრესიულიები ხდებოდნენ. ამის შემდეგ  
იატაკზე დამავდეს და ცემა დაიწყო. დამ-  
ცინოდნენ, მაგინებდნენ და თან, ხან მუშტებ-  
სა და ხან ნიხლებს მირტყამდნენ. იმავე საღ-  
ამოს ოთხივემ გამაუბრატიურა. მშრანებლური  
ტონით მომთხოვეს, გავემშველებულიყავი...“

ნათია ბუცხრიკიძე თავის ჩვენებაში დე-  
ტალურად აღწერს ძალადობის სცენებს და  
აღნიშნავს, რომ ფსიქიკური ზენოლის ქვეშ  
იმყოფებოდა. იმის შიშით, რომ მას ისევ  
სცემდნენ, იძულებული გახდა, საკუთარი ნების  
საწინააღმდეგოდ, დაემყარებინა მათთან სე-  
ქსუალური კავშირი.

ასევე მოქცნენ თამარ ისაევასაც. აღნიშ-  
ნულ ბინაში ის მეორე დღეს მიიყვანეს. მისი  
დაყოლიებაც მოტყუებით უნდოდათ, მაგრამ  
ძალის გამოყენება ამ შემთხვევაშიც დასჭირ-  
დათ, რადგან ისაევასაც, ისევე, როგორც  
თავის დროზე ბუცხრიკიძემ, მათ ბინაში  
გაყოლაზე უარი უთხრა. ამ სხვის განმავლო-  
ბაში ბუცხრიკიძე გაკოჭილ მდგომარეობა-  
ში ჰყავდათ ბინაში გამომწყვდეული.

**თამარ ისაევას** ჩვენებიდან:

„ნათია ხელფეხშეკრული და სასტიკად

ნაცემი რომ დავინახე, მივხვდი, ბოროტმო-  
ქმედების ხელში ჩავვარდი. ნათია ცემის  
კვალი ნარბთან, ტუჩზე და თვალის არეშიც  
ეტყობოდა. წინააღმდეგობის განწევა ვცადე,  
მაგრამ ამან ისინი კიდევ უფრო გააღიზიანა.  
ყვირილი რომ ავტყეხე, ვილაციც გაშლილი  
ხელი მომხვდა სახეში; მეორედაც დამარ-  
ტყეს გაშლილი ხელი. ამის შემდეგ კოპა-  
ლიანმა მუშტი დამარტყა, მეორე იატაკზე დამ-  
ავდო და ფეხსაცმლიანი ფეხი პირდაპირ  
სახეში ჩამარტყა. ამ დროს გონება დაკარგე,  
არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე იატაკზე გათიშუ-  
ლი. აზრზე რომ მოვედი, ნათიას ლაპარაკი  
გავიგონე: ეხვეწებოდა მათ, თავი დაგვანე-  
ბეთ, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, არაფერი  
მოგვიპარავსო. იმ დროს ბინაში ოთხნი  
იყვნენ. იმ დღეს ოთხივემ გამაუბრატიურა.  
მაშინ ბაიაშვილი არსად ჩანდა, ის მოგვი-  
ანებით მოვიდა...“

ბინაში მისულ ბაიაშვილს სიძისა და  
ძმაცაცებისთვის თავისი „სიმართლის“ დამტ-  
კიცება სურდა. შემთხვევით მისი ტყუილი  
რომ არ გამოამკარავებულებო და თავი არ  
გაემშვლავებინა, გადაწყვიტა, თავადიცი მიე-  
ლო ძალადობაში მონაწილეობა. უფრო მე-  
ტიც, ამ მხრივ ინიციატივაც კი გამოიჩინა და  
ისედაც ნანაშები ქალების ხელახლა ტანჯვა  
დაიწყო. ორივე გაამიშველა და დააჩოქა,  
შემდეგ ქაშარი მოიხსნა და ცემა დაუწყო  
მათ. კოპალიანი, რომელიც ყოველივე ამას  
მშვიდად უყურებდა, განაწყინდა სიძეზე იმის  
გამო, რომ მისი აზრით, ის ქალებს გამეტე-  
ბით არ სცემდა. ამის გამო უსაყვედურა მას,  
წართვა ქაშარი, ჯერ თავად სიძეს გადაუ-  
ჭირა ზურგზე რამდენჯერმე, შემდეგ კი  
ბუცხრიკიძესა და ისაევას. დაზარალებულების  
ჩვენების მიხედვით, ცემა დაახლოებით 5  
წუთს გასტანა, პასუხი კი მათგან მინაც ვერ  
მიიღეს.

საქმის მასალების მიხედვით, იმავე საღ-  
ამოს კოპალიანმა, გელაშვილმა და გამოძიე-  
ბით დაუდგენელმა პირებმა ნარკოტიკული  
ნივთიერება მიიღეს (ინიექციით) შემდეგ გაახ-  
ურეს უთო და ჯერ ბუცხრიკიძეს დაადეს  
სხეულზე — სამ ადგილზე, შემდეგ ისაევაც  
დამანთეს. იმუქრებოდნენ, რომ მათ ცხელ  
უთოს სასაქესო ორგანოებზე მიადებდნენ.

„კვილი რომ დავაპირე, გელაშვილმა  
კოპალიანის მითითებით, პირი სკოჩით  
ამიკრა, ხელები ქაშარით შემიკრეს, არ მა-  
ძლეუდნენ ყვირილისა და განძრევის საშუ-  
ალებს. მაშინ კოპალიანმა ცხელი უთო სასაქე-  
სო ორგანოსთან ახლოს მომადო, შემდეგ  
მუცელზე...“, — წერს ჩვენებაში **ნსაშპ**.  
როგორც ჩანს, ამ სასტიკი წამების მიუხედა-  
ვადაც, ვერანაირ პასუხს რომ ვერ იღებდა  
დაზარალებულებისგან, კოპალიანს ეჭვს გაუწი-  
და და ახლა სიძეს მიუბრუნდა. დაემუქრა,  
რომ მასაც იმავე დღეში ჩაადგებდა, თუ არ  
გაარკვევდა, რა მოხდა სინამდვილეში.

„ცხელი უთო საკუთარ სიძესაც დაადო  
სხეულზე, ვერძოდ, ბეჭთან...“ — წერს **ნსაშ-  
პ**. ბაიაშვილმა, როგორც ჩანს, ტკივილს  
ველარ გაუძლო და სიმართლის თქმა გადა-  
წყვიტა. ყველაფერი გაამხილა — აღიარა,  
რომ ბუცხრიკიძისა და ისაევასთვის ფულის  
გადახდის მიზნით გაყიდა სახლიდან საო-  
ჯახო ნივთები და მეუღლის ტანსაცმელი.

კოპალიანმა სიძე მძევალ ქალებთან დატოვა,  
სამივენი ბინაში გამოკეტა და დანაშაულში  
თანამონაწილე პირებთან ერთად, იმის თაობა-  
ზე მოსალაპარაკებლად წავიდა, თუ როგორ  
უნდა მოქცეულიყო ამის შემდეგ. ბინაში  
რომ მიბრუნდნენ, ბაიაშვილს 1.000 ლარის  
მოტანა ან წაღებული ნივთების დაბრუნება  
მოსთხოვეს. ამას გარდა, კოპალიანმა სიძეს  
სხვა მითითებაც მისცა — უთხრა, რომ ქალებ-  
ისთვის მიეხედა. კოპალიანმა, გელაშვილმა  
და გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა მას  
შემდეგ, რაც გადაწყვიტეს, რომ მიზანს მი-  
აღნიეს, შემთხვევის ადგილი დატოვეს.

მომხდარი ფაქტიდან მესამე დღეს დაზ-  
არალებულებმა პოლიციას მიმართეს. ვი-  
დრე სამართალდამცველები ბუცხრიკიძისა  
და ისაევას მიერ დასახელებულ პირებსა  
დააკავებდნენ, ძებნილებმა მორიგი საშინე-  
ლი დანაშაულის ჩადენა მოასწრეს. ამჯერად  
მათ, დიდი ოდენობით სხვისი ქონების დაუ-  
ფლებს მიზნით, რომელიმე შეძლებულ  
ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის განხორციელე-  
ბა განიზრახეს. ობიექტად აჩი გელაშვილის  
მეზობლად მცხოვრები — ნუცუბიძეების  
ოჯახი შეარჩიეს.

მიზნის მიღწევის მიზნით, გელაშვილმა  
და კოპალიანმა უკანონოდ შეიძინეს „აკ-74“  
მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი  
იარაღი, განკუთვნილ საბრძოლო ვაზნებით  
ერთად, ასევე ატომური ცეცხლსასროლი იარ-  
აღი — გადაჭრილი, რომელიც სანად-  
ირო თოფი. სხენებული პირების დაკავების  
შემდეგ, აღნიშნული იარაღი სამართალდამ-  
ცველებმა კასპის რაიონში მდებარე, კოპა-  
ლიანის ბაბუის საცხოვრებელი სახლის  
საკარმიდამო ნაკვეთიდან ამოიღეს.

ყაჩაღური თავდასხმა ღამის საათებში  
დაეგეგმეს. დაახლოებით ღამის 12 საათისთვის,  
შეიარაღებული კოპალიანი, გელაშვილი და  
გამოძიებით დაუდგენელი პირი ნუცუბიძე-  
ების საცხოვრებელი ბინის კარს მიადგნენ.  
გამოძიების ვარაუდით, მეოთხე თანამონაწ-  
ილე სადარბაზოსთან დარჩა სამეთვალყ-  
უროდ. მისი ვინაობა დაუდგენელია.

იმ დროს შინ ოჯახის უფროსი და მისი  
მეუღლე იმყოფებოდნენ. ამის შესახებ წინასწარ  
იცოდა გელაშვილმა. ვალერიან ნუცუბიძე  
ტელევიზორს უყურებდა, მის მეუღლეს კი  
ეძინა. კარზე ზარის ხმა რომ გაისმა, ნუცუ-  
ბიძემ დაუფიქრებლად გააღო, რადგან კარს  
იქიდან ოჯახის ახლობლის სახელი დაუსახ-  
ელეს. ნუცუბიძემ გადაწყვიტა, რომ ნათესავ-  
მა მიაკითხა და კარი გააღო. ბინაში შეიარ-  
ალებული პირები რომ შეცვივდნენ, მისხდა,  
რაშიც იყო საქმე და საძინებლისკენ წავიდა,  
საკუთარი პისტოლეტის ასაღებად. ბოროტ-  
მოქმედები მას განზრახვას მიუხედავად და  
უკან ტყვიები დაადვენეს. დაზარალებულის,  
ნანა ნუცუბიძის თქმით, თავდასხმელები ინ-  
ტენსიურად ისროდნენ. იმ მომენტისთვის  
ის უკვე საძინებლიდან გამოსული იყო, რადგან  
კარზე ზარის ხმა რომ გაიგონა, მაშინვე  
წამოდგა. „კარგად დავინახე, რომ საწინ იყვნენ.  
იმ დროს შუქი არ იყო, მაგრამ შემოსასვ-  
ლელში სანთლები გვენთო და ამას გარდა,  
ხელში ანთებული ფარანიც მეჭირა. მის შუ-  
ქზე ყველა მათგანის სახე ვაგარჩიე. ამოვი-  
ცანი გელაშვილიც, რომელიც ჩვენს უბანში



ცხოვრობს. ნილაბი არც ერთ მათგანს არ ეკუთვნის. ჩემმა ქმარმა საძინებლამდე მისვლაც ვერ მოასწრო, ტყვია ზურგის მხრიდან გულმკერდის არეში მოხვდა და იქვე უგონოდ დაეცა. ამას გარდა, მუცლის არემიც დაიჭრა. ამის შემდეგ, თავდამსხმელები გაიქცნენ. ერთმა დაიძახა — ჩქარა წავედით აქედანო და გაიქცნენ...“ — წერს ჩვენებაში დაზარალებული. წინასწარი გამოძიების პერიოდში, ისევე, როგორც სასამართლო პროცესზე, მან ბრალდებულების უმკაცრესად დასჯა მოითხოვა.

გელაშვილმა და კოპალიანმა კი წარდგენილ ბრალდებებში თავი დამნაშავედ არ ცნეს, არ აღიარეს არც ყაჩაღური თავდას-

მის განხორციელება და არც ბუცხრიკიძის და ისაევას მოტაცება და წამება. ერთადერთი, რაშიც თავი დამნაშავედ ცნეს, ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო შენახვა და შექმნა იყო. აღნიშნეს ისიც, რომ ისაევა და ბუცხრიკიძე მართლაც მიიყვანეს ნაცნობის — ოსიაურის მიერ დაქირავებულ ბინაში, მაგრამ ძალადობის ფაქტი კატეგორიულად გამორიცხეს. მათი თქმით, ბუცხრიკიძე და ისაევა მსუბუქი ყოფიყვეს ქალები იყვნენ და მათთან სქესობრივი კავშირი ნებაყოფლობით დაამყარეს. რაც შეეხება ბაიაშვილის ბინიდან ნივთების გაუჩინარებას, კოპალიანის თქმით, ასეთ ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი და მან ამის გამო ნამდვილად

უსაყვედურა თავის სიძეს, მაგრამ ნივთების მოპარვა მათ ბუცხრიკიძისა და ისაევასთვის არ დაუბრალებიათ.

არც პროკურატურამ და არც სასამართლომ გელაშვილისა და კოპალიანის ჩვენებები სარწმუნოდ არ მიიჩნიეს. ისინი წარდგენილ ბრალდებებში სრულად ცნეს დამნაშავედ და სასჯელის ზომად 18-18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. აღნიშნული განაჩენი მათმა ადვოკატებმა ზედმიზეზურად გაასაჩივრეს, მაგრამ არც ბრალდების და არც სასჯელის ნაწილში შემდგომ ინსტანციების განაჩენში ცვლილება არ შეუტანიათ.

# რა მოხდა კაფე „დელ მარეში“?

24 წლის ირაკლი გოგიშვილის სასიკვდილოდ დაჭრის ფაქტზე, ეჭვმიტანილის სახით, მისივე მეგობარი — 21 წლის ჯუნა ზალდასტანიშვილი დააკავეს. ის პოლიციას თავად ჩაჰპარდა მაშინ, როდესაც რესპუბლიკურ საავადმყოფოში, დაჭრილი გოგიშვილის მდგომარეობის გასარკვევად იყო მისული. 7 მაისს საღამოს, თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფე „დელ მარეში“ ირაკლი გოგიშვილთან ერთად, ჯუნა ზალდასტანიშვილის გარდა, კიდევ ორი ახალგაზრდა იმყოფებოდა. შემთხვევის ადგილზე პოლიციას ორივე დახვდა. არსად ჩანდა მხოლოდ ზალდასტანიშვილის, ცეცხლსასროლი იარაღი, საიდანაც გასროლა მოხდა და გოგიშვილის კუთვნილი მობილური ტელეფონი. ტელეფონი მოგვიანებით, დაზარალებულ ოჯახს ზალდასტანიშვილმა დაუბრუნა...

მომხდარის შესახებ ჯერჯერობით, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ 7 მაისს, კაფეში ირაკლი გოგიშვილი ორ გოგონასა და ერთ ბიჭთან ერთად მივიდა. დაახლოებით საღამოს 9 საათი იქნებოდა. ერთ საათში, გოგონებმა კაფე დატოვეს, გოგიშვილის სუფრას კი, ამის შემდეგ ორი ახალგაზრდა ბიჭი შეუერთდა. „ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და ეტყობოდათ, რომ ახლობლები იყვნენ. მოგვიანებით, შუშის მტვრევის ხმა გავიგონეთ. იქ რომ მივედით, ის ბიჭი — გოგიშვილი უკვე სულ დასისხლიანებული იყო. როცა მის მეგობრებს ვკითხეთ — რა მოხდა-თქო? გვიპასუხეს — მაგიდას თავი დაარტყაო. თავადაც ძალიან დაბნეულები ჩანდნენ. არეულობა იყო. ამასობაში, პატრული და „სასწრაფო დახმარება“ მოვიდნენ. მაშინ გაიარკვა, რომ თურმე, ის ბიჭი ცეცხლსასროლი იარაღით ყოფილა კეფაში დაჭრილი“, — ამბობს ოფიცინანტი.

მომხდარის შესახებ გოგიშვილის ოჯახის წევრებმა დაახლოებით ნახევარ საათში შეიტყვეს. მათ ტელეფონით დაურეკეს და უთხრეს, რომ ირაკლიმ თავი მოიკლა. დაზარალებული ოჯახის წევრებმა მაშინ არ იცოდნენ, თუ ვისთან ერთად იმყოფებოდა ირაკლი კაფე „დელ მარეში“. როგორც მოგვიანებით გაირკვა, კაფეში მასთან ერთად ბოლოს იყვნენ: ლევან იმედაშვილი, ლევან ღლონტი და ჯუნა ზალდასტანიშვილი.

„გასროლის მომენტში, სუფრასთან ორნი ისხდნენ, მე მგონი, ირაკლი და ის ბიჭი, ვინც ახლა პოლიციას ჩაჰპარდა. დანარჩენი ორი ბიჭი კი, საპირფარეოში იყო გასული...“ — ამბობს ოფიცინანტი. დაჭრილი მაშინვე რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მთავარი ექიმის — დავით ქოჩიაშვილის თქმით, მისი მდგომარეობა უმძიმესი გახლ-

დათ. ექიმები აღნიშნავენ, რომ პაციენტის მდგომარეობა ამჟამადაც ძალზე რთულია: მისი გადარჩენის შანსი თითქმის არ არსებობს, რადგან ექიმების თქმით, მიყენებული ჭრილობის შედეგად, ტვინის ნაწილი გარეთ იყო გადმოსული...

ზალდასტანიშვილი მომხდარის შემდეგ კიდევ ორი დღის განმავლობაში არ გამოჩენილა. ამ ფაქტმა ბევრი ეჭვი დაბადა. ეჭვი, ბუნებრივია, დაზარალებული ოჯახის წევრებსაც გაუჩნდათ, მაგრამ ამის მიუხედავად, ხელს მას არ ადებენ. ეჭვობენ მხოლოდ იმას, რომ შესაძლოა, ზალდასტანიშვილმა მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით რაიმე იცის, ჩადენილ დანაშაულთან მის პირდაპირ კავშირს კი, გამოორიცხავენ. ამბობენ, რომ ზალდასტანიშვილზე ეჭვის მისაბუთად, არანაირი საბაბი არ არსებობს: მას გოგიშვილთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა, არასდროს მოსვლია კონფლიქტი. ახლობლები, მეზობლები და მეგობრები ზალდასტანიშვილს დადებითად ახასიათებენ. მიუხედავად ამისა, როგორც სამართალდამცველები ამბობენ, გამოძიება ყველა დასაშვებ ვერსიაზე მუშაობს და ჯერჯერობით არაფერს გამოორიცხავენ.

რაც შეეხება პოლიციისთვის თავის არიდებას და ორი დღით გაუჩინარებას, ამას დაკავებულის დედა შიშითა და დაბნეულობით ხსნის, თავად ჯუნა ზალდასტანიშვილი კი — იმით, რომ არ სურდა ტელეკამერების წინ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ზალდასტანიშვილის დედა — ნანა მდივანაძე, რომელიც რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდა და დაჭრილის მდგომარეობით ინტერესდებოდა, ყურნალობის ნინაშე უარეობდა, რომ ის ზალდასტანიშვილის დედა იყო...

სწორედ იმ საღამოს, ზალდასტანიშვილის ბინაში, ჩხრევის ჩასატარებლად, პოლიცია მივიდა. ამ ოპერაციის დროს კი, ერთ-ერთი პოლიციელი — ნიკა არღინაშვილი დაზინადა: „მან სამზარეულოს კარი შემოაღო. როგორც ჩანს, მისმა თანამშრომელმა ეს იარაღის გადატანის ხმად მიიჩნია, ალბათ ჩათვალა, რომ იარაღი ჩემმა შვილმა გადატანა და ამის გამო, ცეცხლი გახსნა, ყოველგვარი გამაფრთხილებელი გასროლის გარეშე. მაშინ დავინახე, რომ ის პოლიციელი სამზარეულოს კართან ედგო“, — ჰყვება ნანა მდივანი.

არღინაშვილი საავადმყოფოში თავად პოლიციელებმა წაიყვანეს. ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა რთულია. რაც შეეხება ზალდასტანიშვილის საცხოვრებელი ბინის ჩხრევას, სამართალდამცველების თქმით, ჩხრევა ჩატარდა და პოლიციელებმა იქიდან მხოლოდ ეჭვმიტანილის სურათები ნაიღეს...

ცეცხლსასროლი იარაღი, რომლიდანაც კაფე „დელ მარეში“ გასროლა მოხდა, ჯერჯერობით არსად ჩანს. ზალდასტანიშვილი ამბობს, რომ იარაღი მას იმ დღეს თვლითაც არ უნახავს. „არ ვიცი, ჰქონდა თუ არა თავად ირაკლის იმ დღეს იარაღი. ის მე მის ხელში არ დამინახავს, არც მის ტანზე შემიმჩნევია. არ დამინახავს იარაღი საერთოდ, ვინმეს ხელში. წინა დღეებში, ირაკლი ნანაზე არ მყავდა, მაგრამ შევიტყვე, რომ შეყვარებულს დაშორებია. ამის გამო ჰქონდა პრობლემები. სხვა რაიმე კონფლიქტის შესახებ არაფერი ვიცი...“ — ამბობს ზალდასტანიშვილი.

ის აღნიშნავს იმასაც, რომ გასროლის მომენტს არ შესწრებია. ამ მხრივ, მისი ჩვენება კაფე „დელ მარეს“ ოფიცინანტის ჩვენებას ეწინააღმდეგება. ზალდასტანიშვილი ამბობს, რომ ყავის შესაკვებად იყო გასული და გასროლის ხმაც მაშინ გაიგონა, ხოლო ოფიცინანტის თქმით, იმ დროს ის სუფრასთან იჯდა...

ამ და სხვა, ბურუსით მოცულ დეტალებს ალბათ, გამოძიება დაადგენს. სამართალდამცველები თვითმკვლელობის ვერსიას კატეგორიულად არ გამოორიცხავენ. მათი თქმით, ასეთ ვითარებაში, ყველაფერი დასაშვებია. დაზარალებული ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ არ შეიძლება, ადამიანმა კეფაში გასროლის მოიკლას თავი. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი სიტყვა მანაც უსაუბრებმა უნდა თქვან.



„ღვინო, დუღუკი, ქალაქი...“

ყავა, რთიალი და... 3 კაცი 100 ლარად

ღვინო არის სითხე, რომლის გადამეტებული დაღვევა ნებაყოფლობით სიგიჟეს იწვევს. დუღუკი — სასულე ინსტრუმენტი, რომელიც მშვენიერ ხმას გამოსცემს და ქალაქურ სიმღერებს ძალიან უხდება. რაც შეეხება ქალებს, რა თქმა უნდა, მათზე ასე მოკლედ ვერ ვილაპარაკებ და ამიტომ, თავს არ შეგანწყნო. მით უმეტეს, რომ დღევანდელი რესპონდენტების უმეტესობა მამაკაცი გახლავთ და მათ ჩემზე უკეთ მოესხენებათ, ქალის დანიშნულება და „რაობა“. თუ ამ სამ ფენომენს ცალ-ცალკე განვიხილავთ, ჩვეულებრივი, ანალიტიკური საუბარი გამოგვივა, მაგრამ ერთობლიობაში, ძალზე საინტერესო თემას მივიღებთ. მკითხველები აღნიშნავენ, რომ თურმე, ყველაფრის თავიდათავი ღვინო ყოფილა. თუ ღვინით დაინწყებ, მერე დუღუკსაც მიაყოლებ და ქალიც აუცილებელი „ატრიბუტი“ ხდება, მაგრამ თუ ქალით დაინწყებ, დანარჩენი 2 კომპონენტი, აუცილებელი სულაც არ არის. ამ „სამეულიდან“ კი, ყველზე „დაჩაგრული“ დუღუკია, რადგან მის გარეშე გაცილებით იოლი ყოფილა ცხოვრება, ვიდრე ღვინისა და ქალების გარეშე. ძნელია, გაერკვე, რომელი მკითხველის მოსაზრებაა სწორი. ამიტომ, მე მათ მიერ მოყოლილ ამბებს მოგითხრობთ და დასკვნები თავად გამოიტანეთ.

მარი ჯაჭარიძე

„უაუღმა, ასინეთა უაუღმა“

„თუ კაცს ღვინო არ უყვარს, მას არც ქალები უყვარს და არც დუღუკი. ხომ გაგიგონიათ — უღვინოდ კოცნას, ფასი არა აქვსო? — ჰოდა, დაილოცოს მისი მთქმელი და მომგონი! მართალია ის კაცი — ღვინო სხვანაირად გიჯდება ძარღვებში და გთენთავს. ამ დროს, დუღუკის ხმა დედის „იავნანასავით“ გესმის და მთელი არსებით ქალზე ფიქრობ... უუუუჰ, მაგარია!.. მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგა. წინათ, ზომას ვერ ვიგებდი და ისე ვთვრებოდი, რომ საკუთარი სახლის კარსაც ძლივს ვაგნებდი. რამდენჯერ ყოფილა, რომ „ნადუღუკარ“-

ნაქეიფარი ქალებში ნავსულვარ, მაგრამ ქალის გვერდით, ჩველი ბავშვივით დამძინებია და დილით უთქვამს, რომ ჩემი დრო ამოიწურა... და წამოვსულვარ ასე, ნირნამხდარი. მერე ვიფიქრე, ამდენ წვალეზასა და ჯახირს, ხომ სჯობია, ერთი კარგი საყვარელი გავიჩინო და ის მაინც მეცოდინება, რომ დავთვრები, სად წავიდე-მეთქი. შევარჩიე ერთი კარგი, ახალგაზრდა ქალბატონი, შევიყვარე და დავისვენე. დავთვრებოდი და მივადგებოდი ხოლმე. გარკვეული დროის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ თურმე ეს ქალბატონი, ჩემი მეუღლის ბავშვობის მეგობარი ყოფილა, რომელიც წლების განმავლობაში არ ჰყავდა ნანახი. ის, ჩემმა ცოლმა თვითონ მოძებნა, დაურეკა და შინ დაბატოჯა. სახლში რომ მივედი და იქ დამხ-

ვდა, კინალამ გავგიჟდი, მაგრამ ეს არაფერი — თქვენ მისი გაცივებული სახე უნდა გენახათ, როცა მე დამინახა. ერთი სიტყვით, ჩემი ქალბატონი, ჩვენი ოჯახის წევრად იქცა. ჩვენს ურთიერთობას გულდაგულ ვმალავდით, რომ ეს ამბავი ჩემი მეუღლის ყურამდე არ მისულიყო. ერთ ზაფხულს კი, დასასვენებლად წასვლა რომ გადავწყვიტეთ, ჩემმა ცოლმა დაიჟინა — მაიკოც თან წავეყვანოთო. ხან რა მოვიმიზეზებ, ხან — რა, რომ ეს კომპარტი თავიდან ამეცილებინა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდი, დავთანხმებოდი. წარმოიდგინეთ, მთელი თვე, საყვარელთან და ცოლთან ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება — როგორია? მოგესხენებათ, მთაში დასვენება რაც არის, ქალები და ბავშვები პარკში სეირნობენ, ხოლო მამაკაცები, წარდისა და დომინოს თამაშს გაახსურებენ, საღამოს კი, ქეიფიც გაჩაღდება ხოლმე. თავიდან ცოტ-ცოტას ვსვამდი. რომ რაიმე იალღიში არ მომსვლოდა, მაგრამ ერთ დღეს ისე დავთვერი, რომ სახლამდე „ოთხით“ მივედი. იქ კი, ძველმა ჩვევამ გაიღვიძა და ჩემს საყვარელს მივუცუცქედი. ვეფერებოდი და ვეწურწულებოდი: ჩემო სისარულო, უარი არ მითხრა, რას გაიგებს ჩემი ცოლი, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ და უშენოდ აღარ შემიძლია, რამდენი დღეა, შორიდან გიყურებ და ახლოს ვერ გეკარები, ახლა რომ გამაგდო, მოვკვდები-მეთქი და... უცებ, თავში რაღაც მძიმე საგანი მომხვდა, ტკივილისგან ლამის სული გამძვრა. გამოვვხიზლდი და რას ვხედავ? ჩემი ცოლი წამოგდარა სანოლში და ხელში „ბორჯომის“ ბოთლი უჭირავს, რომელსაც ჩემი სისხლის კვალი ატყვია. მივხვდი, რომ სანოლი შემეშალა და საყვარლის მაგივრად ცოლს მივუნეცი. ისეთ რაღაცებს ვლულულულულებდი, რომ არ მომკვლა, მადლობელი დავჩრჩი. ჩემი ცოლი იმ დღესვე დაბრუნდა თბილისში და დამიბარა — შინ აღარ მოხვიდები... საყვარელმა კი, არ მიმატოვა, მის წასვლას რაღა აზრი ჰქონდა? ცოლმა უკვე ყველაფერი იცოდა და... იმ საღამოსაც მაგრად დავთვერი და ისევე „ოთხით“ მივედი შინ. გონება დაბინდული მქონდა და მხოლოდ სამხედრო სინდისის ქენჯნას ვგრძნობდი. მივუნეცი საყვარელს და მგონია, რომ ცოლის გვერდით ვწევარ. ახლა მასთან დავინწყე მონოლოგის კითხვა: ჩემო სიცოცხლე, ხომ იცი, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ? ერთი, მაიას დედაც... შენ მყავდე კარგად და არაფერი მინდა, ჩამეხუტე-მეთქი და... ისევე რაღაც მძიმე საგანი მომხვდა თავში... ღმერთო, ისევე ის ბოთლი, რომელიც ჩემდა ჭირად, ისევე იქ იდგა... ერთი სიტყვით, ამის მერე ჭკუა ვისწავლე და ღვინოსაც, დუღუკსაც და ქალებსაც ზომიერად ვუტანები, მაგრამ „ბორჯომი“? „ბორჯომი“ არ დამანახავით!

მართალია, დუღუკისა და ქალების თემა მამაკაცურია, მაგრამ ქალებს შენ ისე გააჩერებ, რომ თავისი სიტყვა არ „ჩააგვეხონ“? ჰოდა, არც ამჯერად მოისვენებს და მესიხების გამოგზავნა ამ თემაზეც არ დაიზარებს. რა თქმა უნდა, მათი ამბების მთავარი გმირები ქმრები არიან.

სტრიპტიზორი ქმარი

„ჩემი ქმრის სიმთვრალეზე გიამბობთ.





სწორედ, მასზე ზედამოჭრილი ის სიტყვები, რომელიც ღვინოს, დუღუკსა და ქალებს უკავშირდება. ასეთი მოქიფე, მომლხნი და მექალთანე კაცი არსად მეგულება. უზომოდ მიყვარს და ამის გამო, ყველაფერს ვაბიჯობ. თანაც ვიცი, რომ ის ოჯახს არასოდეს მიატოვებს და „ბოლო გაჩერება“ მაინც ჩვენთან აქვს. რომ დათვრება, სახლში მოსვლა არ იცის. მე კი, მის ძებნას ვინყებ. უკვე თითქმის ყველა ბორდელის მისამართი ვიცი, სადაც ის დადის და ყველა საუნიის მომსახურე პერსონალი მიცნობს. უკვე დიდი ხანია, მანქანა მიყვია, როცა დავთვრები, დაგირკავ, მოხვალ და შინ წამოიყვანო, მაგრამ ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, რომ დაერეკოს. შეაგვიანდება თუ არა, გარაჟიდან გამოყვას მანქანა და ვინყებ მის ძებნას. შევიხედავ ერთ საუნაში, ადმინისტრატორი დამინახავს თუ არა, თავს უარის ნიშნად გააქნევს, მერე მეორე საუნას მივადგები და ასე გრძელდება მანამ, ვიდრე არ ვიპოვი. მერე ჩავსვამ მანქანაში და შინ მომყავს. მისი მეგობრები ამაზე ბევრს ხუმრობენ — ცოტა გვაცალე, უფრო გვიან რომ მოაკითხო ამ შენს ქმარს, არ შეიძლებაო?.. მივიყვან სახლში, გავხდი ტანისამოსს, ჩავანვენი ლოგინში და მერე მთელი ღამე ვყარაულობ, რომ არ გაიგუდოს. რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ საუნის ან ბორდელის მოსაცდელში ვმჯდარვარ და დავლოდებივარ — როდის მოიფიქრებდა შინ წამოსვლას. მერე ისე გათავხედდა, რომ უკვე თვითონ მირეკავდა: — ახალი საუნა აღმოვაჩინე, აქ ვერ მომანგებ და თუ ქალი ხარ, ამა და ამ მისამართზე მოდი და წამოიყვანე. ერთხელ, ისევ მის ძებნაში ვიყავი და უკვე პოვნის იმედი გადამენურა, როდესაც მისი მანქანა ერთი რესტორნის წინ შევნიშნე. თურმე, რესტორანი კი არა, სტრიპტიზ-ბარი ყოფილა. დაცვა არ მიშვებ-

და, ვიდრე შესავლელი ბილეთი არ შევიძინებდი, იმ თანხის გაღება საიმისოდ, რომ მენახა, რა ხდებოდა იქ... ჩემი ქმარი, 2 მძაკაცთან ერთად გამომვლულა (მათ გარდა ბარში არავინ იყო), მხოლოდ საცვლებისა და წინდების ამარა დარჩენილან და მოცეკვავე გოგონებთან ერთად, „სირტაკის“ ცეკვავენ. ჩემი ძვირფასი მეუღლე კი, დროგამოშვებით, ფულს უტენის მის გვერდით მდგარ გოგონას. ბარს ვერანდა აქვს, სადაც ბნელი კუთხე ავარჩიე, დავეჯექი და ყავა შევუკვეთე. შემოდან ვუყურებდი, როგორ დატანტალებდნენ შიშვლები ბარში და თან ისეთი სასაცილოები იყვნენ, რომ უკეთეს გასართობს ვერსად ნახავდით. მერე ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ აბამდა ჩემი მეუღლე მოცეკვავე გოგონას და ფულზე ვეჭვებოდა. მიგზვი, რომ ფული აღარ ჰქონდა, რადგან გოგონა მომსახურებაში არცთუ ისე დიდ თანხას ითხოვდა. მერე თავის მძაკაცთან მივიდა და ერთად ბჭობდნენ, სად ემოვათ ფული. ოფიციალტი მოვიხმე და ვუთხარი: — იმ მამაკაცთან მიდი (ჩემს ქმარზე ვანიშნე) და უთხარი, რომ აქ ზის ერთი ქალი, რომელიც მას 100 ლარს

გადაუხდის, თუ სტრიპტიზს იცეკვებს-მეთქი. თან ვთხოვე, რომ ზეით არ ამოეშვა. სიტყვასიტყვით გადასცა. ზეით ყურებით კისრები დაუგრძელდათ, მაგრამ ვერაფერი დანახეს. ამ დროს, გაისმა მუსიკა და ჭხედავ, ჩემი ქმარი როგორ მიუახლოვდა მილს, სადაც ცეკვა სრულდება. მას მეგობრებიც შეუერთდნენ და ისეთი ცეკვა გაჩაღეს, რომ მოხიბლული დავრჩი. ცეკვა რომ დაასრულეს, ოფიციალტი 100 ლარი გაგატანე. ბავშვებით გაიხარეს და გოგონებს ისევ დაუწყეს ვაჭრობა, სამივეს 100 ლარი გაცოფათო, მაგრამ მე, ამ დროს კიბეზე დავეშვი და რომ დამინახეს, შეცბნენ. ჯერ ისევ ნახევრად შიშვლები იყვნენ და სასწრაფოდ ჩაიცვეს. მიხვდნენ, რომ ის ფული მე გადავიხადე და მათ სტრიპტიზსაც ვუყურე. იმის შემდეგ, ჩემი ქმარი ისე გამოსწორდა, რომ ვეღარ ვცნობ, ხოლო მისი მძაკაცებისთვის კი, შორიდანაც არ მომიკრავს თვალი. ასე მოვარჯულე 3 კაცი 100 ლარად.“

ყველა წამალს აქვს ანოტაცია, სადაც მისი უკუჩვენება წერია. ღვინისა და არყის ბოთლსაც გარედან რომ ეწეროს: ინვესტორის განითვლებას, გონების დაბნელებას, რეპუტაციის შელახვას, საზიზღარ „პაზმედიას“ და ა.შ. იქნებ, მაშინ მაინც შეემცირებინათ მამაკაცების სასმლის დოზა? აი, დუღუკის მავნებლობის შესახებ კი, არაფერი მსმენია. დიდი-დიდი, მასზე დამკვერთლს ლოყები გაუზარდოს... უნდა მოჰყვეს თუ არა თითოეულ ქალს, მისით სარგებლობის წესი და უკუჩვენებების ჩამონათვალი? — ამის შესახებ, შემდეგი რესპონდენტი გვიამბობს.

**აგებია ახლა ესა**

„ჩემი დევიზია: დავლევ? დავლევ, აბა, რას ვიზამ/ მტრის ჯინაზე ქალებშიაც ნავალ/ მედუღუკე; დაუკარი ლოთიანად/ დღეს დავლევ და ხვალაც დავლევ, ხვალაც! ა, ბა-

ტონო, ასეთი კაცი ვარ მე. უცოლო, უშვილო, სიმპათიური და კაი ტიპი. უკვე 40-ს „მივუკაკუნე“, მაგრამ თავს 18 წლის ბიჭვით ვგრძნობ. 4 ბავშვების მეგობარი ვართ. ოთხივეს აწყობილი საქმე, სახლ-კარი და ცხოვრება გვაქვს, მაგრამ ერთი დაგვეჩაგრა: შეცდა და ამ 5 წლის წინ, ცოლი მოიყვანა. ახლა, ჩვენ რომ საგრილოდ მივდივართ, ის თვალს გვაყოლებს დანანებით, ღრმად ამოიხრებს და მხრებჩამოყრილი, შინისკენ გასწევს. გვებრალება, მაგრამ აბა, რას ვუშველით? მორჩა, გაყოფილი აქვს ყულფში თავი და ნასულია მაგის საქმე. ერთ ზაფხულს, როცა ცოლ-შვილი დასასვენებლად გაუშვა, შეგვეჩვენა: ახლა მეც თავისუფალი ვარ, უჩემოდ არსად წასვლა არ გაბედოთო. ისე მოხდა, რომ მაინცდამაინც იმ პერიოდში არ მოგვინია ქეიფმა. ჩვენი ნება არ იყო? მაგრამ ალბათ, რალაც სიცხემ, მოთენთილობამ და ზაფხულმა იმოქმედა. ის კი, ყოველ საღამოს გვირეკავდა, — რას შერებით, კაცო, არ მივდივართ საქეიფოდ? ქალებში არ უნდა წავიდეთო? — შეგვინუხა გული და ერთ საღამოს შევიკრიბეთ. კარგად მოვიღვინეთ, ცეკვითა და დუღუკზე სიმღერით რომ დავილაღეთ, ქალები მოვიკითხეთ. ნაცნობებიდან აქ არავინ აღმოჩნდა, ყველა კურორტზე იყო წასული. საგონებელში ჩავცვივდით, რადგან უცხო ქალებში წასვლა არავის გვიყვარდა. ეს მძაკაცი კი, მთლად გადაგვერია, — ამას განგებ მიკეთებო, გაიძახოდა და მაგიდაზე მუშტს აბრახუნებდა: საიდანაც გინდათ, ქალები მოიყვანეთ, ფულს მე ვისდიო... ერთი წავიდა ქალეის მოსაყვანად და თურმე, ცირკთან აუკრებია ბოზები, თან გაუფრთხილებია, არ წამოგცდეთ, საიდან მოგიყვანეთო. მოკლედ, ის ღამე ჩემს ბინაში გავათენეთ და დილით დავიმშალეთ. შუადღისას მირეკავს ეს ცოლიანი მძაკაცი და მეკითხება: — „როგორ ხარ?“ — „კარგად“ — „ვაა, ყველა კარგად ხართ და მე რატომ ვარ ცუდად?“ — რა დავემართა-მეთქი? — ცკითხე და ისეთი რამ მითხრა, რომ თვალეი დაექაჩა. სანყალს, რალაც დაავადება ჰქონდა აკიდებული... მაშინვე ექიმთან გავაქციე და სავალალო პასუხიც მივიღეთ. „ვააა, კაცოოო, რალა მაინცდამაინც მე? სამი უცოლო კაცი იქ იყო და რალა მე შემხვდა ავადმყოფი ქალი?“ — ოხრავდა და ხვნეშოდა სანყალი. მართლაც, რალა მაგას? თანაც, მისი ოჯახის წევრების ჩამოსვლის დროც იყო. მოვიფიქრეთ, რომ მათ ჩამოსაყვანად ჩვენი მეგობარი წავიდოდა, ვითომ თვითონ მივლინებაში იყო და სრულ გამოჯანმრთელებამდე ჩემთან იცხოვრებდა. დღეში სამჯერ ურეკავდა ცოლ-შვილს, მალე ჩამოვალო — ჰპირდებოდა. 3 თვის შემდეგ კი, შინ ოჯახისა და სამშობლოს წინაშე „ვალმოხდილი“ დაბრუნდა. აი, ასე იცის ატეხააა“.

გახსოვთ ალბათ, გალილეო გალილეი კოცონზე იმისთვის დანჯეს, რომ ატეკიცებდა, დედამინა ბრუნავსო... არადა, სულ ტყუილად... ამას სრულიად იოლად დაამტკიცებს ნებისმიერი მთვრალი კაცი. გალილეისაც, თავისი დამსჯელებისთვის რომ ერთი ნადიმი გემართა და ბლომად სასმელი მიერთმია, დარწმუნებული ვარ, სიკვდილს გადაურჩებოდა.



### ვის უნდა 20 ათასი?

„დაუჯერებელ ამბავს მოგიყვებით. ერთ-ერთი სოლიდური ფირმის მენეჯერი ვარ. არასოდეს ვლალატობ საქმეს, მაგრამ ღვინო, დუდუკი და ქალები მიყვარს. ბევრი რამ გადამიხდენია თავს სიმთვრალეში, მაგრამ ჩქუა ვერ ვისწავლე. ერთხელ, ასეთი რამ შემემთხვა: სამსახურში ხელფასის დღე იყო და დილიდან ბანკში ვიყავი წასული. თუმცა, საბანკო ოპერაციები ძალზე გაჭიანურდა და გვიან საღამომდე ფული ვერ გამოვიტანე. არადა, მძაკაცები მირეკავდნენ და საქეიფოდ მეპატიებოდნენ. როგორც იქნა, ღამის 10 საათზე მოღარემ 40 ათასი ლარი მომიტვალა — მთელი ოფისის თანამშრომელთა ხელფასი. ბანკის შენობა დაგტოვე. ფულის სეიფში ჩასაკეტად სამსახურში მისვლა დამეზარა და პირდაპირ რესტორნისკენ გავეშურე. ფული პატარა ტომარაში ყვარა, რომელიც საბარგულში ჩავდე, მანქანის კარი საგულდაგულად ჩავკეტე და „სტაიანშიკი“ გავფრთხილე, რომ მანქანისთვის ყურადღება მიექცია. მძაკაცები დაგვიანებისთვის განსხვავებული სახისი მაჯახეს. მთელი დღის მშვიდრს, სასმელი უცებ მომიკიდა. რამდენჯერმე გავედი და ტომარას ფული მოვაკელი. ათას სისულელეში დაჯახე და არც მიფიქრია, რომ ჩემი გასასტუმრებელი იქნებოდა. მერე ქალებშიც წავედი და ყველას მაგივრად მე ვიხდიმეთქი, დავიჟინე... მანქანა, თავის ფულიანად, კარგა ხანს ყენა ბორდელის მიყრუებულ ეზოში. მერე საყვარელი გამახსენდა და მის სანახავად გავეშურე. მთელი 3 საათი დავყავი მასთან, მერე დავიჟინე — კიდეც უნდა დავლიო-მეთქი და კონიაკი მივირთვი. ასე, ღამის 3-4 საათი იქნებოდა, როდესაც შინ წავედი. მახსოვს, რომ მანქანიდან გადმოვდე და მინა ფეხქვეშ დატრიალდა. ისიც მახსოვს, ფული საბარგულიდან ამოვიღე და მანქანის სახურავზე შემოვდე, სახლის გასაღები რომ მომეძებნა. ვბარბაცებდი და ძლივს ვახერხებდი, ჯიბეები მომექექა. როგორც იქნა, გასაღები ვიპოვე და შინისკენ წავედი. მაშინვე ლოგინში შევექეი და მკვდარივით ჩამეძინა, მაგრამ თითქოს, ვილაკამ ხელი წამკრა, ისე უცებ გამეღვიძა და პირველი, რაც თავში მომივიდა, ფული იყო. გამახსენდა, რომ მანქანის სახურავზე დავდე და იქ დამჩა. საათს დავხედე — დილის 6 საათი იყო. გიჟივით წამოვვარდი ლოგინიდან და ფანჯარას ვეცი. ჩემი ფულიანი, 20 ათასი დოლარით სავსე ტომარა ისევ ისე იდო, როგორც დავტოვე. არ ვიცი, რა სიჩქარე განავითარე კიბეზე ჩასვლისას და უკან ამოსვლისას, მაგრამ საათს რომ დავხედე, ზუსტად 3 წუთში მოვასწარი მე-8 სართულიდან დაბლა ჩასვლა და უკან დაბრუნება. ეტყობა, ღმერთმა არ გამწირა, მაგრამ ნიშანი მომცა, რომ მეორედ ასე აღარ გამოვთვრე. ამის შემდეგ, სმას მოვუკელი, ხოლო იმ ღამით დახარჯული თანხა კი, რა თქმა უნდა, ვალად დამანვა და საკუთარი ჯიბიდან გადავიხადე“.

### „ხედსიდდერი“

„სიმთვრალე ისეთი რამ არის, რომ სიდდერიც კი შემყვარა. მე და ჩემი სიდდერი

ძალდა და კატასავით ვართ. ვერ ვიტანთ ერთმანეთს და დარწმუნებული ვიყავი, როდესაც ჩემს ცოლს მარტოს მოიხელთებდა, ტვინს უბურღავდა — რომ გამცილებოდა. თუ შინ წასვამი მივიდოდი, მაშინვე დემონსტრაციულად ტოვებდა ოთახს და ცხვირბაზუბული მიდიოდა თავის საბრძანებელში. თანაც, არ დაგვიწყდებოდა, რომ კომუნისტების დროს, მილიციაში მუშაობდა და ლეიტენანტის ნოდება აქვს. 3 კაცს ისე გალახავს, რომ თვალს არ დაახამხამებს. გინება იცის, კაცური. თუ სიტყვას შევუბრუნებ, სართულ-სართულ იგინება. მაგარი გული უნდა გქონდეს, მასთან რომ იცხოვრო. არ გეგონოთ, რომ ზედსიდე ვარ. ჩემს საკუთარ სახლში ვცხოვრობ და ის არის ჩემთან „ხედსიდდერი“. სულაც არ ადარდებს ის, რომ ჩემს ოჯახში ზედმეტი. დიასახლისივით იქცევა და უფროსობს კიდეც. ხანდახან შევასხენებ ხოლმე — დედიკო, ეს ჩემი სახლია და აქ ჩემი კანონები მოქმედებს-მეთქი. ამას ისე ფრთხილად ვუბნები, რომ მუშინია, მასში ლომი არ გავაღვიძო. ხშირად უყვარს ძველი დროის გასხენება და სახლში თავის უნიფორმას იცვამს ხოლმე. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვარ. ერთ ზაფხულს, მარტო მე და ის ვიყავით სახლში. აბა, მარტოს ხომ არ დამტოვებდა? ჰოდა, ერთ დილას გამახსენდა, რომ მისი დაბადების დღე იყო. საღამოს ყვავილებითა და საქმელ-სასმლით დატვირთული მივედი შინ. რომ დამინახა, გაოცდა. ახლა, ჩემო სიდდერი, მე და შენ უნდა ვიქეიფოთ და შენი დაბადების დღე აღვნიშნოთ-მეთქი, — ვუთხარი. შევნიშნე, როგორ ესიაშოვნა და მისი გაბრწყინებული სახის დანახვზე გული ამიჩუქდა. ისიც კი გავიფიქრე — რა საყვარელი ქალია-მეთქი... მერე ორივე დავფაცურდით და ერთმანეთს საქმეს ვტაცებდით ხელიდან. ზღაპრული პურმარული გავშალეთ. ვუთხარი: — თუ გინდა, შენს მეგობრებს დაუძახე-მეთქი. — არა, შენთან ერთად ქეიფი მირჩევნიაო. — მეორედ მომეზინა გული ყელში. დავიწყეთ სმა. ტოლს არ მიდებდა და როგორც მე ვსვამდი, ისე სვამდა. მალე შევთვერით, მერე ვიცვკვეთ და სწორედ იმ საღამოს აღმოვაჩინე, რომ თურმე ჩემი „დედიკო“ შესანიშნავად უკრავს გიტარაზე და მღერის. მერე ერთმანეთს ზოდებებს ვუხდით წარსული წყნის გამო და სიყვარულს ვფიცვობდით. ისე გამოვთვერით, რომ დილით არაფერი მახსოვდა. რომ გამეღვიძა, დივანზე ვიჯექი, მხარზე მისი თავი მედო და ისე ხვრინავდა, რომ კაცი გეგონებოდათ. ფრთხილად ავდექი და ლუწის მოსატანად მალაზიაში წავედი. რომ დავბრუნდი, ისიც გაღვიძებული დამხვდა და ლუწი რომ დაინახა, უფრო მეტად შევუყვარდი, ვიდრე წინადღეს. ასე შემოვიყარდა საკუთარი სიდდერი. ჩემს ცოლს კი, დღემდე ვერ აუხსნია, როგორ ჩამოვარდა ჩვენ შორის ზავი. როცა ამას იკითხავს, მე და ჩემი სიდდერი ერთმანეთს თვალს ჩავუპაჭუნებთ ხოლმე. თურმე, რამდენი რამ შესძლება ამ დალოცვილ სასმელსა, ჰაააა?“

ახლა კი მოკლე შესიჯებს გავცნოთ

### „ღირს, დარდად ჩვენი კაცები“

„რა დროს ღვინო, დუდუკი და ქალებია? რა სჯობია ყავას, როიალსა და კაცებს? სუსტი სქესი“.

„არ ვწანობ განვილ ცხოვრებას/ სიდუხჭირეს და ვალებს/ რადგან ცხოვრება შევნიერე/ ღვინოს, დუდუკს და ქალებს“.

„ქალი და ღვინო ძალიან მიყვარს, 14 წლიდან არაფერი მომიკლია და არც არასოდეს მოვიკლებ, რადგან ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი — ვერც ქალისა და ვერც ღვინის გარეშე, მაგრამ დუდუკი არ მიყვარს, ძველი დრო აღარ არის“.

„არც ისე დიდი ვარ, მაგრამ საკმაოდ ბევრს ვსვამ. ამან დალუბა ჩემი ძვირფასი შეყვარებული და მისი მძაკაცები. საქმე ის არის, რომ ერთ ქორწილის სუფრასთან მოვხვდით, ბიჭებს ერთ სურვილზე დავენაძლევ, რომ იმდენივეს დავლევდი, რამდენსაც — ისინი. ეს სურვილი მოვიგე, დავაყენე ეს ხარისხი ბიჭები, ჩემი შეყვარებულის ჩათვლით, ღამის 2 საათზე, რესტორნის შუა დარბაზში და გახდაზე ვაცვკვე მთელი თვე ვხალისობდი მათზე. ღვინო, დუდუკი, კაცები არა, მაგრამ ღვინო, ქორწილი და კაცები კი, ბლომად იყო...“

„ღვინო, დუდუკი, ქალები/ ეს ყველაფერი კარგია/ ეს თუ არ გიყვარს, მამ შენთვის/ სიცოცხლეც დანაჟარგია“.

„ახლა მოდამია პლანი, კიფი და ნაშები! ეეჰ, ღმერთო, ყველა დაიფარე! პაატა გამცემლიძე“.

„ღვინო, დუდუკი, ქალები/ გადაუხდელი ვალები/ აკიდებული ქალები/ გაცეცხლებული ცოლები/ ღირს დარდად ჩვენი კაცები?/ მაგათ გაუხმეთ, თავები. ირმა“.

„5 მაისს ერაყში მივდივარ და დღეს, მგონი, ბოლოჯერ ვითხოვ „გაზანილებს“. მინდა, ყველა მოგიკითხოთ და დროებით დაგემშვიდობოთ. თქვენი ერთგული, შოკოლადა-დათო“.

„ღვინოს ვსვამ, დუდუკს ვაკენესებ, ქალებო, გენაცვალებითო, — ხომ გაგიგონიათ? ღვინო? — კი, ბატონო, ქალები? — უმაგათოდ ერთი დღე არ მაცოცხლოს ღმერთმა, მაგრამ რომელი მედუდუკე ვი ვარ? ამიტომ, ავდექი და ეს გამონათქვამი გადავაკეთე: ღვინოს ვსვამ, ქალებს ვაკენესებ, დუდუკო, გენაცვალებით... აი, ასე!“

### მეითხველების მიერ გამოგზავნილი „აფორიზმები“

- ალკოჰოლიზმი დაავადებაა, რომლის დროსაც ავადმყოფს მიანია, რომ მსოფლიოში ყველაზე მაგარი გამოგონება ბოთლია...
- ვახტანგურს მოთმინების ფიალიდან სვამდა...
- ადრე ხომ არ არის დალევის დანებება? — ადრე რატომბა ადრე? ევროპაში უკვე „ხვალ“ არის, ხოლო ჩინეთში ჯერ კიდევ „გუშინ“.
- სასმელი მარილივითაა, რა თქმა უნდა, უამისოდაც შეიძლება, მაგრამ გემრიელი არ არის...
- ალკოჰოლი წარკოზივითაა, რომელიც გვხმარება გადავიტანოთ ოპერაცია, სახელწოდებით — ცხოვრება.
- სასმელი ანელესს მოძრაობას, მაგრამ

ამძაფრებს თავხედობას.

● სასმელი, როგორც წესი, აერთებს ქალსა და მამაკაცს, მაგრამ შლის ცოლ-ქმარს...

● ლოთობასთან საბრძოლველად იმ მეტოქის გამოყენება, რომ ლოთს სასმელთან მისვლა აუკრძალო, იგივე შედეგს მოგვცემს, რასაც ფალარათიანი ადამიანისთვის საპირფარეშოს კარის დაკეტვა.

● მთვრალი მამაკაცებისგან განსხვავებით, მთვრალი ქალები აქეთ-იქით კი არ ქანაობენ, პირდაპირ მიწაზე ეცემიან.

● სიმთვრალეში, ათვლის ნერტილის ძუბნის დროს, შესაძლოა, საყრდენი ნერტილი დაკარგოთ.

● ჯერ კიდევ არ ხარ მთვრალი, თუ ისე წეხარ, რომ მაგიდის ფეხს არ ებლაუჭები, წონასწორობის დასაცავად.

● მომეცით სიმთვრალეში საყრდენი ნერტილი, თორემ გამოსაფხიზლებელში მოჭვდები.

● მთვრალი ქალისთვის მამაკაცი დესერტია.

● თუ ალკოჰოლი მამაკაცისგან ცხოველს ქმნის, მაშინ ქალისგან ქმნის ადამიანს...

● თუ საღამოს ბევრს დალევ და იტყვი სადღეგრძელოს, რომ ხვალ ყველაფერი კარგად იყოს, დილით მიხვდები, რომ ჯობდა, ყველაფერი კარგად საღამოს ყოფილიყო.

● ხანდახან უნდა დათვრე, რომ მეორე დილით ზუსტად მიხვდე, სად გაქვს ტვინი...

● სიმართლე ლეინოშია, ხოლო მწარე სიმართლე — არაყში.

● როდესაც კაცი დათვრება, მისთვის სულერთია ქალის ასაკი, გარეგნობა და სქესი...

● ბევრის დალევა საზიანოა, ხოლო ცოტას დალევა — უინტერესო...

● არქიმედეს კანონში ცვლილება: 40-გრადუსიანი სითხეში ჩაშვებულ სხეულზე არავითარი ამომგდები ძალა არ მოქმედებს.

● ნუ გადადებ ზვალისთვის იმას, რისი დალევაც დღეს შეგიძლია.

● ვერ ვიტან იმ ხალხს, ვისაც კარგად ახსოვს, რა მოხდა სუფრასთან.

● არაფერი ისე არ აფუჭებს კვირა საღამოს, როგორც ორშაბათის „საპახელიო“ დილა.

● „პახელია“ გახლავთ სასიამოვნო შეგრძობების არასასიამოვნო ექო.

● დალევთ თავიდანვე ქალებთან ერთად უნდა დაიწყო, რომ მერე სხვაგან წასვლა არ დაგჭირდეს.

● რატომ ხდება ისე, რომ თუ საღამოს „ბათინკებით“ დანებები, დილით თავი გტკივა...

● მომეცით საყრდენი ნერტილი და ერთ სადღეგრძელოს კიდევ ვიტყვი.

აქედან, „გზაგანილება“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: ემანსიპაცია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 87745.6661 გვიამბეთ, რა სარგებლობა ან ზიანი მოაქვს, ქალისა და მამაკაცის უფლებების გათანაბრებას. ველი თქვენს მესიჯებსა და „ავტორიზებს“ მოცემულ თემაზე და გემშვიდობებით მომავალ სთუმბათაიდ.

**ნანული სარაჯიშვილისთვის განსაკუთრებულად საყვარელი უბანია — ვერა, სადაც ბავშვობის წლები გაატარა და ამჟამადაც ცხოვრობს. ბედნიერია, რომ მის უბანში არაჩვეულებრივი ადამიანები გაიზარდნენ — ნაზ დიასამიძე, თემიკო ჩირგაძე, დათო ყიფიანი, ლაშა თაბუკაშვილი, გია ფერაძე, ლექსო თორაძე... გასახსენებელი ბევრი აქვს და როდესაც უფროს თაობას დღევანდელს ადარებს, ბევრ განსხვავებას ამჩნევს...**



# პროფესიის კამო დარბაზული, ულამაზეს პოპონებს შიის კამაჩვეულები და კუმპოჩების „ტოლი“ და მემოხანი

## ნილო ჯავახიშვილი

— ტრადიციების მიმდევარი ოჯახი გვქონდა. მამა — პეტრე სარაჯიშვილი მეღვინე გახლდათ. შვილებს უდიდესი რიდი და შიშიც კი გვქონდა მისი. ჩვეულებისამებრ, სადილობისას, ყველა ერთად უნდა ყოფილიყავით. როდესაც წამოვიზარდეთ და ჩვენ-ჩვენი საქმე გავიჩინა, ამას ვეღარ ვახერხებდით. შვილებთან ურთიერთობისას მკაცრი იყო. მახსოვს, ერთხელ, ჩემს დას მეგობარი ბიჭი ეზოდან ეძახდა, რის გამოც მამა ძალიან გაბრაზდა — როგორ შეიძლება, ქალს ეზოდან უყვიროდო? გარეთ გავიდა და სთხოვა — სახლში შემობრძანდითო. ახალგაზრდობაში, ერთად ყოფნის და ქეიფის მიზნებს რა გამოვლევდა?! ლამის ყოველკვირა ვიღაცის დაბადების დღეს აღვნიშნავდით. თუ დავიგვიანებდით, ბრაზობდა — სად ხართ ამდენ ხანს, ყოველკვირა ვიღაცის დაბადების დღე არ გამიგიაო! ამხანაგთან ლამის გასათუვადაც არ გვტოვებდა — ადამიანმა ლამე თავის სახლში უნდა გაათიოსო... დედა მეგრული ქალი იყო, უფრო რბილი ხასიათი ჰქონდა და სიტუაციას ანონას-ნორებდა ხოლმე. მშობლებს ერთმანეთის რიდი და პატივისცემა ჰქონდათ. მაშინ-

დელი ოჯახები სიყვარულს ეფუძნებოდა.

— ფიქრობთ, რომ თანამედროვე ოჯახები სიყვარულსა და პატივისცემას აღარ ეფუძნება?

— იცით, მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, მართლაც ასეა. დრომ და ცხოვრებამ ბევრი რამ შეცვალა. დღეს ქალ-ვაჟი ერთმანეთის ღირსებებს კი არა, უფრო მეტად, მატერიალურ მხარეს აქცევს ყურადღებას. როდესაც ჩემი მშობლები დაქორწინდნენ, არაფერი გააჩნდათ, მაგრამ ცხოვრებას არ შეუშინდნენ. მათ სიყვარულმა შეაძლებინა ყველაფერი. მამა-ჩემი მშრომელი კაცი იყო, მან სიღვიძრ-სიმამრის დაუხმარებლად შეძლო ცხოვრების მოწყობა. რა თქმა უნდა, მამინაც იყო შემთხვევები, როდესაც სიმდიდრის გამო ქორწინდებოდნენ, მაგრამ ასეთი ხშირი — არა. ახლანდლებს კი, სიმამრის კისერზე ცხოვრების იმედად მოჰყავთ ცოლები; რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ. ოჯახში დამხმარე ზოგს ადრეც ჰყავდა, მაგრამ ახლა იმის მიუხედავად, მუშაობ თუ არა, მოდაშია, ძიძას გააზრდევინო საკუთარი შვილი.

— ძველებურად რომ აღარ არის ბევრი რამ, ამას ძალზე განიცდით?

— გულახდილად რომ გითხრათ, ძველი თბილისის ნოსტალგია მანუხებს, განსაკუთრებით კი იმ ხალხის, ვინც იცოდა პატივისცემა — ქალის მოხუცის, ბავშვის... ბევრ რამეზე მწყდება გული. აღარ არის ის თბილისი, რაც იყო — ქუჩაში რომ მივდივარ, ვეღარც ქალაქს ვცნობ და ვეღარც ხალხს. ორშაბათი და ხუთ-



უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან მითამაშია სანდრო ქორქოლიანთან, იპოლიტე ხვიჩიასთან, სესილია თაყაიშვილთან



შაბათი — ქართული ფილმის პრემიერის დღეები იყო. იცით, რა ხდებოდა ამ დღეებში? სკოლიდან ვიპარებოდით და კინოთეატრში გავრბოდით. მერე, როგორ უყვარდა ხალხს თავისი მსახიობები!.. თუმცა, ხალხის სიყვარულის დეფიციტს არც ახლა განვიცდი. ხშირად მაჩერებენ ქუჩაში და — ვაიმე, როგორ გვიყვარხარო! — მეუბნებიან.

**— ოჯახებით თუ მეგობრობდით? ხშირად იკრებოდით საქეიფოდ?**

— დაბადების დღეებს ახლა რესტორნებსა და კაფეებში რომ იხდიან, მაშინ რესტორანში ვინ წავიდოდა?! მახსოვს, ჩვენს სახლში სულ სიმღერა და ტამ-ფანდური იყო. ჩემი და აკორდეონზე უკრავდა, იქით — გიტარა, პიანინო... ამ ყველაფერს თავისი პენი ჰქონდა. ხშირად მოდიოდნენ მამაჩემის მეგობრები — ჯანი კახიძის მამა, სიმონიკა სხირტლაძე... ოთარ კობერიძე პირველად რომ გვეტყუმრა, სიხარულისგან ერთი კვირა აღარ მეძინა. ყველას ვეუბნებოდი — იცით, ჩვენთან ბამი-აჩუკი იყო-მეთქი! მათგან ბევრი რამ ვისწავლე — სუფრასთან მოქცევის წესი, სიტყვა-პასუხი, კარგი მოლენა...

**— როგორ იყო თქვენი თაობის ქალბატონებისთვის საოცნებო მამაკაცი?**

— ზრდილობიანი, თავდაჭერილი და მოსიყვარულე — ასეთი ბიჭები მოგვწონდა. სად მუშაობს და მდიდარია თუ არაო? — ამას არ ვკითხულობდით. ჩემი პროფესიის გამო, ცოტა არ იყოს, დავიჩაგრე, რადგან არავის უნდოდა მსახიობი რძალი, გნებავთ — ცოლი. დღეს კი, პირიქით — მოდაშია, მსახიობი ან მომღერალი ცოლი გყავდეს... ჩვენს თაობაში სასურველ სარძლოდ ითვლებოდნენ ექიმები. რატომღაც ყველას ეგონა, რომ მსახიობი კარგი მეოჯახე არ იქნებოდა. სიყვარულის გამჟღავნების ფორმაც შეიცვალა. ადრე პირდაპირ თქმას თუ ვერ გაუბედავებ, ტელეფონით უხსნიდნენ სიყვარულს ან წერილს უგზავნიდნენ. ახლა, ან მობილური ტელეფონით გაუგზავნი მესიჯს, ან იმეილით შეატყობინებ საკუთარი გრძნობების შესახებ და მორჩა, საქმე მოგვარებულია... ცხოვრება გაიოლდა, ჩვენ არც მობილურები გვექონდა და არც კომპიუტერები, მაგრამ მაინც ძველი დროის ნოსტალგია მაქვს.

**— ქალბატონო ნანული, თქვენს დროს თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება ალბათ, საკმაოდ რთული იყო, არა?**

— ძალიან რთული, რადგან, პატარა ინსტიტუტი იყო. სარეჟისორო ფაკულტეტზე 5 წელიწადში ერთხელ შეიძლებოდა ჩაბარება, თანაც, მხოლოდ 5 კაცს იღებდნენ. ამასთან დაკავშირებით რალაც გამახსენდა. ნიაზი შევხვდა თავის მეგობარს. გამოელაპარაკენ ერთმანეთს. სად აბარებო? — დაინტერესებულა. სარეჟისოროზე და ძალიან ვწერვილობო, — შეუჩვილია მეგობარს. ნიაზს დაუმშვიდე-

ბია — რა იყო, რატომ წერვილობო? მოხვდებო. როგორ არ ვინერვიულო, მართო 5 კაცს იღებენო. ვა, 5 კაცი რა, „ლოდკაა“, რა ამბავიაო?! მერე ანუკულოტად დადიოდა ეს ამბავი.

**— როგორები დაგამახსოვრდათ უფროსი თაობის მსახიობები?**

— 11 წლის ვიყავი, როდესაც ფილმში — „მანანა“ ვითამაშე. როდესაც რეჟისორებმა — ზაქარია გუდავაძემ და შალვა მარტაშვილმა ფილმის გადაღება გადანიწყიტეს, რეზო ჩხეიძეს ჰკითხეს — ხომ არ იცნობ პატარა გოგონას, რომელიც ცეკვავს, მღერის და საერთოდ, ცოცხალი ბავშვი-



11 წლის ვიყავი, როდესაც ფილმში — „მანანა“ ვითამაშე

აო? ბატონ რეზოს ნანახი ვყავდი ჩვენს ოჯახში ერთ-ერთი ქეიფისას და უთქვამს — ასეთი ბავშვი სარაჯიშვილების ოჯახში ვნახეო. სინჯებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ულამაზესი გოგონები დამხვდნენ და როლზე მე რომ დამამტკიცეს, ვერ გადმოცემთ, რა დამემართა. ისე ვინერვიულე, იმ საღამოს, 39 გრადუსი სიცხე მომცა. უდიდესი მსახიობების გვერდით მომიხდა თამაში, თუმცა ასაკობრივ სხვაობას ვერ ვგრძნობდი — ყველა ჩემი თანატოლივით იყო. ერთი შემთხვევა მახსენდება: ალბათ გახსოვთ ის ეპიზოდი, როდესაც რადიოლას მოსაძებნად, მეძებარი ძალღი მოჰყავთ. მეძებარი მილიციის ლეიტენანტმა მოიყვანა, იპოლიტე ხეჩიას ძაღლების ძალიან ეშინოდა და აიჩემა — ძალღი მიკბენს, ძალღი მიკბენსო! როგორც იქნა, დაამშვიდეს და გადააღება გავაგრძელებო, მაგრამ სცენამ მილიციის ლეიტენანტი ისე გაიტაცა, რომ ძალღი შეუმჩნეველად დაუსხლტა ხელიდან. როგორც ჩანს, იგრძნო, ვინ იყო ყველაზე მშობარა და პირდაპირ იპოლიტეს მივარდა და ტანსაცმელში ჩაებლავა მას. მე შემეშინდა და ავბლავდი, ვეღარ მანყნარებდნენ. იპოლიტე ვიღას ახსოვდა, აქეთ მესვენებოდა — ნუ გემინია, არ იტიროო... სანდრო ჟორჟოლიანს ძალიან უყვარდა

ქალები. არც ერთ ლამაზ ქალს უყურადღებოდ არ დატოვებდა. იყიდდა ყვავილებს, მომცემდა და მეტყვოდა — ამა და ამ ქალს მოუტანეო. მეც სიამაყით ვასრულებდი მის თხოვნას... ამ ფილმმა არაჩვეულებრივი მოგონებები დამიტოვა. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან მითამაშია სანდრო ჟორჟოლიანთან, იპოლიტე ხეჩიასთან, სესილია თაყაიშვილთან, ეროსი მანჯგალაძესთან, მედეა ჩახავასთან, გოგი გეგეჭკორთან, გურამ სალარაძესთან, გოგი სოზარაძესთან ერთად. მათგან ვისწავლე ადამიანური ურთიერთობა, პროფესია. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, მეგობრობდით კიდევ ძალიან თავმდაბლები და უბრალოები იყვნენ. საერთოდ, რაც უფრო დიდი ხარ, მით უფრო თავმდაბალი ხარ. რა არის თავში ასავარდნი?! ეს ცხოვრება ხან ასე, ხან — ისე...

**— ქალბატონო ნანული, რა მოაქვს წლებს? უფრო მეტი ცხოვრებისეული, თუ გნებავთ, პროფესიული გამოცდილება?**

— ოი, რა გითხრათ, ძალიან ცუდი რამეა წლები... ბევრი კარგიც მოაქვს და ბევრიც ცუდიც, თუმცა, როდესაც შენი საქმე გაქვს, წლების მომატებას მტკივნეულად აღარ განიცდი. ოპტიმისტი ვარ და მიხარია, რომ ნიჭიერი თაობა მოდის. ისინი თავიანთ სიტყვას იტყვიან. ბა, სულ ჩვენ ხომ არ ვიქნებით! ღმერთმა ქნას, ისეთი მსახიობები, როგორებიც ადრე გვყავდა, კვლავაც განებივრებულები ვიყოთ. გული მწყდება, რომ ახლა, 40 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებს უკვე ბებიად გვთვლიან, რომ ჩემი თაობა აღარავის სჭირდება...

**— დაბოლოს, ისიც მითხარით, ძველი დროიდან ყველაზე მეტად რა გენატრებათ?**

— ყველაზე მეტად თბილისი მენატრება — ღმერთმა ქნას, ის ძველი და კარგი თბილისი კვლავაც ვიხილოთ. უსახსრობამ და გაჭირვებამ შეცვალა ხალხი. ამას წინათ, ერთ ჩემს მეგობარს ვუთხარი — სად ხარ, ასე რატომ დაიკარგე-მეთქი? — რა ვქნა, ყველანი ძალიან მენატრებით, მაგრამ საშუალება არა მაქვს, რომ მოვიდე და ერთი ყვავილი მაინც მოგართვათ გოგოებსო. აი, ასეთი დროა. უნინ კი, ყველაფერი სხვაგვარად იყო. საუბრისას გითხარით, ჩემს უბანში არაჩვეულებრივად კარგი ადამიანები დაიბადნენ და გაიზარდნენ-მეთქი. კარგი მებობლობა ვიცოდით. ჩემსა და ნიაზის სახლს ერთი კედელი ყოფდა. შეიძლება ითქვას, რომ მის ხელში გავიზარდე. მახსოვს, ერთხელ, დედამ სთხოვა — ქათამი დამიკალიო. ნიაზმა უპასუხა — დეიდა ქეთევან, ყვავი 300 წელს ცოცხლობს, გაუშვი ეგ ქათამი, იქნებ, მაგანაც იცოცხლოს 300 წელიო... ერთხელ, ჩემი და სკოლიდან მოდიოდა. დაინახა ნიაზი და რუსულად მიესალმა. ნიაზმაც არ დააყოვნა — რა იყო, გოგო, ბოლო გაკვეთილი რუსული გქონდაო?... აი, ასეთები ვიყავით და ვართ ვერულები!..



ლიპა ქაჩიაი

— თინეიჯერებს, ენ. „მალალეტებს“, სწორედ ამ ასაკში უჩნდებათ რაღაც მოთხოვნები, პრობლემები, რაღაც ამოუცნობი პროტესტის გრძნობა და ა.შ. ის რაღაცას ფიქრობს, რაღაც აწუხებს, მაგრამ საბოლოო ჯამში, ვერ ყალიბდება და... არა აქვს მნიშვნელობა, მისი სიყვარული მუსიკაზე იქნება გადატანილი თუ ხელოვნების სხვა სფეროზე, მთავარია, მან ამ პერიოდში რაიმე ღირებული გაავეთოს.

ამ ასაკში, შენ რა განუხებდა?

— ო, იმდენი რაღაც, რომ ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ეს ყველაფერი ქუჩაში დგომით, ძველებიჭური რაღაცებით გადავიტანე, ქუჩის ცხოვრებით ვცხოვრობდი.

ქუჩამ რა მოგიტანა?

— ბევრი რამ — იქ ვისწავლე ჭეშმარიტი მეგობრობა, სიყვარული, ზრდილობა, უფროსებისადმი პატივისცემა და შევიძინე ის უამრავი თვისება, რაც ნამდვილ ქართველ კაცს უნდა ჰქონდეს.

ანუ ადამიანი ზრდილობას ქუჩაში სწავლობს? მაშინ რატომ ამბობენ, „ქუჩის ბიჭებს“ მოერიდეთო?

— საერთოდ, ადამიანზეა დამოკიდებული. თუ უზნეო კაცი ხარ, გინდ ქუჩაში იდექი, გინდ კონსერვატორიაში და გინდაც საკათედრო ტაძარში — ვერაფერი გამოგასწორებს.

თინეიჯერულ ასაკში, შენ რა პროტესტის გრძნობა გავიჩინა?

— მე ისეთ პერიოდში მომიწია ამ ასაკის გავლამ, როცა კომუნისტური ინტერედი და კაპიტალიზმი ყალიბდებოდა. ხალხს იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ ოჯახში პური მიეტანა. იმ პერიოდში, ალბათ, უამრავი პროტესტი მქონდა, რაც ჩემს მუსიკაში — რეპში გამოვხატე.

მაშინ როგორ ერთობლივ სოლმე?

— უამრავი გასართობი რაღაც იყო. მაშინ, ბიჭებში სალაპარაკო მთავარი თემა ის იყო — ვის უფრო მაგარი ქალი ჰყავდა, ვინ ვის „დაკურავდა“, ვინ უფრო მაგარი იყო და ა.შ.

ქალს როგორ „კურავდით“ სოლმე?

— ამისთვის ბევრი საშუალება არსებობდა — ქრთამი, სიტყვები, საქციელი.

ეს მეთოდი აპართობდა?

— რა თქმა უნდა. როგორ ფიქრობ, ქალს საჩუქრითა და ტყბილი სიტყვებით ვერ შეაბამ?...  
— იმ პერიოდში, შეყვარებული თუ გყავდა?

— აბა, რა?! ქუჩაში ვინც დგას, შეყვარებული ყველას ჰყავს. კარგია, როცა გოგოს

„თინეიჯერულ ასაკში, ქუჩის ცხოვრებით ვცხოვრობდი და იქ ბევრი რამ ვისწავლე“, — მითხრა ზაქარია, რომელთანაც ინტერვიუს ჩასაწერად, მისი ენ. ფანების აქტიურობის გამო მივედი. ისინი მემუქრებოდნენ: შენ ერთი ხარ, ჩვენ კი — ბევრი და თუ მასთან ინტერვიუს არ ჩანერ, მესიჯებით აგანოიკებთო... და მუქარა შეასრულეს კიდევ.

*ქუჩური ცხოვრება, ქაღალტის „დასკრის“ პოლიტიკა, რესტაინი ანაყი და მამაკაცური ღიანჭველი*  
*„სამტკიცებოდა რეპერები ერთმანეთს ავიხილენ, ხატყაყენ, ჩვენთან კი...“*

გულისთვის ჩხუბი შეგიძლია. ამ დროს, თავს სრულფასოვან მამაკაცად მიიჩნევ.

ქალის გულისთვის სისულელებით თუ ჩავიდინა?

— ძალიან ბევრი მიჩხუბია, მისვრია, უსვრიათ და ბევრი ისეთი რამ მომხდრა, რაც დღეს მხიარულ ხასიათზე მაყენებს (თუმცა, მაშინ ეს ყველაფერი მწარე იყო). ახლა ვფიქრობ — რა სულელი ვიყავი, იმ გოგოს გულისთვის, ასეთი რამ როგორ გავაკეთე-მეთქი.

დღეს რომ ისევ იმ ასაკში დაგაბრუნონ, ისევ ისე მოიქცეოდი?

— ალბათ კი, რადგან ადამიანმა ყველანაირი გამოცდა უნდა ჩააბაროს, კიბის ყველა საფეხურზე უნდა ავიდეს და ისე მიანდოს რაღაცას.

შენი რეპერობაც ქუჩამ განაპირობა?

— რა თქმა უნდა, რეპის რთულ გზაზე ცხოვრებამ დაამყენა. ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ როგორი გამოვსულიყავი, ისიც ხომ ენერგიით სავსე მუსიკაა, მაგრამ რეპი მომიხდა და...

ვისი ფანი იყავი?

— ბობ მარლის, „მეტალიკის“, „ქუჩის“. ძალიან მომწონდა რეი ჩარლზის შემოქმედება. დღემდე ვერ ვიტან რუსულ ესტრადას (და არა რუსულ როკს), რომელიც ჩემთვის ყველაზე დიდი ნაგავია მსოფლიო მუსიკალურ ინდუსტრიაში.

რატომ?

— ამას არც ნაცისტური და არც პოლიტიკური სარჩული არა აქვს. რუსული ესტრადა არ მომწონს და მორჩა — ის არარეალურია. ჭეშმარიტი არ არის. ჩემი ნება რომ იყოს, ყველა ტელევიზიას და რადიოსადგურს ავუკრძალავდი ამ სიმღერების „გაპიარებას“.

რუსული საერთოდ არაფერი მოგწონს?

— როგორ არა?! — არაყი და ქალეზი... აბა, რაღაც „ვოსტოჩნიე სკაზკის“ მოსმენას, უიტნი ჰიუსტონს ან ჯეიმს ბრაუნის რომელიმე სიმღერას მოუსმინო, არ სჯობია?

ან სულაც, ქართულ რეპს, არა?

— თუნდაც, მაგრამ არ ვამბობ, რომ ვინმემ ჩემს მუსიკას აუცილებლად უნდა უსმინოს, ამბიციური არა ვარ. მე მყავს გარკვეული ასაკის მსმენელი და ეს ჩემთვის საკმარისია.

შენი შემოქმედება თინეიჯერებზეა გათვლილი, არა?

— კი, მაგრამ ჩემს კონცერტზე მინახ-

ავს 50 წელს გადაცილებული ასაკის ადამიანები, ვისაც მუსიკის ეს მიმდინარეობა აინტერესებს. ან შეიძლება, არც მუსიკა მოსწონთ და არც ტექსტი, მაგრამ ჩვენი იმიჯი ევასებათ, რადგან მასში ქართულ სულს ხედავენ.

თინეიჯერობაში ვინმეს მიბადება თუ ცდილობდი?

— ძალიან მინდოდა, ჯეიმს ჰეთვილდისთვის („მეტალიკის“ ვოკალისტი. — ავტ.) მიმებადა, მისი იმიჯი მევასებოდა — საკაიფო წვერი ჰქონდა და რაღაც შოტლანდიელი მთის კაცის იერი გადაჰკრავდა. მაღალი, მხრებში გაშლილი, დაკუნთული, სვირინგებით მოხატული ტანი ჰქონდა. აბა, ასეთი როგორ გავხდებოდი?..

წვერი ისე ასევე, ეტყობა ყველაზე მეტად ეს მოგწონდა, არა?

— რა თქმა უნდა. წვერი-ულვაში ხომ ოდიტანვე ქართველი მამაკაცის სიამაყე იყო, მაგრამ ყველა ულვაშით ხომ ვერ ივლის? თინეიჯერულ ასაკში, ბიჭებს წვერის ამოსვლა ეჩქარებათ, უნდათ, თავი სრულფასოვან მამაკაცებად იგრძნონ. კაცს თუ წვერი არ ამოსდის და თუ მამაკაცისთვის დამახასიათებელი თვისებები არა აქვს, მაშინ (იცინის)..

როგორ ფიქრობ — რით განსხვავდებიან დღევანდელი თინეიჯერები, შენი თაობის თინეიჯერებისგან?

— ინტელექტით. ესენი უფრო ჭკვიანები არიან. ჩვენს დროს, კომუნისტური რეჟიმი და ჩაკეტილი სივრცე იყო. მართალია, იმას არ მოგსწრებოდა, როცა ვილაცის, ვთქვათ, „ფარფლებს“, „პლასტიკებს“ ჩუმად უსმენდნენ და ამის გამო, შეიძლება აღრიცხვან



არ არის აუცილებელი, რომ ასე მარტო რეპერები გამოიყურებოდნენ. რეპერობა არც იმას ნიშნავს, რომ ცუდი ბიჭი იყო, გინებით და აგომბაგებით შეიარაღებულმა იარო



აყვანე ან „სროკი“ აგვიდებინა, მაგრამ... დღეს, ყველანაირ ინფორმაციას იღებ, იცი — ვინ, სად, როგორ ცხოვრობს, რა აცვია, რას ჭამს და ა.შ. ჩემი თაობის თინეიჯერები კი, მხოლოდ რუსული მსატრეული ფილმებით (დიდ სამამულო ომზე) და მულტფილმით „ნუ, პოგოდი!“ — შემოვიფარგლებოდით. ეჰ, სად იყო მაშინ „ტომი და ჯერი“?!

— „ნუ, პოგოდი“, „ტომი და ჯერი“ რითი სჯობა?

— მართალია, ერთში მგელი დასდევს კურდღელს და მეორეში — კატა — თავს, მაგრამ „ტომი და ჯერი“ რომ არ უყურო, მხოლოდ უსმინო, მაინც სასიამოვნოა, რადგან იქ პოლიციუდის მთელი ჯაზორეკსტრი უკრავს და ა.შ. „ნუ, პოგოდი“ კი, რა არის?... დღევანდელი თინეიჯერები ჩვენზე სწრაფებიც არიან, წამებში ალიქვამენ ყველაფერს, 220-ით დადიან.

— „ტუსოვეკზე“ არ დადინარ ხოლმე?

— იქ სიარულს, კარგ რესტორანში, კარგ ხალხთან ყოფნა და ღვინო მიჩვენებია. რა უნდა ვაკეთო „ტუსოვეკზე“? — ვყლაპო რალაც ექსტაზი და ზევით-ქვევით, მაიმუნით ვიხტუნო?! ეს ჩემი ბედით არ არის.

— ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ რეპერები ერთმანეთს ებრძვიან. ხომ არ იცი, რა ვერ გაიყვას?

— პირველად, როცა გავიგე, რომ საზღვარგარეთ რეპერები ერთმანეთს აგინებდნენ, რალაცებს უჩალიჩებდნენ, ხოცავდნენ, რალაც დიდი სიყალბე ან ადამიანის გაკვირვების, მისი დაინტერესების ერთ-ერთი ხრიკი მეგონა, მაგრამ... შარშან, ბაქოში ჩავედი და აზერბაიჯანელ რეპერებს შევხვდი. იქაც, ანალოგიური რამ ვნახე — ერთმანეთს ვერ იტანენ, აგინებენ, სროლებიც მოსვლიათ.

— და ეს ქართველ რეპერებშიც ხდება?

— არ ხდება და არც არასდროს მოხდება. — რატომ, ჩვენთან რეპი იმ დონეზე განვითარებული არ არის?

— როგორ არ არის? თან, ჩვენს რეპერებს ყველას ცალ-ცალკე, თავ-თავისი მსმენელი ჰყავს, მაგრამ ჩვენი თავყვანისმცემლები — 90 პროცენტი გაერთიანებულია. იქ კი, უფრო ცოტა მსმენელი ჰყავთ და საკუთარი

თავის დასამკვიდრებლად იბრძვიან.

— ქართველი თინეიჯერები, საზღვარგარეთ მცხოვრები მისი ტოლი გოგონაჩქებისგან რითი განსხვავდებიან?

— ჩვენები შედარებით უფრო დაკომპლექსებულიები არიან. შეიძლება, 14 წლის გოგო სახლიდან გამოვიდეს და 15 საყურე გაიკეთოს, მაგრამ სახლში მისვლისას სამკაულები მოიხსნას. მე ასეთ ადამიანს ვერც გავამართლებ და ვერც გავამტყუნებ, ყველა ადამიანს თავისი უფლება აქვს, მაგრამ ამ ყველაფერში სილამაზეს ვერ ვხედავ... ვიცი, ისეთი გოგოები, რომლებიც სახლში ნორმალურ, ქართველ გოგონებს ჰგვანან, მაგრამ სახლიდან გავლენ თუ არა, სადარბაზოშივე, 15 წუთში იცვლიან იმიჯს და ქუჩაში, სულ სხვანაირები გამოდიან. ნეტავ, ეს რაში სჭირდებათ? გუშინწინ მეგობარს ველაპარაკე, რომელიც გერმანიაშია და კვითხე — თქვენთან რა სიტუაციაა-მეთქი? თურმე, ბიჭების 95 პროცენტი შედეგილი თმით, მანიკურით, შედეგილი თვალებით, გაურკვეველი დანიშნულების საყურით (ცხვირზე, ენაზე და ა.შ.) დადის. ჩვენთან კი, ბიჭი ასეთ რალაცას არ გააკეთებს და თუ გააკეთებს... — რას იზამთ, ასეთებს დაჩაგრავთ?

— არა, ყურადღების ღირსადაც არ ჩავთვლი. შეიძლება მასზე გამეცინოს — ეჰ, სადამდე დაეცა ქართველი კაცი-მეთქი. ასე მოქცევა — როცა კაცი კაცს აღარ ჰგავს, წინაპრების შურაქცყოფაა.

— რეპერებს დიდი ზომის სამაჯურები, ბეჭდები, ჯაჭვები გიკეთიათ. ამ სამაჯურებს რა დანიშნულება აქვს?

— ალბათ, რალაც სტილია. თან, გინდა გამოჩნდე უფრო ლამაზი, მაგარი და იკეთებ სამაჯურებს, იყენებენ ბლანქებს ან სულაც, ულვაშს. საერთოდ, როგორც გინდა, ისე უნდა მოიქცე, ის უნდა გაიკეთო, მაგრამ ეს ყველაფერი ზომიერების ფარგლებში უნდა მოახერხო... არ არის აუცილებელი, რომ ასე მარტო რეპერები გამოიყურებოდნენ. რეპერობა არც იმას ნიშნავს, რომ ცუდი ბიჭი იყო, გინებით და ავტომატებით შეიარაღებულია იარო. ჩვენ ძნელად გამოსაცნობები არ ვართ. უბრალო ბიჭები ვართ, რომ-

ლებმაც ვიცი ერთგულება, სიყვარული, ტყუილიც — როცა დაგგჭირდება და ერთმანეთის გვერდით დგომაც.

— როცა ქუჩაში „ცხოვრობდი“, ამის გამო მშობლებთან კონფლიქტი არ მოგსვლია?

— რა თქმა უნდა, კი. მათთვის მთავარი იყო ქუჩაში არ ვყოფილიყავი, გამოსწორების გზაზე დაგმდგარიყავი და რეპით დაგინტერესებდნენ, ხატვით თუ მშენებლობით, მნიშვნელობა არ ჰქონდა. არ არსებობს კრიმინალი, რომელიც იტყვის — მინდა, ჩემმა შვილმა ჩემს გზაზე გაიაროსო.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— ყველა თინეიჯერს ვურჩევ, არ გაეკაროს ნარკოტიკს. იმიტომ, რომ ადამიანი, რომელიც წამალს იკეთებს, ნარკოტიკულ ნივთიერებას ყნოსავს ან ყლაპავს — სულით სუსტია. თუ მაგარი ხარ, ბუნებრივად შეძლებ კაიფს, სიცილს, შეძლებ, ბევრი იხალისო. და მათ ვუსურვებდი, რომ რაც ჩემი თაობის თინეიჯერებმა ნახეს, ის არ ენახათ (კარგის გარდა). მეფერა, რომ ძალიან მაგარი თაობა წამოვა და ისინი ბედნიერ, ლამაზ და ჯანსაღ საქართველოს ააშენებენ.

— და თქვენ რა ნახეთ?

— კომუნიზმი და „ომიზმი“, გარდამავალი პერიოდები და ა.შ. ღმერთს ვთხოვ, რომ რაც კი ჩაუთქურებული აქვთ, რაზეც ოცნებობენ — ყველაფერი აუხდეთ.

P.S. ძვირფასო თინეიჯერო! თუ შენ წაიკითხე ინტერვიუ, რომელშიც ბედინა თავის თინეიჯერულ ამბებს იხსენებს და ჩვენთან ურთიერთობის სურვილი გაგჩინდა, შეგიძლია დაგვიმეგობრდე და ინტერვიუს გამოუმართო. საინტერესოა, რა განსხვავებას ან მსგავსებას ხედავ მაშინდელ და ახლანდელ თინეიჯერებს შორის? რა პრობლემები აქვს დღევანდელ ახალგაზრდობას? იყოფიან თუ არა თინეიჯერები რალაც ჯგუფებად და ა.შ. შენ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ სუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა შენი გულსტუკილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, მაშინ დაგვიმეგობრე ნომერზე: 899 17-35-27.

# შედეგად



**სალი, 15 წლის:**

„პრივეტ. ძალიან მომწონს თქვენი რუბრიკა. მიხარია, რომ ცნობილ ადამიანებს შემიძლია კითხვა დავუსვა... ნინი შერმადინთან კი, ასეთი კითხვა მექნება — იურმალაზე ყოფნის დროს, ნიკოლი დიმიტოვი გაიცნო თუ არა და თუ იცის, როგორი ადამიანია ის?“

**ნინი შერმადინი:**

— „იურმალის“ ყველა კონკურსანტი გაციანი და კოლია რა გამოწვევისი იქნებოდა? ძალიან კარგი ადამიანია, ჩვენ დღემდე ვეგობრობთ და იმედი მაქვს, რომ „იურმალის“ ყველა მონაწილეს ახლო მომავალში ვიხილავ.

**ნია, 18 წლის:**

„ნინი, ძალიან მიყვარხარ, ძალიან მომწონს შენი სმა. ეკრანზე რომ გამოჩნდები, გთხოვ, ცოტა მეტი ილაპარაკე ხოლმე. იმედია, კონცერტის ჩასატარებლად ნორიოში გვეწვევ“.

**ნინი შერმადინი:**

— ნიკო, აუცილებლად გავითვალისწინებ შენს თხოვნას და უფრო მეტს ვილაპარაკებ ხოლმე. მეც მაქვს იმედი, რომ ნორიოში ჩამოვალ და თქვენთვის ვიმღერებ.

**ნინო, 15 წლის:**

„ნინი, მაგარი ხარ. ერთი ეს მითხარი — გათხოვებას არ ამირებ? და კიდევ, შენს ახალ კლიბს რა ჰქვია?.. შენი ერთგული ფანი“.

**ნინი შერმადინი:**

— გათხოვებას ვერც არ ვამირებ, მაგრამ თუ დაგამშვიდებთ, იმასაც გეტყვით, რომ არც გაუთხოვარი დავრჩები. ახალ სიმღერას „მიდინარ“ ჰქვია. ისე, ამ კლიბის გადაღების დროს საშინლად გავცივდი, რადგან ცივ ქვანზე საათ-ნახევარი ვინეცი.

**მეზი, 17 წლის:**

„ნინი, შენი ფანი ვარ, შენ ძალიან ჭკვიანი გოგო ხარ და სიმღერებიც შესაბამისად კარგი გაქვს. ზაფხულში ჩემთან, ბათუმში გეპატიუები და თუ ჩამოხვალ, აუცილებლად დამიმეგობრე“.

# შეიძლება თუ არა მაისში ჯვრის დანერგვა?



## „ვინც ქრისტიანს გადასხავს, ღმერთისგან მეც მადლს მიიღებს“

### მთი შარაღინი:

— შევეცდები, რომ ამ ზაფხულს ბათუმში ჩამოვიდე და დაგიმსიჯო კიდევ. ისე, თუ სადმე მნახავ, არ მოგერიდოს, მოდი და ერთმანეთი გავიცნოთ.

### სალომი ბიორაბი, 16 წლის:

„ნინი, ძალიან საყვარელი ადამიანი ხარ. „იურმალაზე“ ქართველები ნამდვილად გვასახელებ. გავიგე რუმინეთში — „გოლდენ სტიკზე“ მიემგზავრები. თუ შეგიძლია გავცემისილე — რომელი სიმღერები მიგაქვს? მჯერა, რომ იქაც წარმატებას მიაღწევ“.

### მთი შარაღინი:

— ულამესი მადლობა თბილი სიტყვებისთვის. ვეცდები, იმედები არ გაგცრუოთ. სამწუხაროდ, ჯერ არ ვიცი, რომელ სიმღერებს წავიღებ.

### პაპო, 14 წლის:

„ნინი, როგორ უნდა მოვანონო ბიჭს თავი? გთხოვ — მირჩიე რამე“.

### მთი შარაღინი:

— ეს რთული კითხვაა. ალბათ, რაც უფრო თავდაჭერილი, მიუწვდომელი და ბუნებრივი იქნები, ბიჭებს უფრო მოეწონები. ისე, ამ ამბავს ძალიან ნუ განიცდი. დრო მოვა და ვილაშქრებ.

### ბიორაბი, 20 წლის:

„ნინი, ძალიან საყვარელი გოგო ხარ, შენნაირი თინეიჯერები ცოტანი არიან. მაინტერესებს, რა უნდა გააკეთოს ბიჭმა იმისთვის, რომ მისი დაინტერესდეს?“

### მთი შარაღინი:

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. ბიჭმა თავი როგორ უნდა მომანონოს? ეს მე რატომ უნდა გიკარნახო? — ეგრე სად არის, ძმაო? ისე, ინტელექტი გაქვს? ამას იმიტომ გვკითხები, რომ გაუნათლებელი ადამიანების ატანა არა მაქვს.

### პაპო, 16 წლის:

„ნინი, იქნებ რამე მირჩიო, თორემ ლამის ორად გავიხლიჩი — 2 ბიჭს ვუყვარვარ, მეც ორივე მომწონს (ოღონდ, სამეგობროდ), მაგრამ უკვე თავი მომბუზურეს, რადგან სულ ჩსუბობენ. მე კი, ეს არ მინდა“.

### მთი შარაღინი:

— აუ, რა მაგარი გოგო ხარ. რადგან თავი მოგაბუზურეს, ე.ი. არც ერთი არ გიყვარს. თან, არ შეიძლება ორივე ერთად, ერთნაირად მოგწონდეს; მოკლედ, ნუ ნერვიულობ, ორივეს შეეშვი, ისე უქნიათ, ერთმანეთი დაუხოცავთ. შენ კი, ვინმე სხვას უყვარდები.

### რეზო, 19 წლის:

„ნინი, მართალია, შენზე ვაბოლებ, შენი მოტაცებაც მინდა, მაგრამ მეშინია, რომ ვერძღეს ვერ მომიზადებ. თუ გინდა, მოგტიტაცო, მაშინ მითხარი, რომ სამზარეულოში ტრიალი გეხერხება“.

### მთი შარაღინი:

— აუჰ (იცინის) კერძების მომზადება მეხერხება, მაგრამ შენ ნამდვილად არ გამოგადგები, თავს ნუ შეინუხებ. ისე, მე რომ მომიტაცო, 2 თავი უნდა გქონდეს. რას იტყვი — მრავალთავა ხარ?

### ლიკა, 15 წლის:

„ნინი, ძალიან მიყვარხარ და შენი რჩევა მჭირდება — მეც მინდა, ნუცას სკოლაში მოხვდები და წარმატებას მივაღწიო. როგორ უნდა მოვიქცე?“

### მთი შარაღინი:

— ჩემო კარგო, ჯერ საბუთები უნდა შეიტანო, მერე კასტინგი გაიარო. მთავარია, შენი ნიჭი წარმოაჩინო, დამოუკიდებლად იმოქმედო, სცენაზე გასვლისას თამაში, გახსნილი იყო და რაც ყველაზე მთავარია, სახეს ღიმილი უნდა გინათებდეს“.

უკვე კარგა ხანია, ყველა ადამიანისთვის საყვარელი სეზონი, გაზაფხული დადგა და ქორწინების რიცხვამაც იმატა. მართალია, მთელი აპრილის განმავლობაში, მარხვა იყო და ამ პერიოდში მორწმუნე წყვილი ჯვარს ვერ დაინერდა, მაგრამ სამაგიეროდ, აპრილის ბოლო შაბათ-კვირას (მთელი საქართველოს მასშტაბით), იმდენი ქორწილი იყო, მთელ აპრილს რომ გასწვდებოდა. ამას ალბათ ორი მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, ის, რომ აპრილი ლამაზი თვეა და მეორეც, წყვილს მისამდე უნდა მოესწრო ოჯახის შექმნა, რადგან ჩვენი წინაპრებისგან გადმოცემული ტრადიციის მიხედვით: ვარდმა თქვა, მაისში მე აყვავდები და არავის მივცემ ამ თვეში აყვავების საშუალებასო, — ე.ი. მაისში შექმნილი ოჯახი ბედნიერი ვერ იქნებაო. რუსები კი ამას სხვაგვარად ხსნიან: „კტო ვ მავ პოყენიატსა, ვსიუ ჟიზნ ბუდუტ მიაატსა“.

არავინ იცის, ეს ყველაფერი ტრადიციას, თუ უბრალოდ, ხალხის ცრურწმენას. ფაქტი კი ის არის, რომ მაისში მექორწინეთა რიცხვი საგრძნობლად იკლებს. მოქმედებს თუ არა მაისში დაქორწინება ოჯახის ბედნიერებაზე? ამ საკითხზე, იმ ოჯახების წევრები გვესაუბრებიან, ვინც ჯვარი სწორედ ამ თვეში დაინერეს.

### ნათია ჰივიძე

#### პაპო, 24 წლის:

— ჩემმა მეუღლემ, 4 წლის წინ წინ, 8 მარტს მომიტაცა. დათო მხოლოდ ერთხელ მყავდა ნანახი და ვიდრე სადღაც სოფელში არ მიმიყვანა და არ მითხრა — დღეიდან ჩემი ცოლი ხარო, ვერც წარმოვიდგინე, რა ხდებოდა. თან, ამ ყველაფერს ჩემმა ბიძაშვილმაც შეუნყო ხელი, რომელიც დათოსთან მეგობრობდა. ძალიან ბევრი ვიტირე, მაგრამ დათომ უკან მაინც არ დამაბრუნა. ოჯახი ქუთაისში მყავდა, მე კი თბილისში ვცხოვრობდი, ამიტომ, ეს ამბავი დედამა მხოლოდ ორი დღის მერე გაიგო. რომ ჩამოვიდა და ვთხოვე — შინ დამაბრუნე-მეთქი, — ახლა რაღა დროს

მაგაზე ლაპარაკიაო?! — მისაყვედურეს. ვიდრე ჩემი და დათოს მშობლები ერთმანეთს გაიცნობდნენ, მე კი ქმარს შევეგუებოდი, საკმაო დრო გავიდა. ამას ისიც ერთვოდა, რომ მაშაჩემი მოსკოვში მუშაობდა და მალევე ჩამოსვლა ვერ მოახერხა. ამიტომ, ისე მოხდა, რომ ჩვენი ქორწილი 4 მაისისთვის დაინიშნა. არასოდეს გამეგო, რომ მაისში ქორწინება არ შეიძლებოდა. მეუბნებიან დედაჩემისთვის უთქვამთ — ერთი კვირით ადრე მაინც დაგენიშნათ ქორწილი, რაღა მაინცდამაინც მაისს დაამთხვითო. დედა ცრუმორწმუნე არ არის და მათთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ასე დავექორწინდით მაისში. მიუხედავად იმისა, რომ მოტაცებამდე დათოს არ ვიცნობდი, არაჩვეულებრივად შევე-



ყვეტ ერთმანეთს. საუკეთესო ქმარი აღ-  
მოჩნდა. ცოლად მოყვანის დღიდან დიდ  
პატივს მცემს და ხელისგულზე მატარებს.  
დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ,  
პატარა ნიკუშაც შეგვეძინა, რომელიც  
ახლა სამი წლის ხდება. ძალიან ბედ-  
ნიერი ვარ, რომ ღმერთმა ასეთი კარგი  
ბედი მარგუნა. სხვების აზრი არ ვიცი,  
მაგრამ ჩემმა მაისში ქორწინებამ გაამა-  
რთლა. რაც ნიკუშა დაიბადა, ეკლესი-  
ურიც გავხდი და მოძღვარიც მყავს.  
მაისში ქორწინების შესახებ ისეთ ამ-  
ბებს ვიგებდი, მისვლისთანავე, მოძღ-  
ვარს შევჩვილე, მაგრამ მან დამამშვიდა  
და მითხრა, მთავარია, მარხვის დროს  
არ დაქორწინდეს წყვილი არ თორემ მაი-  
სი ქორწინებისთვის მშვენიერი თვეაო...

**ნანა, 30 წლის:**

— ჩემი მშობლების შესახებ უნდა  
გიამბოთ. დედა და მამა 19 წლისები  
იყვნენ, როცა დაქორწინდნენ. მანამდე,  
რამდენიმე წელი ჰყვარებოდა ერთმანე-  
თი. არც ერთის ოჯახი არ ყოფილა  
მათი დაქორწინების წინააღმდეგი, მა-  
გრამ დედაჩემი ფიქრობდა, რომ ჯერ  
პატარები იყვნენ და მათთვის ოჯახის  
შექმნა ნაადრევი იყო, მაგრამ ერთ  
დღეს, მამაჩემს უთქვამს — ხვალ შენი  
ხელის სათხოვნელად მოვდივართ, ან  
ახლავე გამომყვები, ან აღარასოდესო.  
მოკლედ, დედაჩემის მშობლებთან მის-  
ულემა გადანყვიტეს, რომ ერთ კვი-  
რაში ქორწილი ჰქონოდათ, თუმცა ჩემ-  
მა ბებია-ბაბუამ თავი გაიგიჟა, მაისში

დაქორწინება ვის გაუგია, ბედ-  
ნიერები ვერ იქნებით, ვარდი არ  
გაგახარებთო. მაგრამ დედას და  
მამას ეს სასაცილოდაც არ ეყოთ  
— ვარდი როგორ მოერევა ჩვენს  
სიყვარულსო?! თურმე, ბებიაჩემ-  
ი კიდე დიდხანს ცდილობდა  
დედის გადარწმუნებას — თავს  
ნუ დაიღუპავ, მთელი სოფელი  
თქვენზე ილაპარაკებსო (კახეთის  
ერთ-ერთი სოფლიდან ვართ), მა-  
გრამ დედამ მისი ცრურწმენები  
არ დაიჯერა. ქორწილი 18 მაისს  
ჰქონდათ. ქორწინების წლის-  
თავზე, ჩემი ძმა შევიძინა, წელი-  
ნადის შემდეგ, მეც დავიბადე. დე-  
დას და მამას მთელი ცხოვრება  
ისე უყვარდათ ერთმანეთი, რო-  
გორც შეყვარებულობის დროს,  
შესაბამისად, ბედნიერი ოჯახი  
გვქონდა... ბოლო წლებში, დე-  
დას თავის ტკივილი დასჩემდა,  
მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა  
— ალბათ, უბრალო შაკიკიპო.  
შემდეგ, როცა მე უკვე 20 წლის  
ვიყავი, გაირკვა, რომ თურმე  
დედა უკურნებელი სენით ყოფი-  
ლა დაავადებული. ეს ამბავი ყვე-  
ლაზე მეტად მამამ განიცადა. არაფერი  
დაუკლია მისთვის, ხან რომელ ექიმთან  
მიჰყავდა და ხან — რომელთან. ყვე-  
ლას ეხვეწებოდა — გადაიჩინეთო,  
მაგრამ ორი წლის მერე, დედა გარდა-  
იცვალა. დასაფლავების დღეს მეზობ-

ლების ჩურჩულს მოვკარი ყური, — ეს  
ყველაფერი იმის ბრალია, მაისში რომ  
დაქორწინდნენ, მშობლებისთვის რომ  
დაეჯერებინათ და ცოტა კიდევ მოეც-  
ადათ, ხომ იქნებოდნენ ახლა ბედნიერე-  
ბიო. სიმართლე გითხრათ, მე ამის არ  
მჯერა. ალბათ, ეს ბედისწერა იყო და  
იმიტომ მოხდა ასე, თორემ ვარდმა  
რალაც თქვაო, — ეს ცოტა დაუჯერე-  
ბელია...

*გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, დღევან-  
დელი ახალგაზრდებიც არიან თუ არა  
ცრუმორწმუნენი და ამისთვის, თბილი-  
სის ქორწინების სახლს მივავითხეთ.  
დერეფანში უამრავი ახალგაზრდა  
წყვილი ირეოდა, ზოგი მათგანი განცხ-  
ადებას ავსებდა, ზოგი კი — უბრალო-  
დ, ერთმანეთს ეფერებოდა. მივხვდი,  
მათთვის მაისი საშიში არ იყო და დარ-  
წმუნებულნი იყვნენ, მათ სიყვარულს  
ვერაფერი მოერეოდა. ამ ყველაფრის  
გასარკვევად, ქორწინების სახლის  
დირექტორს, ქალბატონ ნანა შუკაკიძ-  
ეს ვესაუბრე.*

— ჯერჯერობით, მაისში ხელმომწ-  
ერთა მხოლოდ 9 განცხადება გვაქვს,  
მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ  
კიდევ დაემატოს, რადგან ახლა ჩვენ-  
თან წესი შეიცვალა და თუ მანამდე  
ერთი თვით ადრე უნდა შემოეტანათ  
განცხადება, ახლა ქორწილის დღესვე  
შეუძლია წყვილს ამის გაკეთება. ალ-  
ბათ, მაისში წელს უფრო მეტი განცხ-  
ადება შემოვა, რადგან ახლა ხალხი



უფრო მეტად მორწმუნე გახდა. ადრე,  
ადამიანები მარხვას კი არ აქცევდნენ  
ყურადღებას, არამედ იმაზე ფიქრობდ-  
ნენ, დაქორწინება მაისამდე მოესწროთ.  
თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ახლა ასე აღარ  
ხდება. ამას წინათ, აპრილის ბოლო

რიცხვებში, ერთმა ადამიანმა დამირე-  
კა და მკითხა, ამ თვეში შესაძლებელია  
თუ არა ქორწინება? ვუთხარი, თუ  
დღესვე მოხვალთ, კი, ბატონო, თუ არა  
და, აპრილის ბოლო შაბათ-კვირა  
ძალიან დატვირთულია და ვერაფრით  
ჩაგსვამთ-მეთქი, — მაშინ არ მინდა,  
კარგად ბრძანდებოდეთო, — და ყურ-  
მილი დამიკიდა. მოკლედ, მაისში  
დაქორწინებას მაინც ვრეიდებიან, მი-  
უხედავად იმისა, რომ ეკლესიამაც თქვა,  
როგორც სხვა თვეებში, მაისშიც ისევე  
შეიძლება ქორწინებაო.

**— თავად თქვენ თუ ეთ-  
ანხებით იმ აზრს, რომ მაისში  
ქორწინება არ შეიძლება?**

— ზოგჯერ, რალაც ცრურწმენების  
მჯერა კიდევ. მაგალითად, არ მიყვარს,  
როცა მეჯვარეთა რაოდენობა 1 ან 3-  
ია; ჩემი აზრით, ლუნი უნდა იყოს და  
ძალიან კარგია, რომ ახლა უმეტესად,  
ორ-ორი მეჯვარე ჰყავს წყვილს. კენ-  
ტი მეჯვარე, ცუდის ნიშანიო, —  
გამიგონია... ქორწინების დღეს რომ  
წვიმს, ეს ძალიან კარგია: ნათქვამია —  
ბედნიერს უწვიმდესო... ადრე, არაჩვეუ-  
ლებრივი ტრადიციები გვქონდა: ნეფე-  
დედოფალი აქ ფაეტონით მოდიოდა,  
„მრავალუამიერით“ ვეგებებოდიო, ხე-  
ლის მონერის შემდეგ კი, ჩოხაში გამოწ-  
ყობილი ახალგაზრდები ახალდაქორ-  
წინებულებს ხმლებქვეშ ატარებდნენ.  
სამწუხაროდ, ახლა ამას აღარ ვა-  
კეთებთ, რადგან ზოგჯერ დღეში 80  
საქორწინო ცერემონიას ვატარებთ  
და მსგავსი რალაცების ორგანი-  
ზებას ვეღარ ვახერხებთ.

**— რომელიმე ცნობილი  
ადამიანი თუ დაგიქორწინებო-  
ათ მაისში?**

— არა, ასეთი ამბავი ნამდვილად  
არ მახსოვს.

*ქორწინების სახლში ვიზიტის  
შემდეგ, მოძღვარსაც შევხვდით და  
კომენტარი ვთხოვეთ, რათა გავუ-  
ქარწყლოთ ცრურწმენა იმ ადამი-  
ანებს, რომლებიც კვლავაც მოქ-  
ცეული არიან მის ტყვეობაში.*

**დავით შარაშენიძე, ლურ-  
ჯი მონასტრის მოძღვარი, საპა-  
ტრიარქოს პრესსამსახურის ხე-  
ლმძღვანელი:**

— ის, თითქოს მაისში ქორ-  
წინება არ შეიძლება, სრულიად  
უსაფუძვლო ხალხური თქმულებაა  
და სინამდვილეს არ შეესაბამება.  
ეკლესია ქორწინებას მხოლოდ  
მარხვის დღეებში ზღუდავს. მაისში  
კი, ისევე, როგორც სხვა დანარჩენ  
თვეებში, დაქორწინება შესაძლე-  
ბელიც არის და დასაშვებაც. ეს  
არანაირად არ იმოქმედებს წყვილის  
ბედზე, პირიქით — ვინც ამ ცრურწმე-  
ნას გადალახავს და ღვთის მორჩილი  
იქნება, მისთვის ქორწინება გაცილებით  
კარგი იქნება და ღმერთისგან მეტ  
მადლს მიიღებს.

# „თბილისში შექმნილი ფეხსაცმლით სიუხენ სარანდონმა წითელ ხალიჩაზე გაიარა“

ქაომის ფეხების უცაფისგან დამზადებული ფეხსაცმელი და ქართული დიზაინერის უნებლიე შექმნა

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ცნობილმა მსახიობმა სიუხენ სარანდონმა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, წითელ ხალიჩაზე, თბილისში შექმნილი ფეხსაცმლით გაიარა. პოლიგუდის ვარსკვლავმა, გამოსასვლელი ფეხსაცმელი ნიუ-იორკში, კომპანია „ტუფლს“ შეუქვეთა, რომლის მფლობელიც — ჩვენი თანამემამულე, თამუნა ჩუბინიძე გახლავთ. შექვეთის შესრულება კი, თამუნას დის — ნინოს მოვალეობაშია, რომელიც ამავე სახელწოდების ფეხსაცმლის სახლს თბილისში ხელმძღვანელობს. იმაზე, თუ როგორ ვითარდება „ტუფლის“ ბიზნესი თბილისიდან ნიუ-იორკამდე, რისგან მზადდება XXI საუკუნის ეგზოტიკური ფეხსაცმელი და ფეხსაცმლის მოდის რა ტენდენციებით ხასიათდება წლევეანდელი სეზონი, — **ნინო ჩუბინიძეს** ვესაუბრეთ.

## იმა ტუნიკილი

— ჩემი და, თამუნა ჩუბინიძე, უკვე 10 წელია, რაც ნიუ-იორკში ცხოვრობს. დაახლოებით ერთი წლის წინ, მას და მის მეგობარს, წარმომართ პოლონელ ქეთი მაცკოვსკის, გაუჩნდათ იდეა, რომ შეექმნათ კომპანია, რომელიც ფეხსაცმლის ინდივიდუალურ დაკვეთებზე იმუშავებდა. თუმცა პროფესიით ეკონომისტი, მანამდე, ისიც და ქეთიც, ნიუ-იორკში, „სითი ბანკში“ მუშაობდნენ და როგორც ჩანს, კარგადაც შეისწავლეს ადგილობრივი ბაზარი, სადაც ხელით ნაკეთობაზე მოთხოვნაა. „სითი ბანკში“, თამუნას საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა, რომელსაც კომპანია „ტუფლის“ გამო შეეღია. ამ ბანკის კლიენტები ძირითადად, სოლიდური, გავლენიანი ადამიანები არიან. სწორედ მათთან დამყარებული პირადი კონტაქტების წყალობით, „ტუფლს“ მალე გაუჩნდა პირველი კლიენტები. გარდა ამისა, თამუნამ და ქეთიმ პიარმენეჯერიც აიყვანეს, რომელმაც, როგორც კომპანიის იმიჯზე, ასევე კლიენტურის მოზიდვაზეც იზრუნა. კომპანიის შესახებ წერილები გამოქვეყნდა ისეთ ელიტურ ჟურნალებში, როგორებიცაა „ვოგი“ და „ელაი“. ეს გახლდათ ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) კომპანია, რომელიც თითოეულ კლიენტთან ინდივიდუალურად მუშაობდა. რა თქმა უნდა, კარგი ფეხსაცმელი შესაძლოა, „შანელსა“ და „გუჩიშიც“ შეიძინო, მაგრამ ხშირად დგება ფეხზე მისი მორგების პრობლემა... კომპანია „ტუფლის“ შესახებ ინფორმაცია ამერიკაში



ნინო ჩუბინიძე

ფეხის ზომას, არკვევენ იმას, თუ რამდენად პრობლემური ფეხი აქვს და ადგენენ სასურველი მოდელისა და დიზაინის ყველა ნიუანსს. შემდეგ, მთელი ეს ინფორმაცია თბილისში იგზავნება. აქ იკერება ფეხსაცმელი და მზა პროდუქციას ამერიკაში ვგზავნი. რამდენიმე თვის წინ, მაიამიში გრანდიოზული ჩვენება მოეწყო, სადაც „ტუფლის“ ფეხსაცმლის კოლექცია იყო წარმოდგენილი. ძირითადად, ეს გახლდათ მაღალქუსლიანი, ბისერით მორთული ღია ფეხსაცმელი, რომელსაც დიდი მონონება ხვდა წილად. ვიზუალური ეფექტის გარდა, ფეხსაცმლის შეფასებისას, ლომის წილი მის ხარისხს ენიჭება. პროდუქციის დამზადებისას, აუცილებლად ვითვალისწინებთ ხარისხისადმი იმ მოთხოვნებს, რომლებიც ნიუ-იორკში არსებობს.

— როგორც ვიცით, „ტუფლის“ კლიენტებს შორის, ბევრი ცნობილი ადამიანია...

— კომპანია „ტუფლმა“ 2 წყვილი ფეხსაცმელი შეუქვეთა ცნობილ მსახიობს — სიუხენ სარანდონს, ხოლო ერთი წყვილი — მის ქალიშვილს აჩუქა. ფეხსაცმელი შეგვიკვეთა ივანა ტრამპა, მისმა შვილმა ივანკამ. სხვათა შორის, სიუხენ სარანდონს ეს ფეხსაცმელი კანის კინოფესტივალზე, წითელ ხალიჩაზე გასვლისას ეცვა და როგორც იქ გადაღებულ ფოტოებზე ჩანს, 3 დღის განმავლობაში არც გაუხიდა. ჩემი და, თამუნა მიყვებოდა, რომ თავდაპირველად, სარანდონს კომპანიაში დაურეკავს და ისე, რომ თავისი ვინაობა არ გაუმხელია, ყველა ის წვრილმანი გამოუკითხავს, რომელიც შეკვეთის შესასრულებლად იყო აუცილებელი. მოგვიანებით კი, დაურეკავს, უკვე ვინაობა გაუმჟღავნებია და უთქვამს, მოსვლა მინდაო. თამუნამ

საკმაოდ სწრაფად გავრცელდა — კლიენტები შეკვეთას სხვადასხვა შტატიდან აკეთებენ და ცდილობენ, კომპანიის მუდმივ დამკვეთთა სიაში მოხვდნენ.

— როგორც ვიცით, „ტუფლი“ ნიუ-იორკში საკმაოდ პრესტიჟულ ადგილას მდებარეობს...

— კომპანიის ოფისი მედისონ-ავენიუზე მდებარეობს და მის მეზობლად „შანელის“, „გუჩის“, „ფენდის“, „დონა კარანისა“ და სხვათა საფირმო მაღაზიებია განლაგებული. იქვეა ნიუ-იორკში ცნობილი, „ჯონ რიდას“ სილამაზის სალონი, სადაც ვარცხნილობის გასაკეთებლად, ჯულია რობერტსი და მეგ რაიანი დადიან.

— როგორაა აწყობილი „ტუფლის“ ბიზნესი ნიუ-იორკიდან თბილისამდე?

— კლიენტი, კომპანია „ტუფლს“ ნიუ-იორკში უკვეთს ფეხსაცმელს. იქვე უღებენ



სიუხენ სარანდონს ეს ფეხსაცმელი კანის კინოფესტივალზე, წითელ ხალიჩაზე გასვლისას ეცვა



მითხრა: კომპანიაში ყველანი ძალიან ვნერვიულობდითო, მაგრამ სარანდონი ურთიერთობისას იმდენად უშუალო აღმოჩნდა, რომ დაძაბულობა სწრაფად მოგვეხსნაო. მან შავი ფერის, ღია ფესსაცმელი შეუკვეთა, ე.წ. პლატფორმის ძირით, რომელიც რა თქმა უნდა, თბილისში შეიკერა. ვიდრე ჟურნალში მისი ფოტოები არ ვნახეთ, არც კი ვიცოდით, რომ მსახიობი ამ ფესსაცმლის ჩაცმას კანის კინოფესტივალის გახსნის დღეს აპირებდა. ამჟამად, ვაშინგტონის ერთ-ერთი ელიტური ოჯახის წარმომადგენლის ქორწილისთვის ვასრულებთ შეკვეთას, როგორც პატარძლისთვის, ისე მისი მეჯვარეებისა და მეგობრების ამაღლისთვის. ჩვენი კომპანიის შეკვეთით შეკერილ ფესსაცმელს ატარებენ ცნობილი ამერიკული ჟურნალების რედაქტორები, კლუბების მენეჯერები...

**— ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, როდესაც შეკერილ ფესსაცმელს ნუნი უპოვეს და ამერიკიდან უკან, თბილისში გამოგზავნეს?**

— თითოეული ფესსაცმლის დამზადებისას, დიდი ენერჯია იხარჯება. როდესაც ადამიანი შეკვეთილ ნივთს მიიღებს, პირველად, რა თქმა უნდა, მას ვიზუალურად აფასებს. ამის შემდეგ, დამკვეთმა იგი ფეხზე უნდა მოირგოს. ჩვენი, როგორც შემსრულებლის მიზანია, მაქსიმალური სიზუსტით ჩავწვდეთ დამკვეთის მოთხოვნებს. ამისთვის, ფეხისა და თითების ზომის დასადგენად, დასკანირება და ახალი კომპიუტერული საშუალებებით — ე.წ. „ვიდეო-თვალით“ თბილისში მისი გამოსახულების მოწოდება ხდება. მაგრამ ცდომილება მაინც შეიძლება მოხდეს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ამერიკაში გაგზავნილი ფესსაცმელი მართლაც, უკან დაუბრუნებიათ, მაგრამ ამის მიზეზი, დიზაინისა და ხარისხის დაწუნება არასდროს ყოფილა; ასეთი რამ, ძირითადად, პრობლემური ფეხის შემთხვევაში ხდება, როდესაც კლიენტი ითხოვს ორთოპედიული საფენის დამატებას ან ფესსაცმლის უფრო მეტად დაჭიმვას.

**— სრულყოფილი ფესსაცმლის დასამზადებლად, ალბათ, დამკვეთის შესახებ დამატებითი ინფორმაცია გჭირდებათ — მაგალითად, რამდენ კილოგრამს იწონის, როგორია მისი ცხოვრების რიტმი და ა.შ.**

— როგორც წესი, ასეთი ინფორმაციის აფიშირებისგან კლიენტები თავს იკავებენ. მათი უმეტესობა ცდილობს, რომ ფეხთან დაკავშირებული პრობლემებიც კი დამალოს — იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს შეუიარაღებელი თვალ-

ითაც შეიმჩნევა. ხშირად ამბობენ, რომ ეს დროებითი პრობლემაა. არადა, ფესსაცმლის ყოველი წვრილმანი დამზადებისას, შესაძლოა, ძალზე მნიშვნელოვანი იყოს.

**— ალბათ, ამერიკაში შეკვეთილი ფესსაცმლის დამზადებას ბევრი დრო სჭირდება. დაახლოებით რამდენ წყვილს აგზავნიან ნიუ-იორკში ყოველთვიურად?**

— შეკვეთის შესრულების ვადას ფესსაცმლის დიზაინის სირთულე განსაზღვრავს, ის, თუ როგორი მოდელია შესაქმნელი და რა დამატებითი აქსესუარებს საჭიროებს. შეკვეთის შესრულების მინიმალური ვადაა 3-4 დღე, ხოლო მაქსიმალური — ერთი კვირა. რაც შეეხება შეკერილი ფესსაცმლის რაოდენობას, ესეც დამოკიდებულია, როგორც მოდულების სირთულეზე, ისე შეკვეთის რაოდენობაზე. მაგალითად, გასულ თვეში ამერიკაში 40 წყვილი ფესსაცმელი გაგზავნეთ. არ არის გამორ-

ამერიკელები უპირატესობას მაინც მალაქუსლიან ფესსაცმელს ანიჭებენ



იცხული, რომ მაისში დაკვეთების რაოდენობამ 60-ს მიაღწიოს. მაგრამ შესაძლოა, იმდენად რთული დიზაინის შეგვიკვეთონ, რომ თვეში 30 წყვილზე მეტი ვერ შევკეროთ.

**— ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც შემკვეთს გამოუთქვამს სურვილი, რომ მისი ფესსაცმელი ძვირფასი ქვებით მოგეროთ?**

— გვქონდა შემთხვევა, როდესაც ნიუ-იორკიდან მოოქრული კანტებითა და ძვირფასი ქვებით განწყობილი ფესსაცმელი დაგვიკვეთეს. ნიუ-იორკში დიდაი მოთხოვნა ეგზოტიკური ტყავის ფესსაცმელზე, ისეთზე, როგორიცაა პითონის, ალიგატორის და თქვენ წარმოიდგინეთ, ქათმის ფეხების ტყავზეც კი. ფესსაცმლისთვის საჭირო ყველა მასალას ნიუ-იორკიდან ვიღებთ...

**— რა განსაზღვრავს ფესსაცმლის ფასს?**

თამუნა ჩუბინიძე



— ფასის განმსაზღვრელი, მრავალი ფაქტორია. მაგალითად, ერთხელ, შეგვიკვეთეს ჩექმა, რომელიც მხოლოდ მძივებისა და სადაფის ღილებისგან უნდა აგვეწყო. ამ ჩექმას, მხოლოდ ორი ტყავის წვრილი ზორტი ჰქონდა და ფაქტობრივად, საღამოს აქსესუარი გამოგვივიდა. ეს ფესსაცმელი ამერიკაში 1.050 დოლარად გაიყიდა, მაგრამ თბილისის მომხმარებელი, ჩვენს პროდუქციას „ქართული“ ფასებით მიიღებს. ამჟამად, ძირითადად, ამერიკულ მომხმარებელზე ვმუშაობთ, ახლო მომავალში კი, საინტერესო ფესსაცმელს ქართველებსაც შევთავაზებთ.

**— რატომ აქვს ამ კომპანიას რუსული სახელწოდება?**

— როდესაც კომპანია ჯერ მხოლოდ ნიუ-იორკში არსებობდა და ფესსაცმლის სალონი თბილისში არ გვქონდა გახსნილი, „ტუფლის“ პიარმენეჯერი და ხელმძღვანელები მის სახელწოდებაზე ერთად ფიქრობდნენ. პიარმენეჯერს თამუნასთვის

უკითხავს: ქართულად ფესსაცმელს რა ჰქვიაო? ჩემს დას მისდა უნებურად წამოსცდენია — ტუფლიო. შემდეგ ბევრს ეცადა, შეცდომა გამოეწონებინა, მაგრამ პიარმენეჯერსაც და მის პოლონელ პარტნიორსაც იმდენად მოეწონათ მოკლე და უღერადი სახელი, რომ მათ გადაარწმუნებას აზრი აღარ ჰქონდა.

**— დაბოლოს, გვითხარით, როგორია ამერიკული მოდის ბოლოდროინდელი ტენდენციები?**

— ამერიკელები უპირატესობას მაინც მალაქუსლიან ფესსაცმელს ანიჭებენ. ძალიან მოდურია ჭრელაჭრულა, მკვეთრი ფერების ფესსაცმელი, რომელიც სხვადასხვა აქსესუარითაა განწყობილი. ამასთან ერთად, ნიუ-იორკის მაღალი საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს ღია, ამოჭრილ ფესსაცმელს, რაც შეიძლება ნაკლები თასმითა და ბორტით, შიშველი ფეხი რომ კარგად გამოჩნდეს.

ინფორმაციულ-მეცნიერული კოლაჟი

ეორა ღვალის უბის წიგნაკრები:

- 1. კვანია პატარა ქოთანია.
- 2. ქეში და ირიბი სინონიმებია.
- 3. ჰიტლერი, ევა ბრაუნზე 23 წლით უფროსი იყო.
- 4. ყველაზე მეტი მუსლიმანი ინდონეზიაში ცხოვრობს.

- 5. მიკი მაუსის შემქმნელ უოლტ დისნეის, თავგების ემინოდა.
- 6. თმის ერთ ღერს შეუძლია 3 კილოგრამამდე სიმძიმეს გაუძლოს.
- 7. „დამასხი“ ქლიავის

ჯიშია, მეორენაირად მას „კორკიმელს“ ეძახიან.

8. მეცნიერთა გამოთვლით, მზე და დედამიწა 4 მილიარდ 600 მილიონი წლის წინ წარმოიქმნა.

9. ამერიკის შეერთებულ შტატებში, 200 მილიონი პისტოლეტია კერძო მფლობელობაში.

10. ლეონარდო და ვინჩიმი გამოიგონა მალვიძარა, რომელიც მძინარეს ფეხის გულელებზე უღიბინებდა.

11. კუბელების სიღარიბეს, ახლა უკვე რუსებიც დასცინიან: „ნა კუბე ვსიო ესტ, ტოლკო ნეჩევა ესტ“.

12. მატამი დასავლეთ აფრიკაში მცხოვრები ტომია. ისინი ადამიანის თავის ქალით თამაშობენ ფეხბურთს.

13. თოჯინა ბარბის პროპორციები რეალურ ქალს რომ ჰქონოდა, იგი მხოლოდ ოთხ ფეხზე შეძლებდა გადაადგილებას.

14. გერმანიაში არსებული 17 ატომური ელექტროსადგური, ქვეყნისათვის საჭირო ელექტროენერჯის ერთ მესამედს გამოიმუშავებს.

15. საქართველოს ტელევიზია, დაარსებიდან პირველი 10 წლის განმავლობაში, ანძიდან ახორციელებდა მაუწყებლობას.


16. ჰოლივუდში, ალ პაჩინოს, აქტიურობის მანიაკსა და კინოგოლიკს ეძახიან. ალფრედ ჯეიმს პაჩინო მსახიობის სრული სახელი და გვარია.

17. ეგვიპტის ოკუპაციის დროს, ინგლისელი კარაბინერები, შორ მანძილზე სროლაში ვარჯიშისას, სამიზნედ სვინქსის ქანდაკებას იყენებდნენ.

18. ახლახან, საუდის არაბეთის ერთ-ერთ ქალაქში, ჩატარდა სილამაზის კონკურსი, რომელშიც 900 დედალი აქლემი იღებდა მონაწილეობას. გამარჯვებული აქლემის მფლობელს, ჯილ-

Serlok holmsisa da doqtor uotsonis saidumlo mogzauroba saqarTveloSi!

ბალაკლავა, ბალაკლავა!.. — აი, სწორედ ისე, როგორც მისტერ ჰიტლერი მტრის ზურგში, უშიშრად გადასცემდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის N სართულიდან მაშინ უცნობი, ახლა კი უკვე საქვეყნოდ ცნობილი ქართველი აგენტი სახელმწიფო საიდუმლოებას. კერძოდ: საქართველოსა და უცხოეთის პრესის დაიჯეტებსა და უცხოეთში მიმავალი ქართული დელეგაციების სიებს N ქვეყნის მოკავშირეს...



მანანა ჭირაქაძე

უშიშროების წარმატებული ოპერაციის შედეგად, სამშობლოს მოღალატე დანაშაულის ადგილზე იქნა ლიკვიდირებული... ოპ. მაპატიეთ — დაკავებული. ამოღებულია მისი ანტიკვარული რაციაც, რომელიც, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, უცხოეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ აუქციონზე გაიყიდება, შემოსული ფული კი, პრემიად დაურიგდებათ ამ წარმატებული ოპერაციის მონაწილეებს.

ყოველივე ამის შესახებ, სიამაყით გვაცნობებს ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებმა. მაგრამ სამშობლოს მოღალატე და სახელმწიფო საიდუმლოს გამცემი სრულებით არ შეესაბამებოდა ჩვენს წარმოდგენაში არსებულ, აგენტის ცნობილ სახეებს — შტირლიცს, 007-ს, თუმცა, ისინი ხომ თავიანთი ქვეყნებისთვის იღვწოდნენ, ხოლო ეს, ჩვენი ცოდვით სავსე ქართველი აგენტი, საოცრად პატიოსანი და წესიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ხედავთ, როგორ მუშაობენ უცხოეთის სპეცსამსახურები! ალბათ, სპეციალურად შეარჩიეს ასეთი ტიპი...

მაგრამ ჩვენს უშიშროებას რას გამოაპარებ?! სწორედ ამიტომ, რომ ის (უშიშროება) ხალხში ასეთი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს. ეზოში ბავშვები ახლა „ჩაშვებობანას“, უკაცრავად, — „დასმენობანასა“ და „მოსმენობანას“ თამა-




შობენ, ხოლო „დამალოზანას“ თამაშისთვის ასეთი გათვლა მოიგონეს: „თქვენ—გითვალთვალეთ— უშიშროება-ამიტომ-გელით-სამიშროება“...

როგორც ჩვენთან დაახლოებულმა, ძლიერ სარწმუნო და საოცრად ანკარა წყარომ შეგვატყობინა — ქართველ უშიშროების აგენტებს ინგლისელი კოლეგებიც ესმარებოდნენ ამ ფრიად რთული ოპერაციის განხორციელებაში. ვინ?... ახლავე მოგახსენებთ...

ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც პრესითა და ტელევიზიით, ოპერაციის ჩატარებამდე ორი კვირით ადრე გავრცელდა:

„გუშინ თბილისში ჩამოვიდა სკოტლანდიარდის კრიმინალისტა 2-კაციანი ჯგუფი, რომელიც ქართველ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს. ბრიტანელი





სამშობლოს მოღალატე და სახელმწიფო საიდუმლოს გამცემი სრულებით არ შეესაბამებოდა ჩვენს წარმოდგენაში არსებულ, აგენტის ცნობილ სახეებს — შგირლიცს, 007-ს

ბული იყო და მხოლოდ ვინრო წრისთვის გახლდათ ცნობილი).

ჰოდა, მოგეხსენებათ ქართული, თუნდაც ასეთი პატარა სუფრის ამბავი: თამადა, ჩემო ბატონო, ერთ-პიროვნული მონარქი, მეფე... ქართული კერძები, მრავალფეროვანი და მრავალგვარი... ხაჭაპური და ცვრიანი, ნალამზე შემწვარი მწვადები, ხინკალი და საცივი, ელარჯი, ჭვიშტარი და კუბდარი, შემწვარი კალმახი და ბაჟეში ჩაწყობილი კეფალი. მუავე, ცხარე და მწარე... და ეს ყველაფერი — შეზავებული, ერთმანეთთან წესითა და რიგით დაკავშირებული, არაჩვეულებრივი ქართული ღვინით და არანაკლებ მრავალფეროვანი, ფერადოვანი ქართული სიტყვით — ანუ სადღეგრძელოებით.

სპეციალისტები ქართველ სამართალდამცავებს რჩევის დონეზე გაუწევენ დახმარებას“.

არც პრესაში და არც ტელევიზიით არ ყოფილა დაკონკრეტებული მათი ვინაობა — გვარი, სახელი.

სინამდვილეში, ეს ორი ინგლისელი, სკოტლანდიარდელი კრიმინალისტები კი არა, — არც მეტი, არც ნაკლები, — ლონდონში ბეიკერსტრიტის 221-ბ სახლში მცხოვრები, ორი საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებაა.

ერთი — აი, ის, ვირტუოზულად რომ უკრავს ვიოლინოზე და საუკეთესო ხარისხის თამბაქოს ეწევა განუყრელი ჩიბუხით, თანაც, თავის ანალიტიკური ჭკუა-გონებისა და რაღა თქმა უნდა, დედუქციის მეთოდის წყალობით, ყველაზე რთულ და ჩახლართულ საქმეებს ხსნის.

მეორე — არანაკლებ განსწავლული — ლონდონის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი და ამასთანავე, სამხედრო ექიმი. დიახ, დიახ — შერლოკ ჰოლმსი, რომელმაც უჩვენა მსოფლიოს დანაშაულის გახსნის მცენიერული გზა და მისი განუყრელი, ერთგული მეგობარი — დოქტორი უოტსონი ეწვივნენ საქართველოს...

ისინი თბილისში გვიან ღამით ჩამოფრინდნენ. საპატიო სტუმრებს აეროპორტში ქართველი მაღალჩინოსანი ძალოვნები დახვდნენ, რომელთა დასახელებისაგან თავს შეეკავებთ, რადგან, ოპერაცია ძლიერ გასაიდუმლოებული იყო.

რატომ მაინცდამაინც ჰოლმსი?! — ჩვენ ძალოვნების არგუმენტები ისეთი „ძალოვანი“ იყო, ქვასაც კი გახეთქდა.

ჰოლმსმა ევროპისა და აზიის კრიმინალისტიკაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ეგვიპტის, ამერიკისა და განსაკუთრებით, საფრანგეთის პოლიცია გულდასმით სწავლობდა მის მეთოდებს, უმცირესი სამხილის ძიების სისტემას, თვით თამბაქოს ხარისხის განსაზღვრამდე. ჰოდა, თუ გვიშველის ვინმე — მისტერ ჰოლმსი გვიშველის, ამდენ ჩახლართულ, გაუხსნელ საქმეს ეგ თუ მოჰყვენს ნათელსო...“

აეროპორტიდან საპატიო და ფრიად საჭირო სტუმრები, ბუნებრივია, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, წინასწარ საგულდაგულოდ შეკვეთილ და მყუდრო სასტუმროში „მოყუჩებული“ სულ პატარა — ასე, 100-150-კაციან სუფრაზე მიაბრძანეს (ასეთ პატარა სუფრაზე იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, ოპერაცია ფრიად გასაიდუმლოე-

ბაჟეში ჩაწყობილი კეფალი. მუავე, ცხარე და მწარე... და ეს ყველაფერი — შეზავებული, ერთმანეთთან წესითა და რიგით დაკავშირებული, არაჩვეულებრივი ქართული ღვინით და არანაკლებ მრავალფეროვანი, ფერადოვანი ქართული სიტყვით — ანუ სადღეგრძელოებით.

...ასე და ამგვარად, ორი დღე და ღამე გაგრძელდა ქეიფი.

...მესამე დღით საკუთარ საწოლში გამოღვიძებული დოქტორი უოტსონი თვალებს არ უჯერებდა: დარაბებს მიღმა ტიპური ლონდონური ნისლიანი დილა იდგა.

მან ფეხზე წამოდგომა დააპირა, მაგრამ საიდნალაც ჰოლმსის განუყოფელი, შემპარავი ხმა შემოესმა.

„არ გირჩევ, უოტსონ, შენ ჯერ კიდევ ძლიერ სუსტადა ხარ... აი, ეს კი, ცოტას გაგამხიარულებს, — ფანაგრო ჰოლმსმა და მას გაზეთები და ფოტოები მიანოდა — საქართველოდანაა,“ — დასძინა მან. ფოტოებს ეტყობოდა, რომ პროფესიონალის მიერ იყო გადაღებული. ერთ-ერთ მათგანზე ქართულ კოლორიტულ სუფრის თავში მჯდომ დოქტორს საცივში ჰქონდა თავი ჩარგული და მშვიდად ეძინა, მეორეზე კი (ეტყობა, ის უფრო ადრე იყო გადაღებული), ის და ჰოლმსი შალახოს ცეკვავენ... რაც მთავარია, ქართული გაზეთების ინგლისურენოვან ვერსიაში შავით თეთრზე ეწერა: „გუშინ, საქართველოდან გამეგზავრნენ სკოტლანდიარდელი კრიმინალისტები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ, ქართველი კოლეგების მიწვევით ჩავიდნენ. როგორც ირკვევა, მათ შეისწავლეს ქართველ სამართალდამცველთა მიერ აქამდე ჩატარებული სამუშაოს შედეგები და იმდენად მოიწონეს, რომ ამის შესახებ თანამემამულეთათვის საკუთარი შეხედულების გაზიარებას აპირებენ“.

— კი, მაგრამ — როგორ?! ეს შეუძლებელია?! — წამოხტა საწოლიდან განცვიფრებული დოქტორი უოტსონი.

ჰოლმსი ფიქრებიდან გამოერკვა, სავარძლიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და სადღაც იქ — შორეულიკენ გაიხედა, თითქოს ფანჯრიდან საქართველოს ხედავსო და... სევდანარევი ღიმილით წარმოთქვა:

— როგორ?... ეს ხომ ელემენტარულია, უოტსონ: ისინი ქართველები არიან!..

ინფორმაციულ-მეცნიერული კოლაჟი

ეონა ღვალის უბის ნიგნაკოვან:

დოდ 500.000 დოლარი გადაეცა.

19. როდესაც სამიკიტნოში შესული რუსი დაიყვირებდა: „ΙΔΕΙΑΝΘΩ ΧΕΒΙΩΡΙ!“, გამყიდველს ულაპარაკოდ მიჰქონდა არაყი და ქაშაყი („ვოდკა“ და „სელიოდკა“ მართლაც კარგად ერითმება ერთმანეთს).

20. „ვოტ უ ნას ნა უკრაინე, გავარილი ჩტო ნეტუ ხლება, ნაროდ პადნატუჟილსა, ასვოილ ცელინუ ი პაიავილსა ხლებ. პატომ, ნე ბილო ელექტრიჩესტვა, ნაროდ პადნატუჟილსა, პასტროილი ელექტროსტანციი ი პაიავილსა სვეტ. შას, გავარიჩატ ნეტუ გაზა...“ — ჰყვებოდა ერთ-ერთ საესტრადო გამოსვლაში კლარა ნოვიკოვა.

21. ინგლისელები

დღესაც ტრაბახობენ, რომ კარიბის ზღვის ყველაზე მრისხანე მეკობრე ჰენრი მორგანი მათი თანამემამულე იყო. მორგანი კუნძულ იამაიკაზე იყო დასაფლავებული. მინისძვრის შემდეგ, მისმა საფლავმა 4 მეტრით წყლის ქვეშ დაინია.



22. საფეხბურთო მატჩის პირველი რადიორეპორტაჟი ქართულ ენაზე, ეროსი მანჯგალაძემ წაიყვანა. რადიომსმენელს ეს გადმოცემა ისე მოეწონა, რომ აკაკი ხორავამ, რომელიც ეროსის თეატრალური ინსტიტუტიდან გარიცხვას უპირებდა, გადანყვეტილება შეცვალა.

23. „მი ველიკაია სტრანა. ბილი ი ბუდემ ველიკოი სტრანოი, — განაცხადა ერთ-ერთ გამოსვლაში რუსეთის დუმის დეპუტატმა მიტროფანოვმა, — პაკა ნაში რაკეტი დალეთაიუტ დო ვაშინგტონა, მი ასტაიომსა ველიკოი სტრანოი“.

24. აინშტაინის უკანასკნელი სიტყვები სამუდამოდ უცნობი დარჩა კაცობრიობისათვის, რადგან მისმა მომვლელმა ქალმა, გერმანული არ იცოდა.

25. სიცოცხლის ბოლო წლებში, ივანე ჯავახიშვილი ხშირად ავადმყოფობდა. ექიმმა მას დიეტა დაუნიშნა და ყოველდღიურად, საქონლის ტყინის ჭამა ურჩია. ამ პროდუქტს, მისთვის მისი მეუღლე — ანასტასია ორბელიანი ყიდულობდა. ერთხელ, მას ყასაბიც კი გაეხუმრა, — ვინა გყავს სახლში ასეთი უტყვინო, ამდენ ტყინს რომ ყიდულობო?!



მარი ჯაშარიძე

— 1974 წელს დავიწყე მუშაობა მილიციაში, ინსპექტორად. ვიყავი უფროსი ინსპექტორი, განყოფილების უფროსი, სამმართველოს უფროსის მოადგილე; შემდეგ — სამმართველოს უფროსი, მინისტრის მოადგილე და 1992 წელს, მინისტრად დავინიშნე და ამ პოსტზე ერთი წელი ვიმუშავე. როცა სამოქალაქო ომი დაიწყო, ქალაქის სამმართველოს უფროსად და შეთავაზებთ, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ ვმუშაობდი. მინისტრი, დილარ ხაბულიანი გახლდათ. ის დაჭრილი იყო და საავადმყოფოში იწვა. სამოქალაქო ომის პირველსავე დღეებში, ორივე ფეხში დამჭრეს და მეც საავადმყოფოში მოხვდი... როცა ზვიად გამსახურდია საქართველოდან წავიდა და ძალაუფლება სამხედრო საბჭომ აიღო ხელში, მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დათო სალარი იქ დანიშნა. ის ჩემთან მოვიდა და მითხრა — მილიცია მე არ გამომყვება, შენ უფრო დავიჯერებენ, რადგან ამ სისტემაში ხარ გაზრდილი და ყველა პატივს გცემს, ამიტომ, მინისტრობა უნდა ითავო. უარი ვუთხარი, იმ მოტივით, რომ თუ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს დავკავებდი, ეს ჩემი მხრიდან, ზვიად გამსახურდიას ღალატი იქნებოდა. მეორე დღეს, დათო ისევ მოვიდა და მითხრა — ზვიადს ველაპარაკე და თანამაა, რომ შენ დავიკავო ეს თანამდებობაო... კიდევ ერთი ვივრა დავყავი საავადმყოფოში და შემდეგ, ჩემი მოვალეობის შესრულებას შევუდექი.

თქვენ ისეთ დროს მოგინათ მინისტრობამ, როდესაც საქართველოში საშინელი სიტუაცია იყო...

— მართალი ბრძანდებით. მაშინ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიარაღებული ფორმირება, სამოქალაქო შეგზვდებოდათ. თავად პოლიციელებზე ხდებოდა თავდასხმები, ადამიანის გატაცება სომ ჩვეულებრივ მოვლენად გახლდათ ქცეული. ასლა, თვეში 2-3 მანქანის გატაცება რომ ხდებოდა, ერთი ამბავი ატყდებოდა ხოლმე, მაშინ დღეში 100-200 მანქანა „იკარგებოდა“. თვითონ პოლიციაც გახლწილი იყო — ზვიადის ანუ უკვე ყოფილი ხელისუფლებისა და ახალი ხელისუფლების მომხრეებად. პოლიცია განიარაღებული გახლდათ, იარაღი ხალხს ჰქონდა და არა პოლიციას... თავდაცვის სამინისტროდან 5-6 ათასი ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-ნაშაღი წამოვიღე, რომ ჩემი

ბატონ რომან ბჰენცაძის ორი ხელისუფლების დროს მოუწია მინისტრობამ. ზვიად გამსახურდიას წასვლამდე და ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ, ერთი წელი მართავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ბევრი რამის მომსწრე და მონაწილეა.

მიუხედავად იმისა, რომ საუბრისას გულახდილია, მაინც მიხვდებით, რომ გაცილებით მეტი აქვს მოსაყოლი. არცაა გასაკვირი — რიგითი ინსპექტორიდან მინისტრამდე, დიდი გზა გაიარა; ამასთან, ოთხჯერ წავიდა შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სამჯერ დაბრუნდა უკან. საყვარელ საქმიანობასთან მისი ბოლო დამშვიდობება კი, 47 წლის ასაკში მოხდა...

# 47 წლის „კენსიონარის“ აღსაჩნა „დაპირბოვების“ საბჭოური მეთოდები, კრიმინალისთვის გაღებული სისხლი და კუტირის შედეგად „აღზავებული“

თანამშრომლები შემეიარაღებინა. ვცდილობდი, რომ პოლიცია ერთიან, მტკიცედ შეკრულ სტრუქტურად გადაქცევა და გუნდური პრინციპი დამენერგა, მაგრამ მე მხოლოდ ერთი წელი დავყავი მინისტრად და ბევრის გაცემა ვერ მოვასწარი.

— ხელისუფლების პირველი პირებიდან თუ ხორციელდებოდა თქვენზე ზენოლა? თუ გქონდათ საშუალება, საქმეები ობიექტურად გამოგვიხიბინათ?

— არავითარ ზენოლას არ განვიცდიდი — არც ზვიადის და არც შევარდნაძის ხელისუფლების დროს. პირიქით, თენგიზ სიგუამ მითხრა — არავითარ შემთხვევაში არ ჩავერევი არც საკადრო პოლიტიკაში და არც სამინისტროს სხვა საქმეებში; თქვენ უკეთ იცით, როგორ უნდა იმუშაოთ. არც ჯაბა იოსელიანს, არც თენგიზ კიტოვანს არ ჰქონიათ მცდელობა, რომ ხელი შეეშალათ პოლიციის მუშაობისთვის. შემდეგ, შევარდნაძე ჩამოვიდა და არც მას წამოუყენებია მოთხოვნა, რომ დაემორჩილებოდი და მისი შეხედულებისამებრ მემართა სამინისტრო... ავიყვანეთ ადამიანთა გამტაცებლების, ყაჩაღ თავდასხმელთა ჯგუფები, მანქანების გამტაცებლები. მაგრამ ხალხში იმდენი იარაღი იყო, რომ ძალზე ჭირდა კრიმინოგენური სიტუაციის ერთბაშად გამოსწორება. არ არსებობდა კანონი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, გვემუშავა. დავინყეთ რეფორმა და რაც მოვასწარი, გავაკეთე. მაგრამ ერთი წელი რეფორმისთვის ძალზე ცოტაა. ჩემი მინისტრობის დროს, სამინისტროს სისტემაში 23 ათასი პოლიციელი შედიოდა, შემდეგ — 60 ათასამდე აიყვანეს...

— როგორც მასსოვს, თქვენი მინისტრობის დროს, პენიტენციარული სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდა. რა მდგომარეობა იყო მაშინ სასჯელსრულების დანესახებულებებში?

— პირდაპირ გეტყვით — ეს გახლდათ სახელმწიფო სახელმწიფოში, სადაც ქურდული კანონები მოქმედებდა. მე მაშინვე ვამბობდი და მოვითხოვდი, რომ პენიტენციარული სისტემა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში უნდა გადასულიყო.

— ბატონო რომან, მასსოვს, 90-ანი წლების დასაწყისში, თბილისის

ციხეში ბუნტი მოხდა. ეს თქვენი მინისტრობის დროს ხომ არ იყო?

— ბუნტი 1991 წელს მოხდა. მაშინ მე მინისტრის პირველი მოადგილე ვიყავი. მასობრივი გაქცევის მცდელობა იყო. ეს მოხდა სწორედ იმ ციხეში, სადაც ამ რამდენიმე ხნის წინ, ასევე მოეწყო ბუნტი. მაშინ, 2500 პატიმარი გამოვიდა გარეთ. ეზოში სატივითო მანქანა იდგა, რაც თავისთავად, უკვე კანონის დარღვევა გახლდათ. ამ მანქანაში რამდენიმე პატიმარი ჩაჯდა და ალაყაფის კარის განგრევა ცდადეს. კოშკურებზე რუსი ჯარისკაცები იდგნენ, რომელთაც პატიმრის გაქცევის შემთხვევაში, სროლის უფლება ჰქონდათ. მაგრამ ისინი შეშინდნენ, „ვიშკებიდან“ ჩამოვიდნენ და გაიქცნენ. მაშინ არ არსებობდა „ომონი“ და „სპეცნაზი“. მათი ადგილი სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა დაიკავეს. მაშინ 11 პატიმარი დაიღუპა. ატყდა სროლა, პატიმრებმა უკან დაიხიეს... მით ვისარგებლე და ციხეში შევედი. პატიმრებს შორის, გოგა ხანდრავა, გია ჭანტურია, უამრავი „მხედროიწილი“ და სიკვდილმისჯილი იყვნენ... როგორც იქნა, ბუნტი ჩავასშეთ. რაც შეეხება ამ ცოტა ხნის წინ მომხდარ ფაქტს, ამის შესახებ კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან მიმდინარე პროცესებს შორიდან ვადევნებდი თვალყურს...

— როგორ ფიქრობთ — ქურდულ სამყაროსთან საბრძოლველად, ხელისუფლებამ სწორი გზა აირჩია?

— მეთოდები, რომლებსაც იყენებენ, დასახვეწია. ტერმინი — „კანონიერი ქურდი“ — ჩაინერა სისხლის სამართლის კანონში. ამის გაცემა არ შეიძლება, რადგან ეს ნიშნავს, რომ შენ, ხელისუფლება, აკანონებ ამ ინსტიტუტს. კანონიერი გახლავთ ხელისუფლება, პოლიცია... ქურდი კანონიერი როგორ იქნება?! მათ ჰქვიათ ქურდული ტრადიციების მიმდევარი ადამიანები. „ქურდული სამყარო“ არ მიმანია სწორ გამოთქმად. შესაძლოა, ვუნოდოთ ქურდული დაჯგუფება ან ბანდა... მთელი ცხოვრების მანძილზე ვებრძოდი ამ ხალხს, მაგრამ ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, თუ გეტყვით, რომ ისინი მათხებდნენ და პატივს მცემდნენ. რატომ? იმიტომ, რომ არასოდეს ამიღია ქრთამი, მით უმეტეს, ქურდის მიერ შემოთავაზებული. ქურდი თუ თანამშრომელს ფულით მოისყიდის, მას



თავშიც წამოარტყამს. საქართველოში ისეთი პერიოდებიც იყო, როცა ქურდი გარკვეულ თანხას გადაიხდიდა და გარანტიას მიიღებდა, რომ 6 თვე ხელს არავინ ახლებდა. მერე კიდევ გადაიხდიდა ფულს და კიდევ გარკვეული პერიოდის განმავლობაში რჩებოდა ხელშეუხებელი... XX საუკუნეა, რაღა დროს ქურდული ტრადიციებია?! დროა, რომ ეს ინსტიტუტი მოისპოს. ქურდულ ტრადიციებს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ ისე, რომ ადამიანის უფლებები არ შეილახოს. ერთ ამბავს მოგიყვებოთ: პატიგორსკ-ში მომიხდა შეიარაღებული შეტაკება 3 ადამიანთან. ერთი მათგანი ქურდი იყო — პაატა ჩლაიძე. ისე ვუკაცურად იქცეოდა, რომ როგორც მონინაღმდევით, მისით აღფრთოვანებული დავრჩი. შემდეგ, თავი დაიჭრა. „ავისუფლე“ და მთელი კილომეტრი ხელით ვატარე. მივიყვანე საავადმყოფოში. ვინაიდან იქ სისხლი არ აღმოაჩნდა, ჩემი სისხლი გადავუსხი... ჩვენ სხვადასხვა „პოლუსზე“ ვიმყოფებოდით, მაგრამ თავი ვალდეხლად ჩავთვალე, რომ დავეხმარებოდი. ის გაასაძარტლეს და 15 წელი მიუსაჯეს. გათავისუფლების შემდეგ, ცუდი აღარაფერი ჩაუდენია... ბევრ ქურდს გაუვლია „ჩემს ხელში“, მაგრამ მათი ღირსება არასოდეს შემილახავს. შესაძლოა, ებრძოლო ჩვეუთ, გონებით, ოპერატიულობით, მაგრამ — მკვლეელი იქნება, ქურდი თუ ნარკომანი, — ღირსება არ უნდა აპყარო. ლამის დაბადებიდან პოლიციელი ვარ, მაგრამ ძალიან მისარია, რომ დახვრება გაუქმეს. არასოდეს მინახავს ის ოთახი, სადაც სიკვდილმისჯილებს ხვრეტდნენ. შესაძლოა, ადამიანი მოკლა ომში, შეტაკებისას, ბოლოს და ბოლოს — გაბრაზებულ გულზე, მაგრამ როგორია, გათოკილი კაცის დახვრება, რომელსაც თავზე ტომარა აქვს ჩამოცმული და პირადად შენთვის არაფერი დაუშავებია?! ასეთ დროს, ზოგი გიუღებდა, ზოგი ტირის... საშინელებაა...

**— ქურდული ტრადიციის მხედვით, ხომ არ არსებობს აკრძალვა, რომელიც კრიმინალს პოლიციელისთვის სისხლის გადასხმას უკრძალავს?**

— (იციანის) ასეთი აკრძალვა მათ კანონში არ არსებობს. მომაკვდავ ადამიანს, ვის სისხლს გადაუსხამენ, ამას მნიშვნელობას არ ანიჭებენ... პაატა ჩლაიძის ამბავი — რომ მე სისხლი მივეცი — მთელმა ქურდულმა სამყარომ გაიგო. მასოვს, ერთმა დამნაშავემ, რომელიც 3-4 დღის გათავისუფლებული იყო ციხიდან, ისევ დანაშაული ჩაიდინა და თან, ჩვენი თანამშრომელი დაჭრა. დანაშაულის ადგილზე 2 კაცი მივედით. სახლში იყო ჩაკეტილი. მისი ძმის პირით შევუთვალე, რომ უიარალოდ შევიდოდი და სალაპარაკებლად. ამ წინადადებაზე დამთანხმდა. ერთი საათის განმავლობაში ვლაპარაკობდით. შევთავაზე, რომ ჩამბარებოდა, რადგან მის მიერ დაჭრილი მილ-

იცელი არ იყო გარდაცვლილი და შევიბრდი — დავხმარებოდი იმაში, რომ სასჯელის მინიმუმში მიეცათ და კოლონიაშიც ყურადღებას არ მოვაკლებდი... ის იარაღმომარჯვებული იჯდა, მაგდის მეორე მხარეს, ჩემ პირდაპირ და ჩუმად მისმენდა. მერე მითხრა — ახლა სულ იოლად შემიძლია შენი მოკვლა, მაგრამ ამას არ ჩავიდენ, რადგან პაატა ჩლაიძის სისხლი გადაუსხიო... ის ქურდი არ იყო, საუკეთესო ოჯახის შვილი გახლდათ და ცოლი და 3 თუ 4 წლის შვილიც ჰყავდა... მძას სთხოვა, რომ მისთვის წყალი მოეტანა. ჭიქა პირთან მიიტანა, მოსვა და მითხრა — ბატონო რომან, გიჟი არ გეგონოთ, მე ახლა თავი უნდა მოვიკლა და ამას შეგნებულად ვაკეთებ, რადგან ვიცი — ღირსი ვარო... ვერ მოვახერხე მისთვის ხელის შეშლა. ვერც მამე უშველა. სასხლეს თითი გამოჰკრა. ჩვენ თვალწინ მოიკლა თავი... ორმეტრიანი, ძალზე ლამაზი ბიჭი იყო. უზომოდ დამენანა სასიკვდილოდ. მას მართლაც, თავისუფლად შეეძლო ჩემი მოკვლა, მაგრამ სწორედ პაატასთვის განუელმა დახმარებამ გადაამარჩინა. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ დამნაშავეს უნდა მოეცე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს და პატივი არ უნდა აპყარო... როდესაც დღევანდელი პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრი იყო, ერთი კარგი ღონისძიება ჩაატარა: მოსამართლეები ნაიყვანა ციხეში და უჩვენა ის საკნები, სადაც პატიმრები ისხდნენ. ეს იმისთვის გააკეთა, რომ მათ სცოდნოდით — სად, რა პირობებში აგზავნიდნენ დამნაშავეებს და ყოველთვის სამართლიანი განაჩენი გამოეტანათ. თუ კანონი კონკრეტული დანაშაულისთვის 3-დან 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, რატომ უნდა მიუსაჯო მანცდამანც 10 წელი?! გადამეტებული სიმკაცრით ადამიანს ვერ გამოასწორებ. არის ისეთი დანაშაული, რომლის გამოც, ახალგაზრდა კაცი ციხეში არ უნდა გაუშვა, რადგან იქ სხვა მენტალიტეტია — იქ ადამიანი ითრგუნება და მგლად იქცევა. არ შეიძლება, რომ გაფლანგვისთვის, მკვლელობისთვის, ქრთამის აღებისთვის, ნარკომანობისთვის გასამართლებული ადამიანები ერთად ისხდნენ ციხეში... უნდა შეგვეძლოს პატიება და ვეცადოთ, რომ ნაკლები ხალხი დავიჭიროთ... ხშირად შევდიოდი მილიციის განყოფილებაში. პატიმარს რომ დავინახავდი, ვეკითხებოდი — რისთვის დაიჭირეს — ჩხუბისთვის, „ერთი

მონევა“ ანაშისთვის, თუ ერთი „ჩეკი“ ოპიუმისთვის... როცა საქმე ძიებშია, ვერ შეეხები, მაგრამ მე დაუფახებდი ხოლმე განყოფილების უფროსს და გავაშვებინებდი... ასე ადამიანის გამოსწორება უფრო იოლია, ვიდრე — მისი დასჯით. რა თქმა უნდა, ეს ყველაზე არ ვრცელდება.

**— დღევანდელი პოლიციის მუშაობას როგორ აფასებთ?**

— რა თქმა უნდა. უამრავი საქმე გაიხსნა, შესანიშნავად მუშაობს პატრული. მაგრამ ახალი ოპერატიული შემადგენლობა, რომელიც ძველი, გამოცდილი კადრების ადგილზე მოვიდა, ჯერ გამოუცდელია. შეიძლება, რომ განყოფილებებში, ძველი თანამშრომლებიდან თითო კაცი მაინც დაეტოვებინათ, რომ ახლებს მათგან ესწავლათ. ოპერატიული მუშაობა მეცნიერების დონეზე შეიძლება ავიყვანოთ. კარგი ოპერატიულ მუშაკად რომ ჩამოყალიბდეს, საიმისოდ პოლიციელს სულ მცირე, 5-წლიანი სამუშაო სტაჟი უნდა დაუგროვდეს. დღევანდელი პირადი შემადგენლობა 3-4 წლის შემდეგ ჩამოყალიბდება ნამდვილ პროფესიონალად. მაშინ გაცილებით მეტ საქმეს გახსნიან...

**— თუ დამნაშავემ პოლიციელი დაჭრა, მოკლა ან დააზარალა, გაცილებით მწვავე რეაქცია აქვთ ხოლმე თვითონ პოლიციელებს და მეტ სიმკაცრეს იჩენენ დამნაშავეს მიმართ. რატომ ხდება ასე?**

— როდესაც მოქალაქეს მოკლავდნენ, რა თქმა უნდა, ძალზე განვიცდიდი. მაგრამ როდესაც დამნაშავეს მსხვერპლი, სამართალდამცველი იყო, ამზე უფრო მწვავე რეაქცია მქონდა. იყო ასეთი შემთხვევა — მილიციელმა მილიციელი მოკლა, რიგითმა — ოფიცერი. ეს მოხდა ბაგებში. ვერა და ვერ ვახერხებდით ამ საქმის გახსნას. შემდეგ, ოპერატიული ინფორმაციის წყალობით გავხსენით და მკვლეელი აღმოჩნდა მილიციელი. თურმე, გარდაცვილი მკვლელის ვალი ჰქონია, მას კი დასალევა და უშაბტიუბია, თან პურის დანა წაუღია და ბაგებში წაუყვანია; ჯერ დაუღვევიათ, მერე — თავი ბოთლი ჩაურტყამს და დანით ყელი გამოუჭრია... ის მილიციელი ძალზე მკაცრად დაისჯა. ის ისეთივე დამნაშავე იყო, როგორც „სამოქალაქო მკვლეელი“.

**— ამ ბოლო დროს, ძალზე პოპულარულია მეზობლის, ნათესავის, მეგობრის ჩაშვება... ფულადი პრემიებიც კი დაანქსეს ვიღღოდ. ასეთი ინსტიტუტი წინათაც არსებობდა, მაგრამ გასამართლებული არ იყო. როგორ ახერხებდით ინფორმატორის გადაბირებას?**

— ამ მეთოდს ნამდვილად ვეზრობი. თუ არ იარსებებს ინფორმატორი, ბევრი საქმე დარჩება გაუხსნელი. მაგრამ არ მივესალმები ისეთ ჩაშვებას, როცა „წერილფხა“ დამნაშავე თავის გადასარჩენად ჩაუშვებს მასზე „დიდ“ კრიმინალს, თვითონ გარეთ გამოვა და იმას დააჭერინებს. თუ ადამიანმა იცის, რომ მისი მეზობელი — დამნაშავეა, ყიდის ნარკოტიკს, იარაღს და ამის შესახებ პოლიციას შეატყობინებს,



კარგ ოპერატიულ მუშაკად რომ ჩამოყალიბდეს, საიმისოდ პოლიციელს სულ მცირე, 5-წლიანი სამუშაო სტაჟი უნდა დაუგროვდეს

მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის... რაც შეეხება, ქურდებთან ურთიერთობას — ისინი, რა თქმა უნდა, ყოველთვის უარს ამბობდნენ ინფორმაციის მონოდებაზე, მაგრამ საინფორმაციო სერვისებს არსებობს, რომ მათაც დაეცდნენო რაზე. შემეძლო, მთელი კვირის განმავლობაში, დილიდან საღამომდე ვეზღვარიყავი და პატიმართან მელაპარაკა: ამოვიყვანდი ქურდს, დაევიგამდი და ვსაუბრებოდი. „ქურდი ხარ?“ — ვკითხავდი. — „კი, ქურდი ვარ,“ — მიპასუხებდა. — აქედან რომ გახვალ, ქურდი აღარ იქნები-მეთქი... უკვირდათ, ასე რომ ვუთხრებოდი. დიდი ხნის განმავლობაში ვკონტაქტობდი მასთან, ერთად ვჭამდით, ვსვამდით, სიგარეტით ვამარაგებდი და სიტბოსა და ყურადღებას არ ვაკლებდი... ასეთი ურთიერთობის დროს, კაცს აუცილებლად უნდა უფლები წამოსცდეს შენთვის საჭირო ინფორმაცია. შესაძლოა, მას მოეწონო და სიტყვა გადმოგიგდოს, რასაც „ტექნიკური“ ჩამოვება ჰქვია, ან შეცდომა დაუშვას. ოპერატიული მუშაკისთვის სიტყვის გადმოგება საქმის გახსნას ნიშნავს... მისი გასამართლების შემდეგ, როდესაც სასჯელადსრულების სხვა დანესებულებაში უნდა გადაყვანათ, ვიდრე ეტაპი შედგებოდა, ამოვიყვანდი ჩემთან კაბინეტში და ვკითხავდი: „ქურდი ხარ?“ — „კი, ქურდი ვარ,“ — მიპასუხებდა ძველებურად. — არა ხარ ქურდი-მეთქი, — ვეცხვადი და ვაჩვენებდი პატიმარს, რომელიც მის მიერ მონოდებული ინფორმაციის შედეგად იყო დაკავებული... ამის შემდეგ, იწყებოდა ხვეწა: — ნუ გამთქვამ, საიდუმლო შემინახეო... გაჩუქების სანაცვლოდ, მას ჩვენზე უნდა ემუშავა. რაც შეეხება აგენტურის გადმოხიზვას — ეს მთელი მეცნიერება გახლავთ. ამ კუთხით მუშაობის მხრივ, მსოფლიოში პირველ ადგილზე ვიყავით. მოსკოვიდან მოდებოდა საფუძვლიანად შემუშავებული ბრძანებები, თუ როგორ უნდა გვემუშავა აგენტურასთან. ადამიანი რომ გადმოხიზო და რაღაც გჯერდეს, „ჩანერგო“, ეს ძალზე რთული საკითხია, მით უმეტეს — დამნაშავეთა ჯგუფში. აქ 2 ვარიანტი არსებობს: ან ბანდის წევრებიდან უნდა გადმოხიზო ვინმე, ან გარედან უნდა შეიყვანო. ადამიანი რომ გადმოხიზო, ჯერ ჭკუით უნდა აჯობო. შემდეგ, უნდა გენდობოდეს. აუცილებლად უნდა იცოდე მათი ენა.

**ხელოვნურად უქმნიდით ხოლმე ისეთ სიტუაციას, რომ მას თანამშრომლობაზე უარი ვერ ეთქვა?**

— დიას, ასეც ხდებოდა. ზედმინეწი შევისწავლიდით გადმოსაბრებელი ადამიანის ცხოვრებას — სხვა აგენტის მეშვეობით. თუ დანაშაულს ჩაიდენდა, დაიჭირდით და არ დავსჯიდით. სანაცვლოდ, საჭირო ინფორმაციას მოგავწვდიდა. დანაშაულთა უმეტესობა სწორედ აგენტურის საშუალებით იხსნება...

**თუ გქონათ შემთხვევა, რომ დამნაშავეს მიმართ სიმპათიის გრძნობა გაგჩენიათ?**

— კი, როგორ არა?! სისხლის სამართლის სამძებროში ვმუშაობდი, როდესაც ერთმა პატიმარმა შემომითვალა, რომ ჩემთან შეხვედრა უნდოდა. რა თქმა უნდა, შეხვედი. დამნაშავე ვარ, მაგრამ ახლა, ისეთ საქმეზე ვარ დაჭერილი, რომელიც არ ჩამიდენია, შანტაჟი მომიწყვესო, — მითხრა... მართალი ყოფილა ის კაცი: მუუღლემ და ერთმა თანამშრომელმა მოუწყვეს საქმე ისე,

რომ დაეჭირათ. 15-წლიან „სროკზე“ მიდიოდა, მაგრამ გამომძიებელს ვთხოვე, რომ მოიქცეოდა გამოუძიებინა საქმე და ეს კაცი 15 დღეში უკვე სახლში დაბრუნდა... ხშირია შემთხვევა, როდესაც დამნაშავე ძალზე ჭკვიანია და რაც უნდა უკრიკო, მაინც ვერაფერს დააცდენინებ. როდესაც გრძნობ, რომ ის შენზე ჭკვიანია, პატივისცემის გრძნობა გიჩნდება. მასხოვს, ერთხელ, ქურდებმა მდიდარი ადამიანის ბინა გატყვეს. საამისოდ, მეზობლის ბინაში შეღწევა და მისი აივანიდან გადაძრომა დასჭირდათ. უკან რომ მობრუნდნენ, მეზობლის ბინაში გარდაცვლილი ახალგაზრდა მამაკაცის სურათი დაინახეს, თანაც, სიტუაციას ეტყობოდა, რომ იმ დღეს იყო დასაფლავებული. ქურდებმა მაგიდაზე ფული დატოვეს და წავიდნენ. ეს საქმე ჩვენ გაესხენით... აბა, მოდი და ასეთი დამნაშავეს მიმართ ნუ გაგიჩნდება პატივისცემის გრძნობა! ქურდია, მაგრამ შეუძლია, თეთრი და შავი გაარჩიოს... იყო ასეთი შემთხვევა: ნარკომანიისთვის დაიჭირეს ახალგაზრდა, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის ბოლო კურსის სტუდენტი აღმოჩნდა. უღამაზესი ბიჭი იყო, სუთლიან „სროკზე“ მიდიოდა. შემეცოდა. ახლა რომ გაგივთხ, შეეშვები წამლის კეთებას-მეთქი? — ვკითხე. თანხმობის ნიშნად, თავი დამიქნია. გავუშვი. დაეხიე მოკვლეული მასალები და გავუშვი. მეორე დღეს, დედამისი მოვიდა და მადლობა გადაამხიხა, რომ უანგაროდ გავუშვი მისი შვილი. მივხვდი, რომ სწორად მოვიქეცი, რადგან მან დედამისს არ დაუშალა წინაღობა მომხდარი ამბავი, — ე.ი. უეჭველად გამოსწორდებოდა. მართალიც აღმოვჩნდი, რადგან ის დღეს ექიმია და თავის საქმეს ბრწყინვალედ აკეთებს. მის გვარს ვერ გეტყვით, მაგრამ თუ ამ ინტერვიუს ნაიკითხავს, საკუთარ თავს ამოიცნობს... ერთი შემთხვევაც გამახსენდა: სამმართველოს უფროსად რომ ვმუშაობდი, ერთ დღეს, ისინი რაიონულ განყოფილებაში მივედი. იქ მაგალობლიშვილი გახლდათ მილიციის უფროსი, რომელიც ეზოში დამხვდა. ამ დროს, ოპერჯგუფის თანამშრომლებმა მოიყვანეს 60-65 წლის კაცი, რომელიც ჯიბის ქურდობისთვის დაუკავებიათ. — მოიპარე-მეთქი? — შევეკითხე. — კი, მოვიპარეო... — რომ გაგიშვა, კიდევ იქურდებ-მეთქი? — რა ვქნა, უფროსო, ვერ მოგატყუებ: ალბათ, ისევ მოვიპარავო... მაინც გავაშვებინე. უნდა გენახათ იმ კაცის თვალეზი! მიდიოდა და სულ უკან-უკან იყურებოდა: ალბათ ფიქრობდა, რომ ვამაყირებდით... ხშირად გამოსწორებულა დამნაშავე. რა თქმა უნდა, ყველა — არა. ერთხელ, მიმაგრებაში ყოფი კაცი დაიჭირეს. გვარად შალიკიანი იყო. მას უეჭველად დაბრუნებდნენ ციხეში. შემეცოდა და გავაშვებინე. სანყალს, ჯიბეში სულ 2 მანეთი ჰქონდა. მიმაგრებაში ჯანდაბარში იმყოფებოდა და ეს ფული იქ ჩასასვლელად, ნამდვილად არ ეყოფოდა. 25 მანეთი მივეცი და გავუშვი. ამის შემდეგ, დაახლოებით 10 წელი იქნებოდა გასული; მე უკვე ქალაქის სამძებროს უფროსი ვიყავი. კაბინეტში შემოვიდა ძალზე მდიდრულად ჩაცმული მამაკაცი. თვალებით ვიცანი. მოვიკითხე. აღმოჩნდა, რომ მიმაგრების შემდეგ, ნასულა ტამკენტი, მიუღია უმაღ-

ლესი განათლება და კარგი სამსახურიც უშოვია. მადლობის სათქმელად მოვიდა და სანთებელა მაჩუქა... ვინც დაეჭირე, ისინი არ მემამყებთან; ვინც გავუშვი, ყველა კარგი ადამიანი დადგა.

**თქვენი პროფესიის კაცი, სოკვილაძე ბებრჯერ ჩახედავით თვალბეზში...**


— ერთ შემთხვევას გავისხენებ: პოლიციის თანამშრომელი მიდიოდა მანქანით და სამხედრო ფორმაში ჩაცმულ ახალგაზრდა ბიჭებს გაუჩერა. მათ კი, ქალაქკარეთ გაიყვანეს, გააძრცვეს და მოკლეს. მთავარი მოქმედი პირი გვარად ანდლულაძე გახლდათ, მისი „მოადგილე“ კი — შეტილოვი. საქმის გახსნის დროს, მოვიდა ინფორმაცია, რომ ანდლულაძეს ერთ-ერთ სახლში, პირველი მისის ქუჩაზე უნდა მიეტანა ავტომობილი. დაიგება ოპერაცია, უბანი გადაიკეტა... აღნიშნულ მისამართზე ეზოში დგას ჩვენი მანქანა, სადაც მძლოლი ზის. იარაღის შესყვანა სწორედ მან უნდა მოახდინოს... როდესაც მძლოლი სიგნალს მოგვეცემა, მაშინ უნდა დაგვეყო ოპერაცია. ჩვენი ინფორმაციით, ანდლულაძეს ლურჯი ლაბადა უნდა სცმოდა. მას მხოლოდ სურათით ვიცნობდით. როდესაც მის გამოჩენას ველოდით, სწორედ მაშინ ჩავივარა გვერდით, ოღონდ — თეთრი ლაბადით. ვიცანი. დავარღვიე გეგმა და ავედევნე. ნამოგწევი და ილიაში მივარტყი ხელი, რომ გაემეო, ჰქონდა თუ არა ავტომობილი. როცა დავრწმუნდი, რომ ჰქონდა, დავარტყი და გავითხე. ხელები ჯიბეებში ჰქონდა ჩანყობილი. დაცემისას, ჯიბიდან ხელი ამოუვარდა. ჯიბეში „ლიონკა“ ჰქონია... დავაკავეთ. თუმცა, მეც მომხვდა ჩვეულებრივი გამგეობისგან, რადგან დამნაშავეს დაკავების მომენტში უფიქრიათ, რომ დამნაშავე მე ვიყავი და ვილაცხს ვვლავდი. არადა, ასე რომ არ მოვეცეულიყავი, ის აუცილებლად გამოიყენებდა „ლიონკას“ და ერთად ავფეთქებდით.

**ასეთი დაძაბული ცხოვრების სტილი თქვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად არ აისახა?**

— რა თქმა უნდა, აისახა. ამდენმა დაძაბულობამ, უსამართლობამ, ჩემს წინააღმდეგ გაჩაღებულმა ბრძოლამ, თავისი კვალი დატოვა. ეს ყველაფერი დაგროვდა და ამ ბოლო დროს, ნევროზი დამემართა. ძალზე ცუდად ვგრძნობდი თავს და ისეთ დეპრესიაში ვიმყოფებოდი, რომ სახლიდან გარეთ ვერ გავდიოდი. მიჩიჩინებდნენ — რისი გემინია? თავი ხელში აიყვანე, გარეთ სიარული სულაც არ არის საშიშიო, — მაგრამ ჩემს ცულში რა ხდებოდა, ეს მარტო მე ვიცოდი. ლაპარაკის თავიც კი არ მქონდა. უზომოდ ცუდად ვგრძნობდი თავს. მერე მიმასწავლეს, ფსიქოთერაპევტი გივი მანშიშვილი და მან შექოლო ჩემი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა... ახლა უკვე გავხედე ქუჩაში დამოუკიდებლად გასვლა და მანქანასაც ვმართავ. რადგან გულახდილი საუბარი გამოგვივიდა, ამას ამიტომ გიყვებით... მოვიშორე აკვიატებული აზრები, შიში და დამიბრუნდა ცხოვრების ხალხისი. სულ ცოტა ხნის წინ, 61 წლის გავხდი. ცოტა სევდა შემომეპარა, მაგრამ ჩემი ოჯახი ძალას მმატებს და მოდუნების საშუალება არ მაძლევს.



# ფოტოგრაფის ავტობიოგრაფია




11 აპრილს სრულდება 10 წელი გამომჩენილი ქართველი რეჟისორის, მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალებიდან. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის, თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის (დამფუძნებელი – მანანა ანთაძე) თაოსნობით, ეს დღე ამიერიდან, მიხეილ თუმანიშვილის ხსოვნის დღედ ცხადდება.

ფოტო გადაღებულია დიდი შემოქმედის სახლში, 1984 წლის სექტემბერში.

იური მეხითოვი

# „ჩემს წინაპრებს იმდენად შეუყვარლათ საქართველო, რომ მოტლანდიელები გაქართველდნენ“

„დარწმუნებული ვარ, ჩემი წინაპრები სხვა ქვეყანაში რომ გადასულიყვნენ საცხოვრებლად, ეროვნებას არ შეიცვლიდნენ, მაგრამ იმდენად შეუყვარდათ საქართველო, რომ ამ ქვეყანაში გამონაკლისი მოხდა — მოტლანდიელები გაქართველდნენ“, — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი მიხეილ მარმა. მის ძარღვებში მოტლანდიური, ესპანური, უკრაინული და ქართული სისხლი ჩქეფს და იმიგრანტთა მეოთხე თაობას წარმოადგენს. მარმის გვარი მოტლანდიის ისტორიაში XI საუკუნიდან მოიხსენიება. საქართველოში ამ გვარის წარმომადგენლებიდან საზოგადოებისთვის ყველაზე ცნობილი, ნიკო მარი გახლავთ, თუმცა ქართველი ერის წინაშე არანაკლები დამსახურება მის მამას — იაკობ მარსაც მიუძღვის. სახელოვანი წინაპრების შესახებ, ბატონი მიხეილ მარი მოგვითხრობს.



ნიკო მარი

## თამუნა კვინიკაძე

— იაკობ პატრიკის ძე მარი (მონტალიო) მოტლანდიის სოფელ ლუიჟეში 1793 წელს დაიბადა. იქვე გაატარა ბავშვობა და მიიღო პირველდანიებითი განათლება. იგი დაუახლოვდა იმ დროს ინგლისში მცხოვრებ მიხაილ ვორონცოვს (შემდგომში — მეფისნაცვალს კავკასიაში) და მასთან ერთად დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი (იაკობი აგრონომი გახლდათ). განათლების მიღების შემდეგ, იაკობი პირველად ესპანეთში ჩავიდა და ცოლად იქაური ქალი — ფაკუნდა ანტონიო შეირთო, რომელთანაც ორი შვილი შეეძინა: ევგენია (მადამ ფორბი) და იოანე. როდესაც მიხაილ ვორონცოვი ოდესის ოლქში მეფისნაცვალად გახდა, მან სთხოვა იაკობს, რომ ჩამოსულიყო ოდესაში, რათა გაემეწებინა სუბტროპიკული კულტურები. იაკობმაც არ დაახანა და ოჯახთან ერთად ოდესაში ჩავიდა. ის სავაჭრო სახლ „ატუდაში“ მსახურობდა. ეს სახლი საქართველოშიც ვაჭრობდა და თავისი ბაზები ჰქონდა რედუდკალესა და თბილისში. ოდესის შემდეგ, ვორონცოვი დანიშნეს



იაკობ მარი

მეფის ნაცვლად დასავლეთ საქართველოში. როდესაც იგი გაცნო იქაურ კლიმატს, ბუნებას, ხალხს, კვლავ სთხოვა იაკობს — იქნებ, აქაც ჩამოხვიდეთ. იაკობმა მეგობარს თხოვნა შეუსრულა და საქართველოში ჩამოვიდა. ეს იყო XX საუკუნის 20-იან წლებში. როცა დასავლეთ საქართველო ჯერ კიდევ არ ემორჩილებოდა რუსეთის მეფის ხელისუფლებას, გურია, მთლიანად თუ არა, ნაწილი მაინც, მამია გურიელის განმეგებლობაში იყო. რადგან იმ დრო-

ისთვის, ჩვენში იშვიათად მოიპოვებოდა მეურნეობის კარგი მცოდნე, სწავლული აგრონომი. გურიელმა იაკობი თავისთან მიიწვია და ოზურგეთის ბაღის მოწყობა სთხოვა. შრომისმოყვარე მოტლანდიელმა ამ საქმეს გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი და ოზურგეთში, გურიელის მიწაზე ბაღი გააშენა. შემდეგ სთხოვა გურიელს, რომ მიეცა მისთვის დასამუშავებელი მიწა, სადაც სანერგესა და საცდელ ნაკვეთს მოაწყობდა. გურიელმა თხოვნა შეუსრულა, იაკობს ლანჩხუთის მახლობლად მისცა სამოსახლო და დასამუშავებელი ადგილ-მამული, 15 ყმა-ოჯახით. იაკობმა ყმებზე უარი თქვა. ამის შესახებ, 1874 წელს, გაზეთი „დროება“ წერდა: „მარი საქებად მოიქცა. მას მთავარმა მამიამ შეაძლია რამდენიმე კომლი, 15 კაცი კუთვნილი მამულებით, მაგრამ პატიოსანმა და სინდისმინდა კაცმა დამშვიდებით უარყო და უპასუხა: მე სინდისი და მთელი ჭკუა ნებას არ მაძლევს, რომ ჩემისთანა კაცები მონებად მყავდესო“... შემდეგ იაკობი დასახლდა ჩოხატაურის მახლობლად, სოფელ დაბლაციხეში, სადაც მოაწყო შესანიშნავი მეურნეობა. მან უცხოეთიდან გამოიწერა ისეთი მცენარეები, რომლებიც მანამდე იქ არ არსებობდა.

— მაგალითად? — პირველი ცდა, სპარსეთიდან შემოტანილ ბამბაზე ჩაატარა ლანჩხუთში — იქ, სადაც ახლა სუფსის ტერმინალია. ცდამ კარგი შედეგი გამოიღო. ბამბა კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს. იაკობმა ყირიმიდან შემოიტანა და თავის მამულში დათესა ინდიგოს თესლი. მან შექმნა ვაზის მუდმივი სანერგე საფრანგეთის მსგავსად. 3 წლის მანძილზე, გამოიყვანა ვაზის ახალი ჯიშები. საზღვარგ-

არეთიდან სისტემატურად შემოჰქონდა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები, აწარმოებდა ცდებს სპეციალურ ნაკვეთებზე. ფრანგი მოგზაური დიუბუა კავკასიაში მოგზაურობის დროს წერდა: „1841 წელს, მარი თავის მეურნეობაში აყენებდა 400 ვედრო საუკეთესო ხარისხის ღვინოს. მარს წელიწადში მოჰყავს და ქუთაისში ყიდის 2.000-2.500 ფრანკი ღირებულების ღვინოს“. იაკობმა ესპანეთიდან ოდესაში შეიტანა „იზაბელას“ ჯიშის ვაზი. ოდესიდან კი, გურიაში ჩამოიტანა მისი ნერგები, გლეხებისთვის საჩუქრად. გურულებმა მას „ადესა“ უწოდეს. იაკობის სახელს უკავშირდება ასევე, საქართველოში ისეთი კულტურების გავრცელება, როგორცაა: ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, თუთა, ევკალიპტი, აბრეშუმის ჭია. ეს უკანასკნელი მას საზღვარგარეთიდან მალულად, ბამბუკის „ტროსტი“ შემოუტანია. ეს ის კულტურებია, რომლითაც საქართველო ცნობილი გახდა მსოფლიო ბაზარზე. 1841 წელს, იაკობი დროებით ტოვებს ჩოხატაურს და ქუთაისში გადადის საცხოვრებლად. დაბლაციხის მეურნეობის ხელმძღვანელად რჩება მისი ვაჟი — ივანე. ქუთაისში მარმა თან წაიყვანა რამდენიმე კაცი (შარაშიძე, კოტირაძე, ჟღენტი) და მათ სოფლის მეურნეობის საქმე შეასწავლა. იაკობ მარის ინიციატივით, ქუთაისის მახლობლად, სოფელ ჭომაში კარგი მეურნეობა მოაწყო — დღევანდელი ბოტანიკური ბაღი. იაკობთან სოფლის მეურნეობის შესასწავლად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩადიოდნენ, მას ხშირად ინვედნენ საკონსულტაციოდ საუფლისწულო მამულებსა და სხვადასხვა მეურნეობაში. ვორონცოვის თხოვნით, იაკობმა მოაწყო ქუთაისის ბულვარის ბაღი. მან ბაღ-ვენახები გააშენა ოზურგეთში, სოხუმში, ფოთსა და ზუგდიდში, რისთვისაც წელიწადში



600 მანეთი ჰქონდა დანიშნული ჯამაგირად. მე დღემდე მაქვს შემონახული მეფისნაცვლის წერილი-განკარგულება, სადაც აღნიშნულია ეს ფაქტი და ჩამოთვლილია ის კულტურები, რომელთა საზღვარგარეთიდან ჩამოტანა და გაშენება აქვს დავალებული იაკობ მარს, როგორც ამ სფეროს საუკეთესო სპეციალისტს... 1863 წელს, იაკობს 70 წლის ასაკში მუშაობა — ფაქუნდა გარდაეცვალა. მალე მან ცოლად შეირთო ალათი მალულარი. ერთი წლის შემდეგ, შეეძინათ ვაჟი — ნიკო. იაკობი ოზურგეთში 1874 წელს გარდაიცვალა. იქ მცხოვრებთა დაწინებულ მოთხოვნით, ბუკისციხეში გადაასვენეს და ეკლესიის გალავანში დაკრძალეს.

— **ნიკო მარის შესახებ, საზოგადოებისთვის ბევრი რამ არის ცნობილი. ევგენიასა და ივანეს შესახებ რას გვეტყვი?**

— ივანე საქართველოში მამის დანეყნებულ საქმეს უძღვებოდა. მისი მუშაობა უკრაინელი ქალბატონი ფროსია გახლდათ. მათ 3 შვილი — იაკობი (მამაჩემის ბაბუა), ელენა და ფიოდორი ჰყავდათ. ევგენიას მუშაობა გახლდათ ფაბრი, ამიტომ ის მადამ ფაბრით მოიხსენიებოდა. მან თბილისში ჩამოაყალიბა პირველი ქართული ქალთა გიმნაზია, სადაც განათლება მიიღო ეკატერინე გაბაშვილმა. შემდეგ, როდესაც თბილისი-ფოთის სარკინიგზო მიმოსვლა დაიწყო, ფოთში წავიდა, იქიდან კი — შოტლანდიაში. იმ დღიდან მოყოლებული, მის შესახებ ახლობლებისთვის აღარაფერია ცნობილი.

— **ნიკო მარის შთამომავლები სად ცხოვრობენ?**

— ნიკო უაღრესად განსწავლული და ნიჭიერი პიროვნება გახლდათ. შეიძლება დაუჯერებლად მოგვიყვინოთ, მაგრამ მანინც გეტყვი — მან ყველა ერის ენა იცოდა. ამის შესახებ, 1934 წლის 21 დეკემბერს,



ნიკო დედასთან ერთად

„ერმიტაჟის“ დირექტორი, ბორის პიოტროვსკი გაზეთ „სმენაში“ წერდა: „მარმა იცოდა მსოფლიოს ყველა ენები“. ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით. აფრიკაში აღმოუჩენიათ ველური ტომები, ყველა ქვეყნიდან შეუკრებიან ცნობილი ლინგვისტები, რათა დაედგინათ, რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ. საქართველოდან ნიკო წასულა. დათქმულ ადგილზე ღამით ჩასულა, მასპინძლებისგან მალულად ერთ ხეზე ასულა და 2-3 დღე-ღამე იქ გაუტარებია. ამ ხნის მანძილზე, უსმენდა მათ ლაპარაკს. მერე ჩამოსულა და ამ ტომის წარმომადგენლებთან კონტაქტი დაუწყარებია. ნიკო მარმა შეძლო ის, რაც ვერც ერთმა სხვა ცნობილმა ლინგვისტმა ვერ შეძლო.. ნიკოს 3 შვილი შეეძინა: ვალოდია, იური და ნინო. ვალოდია ახალგაზრდობაში დაღუპულა და მემკვიდრე არ დარჩენია. იგი ცნობილი სპარსოლოგი იყო. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე. იურის ერთი შვილი — ნიკოლაი ჰყავდა, რომელიც მეზღვაური გახლდათ. ერთ-ერთი ექსპედიციის დროს, გემზე გარდაიცვალა და მეზღვაურთა დაუნერეელი კანონის მიხედვით, მისი ცხედარი ზღვას „მიაბარეს“. ნიკოლას ერთი შვილი დარჩა — იური, რომელიც ახლა სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობს. ხოლო მისი ვაჟი იაკობი — ესპანეთში. 2004 წელს ნიკოს უმცროსი ქალიშვილი — ნინო გარდაიცვალა.

— **თქვენ მათთან კავშირი თუ გაქვთ?**

— დიახ. ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა ნინოსთან. მას ჰყავს ქალიშვილი — ნატაშა, რომელიც ახლა, აფრიკაში ცხოვრობს. ნინო პირველად, 70-იან წლებში ჩამოვიდა საქართველოში, ქობულეთში, სასტუმრო „სტროიტელში“ დაბინავდა. სასტუმროს ბიბლიოთეკარომ საუბრის დროს თქვა, რომ საქართველოში მისი ნათესავი მარები ცხოვრობდნენ. ბიბლიოთეკარი ჩვენი ჩოხატაურელი მეზობელი აღმოჩნდა. მან საქართველოში ნინოს ჩამოსვლის ამბავი მამაჩემს აცნობა. მამაჩემმაც არ დააყოვნა, ქობულეთში ჩავიდა და ნინო მოინახულა. ამის შემდეგ დაინყო ჩვენი ურთიერთობა.

— **ნინო სხვა დროს აღარ ჩამოსულა საქართველოში?**

— როდესაც ჩოხატაურის რაიონის საშუალო სკოლას ნიკო მარის სახელი მიანიჭეს, მეორედ მაშინ ჩამოვიდა. შემდეგ, ყოველ წელს, ზაფხულობით ჩამოდიოდა.

— **თქვენ თუ იყავით მასთან სტუმრად?**

— ვიყავი, ოჯახთან ერთად. ჩვენ ახლო ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. ნინო მამას ძალიან ჰგავდა გარეგნობით. 2 წელია, რაც გარდაიცვალა...

მიხეილ მარის ოჯახში ინახება ერთი საგულისხმო დოკუმენტი, რომელიც დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოსთან სახელმწიფო კანცელარიაში 2002 წლის 16 მაისს მოვიდა. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩვენი სატელეფონო საუბრის შესაბამისად, გიგზავნი მონაცემებს დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედ მეორის შესახებ.“

მისი უდიდებულესობა, ელისაბედ მეორე (ალექსანდრა მარი) დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის

ნიკო მარი ივანე ჯავახიშვილთან ერთად სინას მთაზე



გაერთიანებული სამეფოს და მისდამი სხვა დაქვემდებარებული ტერიტორიების დედოფალი, თანამეგობრობის მეთაური. ინგლისის ეკლესიის მეთაური და სარწმუნოების დამცველი — ტახტზე ავიდა 1953 წლის 2 ივნისს“... (შემდეგ, საუბარია დედოფლის მოღვაწეობასა და ქართულ-ბრიტანულ ურთიერთობებზე).

— **ბატონო მიხეილ, როგორ მოხვდა ეს დოკუმენტი თქვენს ოჯახში?**

— ელისაბედ მეორის იუბილე იყო. საქართველოს მთავრობას სურდა, მისთვის ეს თარიღი მიელოცა. დაინტერესდნენ მისი ბიოგრაფიული მონაცემებით და სთხოვეს ჩვენი ქვეყნის ელჩს, რომ ლონდონში ინფორმაცია მოეძიებინა. ამის შემდეგ, მისგან სახელმწიფო კანცელარიაში ეს წერილი მოვიდა.

— **არ იცოდით, რომ დედოფალი ელისაბედი თქვენი მოგვარე იყო?**

— არ ვიცოდი. — **თქვენი გვარის რამდენი ოჯახი ცხოვრობს ამჟამად საქართველოში?**

— 15. ამ გვარს, საქართველოში მცხოვრები 41 ადამიანი ატარებს.

# გონების სასარჩილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის  
(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„კასხუხუხის“ სვეტისკენ არ გაგაქცათ თავალი.

1. ერთხელ, ამ ქართველ მომღერალს რუსეთში გამართულ კონცერტზე სიმღერის ტექსტი დაავიწყდა. იგი არ დაიბნა და პირდაპირ დარბაზს სთხოვა, ტექსტი შემახსენეთო. ატყდა ერთი ამბავი, მისი დახმარება ყველამ ერთდროულად მოისურვა. ისეთი ხმაური დადგა, რომ მომღერალი იძულებული გახდა, ეთხოვა: არაფერი მესმის, იქნებ, დარბაზის ერთი ნაწილი გაჩუმდეს და მეორე ნაწილმა მიკარნახოსო.

2. საზღვარგარეთ გასტროლებზე ყოფნისას, როდესაც რუსთაველის თეატრი ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრეს“ წარმოადგენდა, რობერტ სტურუას, პატარა მიშიკოს როლზე იქაური ბავშვების აყვანა უწევდა. რატომ იყო იძულებული ქართველი რეჟისორი, სპექტაკლისთვის ყოველდღე ახალი „მიშიკო“ მოემზადებინა?

3. სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე, ივანე ყირმელაშვილი (1858-1934 წლები) ასპარეზობებზე კულა გლდანელის სახელით გამოდიოდა. ბეჭდაუდებელი ფალაფანი ბოლოს, ესებუასთან დამარცხდა. 1883 წელს, მეგობრების დახმარებით, კულა გლდანელმა თიანეთში მოაწყო დიდი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ვის გადასცა მან ამ ღონისძიების შედეგად შემოსული თანხა?

4. რომის იმპერატორი ნერონი ენით აუნერვლ გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. ერთხელ მან სასახლეში ყმანვილი კაცი მიიყვანა, რომელთანაც ისე ცხოვრობდა, როგორც ცოლთან. მიიყვანა და დიდი ქორწილიც გადაიხადა. რას ამბობდნენ ამ ამბის შემყურე რომაელები?

5. რატომ აყენებენ თურქეთის ციხეში პატიმრები ურთიერთანგარიშსწორებისას თავიანთ მტრებს დანით ჭრილობას საჯდომში?

6. „ჩემი მუსიკოსი მეგობრები, მიუხედავად მიღებული ჩვეულებისა, ჯანმრთელობის ნაცვლად, ყოველთვის ავადმყოფობას მისურვებენ“, — ამბობდა რუსი კომპოზიტორი ალექსანდრ ბოროდინი. რას „ერჩოდნენ“ ბოროდინს მისი მეგობრები?

7. რა დანიშნულება აქვს ლონდონის ქუჩებში სამი მეტრის სიმაღლის ბოძებზე დამაგრებულ ყუთებში ჩარგულ ყვავილებს?

8. რატომ უჩივლა გამოჩენილმა მოგზაურმა და გამომგონებელმა ჟან ივ კუსტომ ერთ-ერთ ფრანგულ ფირმას, როდესაც ამ ფირმის მეპატრონემ საკუთარი პროდუქციის რეკლამისთვის პირში ჩიბუხგაჩრილი, გამხდარი ძროხის სურათი გამოაქვეყნა?

# ანეკდოტები

\* \* \*

— გაზეთში წავიკითხე — სიგარეტის მოწვევა იმპოტენციას იწვევსო.

— მერე, დაანებე თავი?  
— ვერ მოვასწარი...

\* \* \*

ოსეთის ერთ-ერთ სკოლაში, ისტორიის გაკვეთილი მიმდინარეობს. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

— აბა, ბავსებო, ვინ მეტყვის, რა მოხდა 1859 წელსა?

— 1859 წელსა, დაიბადა ოსეთის სესანისნავი პოეტი, კოსტა ხეთაგუროვი!

— ყოჩაღ! დაჯექი! აბა, ახლა ვინ მეტყვის, რა მოხდა 1872 წელსა?

— 1872 წელსა, პატარა კოსტა ხეთაგუროვი 13 წლის გახდა.

\* \* \*

ქმარი ცოლს უყვირის:

— პისტოლეტი რომ მქონდეს, გესროდი! დანა რომ მქონდეს,



დაგარტყამდი!..

— შენც აიღე და მირქინე, მირქინე!..

\* \* \*

მისომ ეკლესიაში დიდი სანთელი აანთო და ღმერთს ეხვეწება:

— ღმერთო! სიკვდილსა გთხოვ! უარს ნუ მეტყვი, ღმერთო! ჩემთვის ხომ არ გთხოვ, სიღვდრისთვის მინდა!

\* \* \*

მეგრელი და გურული ნაკამათდნენ:

— რაია, ძამა, ვინცხა კონსტანტინე გყავდათ, გამსახურდია, და რაცხა მოთხრობა დანერა „დიდოსტატის მარჯვენა“, რას ნაგვჭამეთ თავი ტრაბახით?!

— აუ, „დიდოსტატის მარჯვენა“ თუ მოთხრობაა, მაშინ, თქვენი ეგნატე ნინოშვილის „გოგია უიშვილი“ დეპეშა ყოფილა!

\* \* \*

შეჯიბრებაზე — ბირთვის კვრაში, ერთი სპორტსმენი ეუბნება მეორეს:

— დღეს ძალიან უნდა მოვიწოდო — ტრიბუნაზე ჩემი სიღვდრი ზის.

— ტყუილად ცდილობ, ამ სიშორიდან მაინც ვერ მოახვედრებ.

\* \* \*

ავტოინსპექციის საგუშაგოსთან ჭიჭიკია და ბიჭიკია „ჟიგულს“ აწვებიან. ინსპექტორს ისინი შეეცოდება და ეუბნება:

— რას ნვალობთ, გააჩერეთ ეს გაფუჭებული მანქანა და ხელოსანს მოგიყვანთ.

— არაა, ძამო, ეს მანქანა გაფუჭებულია, ქორწილიდან მოვდივართ, ორივენი მთვრალეები ვართ და სახლამდე გვინდა მივაგოროთ.

\* \* \*

— ადე, მისო, ხელები დაიბანე, სტუმრები უნდა მოვიდნენ.

— რომ არ მოვიდნენ?!

\* \* \*

— რატომ იხედები საათზე ასე ხშირად? — ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეს.

— ძალიან განვიცდი — ასეთი საინტერესო გაკვეთილი უცებ ზარმა არ შეწყვიტოს.

\* \* \*

საშინელი შტორმის დროს, გემის მგზავრები კაიუტ-კომპანიაში შეიკრიბნენ. ფრაუ კრაუზე ქმარს ხელს გაჰკრავს:

— შეხედე იმ ქალის სახეს, პირდაპირ რომ ზის: ზუსტად ასე-



თი ნაზი მწვანე ფერის კაბა მინდა.

\* \* \*

ჭიჭიკია ეკითხება ბიჭიკიას:

— ბიჭიკია, ქალიშვილთან თუ ყოფილხარ ოდესმე?

— ქალიშვილთან კი არა, კაციშვილთან არ ვყოფილვარ, მაგის დედა ვატირე!

\* \* \*

კენგურუ მოდის დაჭრილ-დასისლიანებული. შეხვდება მეგობარი კენგურუ და ეკითხება:

— რა მოგივიდა?

— ოთხი სვანი დამესხა თავს, ჩანთის წართმევა უნდოდათ.

\* \* \*

ტურისტი, რომელსაც გალიით თუთიყუში გადაჰყავდა საზღვარზე, მებაჟემ გააფრთხილა:

— თუთიყუშზე ბაჟი უნდა გადაიხადოთ.

— რატომ?

— ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ საზღვარზე ბაჟის გადაუხდელად, მხოლოდ ფიტულის გადატანა შეიძლება.



მგზავრი ჩაფიქრდა. სახეზე ყოყმანი დაეტყო. ამ დროს, გალიიდან ისმის თუთიყუშის ხმა:

— ეეე, იცოდე, რამე არ მიქარო! წადი და ბაჟი გადაიხადე.

\* \* \*

სვანი ლატარიის ბილეთების გამყიდველთან მივიდა და ეკითხება:

— რამდენია ყველაზე დიდი მოგება?

— 10 ათასი ლარი.

— კარგია! გათამაშება როდის არის?

— ერთ კვირაში.

— ცუდია! მე ფული ხვალისთვის მჭირდება.

\* \* \*


ნეტავ, ევა ადამს თუ ლალატობდა?

— აბა, რა ვიცი. ისე, მეცნიერები ამტკიცებენ — ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვაო.

\* \* \*

ციხიდან სამი ტუსალი გაიპარა.

— სახლში მივალ თუ არა,



ეგრევე ცოლს დავეტაკები და 5 დღე გარეთ აღარ გამოვალ, — თქვა ერთმა.

— ქალი კი არა, ახლა კატაზეც არ ვიტყვოდი უარს! — თქვა მეორემ.

— მიაუ! — თქვა მესამე პატიმარმა.

\* \* \*

— ექიმო, ცხვირით ვერ ვსუნთქავ.

— შენც პირით ისუნთქე.

— გმადლობ.

— გმადლობ კი არა, ფული გადაიხადე!

\* \* \*

ექსკურსიამძღოლი ტურისტებს მიმართავს:

— თუ ჩვენი პატივცემული ქალბატონები გაჩუმდებიან, ნიაგარის ჩანჩქერის ხმას გაიგონებთ.

\* \* \*

კახელი ეუბნება მეგრელს:

— სანყალმა ჩემმა სიდერმა შარშან, ამ მუხაზე ჩამოიხრჩო თავი.

— ნერგი ხომ არ გაქვს, ნერგი?!

\* \* \*

სვანი მხატვართან მივიდა:

— გარდაცვლილი მამის ფოტო მოგიტანე და უნდა დამიხატო. ხო, კოსტუმი ჩააცვი და ქუდი მოხადე!..

— კი, ბატონო, დავხატავ, მაგრამ თმა საით აქვს გადავარცხნილი?


— ქუდს რომ მოხდი, შენ თვითონ ნახავ.

# გონაგონ სანახაურო

„გზის“ ერთგულიმკითხველისათვის

## (კასუხები)

1. ნანი ბრეგვაძე.
2. ადგილობრივი პროფკავშირები ბავშვის ერთ დღეზე მეტად დატვირთვის უფლებას არ იძლეოდნენ და ამის გამო უხდებოდა რობერტ სტურუას ყოველდღე ახალი „მიშკოს“ მომზადება.
3. ამ ღონისძიების შედეგად შემოსული თანხა კულა გლდანელმა მთლიანად ვაჟა-ფშაველას გადასცა, რამაც პოეტს საშუალება მისცა, პეტერბურგში წასულიყო სწავლის გასაგრძელებლად.
4. ამ ამბის შემყურე რომაელები ამბობდნენ, კარგი იქნებოდა, ნერონის მამასაც ასეთი ცოლი ჰყოლოდაო...
5. იმის გამო, რომ ადამიანზე ცივი იარაღით თავდასხმამ მისი სიცოცხლის ხელყოფის კვალიფიკაცია არ მიიღოს, „შურისძიება თურქულად“ — ასეა ჰქვია ამ სერხით ჯაფრის ამოცრას.
6. იგი პროფესორი გახლდათ ქმიის დარგში და მუსიკას მხოლოდ მაშინ წერდა, როცა შვეებულებაში იყო ან ავადმყოფობდა.
7. ეს ყვეალები ორსართულიანი ომნიბუსების მეორე სართულის მგზავრთა ესთეტიკური სიამოვნებისთვის არის განკუთვნილი.
8. კუსტომ ეს ნახატი საკუთარი თავის კარიკატურად ჩათვალა.



ძალიან დავილალოე!

# მონანიება

## შირ გვეტაძე



(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-18)

მათე ჩარგიევის (რომელიც რუსეთიდან ჩამოსული ქალის, ბასკაკოვას საქმროდ ასაღებს თავს) შესაპყრობად, მას რესტორანში პროვოკაციას მოუწყობენ და მონმის სტატუსით დაკითხვის საბაბით, მილიციის სამმართველოში წაიყვანენ. მისი ვინაობის დასადგენად, გამომძიებელი გადაწყვეტს, ბანდის წევრთა ურთიერთდაპირისპირებები მოაწყოს. გამომძიება გადამწყვეტ ფაზაში შედის.

ქუთაისის სამართალდამცველები — პოლკოვნიკი ბალანჩივაძე, პროკურორი ხომერიკი, გამომძიებელი მინდელი და თბილისიდან ჩამოსული პოდპოლკოვნიკი ძიძიგური — ქალაქში აღმოჩენილი ბანდის დასაჭერად, ერთდროულად ორ ადგილას ჩაატარებენ ოპერაციას. მთავარი სამიზნე — ბანდის მეთაური, გამოცდილი და ამავე დროს, ქართველი სამართალდამცველებისთვის უცნობი კრიმინალი, მეტსახელად ჭალარაა. ერთ-ერთი ბოროტმოქმედის — ვინმე

მინდელს დევძის ბინაში შეპყრობილი ბანდიტები ჩარგიევთან დაუყოვნებლივ არ დაუბრუნებია. გადაწყვიტა, ჯერ მათი ვინაობა დაედგინა, ზოგადად დაჰკითხა სამივე და სხვადასხვა საკანში მოათავსა. საგულისხმო ის იყო მხოლოდ, რომ სამივემ ივანისელის დაჭრა უცნობებთან ჩხუბით ასხნა და აღიარა — ქალის გატაცების მცდელობის ვერსია დევძის მოსატყუებლად მოვიგონეთო.

შემდეგი დაკითხვისას, რომელიც მინდელმა თბილისიდან ძიძიგურის დაბრუნების შემდეგ ჩაატარა, ივანისელმა და ბალავაძემ ისევ უარყვეს წაყენებული ბრალდებები. მაგრამ ტექნიკური და კრიმინალისტური ექსპერტიზის აქტების გაცნობის შემდეგ, უხალისოდ აღიარეს ბინის გაქურდვა და ტყვეშეღობის დაჭრა, თუმცა, ცივი უარი თქვეს იმაზე, რომ განემარტათ, რა უყვეს ან ვის მიჰყიდეს ნაქურდალი ნივთები, არც კიტოვანი ამხილეს და მთელი დანაშაული თვითონ დაიბრალებს, ხოლო ჩიკვაიძის მკვლელობა კატეგორიულად უარყვეს.

მინდელმა მათი ჩვენებებიდან ის დაკვინა გამოიტანა, რომ ივანისელმა და ბალავაძემ მართლაც არ იცოდნენ, ვის გადაეცა ნაქურდალი ნივთები. სოტოველთან მხოლოდ კიტოვანს ჰქონდა ურთიერთობა.

გამომძიებელმა იოლად გამოიფრა ივანისელისა და ბალავაძის განზრახვა, ელიარებინათ ტყვეშეღობის ბინის გაძარცვა და ტყვეშეღობის შემთხვევით და არა განზრახ მომხდარი მკვლელობა, რადგან თუ გამომძიება აღიარებდას

დაუჯერებდა, ახალი ბრალდებები არაფრით დაამძიმებდა მათ მდგომარეობას. ორივე, ხალისით პასუხობდა, სანამ საკითხი ტყვეშეღობის ბინის გაქურდვას ეხებოდა, მაგრამ როგორც კი გამომძიებელი ჩარგიევს ასხენებდა, ივანისელი და ბალავაძე უარყოფდნენ მასთან ნაცნობობას და მით უმეტეს, მასთან ერთად რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტს. კიტოვანთან ნაცნობობას კი, ადასტურებდნენ, მაგრამ ირწმუნებოდნენ — ამ საქმეში არ ყოფილა, შემთხვევით შევხვდით ერთმანეთსო.

ჩარგიევთან დაპირისპირებამაც არაფერი შემატა საქმეს. დევძის ბინაში შეპყრობილი ბანდიტები მტკიცედ უარყოფდნენ მასთან ნაცნობობის ფაქტს, ხოლო ბალავაძემ აგდებულად განაცხადა — ისლა გვაკალა, პარტიიორად ვილაღე პიჟონი ავიყვანოთო.

ჩარგიევი სრული სიმშვიდით შეხვდა ბანდიტებთან დაპირისპირებას, დუმდა და ზიზლით შესცქეროდა სამივეს.

კიტოვანი არ უარყოფდა ივანისელსა და ბალავაძესთან ნაცნობობას.

— დიდი ხანია, ვიცნობ. იყო დრო, ერთად ვმუშაობდით, მაგრამ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიმიღია. ქუთაისშიც შემთხვევით შევხვდი, გამიკვირდა კიდეც, რადგან გაქცევის შემდეგ, ბალავაძე არ მინახავს, ივანისელი კი, სულ არ მეგულეობდა ამ მხარეში, — უტიფრად აცხადებდა იგი.

მინდელმა რამდენჯერმე გულდასმით წაიკითხა საქმის მასალები, შენიშვნებით ისედაც აჭრელებულ ქაღალდს კიდეც

რამდენიმე სტრიქონი მიუმატა, შემდეგ პაპიროსს მოუკიდა, სერჟანტი ინმო და საკნიდან ბალავაძის ამოყვანა დაავალა.

— გაჭრის, უეჭველად გაჭრის, ბალავაძე არც იმდენად ჭკვიანია, ორივე ფეხით არ გაეხვას დაგებულ ხაფანგში, — მტკიცედ ჩაილაპარაკა გამომძიებელმა.

ორიოდე წუთის შემდეგ, სერჟანტმა ბალავაძე ამოიყვანა.

პატიმარი და გამომძიებელი კაბინეტში მარტო დარჩნენ. მინდელმა მკაცრად შეხედა, ის რატომღაც თავიდანვე ანტიპათიურად განწყობა ბალავაძის მიმართ და თუმცა ცდილობდა, ვერაფრით დაეძლია ეს გრძნობა. პატიმარმა თვალი აარიდა გამომძიებლის მოღუშულ მზერას, იქედნურად გაიღიმა და წვრილი, მეჩხერი კბილები გამოაჩინა.

ბალავაძე 30-32 წლისა იქნებოდა, გამხდარი და დალეული, ძალზე გრძელი ხელებით ორანგულტანგს წააგავდა, ხოლო ვინორ მხრებზე დაყრდნობილი დიდი ოთხკუთხა თავი, ერთი შეხედვით, სარზე ჩამოცმულ გოგრას მიუგავდა. სმირ წარბებქვეშ მოუხვეწრად ატრიალებდა გადმოკარკულ თვალებს. ეს თვალები მუდამ სადღაც იყურებოდნენ და ისე გაურბოდნენ პირდაპირ შეხედვას, თითქოს წუხდნენ, გამოსაჩენ ადგილზე რომ იყვნენ და ადამიანებისაგან დამალვა არ შეეძლოთ...

— ბალავაძე! — დაარღვია დუმილი გამომძიებელმა.

— გისმენთ, უფროსო, — თავი ასწია პატიმარმა.

— თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ჯიუტობას აზრი აღარა აქვს და ყველაზე უკეთესი გზა — დანაშაულის სრული აღიარებაა.

— დიას, უფროსო, — უმაღვე დაეთანხმა ბანდიტი.

— მაშ, აღიარეთ ყველაფერი და მოვრჩეთ.

— აკი ვაღიარე, სხვა რაღა გინდათ?! — გაიკვირვა ბალავაძემ.

— ის, რომ თქვენი აღიარება სრული არ არის. თავი ქურდად მოგაქვთ და დამწყები ჯიბგირივით კი იქცევით. გეტყობათ, ვაჟკაცობის ნატამალიც არ გაქვთ, ლაჩარი ყოფილხართ.

— ჩემი ლაჩრობა არავის გაუგონია, ზოგიც ძიძიგურს ჰკითხეთ და გეტყვით, — წაიდუღუნა ბალავაძემ.

— ეგ უნინ იყო, ახლა კი, შიშს დაუბევაჩავებიხართ და ივანისელის ოდენსაც ვეღარ ეწვეით, გაჯობეს!

— რაში მაჯობეს?

— ვაჟკაცობაში. ივანისელმა სავსებით აღიარა დანაშაული და დანვრლებითი ჩვენებაც მისცა გამომძიებას.

— ეგ ხომ მეც გავაკეთე, თუმცა დიდ ვაჟკაცობად არ ჩაგვეთვლება.

— ანა, თქვენ შიში გბოროკავთ და ცდილობთ, მთავარი დაუმალოთ გამომძიებას.

— რა მთავარი?

— დანაშაული ჩარგიევისა და კი-



ტოვანის მონანილეობა.

ბალავაძემ ბოროტად გაიღიმა.

— საკენკს მიყრით?..

— სრულეებითაც არა.

— არა კი არა, ნამდვილად. მე რომ სირცხვილად არ მიმანდეს ჩარგივისთანა პიჟონის საქმეში გარევა, დავაკმაყოფილებდი თქვენს სურვილებს და გეტყოდით, ისიც ჩვენთან იყო-მეთქი და ამით დაგიმტკიცებდით, რომ მე არავისი არ მეშინია და არც ვინმეს ვაფარებ ხელს, კიტოვანი კი ნამდვილად არ ყოფილა.

— ცრუობთ! და თუ გინდათ, მე ერთხელ კიდევ დაგიმტკიცებთ, რომ ივანისელთან შედარებით, საბრალო ლაჩარი ხართ! — მტკიცედ მიუგო გამომძიებელმა.

ბალავაძე აიძვრა, ბრაზი მოერიდა.

— დამიმტკიცებთ? აბა, ერთი, დამიმტკიცეთ! — ამოიხრიალა მან.

— კეთილი, ოლონდ, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ამით არა მართო თქვენს სილაჩრეს დაამტკიცებთ, არამედ სასჯელის შემსუბუქების უკანასკნელ შანსსაც დაკარგავთ.

— სასჯელის... — ბოროტად ჩაიციინა ბალავაძემ. — თორემ, მე ვიცი, დიდ შეღავათს გამინევთ... იქნებ გგონიათ, იმიტომ ვაღიარე დანაშაული, რომ თქვენგან ღმობიერებას ველი? ეგ ხომ თქვენც არ გჯერათ. ღმობიერება... მერე, რაში მჭირდება თქვენი ღმობიერება, რომელიც არასოდეს გამოგიჩენიათ?! ჩვენ კარგად ვიცი, რასაც ვაკეთებთ, ასევე — თქვენც. რა საჭირო ეს კომედია და სულელური აგიტაცია? თქვენი საქმეა — დაგვიჭიროთ, ჩვენი კი — გაგეცეთ. ახლა თქვენ გაიმარჯვებთ, ხვალ ჩვენ მოვიგებთ ომს და ამდენ ქალაქსაც არ გავაფუჭებთ, უფრო მოკლე ლაპარაკი გვექნება. თქვენ იცით ჩვენი კანონი, რა საჭიროა ამდენი ლაქლაქი? ჩარგივი გაინტერესებთ?.. დაუმტკიცებთ ბრალდება. თუმცა ის ერთი პიჟონი ვინმე ჩანს, მაგრამ მაინც არ დაგეხმარებით მის გაჭედვაში — მე მგონი, ეს თქვენთვის ნათელი უნდა იყოს: თქვენც ხომ არა ხართ გუშინ მოსული გამომძიებელი და მშვენივრად უნდა გესმოდეთ ჩვენი.

— თქვენი დახმარება არც გვჭირდება. მე მხოლოდ ის მიინდოდა მეთქვა, რომ მეტსახელი თქვენთვის სწორად შეურქმევიათ, რადგან არა მართო ტანით, არამედ სულითაც ნიპუჯა ყოფილხართ...

— ლანძღვას თავი დაანებეთ, რაცა ვარ, ყველამ იცის და არც თქვენ გეპარებათ ექვი ჩემს ვაჟკაცობაში.

— მაშ, რატომ არ აღიარებთ ჩარგივის საქმეში მონაწილეობას?

— აკი გითხარით, ასეთ პიჟონთან ჩვენ საქმე არ გვაქვს-მეთქი.

— ტყუით და იმდენად გეშინიათ, რომ ამ პიჟონის სახელს გახსენებაც კი

თავზარს გცემთ.

— რა სახელის? — დაიძაბა ბალავაძე.

მინდელს არ გამოჰპარვია ბალავაძის ტონში მომხდარი ცვლილება.

„მოდის, თავისუფლად მომყვება...“ — გაიფიქრა გახარებულმა.

— მეტსახელის, თქვენებურად — „კლიჩის“, — მიუგო დაუდევრად და თვალი თვალში გაუყარა.

ბალავაძე აიძვრა, მაგრამ სწრაფად დაიოკა ემოცია.

— საინტერესოა, — გაიღიმა მან. — იქნებ მითხრათ, რა ჰქვია?

— სწორედ ამისთვის ამოგიყვანეთ.

— მართლა?! მაშ, მითხარით და გაათავებთ, — მიუგო ბალავაძემ მოჩვენებითი სიმშვიდით.


— აჩქარება საჭირო არ არის, ყველაფერს თავის დროზე გაიგებთ. მაგრამ გაფრთხილებთ — თუ შეეცდებით, ხელი შემიშალოთ, მკაცრ ზომებს მივმართავ.

— არაფერი მესმის, — მხრები აიჩჩია ბანდიტმა.

— ახლავე აგისხნით ყველაფერს. კარგად მომისმინეთ და დაიხსომეთ: წელან გითხარით, ივანისელს თქვენზე მეტი ვაჟკაცობა აღმოაჩნდა და სათქმელი ბოლომდე თქვა-მეთქი.

ახლა მე მას დაგიბიროსპირებთ და ის თვითონვე გეტყვით ჩარგივის მეტსახელს.

მაგრამ თუ რა იმე მოჩუ-



ბით ან ნამოძახილით შეეცდებით ივანისელის შეჩერებას, იძულებული გავხდები, სათანადო ზომები მივიღო. გასაგებია?

— რა თქმა უნდა, პირველად ხომ არა ვარ! — ბოროტად გაიციინა ბალავაძე და დაუმატა: — ივანისელმა უნდა მითხრას იმ არიფის „კლიჩა“?

— სწორედ ივანისელი გეტყვით. ახლა კი, აქეთ დაბრძანდით, რომ ივანისელს არაფერი ანიშნოთ და სანამ ნებას არ დაგრთავთ, მისკენ მიბრუნება ან მასთან დალაპარაკება არ გაბედოთ.

გამომძიებელმა ბალავაძე კარის მოპირდაპირე კუთხეში ზურგმუცქევით დასვა, შემდეგ თავის სავარძელს დაუბრუნდა და ზარის ლილავს დააჭირა

თითი.

— ამოიყვანეთ ივანისელი! — უბრძანა სერჟანტს.

ბალავაძე ჰაპიროსს აბოლებდა და გულგრილად შეჰყურებდა მის წინ აღმართულ კედელს, მინდელი კი ქალაქს ფურცლავდა და თუმცა გარეგნულად არაფერი ეტყობოდა, ლელავდა. მან გარკვეული რისკი გასწია და იცოდა — თუ ეს ხერხი არ გაჭრიდა, კიდევ უფრო გართულდებოდა საქმე.

„მე მგონი, დავარწმუნე და ვფიქრობ, ჩემი ვარაუდი უეჭველად გამართლდება: ბალავაძე დაგებულ მახეში არა მართო თვითონ გაებმება, არამედ სხვებსაც გააბამს“, — ფიქრობდა გამომძიებელი და თან ქალაქს ფურცლავდა.

სერჟანტი ივანისელს შემოუძღვა.

— მანდ დასვით! — უბრძანა მინდელმა და კართან მდგარ სკამზე მიუთითა.

პატიმარი ჩამოჯდა, სერჟანტი იქვე გაჩერდა.

— როგორ გრძნობთ თავს? — შეეკითხა მინდელი ივანისელს.

— მადლობთ ზრუნვისათვის, არა

მიშავს.

— ჭრილობა აღარ განუხებთ?

— არა, ყოველდღე დადის ექთანის, წამალსა და მოვლას არ მაკლებენ.

— ხომ არ გსურთ, საავადმყოფოში მოგათავსოთ?

— სინაზესა და ნებვირობას თქვენგან მიჩვეული არა ვარ, აქაც კარგად ვგრძნობ თავს, — ივანისელმა ბოროტად გაიღიმა.

— უნდა გესმოდეთ, რომ გამოძიებას სრულეებითაც არ სურს, ფიზიკური ტანჯვა მოგაყენოთ. თქვენთვის ჯობდა, საავადმყოფოში დაწოლილიყავით — ჯერ ხომ ბოლომდე არ მოგშუშებიათ ჭრილობა. იქ უკეთ მოგივლიან, მით უმეტეს, უკვე აღიარეთ ყოველივე და

ახლა გამოძიებას მხოლოდ ფორმალური მხარე და დარჩა შესასრულებელი.

ივანისელის თვალეში სიბრაზე იელვა.

— რას ჩამაცვივით თქვენი საავადმყოფოთი?! სხვა საქმე თუ არა გაქვთ, თავი დამანებეთ და საკანში გამგზავნეთ! — მიუგო უკმეხად და ფეხზე წამოდგა.

— დაჯექით! — წყნარად ბრძანა გამოძიებელმა. — თუ არ გსურთ, ძალას არავინ გატანთ. რაც შეეხება საკანში გაგზავნას — მოესწრებით. ახლა კი, გამოძიება ბალავაძესთან გაპირისპირებით და გაფრთხილებთ, ჩემი ნებართვის გარეშე მას არაფერი შეეკითხოთ.

— კი, მაგრამ აკი ყველაფერი ვალი-არე, რაღას მიპირისპირებთ?

ბალავაძე შემობრუნდა.

— მშვიდად, ბალავაძე! — მკაცრად შენიშნა მინდელმა და შემდეგ, ივანისელს მიუბრუნდა: — აი, სწორედ ზოგი რამ უნდა უთხრათ ბალავაძეს, ზოგსაც მისგან მოისმენთ და დადასტურებთ. გასაგებია?

— გასაგებია.

— კეთილი, — მინდელმა საქალაქდე გაშალა, ივანისელისა და ბალავაძის დაკითხვის ოქმები ამოიღო და წინ დაიდო, შემდეგ დაპირისპირების აღსანუსხავად, სუფთა ბლანკი მოძებნა და ანკეტური მონაცემების შევსება დაიწყო.

პატიმრები ჩუმად ისხდნენ, ივანისელი თამბაქოს აბოლებდა, მისგან ზურგშექცევით მჯდომი ბალავაძე კი გისოსებიან ფანჯარას შესცქეროდა და უდარდელად აკაკუნებდა სკამის საზურგეზე. უეცრად, გამოძიებელმა სმენა დაძაბა. კაკუნი რიტმული გახდა. გამოძიებელს გარეგნულად არაფერი შეუშინებია, დინჯად, ლამაზად გამოჰყავდა ასობები.

ტაკ-ტიკი, ტუკ-ტუკი, ტუკ-ტაკი, ტიკ-ტიკი — განაგრძობდა კაკუნს, ივანისელისგან ზურგშექცევით მჯდომი ბალავაძე.

მინდელი აფიქსირებდა თითოეულ დარტყმას, ხოლო როდესაც ივანისელმა დაიწყო სკამზე დაკაკუნება, „თავის გართობა“, გამოძიებელმა ძლივს შეძლო მოულოდნელი სიხარულის დაფარვა.

პატიმრები ორიოდ წუთს ასე ერთობოდნენ, თან ზუსტად ასრულებდნენ გამოძიებლის მოთხოვნას და ერთხელაც არ გაუხედავთ ერთმანეთისკენ...

აი, ივანისელმა უკანასკნელად რამდენჯერმე დაარტყა შეკუმშული ხელის თითები სკამის საზურგეზე და კაკუნიც შეწყდა. იმწამსვე, ბალავაძე გამოძიებლისკენ შემობრუნდა.

— გადაიფიქრეთ დაპირისპირება?.. — შეეკითხა თავზედღურად.

— მშვიდად, ბალავაძე! — შეუძახა მინდელმა.

— მესმის, უფროსო! — დაკრიჭა მეჩხერი კბილები ბანდიტმა და გამარ-

ჯვებულივით გახედა გამოძიებელს.

მინდელს თითქოს არც შეუშინებია ბალავაძის გამოხედვა, სუფთა ფურცელი, რომლის რამდენიმე სტრიქონი წერტილებითა და ტირებით იყო დაფარული, საქალაქდეში ჩადო, კალმისტარი გვერდზე გადადო და სავარძელში შესწორდა.

— შეგიძლიათ მობრუნდეთ, — ნება დართო ბალავაძეს.

— ვა-ა, აკი გამაფრთხილეთ, აღარ გეშინიათ? — ცივი, ხრინწიანი ხმით გაიცინა ბალავაძემ.

— თქვენი და თქვენისთანების არც არასდროს გეშინებია... — მშვიდად მიუგო მინდელმა და დაუმატა: — გამოძიება უკანასკნელად გაძლევეთ შანსს, აღიაროთ ყველაფერი და ამით შეინარჩუნოთ შეღავათის უფლება.

— ერთი, ხელი აიღეთ და... — დაიღრილა ბალავაძემ.

— მაშ, არ იცნობთ ჩარგივს?.. — დაცინვით შეეკითხა გამოძიებელი.

— ვა, ეს რა ხათაბალას გადავეკიდე! რამდენჯერ უნდა გითხრათ — არამეთქი?!

— თქვენ? — ახლა, ივანისელს მიმართა.

— წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არის. ბალავაძემ ბოროტად გაიღიმა.

— ისევე ძველი „სიმღერები“?.. ივანისელმა მხრები აიჩჩა.

— იცით, რა, მოქალაქე გამოძიებელი, მე თქვენ გითხარით, როგორ გაქეპრდეთ ტყეშელიაძის ბინა და როგორ დავჭერი, თავდაცვის დროს, თვითონ ტყეშელიაძე. გითხარით, რომ ამ საქმეზე ნიპუკა მახლდა, ნიპუკამაც დაადასტურა ჩემი ნათქვამი, სხვა რაღა გინდათ? რას გადავეკიდეთ, ვილაც ჩარგივით? დაამთავრეთ საქმე და მოგვეშვიტით! „გვისუღონ“, თორემ, ჩემმა მზემ, მეტს დაკითხვაზეც ვეღარ ამომიყვანთ. ვეღარ ამომიყვანთ-მეთქი — ეშმაკმა წაიღოს ყველა გამოძიებლის თავი! — მთლად გაცოფდა ივანისელი.

— სასამართლო ნაადრევია, ფირუზ, მართო ხომ არ ნახვალთ — კიტოვანსა და ჩარგივს ეწყინებათ.

— კიტოვანი ამ საქმეში არ ყოფილა.

— მაშ, ჩოფურას გარეშე გააკეთეთ ეს საქმე? — დაცინვით შეეკითხა მინდელი.

— ეს კიდე ვინლაა?

მინდელს გაეცინა.

— მოკლე მესხიერება გქონიათ, ფირუზ. განა, ასე მალე დაგავინწყდათ კიტოვანის მეტსახელი? ან იქნებ, კვალისპილი უფრო მოგწონთ? თუ კიტოვანის მესამე გვარი გირჩევნიათ? შემოძლია დაგისახელოთ...

ივანისელი აირია, შემდეგ, ბალავაძეს ეს სწორად ბოროტი მზერა.

— ბალავაძეს რას უყურებთ? მიპასუხეთ! — არ მოეშვა გამოძიებელი.

ივანისელი დუმდა.

— თქვენ რას იტყვით, ბალავაძე?

— მე რა უნდა ვთქვა? — დაიღრინა

მან.

— დაგავინწყდათ, რაზე შევთანხმდით? — ჩვენ... ჩვენ შევთანხმდით?

— ცხადია, აკი ითხოვეთ — ივანისელთან დამაპირისპირებო.

— რაო? ვითხოვე? როდის ვითხოვე?! — გაოცდა ბალავაძე.

— ნახევარი საათის წინ. აკი, შევთანხმდით, დამეპირისპირებინეთ ივანისელთან.

— მერე რა?

— მერე და ის, რომ უთხარით, ვინ არის ჩარგივე და მოვრჩეთ.

ბალავაძეს ბრაზი მოერია, შემდეგ, ივანისელს მიაპყრო მზერა და როდესაც მის ეჭვით სავსე თვალეშს შეეფთა, გაცოფდა, მოუღვარე მზერა გადაიტანა მშვიდად მოღიპარ გამოძიებელზე.

— რა გინდათ ჩემგან? — ჩაიხიხინა ბრაზიანად.

— მინდა, უთხრათ ივანისელს, ვინ არის ჩარგივე. კიტოვანზე არაფრის თქმა აღარ მჭირდება: ივანისელისთვის ეს ნათელია.

ივანისელი დაიძაბა, უნებურად შეკუმშა მუშტები და გამაგებელი მზერა კვლავ ბალავაძეს მიაპყრო. მინდელი უძრავად იჯდა მაგიდასთან და ხელში ფანქარს ათამაშებდა.

ბალავაძისთვის გამოძიებლის უკანასკნელი კითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ერთხანს, თითქოს გაშტერდა, შემდეგ ხრინწიანად გაიცინა, სკამზე გვერდი იცვალა, ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და ვიდრე მოუკიდებდა, გამოძიებელს მიუგო:

— „პუშპუზე“ გინდა, ამიყვანო?

— უთხარით-მეთქი!

ბალავაძე გაცოფდა.

— რას შემომიჩნდა?! მე არ ვიცი, ვინ არის! — იყვირა ბრაზიანად.

— შიშმა წაგახდინათ? აკი, თქვით წელან...

— მე... მე ვთქვი? — ბრაზისაგან ენა დაება პატიმარს.

— ცხადია, თქვენ!

— რ-რა, რა ვთქვი?

— დაგავინწყდათ?.. ჩერ-ქეხი, სა-შკა ჩერ-ქე-ზი... — დინჯად დამარცვლა მინდელმა.

ბალავაძე დაჭრილი ნადირივით წამოიჭრა სკამიდან, შიშმა საზარლად დაუმანჭა სახე, წამით მეტყველების უნარიც დაკარგა, ქვიშაზე დაგდებული თევზივით, რამდენჯერმე დაალო პირი, ჰაერი სტვენით შეისუნთქა, შემდეგ, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო: ამ დროს, ავზასავით ისკუპა ივანისელმა, ერთი ნახტომით გადაეწყო მაგიდას და ვიდრე სერუანტი გამოერკვეოდა, ბალავაძე ქვეშ მოიგდო. იმწამსვე, მინდელი ივანისელს ეძგერა, გამოძიებელს გონს მოსული სერუანტიც მიეშველა და როგორც იქნა, ნახევრად მიმხრჩვალი ბალავაძე ხელიდან გააგდებინა მხეცად ქცეულ ბანდიტს.

ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა,



რომ ათამდე დათვლასაც ვერ მოასწრებდა კაცი.

— „სუჟა“! „პრასტიტუტკა“! „ლეგვის“ „სტუკაჩო“! მე მაჩუმებდი, თვითონ კი, ყველანი ჩააგირავე, თხასავით გაყიდე?! — ახრჩიალებდა კბილებს ივანისელი და მშიერი მგელივით, მანამდე ინევდა ბალავაძეზე, ვიდრე სერუანტმა ხელბორკილი არ დაადო.

ბალავაძე ხმას არ იღებდა, მუნჯივით იჯდა სკამზე, შიშჩამდგარი თვალებით უაზროდ შესცქეროდა გამომძიებელს და ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა.

ის ისე გააბრუა რამდენიმე წამის წინ დატრიალებულმა ამბავმა, რომ ჯერაც ვერ მოსულიყო გონს. ნებისყოფანართმეული მანეკენივით გაშეშებული, მექანიკურად იზებდა კისერს, რომელზეც ნითლად ეტყობოდა ივანისელის თითების კვალი.

ტმა მარჯვედ გამოიყენა სამბოს ილეთი და ბოროტმოქმედი ძნასავით სკამზე დასცა.

— მშვიდად, ბალავაძე, თქვენი თამაში დამთავრდა! — მკაცრად შეუტია მინდელმა და ფეხზე წამოდგა.

ბალავაძე გონს მოეგო.

— ეს რა მიყავი? რა მიყავი-მეთქი, შენი ოხერი დედა!.. ბილწად შეიგინა და გამომძიებელს ზიზლით შეხედა.

— წყნარად, თორემ კარცერში გიკრავთ თავს! — აუღელვებლად უთხრა მინდელმა.

— მე, მე და — გამყიდველი, გამცემი?! უჰ, შენი დედა!.. — კვლავ შეიგინა ბალავაძემ და კვლავ შეეცადა, ხელიდან გასხლტომოდა სერუანტს.

— გაიყვანეთ! დღესთვის კმარა. დანარჩენი — შემდეგ, როცა დამშვიდება, — უბრძანა მინდელმა სერუანტს. მაგრამ ბალავაძეს წასვლა არ უნდოდა,

ბ მ ა მ ა ლ ლ ა  
ღ რ ი ა ლ ე ბ -  
და  
ც უ ზ



მორეული, იქამდე ისროდა უშვერ სიტყვებს, ვიდრე სერუანტმა და მის დასახ-

დაპირისპირების გაგრძელება ვეღარ მოხერხდა. ივანისელი ცოფებს ყრიდა, უშვერი სიტყვებით იგინებოდა და ჯიუტად მიიწევდა ბალავაძეზე. სხვა გზა არ იყო — მინდელმა გამხეცებული ივანისელი საკანში გაისტუმრა.

მინდელი არ ჩქარობდა, მოთმინებით ელოდა, როდის იტყოდა რამეს ბალავაძე, რომელიც კვლავაც უძრავად იჯდა და უაზროდ ატრიალებდა შიშისგან გაფართოებულ თვალებს.

უეცრად, ბალავაძემ ნადირივით დაიზმუვლა, სკამიდან წამოიჭრა და გამომძიებლისკენ გაიწია, მაგრამ სერუან-

მარებლად გამოძახებულმა მორიგე კაბინეტიდან არ გაათრიეს.

მინდელი სიხარულს ვერ ფარავდა. შედეგმა მის მოლოდინსაც კი გადააჭარბა. ახლა, კიტოვანის გატეხა საექვო ალარ იყო.

ლევანმა სუფთა ფურცელი ამოიღო, რომლის ორი სტრიქონი წერტილ-ტირეებით იყო აჭრელებული, თვალი გადაავლო. „კონსპირატორები... ისე გაბნენ, ჯერაც ვერ გაუფიათ. ეს სწორედ ის უკანასკნელი რგოლია, რომელიც კიტოვანს გატეხს და ჭაღარასაც ააღაპარაკებს“, — ჩაილაპარაკა კმაყ-

ოფილებით.

მხოლოდ ახლალა გაახსენდა, რომ მთელი დღე არაფერი ეჭმა, მაგრამ არც გრძობდა შიმშილს.

ენერგიული მოძრაობით გაალო ფანჯარაში გამოჭრილი სარკმელი, მერე დარეკა და სერუანტს კიტოვანის ამოყვანა დაავალა.

გადამწყვეტი ბრძოლა იწყებოდა...

კარში კიტოვანის გაუპარსავი სახე გამოჩნდა. შემდეგ, წელში გასწორდა, მანძილი კაბინეტის კარიდან საწერ მაგიდამდე თავისებური მოძრაობით გაიარა და დაუპატიჟებლად ჩამოჯდა კუთხეში მდგარ სკამზე. ფეხი ფეხზე გადაიღო და პაპიროსი გააბოლა.

მისი სახე არც ზიზლს გამოხატავდა, არც სიბრაზეს. თვალები დამცინავად მოეჭუტა და ისე შესცქეროდა მინდელს, თითქოს სურდა ეთქვა — შენისთანა გამომძიებელი ბევრი მინახავს და შენც ჩემგან მხოლოდ იმას შეიტყობ, რის გამხელასაც მე მივიჩნევო საჭიროდ... მინდელმა თითქოს ვერ შეამჩნია პატიმრის გამომწვევი ქცევა. მშვიდად შეათვალიერა კიტოვანი.

— ფეხი ჩამოიღეთ, სამიკიტნოში როდი ხართ! — უთხრა ცივი ხმით.

— ვაა, განა სამიკიტნო, მილიციიზზე უარესია?.. — გაიღრიჭა კიტოვანი, მაგრამ ფეხი ჩამოიღო, პაპიროსი ტუჩების კუთხეში მოიქცია და ხელებით მუხლისთავეებს დაებჯინა.

გამომძიებელმა კუშტად შეხედა, შემდეგ, მაგიდის უჯრიდან დაკითხვის შეუფსებელი ბლანკი ამოიღო, წინ დაიდო და ერთხელ კიდევ შეათვალიერა პატიმარი.

— თქვენი გვარი? — დაიწყო დაკითხვა.

— ვა, გუნინწინ არა მკითხველარ დაიხსომე? — გაიკვირვა კიტოვანმა.

— მე წამდვილ გვარს გეკითხებით.

— მეც „ნატურს“ გუუბნები, რალა!

— მაშ, არ გინდათ, თქვენი გვარი დაასახელოთ?.. თუმცა, არცაა გასაკვირი: თქვენ ხომ მრავალ გვარს ატარებთ.

— არც იმდენს, რომ დახსომება ვერ შევძლო... — ჩაიცივნა პატიმარმა.

— მაშინ, ჩამოთვალეთ თქვენი გვარები.

— ძალიან ბევრი მოგივათ, თქვენთვის ერთიც საკმარისია... — კვლავ გაიცივნა ცრუკიტოვანმა.

— კეთილი, რაკი არ გსურთ, მე გეტყვით, ბრალდებულთა კვალიაშვილო, იგივე დავითიძე, იგივე ჩოფურა, იგივე... — საჭირო ალარ არის. მიაგენით?.. ამოქექეთ უკვე?! — შეაწყვეტინა პატიმარმა.

— რა თქმა უნდა. თქვენ ხომ პირველად არ ზიხართ და მშვენივრად იცით, თქვენი ვინაობის დადგენა არ გაგვიჭირდ-

ებოდა, — დაუდასტურა გამომძიებელმა.  
— მომილოცავს, მალარიჩი ჩემზეა, რალა!

— ლაზლანდარობას თავი დაანებეთ და თქვენს თავზე იფიქრეთ. ნუთუ არ მოგწყინდათ ამდენი ბოროტება?!

— აბა-აბა, ეგეთები არ იყოს! მე თვითონ შემოძლია, ვისაც გინდა, აგიტაცია გაეუწიო... — მკვახედ უპასუხა კიტოვანმა.

— ვხედავ, მაგრამ მაინც: ნუთუ, ბოროტებაში უნდა გალიოთ მთელი სიცოცხლე?!

— ვა-ა, ამ ცხოვრებაში ყველას თავისი გზა აქვს. ხომ გაგიგონიათ — ვინ სად ჯდება, მისი ადგილიც იქ არისო. მეც ჩემი ადგილი მომიხასია და პურს იმითა ვჭამ.

— ადამიანის სისხლით დამბალ პურს?..

— სისხლიან საქმეზე მე არ დავდივარ, სუფთა „სამუშაოს“ მივდექ: რაც ცუდად დაუდევთ, ავიღებ და — მორჩა!

— და ასე გინდათ გალიოთ სიცოცხლე?..

— კიდევ აგიტაციას იწყებთ?! — მოიღუშა კიტოვანი.

— თუნდაც ასე იყოს — განა, ცუდი იქნებოდა, პატიოსან გზას დასდგომოდით?

— ხელი აიღეთ და... პატიოსან გზას... ესე იგი, ქარხანაში ვიმუშაო, ოფლი ვივლი და თვის ბოლოს, რალაც გროშები მამიგდონ?! მამა გიცხონდათ, მეტი საქმე არა მაქვს!

— ბევრი ქურდი გამოსწორდა, პატიოსან ცხოვრებას შეუდგა, შრომას მიეჩვია. ნუთუ, თქვენ არ შეგეძლოთ ეს?!

— გამოსწორდა... ეს თქვენთვის „გამოსწორდა“. ერთი ზედმეტი ვირი შეიძინეთ, რალა, ჩვენ კი — გვიღალატა, გაგყვიდა! ბევრს ეს სიკვდილად დაუგვდა.

კიტოვანი უეცრად, გაბრაზდა, ჩოფურა სახე აუჭარხლდა, წარბები შეეკრა.

— იცი, რა, უფროსო... — განაგრძო გულმოსულმა. — თუ აგიტაციის საქნელად ამომიყვანე, თავი გამანებე — სულ ერთია, არაფერი გამოვა.

— კეთილი, — უპასუხა მოკლე პაუზის შემდეგ მინდელმა. — თქვენი ბრალდების საქმეს დაუბრუნდეთ.

— ასე სჯობია, — დაუდასტურა პატიმარმა და კვლავ შემოიდო ფეხი ფეხზე. — სწორად დაჯექით-მეთქი! — გაბრაზდა მინდელი. — გეყოთ, რაც ითავხედეთ, თქვენ გამომძიებლის კაბინეტში ხართ და არა ქურდების ბუნაგში.

კიტოვანმა ბრაზიანად ჩაიციხა, შემდეგ, ფეხი ჩამოიღო და სკამზე შესწორდა.

— რომელია თქვენი ნამდვილი გვარი? — გააგრძელა დაკითხვა მინდელმა.

— რომელიც თქვენ მოგწონოთ, ის ჩათვალეთ, — უპასუხა უკმეხად.

— ეს პასუხი არ არის.

კიტოვანმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა, პასუხი კი არ გასცა.

— დუმხართ... — განაგრძო გამომძიებელმა. — თავი კი ქურდად მოგაქვთ, ძველ ქურდად, თუმცა ჩანს, ქურდადაც არ ვარგისართ და შიშით დაბეჩავებული, ლაზლანდარობით ცდილობთ თავის დაძვრენას. ნამდვილი ლაჩარი ხართ და სხვა არაფერი!

კიტოვანმა თვალები დააბრიალა.

— ლანძღვას თავი დაანებეთ, ჩემი ლაჩრობა ჯერ არავის უთქვამს. ეს თქვენც გამოსცადეთ იმ კახის სახლში, — მიუგო და ავად შეუბღვირა გამომძიებელს.

— მაშინ, ტყავს იცავდით — ეგ ლაჩრის „გაუკაცობაა“. ხოლო როდესაც ჩავარდით, საკუთარი გვარიც დაგავინყვდათ.

— კმარა! — იყვირა კიტოვანმა. — მე ლაჩარი არა ვარ! მაგრამ თუ შენთვის ასეთი მნიშვნელობა აქვს, გაიხარე: კვალაშვილი ვარ, შემდეგ — დავითიძე, ნიორაძე. გეყოფა?..

— კეთილი, — მიუგო მინდელმა. — სად გაიცანით ბალავაძე და ივანისელი?

— თბილისში.

— რამდენი ხანია, იცნობთ.

— რამდენიმე წელია.

— ვინ გაგაცნოთ?

— ეგ თქვენი საქმე არ არის, მე არავის ჩაგირავებას არ ვაპირებ.

— როდის ჩამოხვედით ქუთაისში?

— 8 იანვარს.

— თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

— გასტროლებზე ვიყავით, რალა!..

— გაიცნა კიტოვანმა. — მაგრამ ერთი საქმეც არ დაგვიწყია, ისე დავინვით იმ ძუქნას სახლში.

— მაშ, არავინ გაგიძარცვავთ?

— ვა, არა-მეთქი, ხომ გითხარით, ვერ მოვასწარით.

მინდელი გამომცდელად მიაჩერდა პატიმარს, მაგრამ მან გამომწვევად გაუსწორა მზერა.

— მისმინეთ, კვალაშვილო, — კვლავ დაიწყო გამომძიებელმა, — წელან გითხარით, თავი პროფესიულ ქურდად მოგაქვთ და შეგირდივით კი ირჯებით-მეთქი. განა, არ გესმით, რომ გამომძიებლისათვის ყველაფერი ნათელია და ბრალდების აღიარების მეტი, არა დაგრჩენიათ რა?!

— არა, მართლა?! — გაუკვირდა ცრუკიტოვანს.

— ნამდვილად! — მტკიცედ დაუდასტურა მინდელმა. — მაგრამ ხომ გითხარით — ლაჩარი ხართ-მეთქი, გეშინიათ აღიარების.

— მე არაფრის არ მეშინია. თქვენი კი, ტყუილად ცდილობთ, „პუშკაზე“ ამიყვანოთ, მე არავის არ გაგყვიდ, სხვა მოძებნეთ.

— არც არავინ გთხოვთ — უთქვენოდაც ვიცით ყველაფერი, — მოუჭრა მინდელმა.

— მაშ, მე რალად მეკითხებით?

— იმად, რომ თუ ოდნავ შეგრჩენ-

ნიათ თუგინდ თქვენი ქურდული თავმოყვარეობა, აბლაუბდას თავი დაანებეთ და ყველაფერი გვიამბეთ.

— ჩემგან ვერაფერს გაიგებთ.

— გავიგებთ, კვალაშვილო. თქვენ თვითონვე იტყვიან, როდესაც დარწმუნდებით, რომ გამომძიებმა ყველაფერი იცის.

— მაგას ვნახავთ, — გაიმეორა ჯიუტად ქურდმა.

— კეთილი. დაკავებისას, თქვენი წინააღმდეგობა გასწიეთ და ოპერმუშაკიც მიიმედ დაჭერით. ეს ერთი. მეორე — თქვენვე აღმოგაჩნდათ 4 რევოლვერი და მრავალი ვაზნა. ამ ფაქტებს ხომ ვერ უარყოფთ?!

— რაც მართალია, მართალია! — დაუდასტურა პატიმარმა.

— გრძელიძემ ამოგიცნოთ. მგონი, ესეც არ უნდა იყოს ტყუილი.

— ესეც მართალია.

— ძალიან კარგი. ქალის მოტაცების ზღაპარი თქვენ თვითონვე უარყავით: აღარ მოგეწონათ. ახლა თქვით, სად დაჭრეს ივანისელი?

— ჩხუბში დაჭრეს.

— ტყუით!

— მაშ, თქვენ დაამტკიცეთ, სად დაჭრეს... — ჩაიციხა კვალაშვილმა.

— ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, კვალაშვილო და ჯიუტობას აზრი აღარა აქვს, — მიუგო მინდელმა.

— რა დაამტკიცეთ?

— ის, რომ ივანისელი ტყუელიაძემ დაჭრა, იმ ტყუელიაძემ, რომელიც თქვენ გაძარცვეთ და მოკალით.

— ჩვენ არავინ გაგიძარცვავს.

— გვიანდაა, ხელთათმანებმა გაცატა, სისხლის ანალიზმაც დაადასტურა.

— არაფერი მესმის! — მხრები აიჩეჩა კიტოვანმა.

— აგისხნით, — გამომძიებელმა მაგიდის უჯრიდან ხელთათმანები ამოიღო, კიტოვანს წინ დაუდო და განაგრძო: — ეს ხელთათმანები ეცვა ივანისელს, როდესაც ტყუელიაძის ბინაში შევიდა. დაჭრის შემდეგ, ფანჯრიდან გადახტომისას, სიჩქარეში, მარჯვენა ხელის შუა თითი ფანჯარზე ლურსმანზე ჩამოიხია და იქვე, სისხლის კვალთან, ხელთათმანის რამდენიმე ძაფი დატოვა. ხედავთ?.. ხელთათმანი სწორედ იმ ადგილასაა გახეული და სისხლიც ეტყობა... ეს ხელთათმანი თქვენს ჩემოდანში ვიპოვეთ, სათანადო ექსპერტიზაც ჩავუტარეთ. აი, დასკვნაც — იწებეთ, — გამომძიებელმა საქალაქო დადგინდა ერთი ფურცელი ამოარჩია და კიტოვანს წინ დაუდო.

— წაიკითხეთ და თვითონვე დარწმუნდებით.

კიტოვანმა ზედაც არ შეხედა საექსპერტო აქტს, პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.

მინდელმა ხელთათმანები ისევ უჯრაში ჩაყარა, ექსპერტიზის აქტიც საქალაქო დადგინდა ჩააბრუნა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან უკვე 61 წელი გავიდა, მაგრამ უფროსი თაობა ისევ ძრწოლით იხსენებს ძველ ამბებს. ქალები ქმრებს თვალცრემლიანნი აცილებდნენ ფრონტზე, შემდეგ, ფოსტალიონის გამოჩენას ელოდნენ, რომ საცვარელი ადამიანისგან სანატრელი სამკუთხა ბარათი მიეღოთ, მაგრამ ხშირად, ფოსტალიონს მათთვის სიკვდილის მაუნყებელი ცნობა მოჰქონდა. ხდებოდა ისეც, რომ ფრონტზე წასული ადამიანი უგზო-უკვლოდ იკარგებოდა და ოჯახი დაღუპვის შესახებ ცნობასაც კი არ იღებდა.

ამჯერად, თქვენი ყურადღება ისეთ ადამიანებზე გვინდა შევაჩეროთ, ვინც ტყვედ იმყოფებოდა, ოჯახმა მათ შესახებ არაფერი იცოდა და წლების შემდეგ, მოულოდნელად დაბრუნდა შინ... რა დახვდათ მათ იქ? ქალბატონი ზინაიდა კაკაურიძე ომის დროს ბავშვი იყო, მაგრამ კარგად ახსოვს ამბავი, რომელიც მის მეზობელს გადახდა თავს:



gaTxovebas gadarCenili Jenia, zaqarias Ralati  
da afxazebis tyve, romelsac coli gauTxovda...

**მარი ჯაფარიძე**

— ზესტაფონის რაიონის, სოფელ სვირში გავიზარდე. ომი რომ დამთავრდა, ასე, 14-15 წლის ვიყავი. დედა ადრე გარდამეცვალა და დედინაცვალი მზრდიდა, რომელსაც ძალზე ვუყვარდი, საკუთარ შვილებში არ მარჩევდა და გვერდიდან არ მიშორებდა. მოგეხსენებათ, რომ იმ პერიოდში ცხოვრება ძალიან ჭირდა. ხალხი შიმშილობდა და ლუკ-მაპურს ძლივს შოულობდა. რა თქმა უნდა, არც ჩვენი ოჯახი წარმოადგენდა გამონაკლისს. ჩემი დედინაცვალი ხშირად დადიოდა ფოთში, სადაც ღვინო მიჰქონდა და ფქვილზე, ზეთზე, მარილსა და სხვა პროდუქტზე ცვლიდა. მეც ხშირად დავყავდი თან. ზესტაფონიდან მატარებლით მივედიოდით ხოლმე, იქ კი

თითქმის შიმშილობდა. მიუხედავად ამისა, ჟენია ძალზე მხიარული და სიცოცხლით სავსე ქალი იყო. მასთან ერთად ისე ვიმგზავრეთ, რომ არც კი დავლილვართ. კაკო წულაიას ძლიერი ოჯახი ჰქონდა. ჩვენი ჩასვლის დღე მისი შვილის დაბადების დღეს დაემთხვა და ოჯახი უამრავ სტუმარს ელოდა. ჩვენი მისვლა გაუხარდათ. დილით ბაზარში წავედი, ღვინის ნაწილი ფქვილში გადავცვალეთ, ხოლო საღამოს სუფრასთან მოვილხინეთ. უფრო სწორად, უფროსებმა მოილხინეს, თორემ მე შორიდან ვადევნებდი თვალყურს. სტუმრებს შორის კაკოს მეზობელი და-ძმა იმყოფებოდა. საკმაოდ ასაკოვნები იყვნენ, მაგრამ ორივე დაუოჯახებელი. ძმა, იურა, ფოთის რკინიგზის სადგურის უფროსად მუშაობდა და საკმაოდ მდიდარიც

უნდა გავთხოვე და უნდა გავთხოვედო... მარომ (ასე ერქვა ჩემს დედინაცვალს) როგორც იქნა, დაიყოლია, რომ ამჯერად უკანვე წამოვიდოდა, მშობლებს მოელაპარაკებოდა და მეორე ჩამოსვლაზე დარჩებოდა იურასთან. იურამ იმ ღამით ჟენია საცოლედ გამოაცხადა და ოქროს ბეჭედიც აჩუქა. მესამე დღეს უკან დავბრუნდი. ჟენია მთელი გზა მდიდარ ქმარსა და შვილების გაჭირვებიდან გამოყვანაზე ოცნებობდა... სოფელში მივედი. ჯერ ჟენიას სახლთან უნდა გაგვევლო. მის ეზოში უმრავი ხალხი იყო შეკრებილი. ქალს გული გადაუქანდა, — ნამდვილად ცუდი ამბავია ჩემს თავსო, თქვა და სირბილით წავიდა სახლისკენ. რა თქმა უნდა, ჩვენც უკან მივეყვი. ყველას სახე უცინოდა და ეზოში მხიარული ჟივილ-ხივილი ისმოდა. ხალხის შუაგულში კი, ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ჟენიას ქმარი იდგა და ბავშვებს ეფერებოდა. დავითი ომის დამთავრებიდან 3 წლის მერე დაბრუნდა სახლში და ბენეზე გადარჩა, რომ ცოლი გათხოვილი არ დახვდა. ჟენია იმავე საღამოს გადმოვიდა ჩვენთან და ჩემს დედინაცვალს კარგა ხანს ეჩურჩულებოდა. თურმე მაღლობას უხდიდა მაროს, რომ გათხოვებაზე არ დაეთანხმა...

შემდეგი რესპონდენტი ახალგაზრდა ქალბატონია, რომელიც საკუთარი ბიოგრაფიიდან ერთ ეპიზოდს იხსენებს. მოქმედება აფხაზეთის ომის შემდგომ პერიოდში ხდება.

— დავიწყებ იმით, რომ როცა ჩემი მეუღლე საომრად წავიდა, შინ 2 მცირე-ენლოვანი შვილი დავტოვა. იმ პერიოდში უჭირდა ქვეყანას და გვიჭირდა ჩვენც. ძნელი იყო, მარტო გაძლოლოდი ოჯახს. ყოველი დილის გათენების შემთხვევაში, ცუდი ამბავი რომ არ გამეგო, სახლში ტელეფონი რომ დარეკავდა, კარგა ხანს მიჭირდა ყურმილის აღება და სულ იმას ვფიქრობდი, რომ აუცილებლად გელას

**ხალხი მზერით მისამძიმრებდა. მე კი წელმოწყვეტილი მიგდიოდი და გონს ვერ მოვდიოდი. იქ უკვე აღარ დამედგომებოდა. სოფელი გაგიარე და ალაზანთან მივედი**

ჩვენი ნათესავები, ვენერა და კაკო წულაიები გემასპინძლობდნენ. ერთხელ, ჩვენთან ერთად წამოვიდა მეზობელი ქალი, რომლის ქმარიც ომში დაკარგულად ითვლებოდა. 4 წლის განმავლობაში მისგან არც წერილი მოსულა და არც გარდაცვალების შესახებ შეუტყობინებიათ. ამ ქალს ჟენია ერქვა. 2 შვილთან ერთად მშობლების ოჯახში ცხოვრობდა. მამა ინვალიდი ჰყავდა. სხვა მამაკაცი მათ ოჯახში არ იყო. ამიტომ ქალები ბევრს ვერაფერს ახერხებდნენ და ოჯახი

გახლდათ. ჟენიამ თავისებურად მოილხინა, შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე, მღეროდა და ცეკვავდა. იურა მოიხიბლა მისით და იმავე საღამოს ხელი სთხოვა. ჩემი დედინაცვლისა და ჟენიას საუბარი დღესაც მახსოვს: „მდიდარი კაცია, მივთხოვდები, ჩემს ობლებს ეშველებათ...“ — „რას ამბობ, გოგო, ასე როგორ შეიძლება? მშობლებს მაინც ჰკითხე რჩევა!“ — ეუბნებოდა ჩემი დედინაცვალი. ჟენიას კი არ უნდოდა დაჯერება და მაინც თავისას გაიძახოდა —



**სოსხუმის დაცემის შემდეგაც არ გამოჩნდა გელა. უკვე დავრწმუნდი, რომ ის დაიღუპა, მაგრამ მე მაინც არავინ მიმკვლავნებდა**

დაღუპვის ამბავს შემატყობინებდნენ. არავის დაურეკავს და არ უთქვამს, რომ ჩემი მეუღლე დაიღუპა, მაგრამ მის ამბავს სოსხუმის დაცემამდე კარგა ხნით ადრე უკვე ვეღარ ვიგებდი. ვიდრე გელას ოჯახთან კონტაქტი ჰქონდა, მისი თანამებრძოლები შინ რომ ჩამოდიოდნენ, ჩვენთან სტუმრად მოდიოდნენ, მოჰქონდათ სურათები, მიყვებოდნენ იქურ ამბებს და მამშვიდებდნენ, რომ გელას არაფერი უჭირდა და კარგად იყო. შემდეგ, გელასგან უკვე აღარაფერი ისმოდა, მისი მეგობრები მემალეობდნენ, არავინ მეკონტაქტებოდა, ყველა თვალს მარიდებდა და ამით მივხვდი, რომ ჩვენს თავს რაღაც უბედურება ტრიალებდა. მათ ცოლებს ვხვდებოდით, რომ შეეცდებოდნენ, როცა ქმრები ჩამოვიდოდნენ, მაგრამ ამაოდ... სოსხუმის დაცემის შემდეგაც არ გამოჩნდა გელა. უკვე დავრწმუნდი, რომ ის დაიღუპა, მაგრამ მე მაინც არავინ მიმკვლავნებდა. მეუბნებოდნენ, რომ კი არ დაიღუპა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა, შესაძლოა, დღე-დღეზე გამოჩნდესო... მეც ველოდი... მერე ვცადე, რომ საკუთარი კავშირებით დამეძვინა მისი ასავალ-დასავალი და მოვქებნი ადამიანი, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობდა, მაგრამ ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. მას ფული გადავუხადე, რომ გელას შესახებ რაიმე ინფორმაცია მოეწოდებინა. ვერც მან დაადგინა სიმართლე. ღმერთმა უწყის, მართლა ეძებდა თუ არა ჩემს ქმარს, თუ მხოლოდ ფული გამომძალა... ერთი სიტყვით, შევეგუე იმ აზრს, რომ ჩემი ქმარი დაიღუპა. ერთ დღეს სტუმრად გელას მეგობარი და თანამებრძოლი გვეწვია. რა თქმა უნდა, სისხრულით მივიღე და სუფრაც გავუშალე. რომ შეთვრა, ფრთხილად დავუწყე გამოკითხვა ჩემი მეუღლის შესახებ და მოვისმინე ამბავი, რომელიც ძალზე შემზარავი გახლდათ. ერთ ადგილზე, სადაც 10-15 მებრძოლი იყო თავშეყრილი, ჩამოვარდა ბომბი და ყველა იქ მყოფი დაიღუპა. დაღუპულები ვერ ამოუცნიათ და მათი სხეულის ნაწილები ერთად დაუმარხავთ. ამის შემდეგ დაკარგულა ჩემი მეუღლეც და ფიქრობდნენ, რომ სწორედ იმ აფეთქებისას დაიღუ-

პა. არ მინდოდა ამის დაჯერება, რადგან კიდევ მქონდა იმედი, რომ გელა დაბრუნდებოდა... ამის შემდეგ იმედიც გადამეწურა. ამ ამბიდან 2 წლის შემდეგ გავიცანი მამაკაცი, რომელიც ჩემს მხსნელად და მშველელად მომეცინა. მე და ჩემს შვილებს ყურადღებას არ გვაკლებდა და გადავწყვიტე, მასზე გავთხოვილიყავი... ეს ნაბიჯი დედამთილთან მოლაპარაკების შემდეგ გადავდგი. თითქოს ყველაფერი შეიცვალა, თავის ადგილზე დადგა, ცხოვრება გრძელდებოდა და მესამე შვილის გაჩენაზე ფიქრობდი. უკვე 6 თვის ფეხმძიმე ვიყავი, როცა სასწაული მოხდა და გელა სალ-სალამათი დაბრუნდა. სახლში მარტო ვიყავი, როდესაც კარზე კაკუნი გაისმა. ღიმილიანი სახით გავაღე კარი და ღიმილი პირზე შემეყინა. არ ვიცოდი, მეცინა თუ მეტირა. გამიხარდა, გელა ცოცხალი და უვნებელი რომ დავინახე, ხოლო ჩემი გამობერილი მუცელი ტირილის ხასიათზე მაყენებდა. მასაც გაუფითრდა სახე და წელმონყვეტილმა შემოაბიჯა სახლში. ეს მისი სახლი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, გადამხვია და ჩამეხუტა. მერე დივანზე ჩამოჯდა და მკითხა: — აღარ ელოდი ჩემს დაბრუნებასო? — ხმამალა ვქვითინებდი, თვალებს ვერ ვუსწორებდი და ვერც სიტყვებს ვპოულობდი, თავი რომ მემართლებინა. ცოტა რომ დავმშვიდდი, ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. უხმოვ დამხმენდა. რა თქმა უნდა, გული დასწყდა, ოჯახი ფაქტობრივად, დანგრეული რომ დახვდა, მაგრამ საყვედური არ უთქვამს. მე და ჩემი მეორე მეუღლე ქირით საცხოვრებლად გადავედით, მესამე შვილი შეგვეძინა და თითქოს მეც დავწყნარდი, მაგრამ მთელი ჩემი არსებით ვნანობდი ჩემს საქციელს. ასეა დღემდე, გელას უკვე სხვა ცოლ-შვილი ჰყავს, მეც ცხოვრების სამდურავი არ მეთქმის, მაგრამ ჩემი გული მაინც ორად არის გაყოფილი და ერთი, დიდი ნაწილი გელას ეკუთვნის.

*ისევე სამამულეო ომს დავუბრუნდეთ. მესამე ამბავი წინა ორისგან განსხვავებულია.*

*ის კახეთის ერთ-ერთ სოფელში მოვისმინე სწორედ იმ დღეს, როდესაც ამბის მთავარი გმირი, ბატონი ზაქარია გარდაიცვალა. მის შესახებ 85 წლის ქალბატონი, მარგალიტა მენტეშაშვილი გვიამბობს:*

— მე და ზაქარია მეზობლები და თანაკლასელები ვიყავით. როცა წამოვიზარდეთ, ერთმანეთი შეგვიყვარდა. მაშინ სხვა დრო იყო, შვილო, ამიტომ

ჩვენს გრძნობებს გულში ვმალავდით. ჩემი ეზოდან მის ეზოში, ჩუმად თუ გავაპარებდი ხოლმე თვალს, თორემ ჩვენ ერთმანეთს სხვაგან ვერ ვხვდებოდით. სკოლის დამთავრების შემდეგ ის კოლმეურნეობაში, ტრაქტორისტად მუშაობდა. როგორ მომწონდა ხოლმე, როცა ტრაქტორზე „ამხედრებული“ ჩამოივლიდა. გული სიხარულით მევესებოდა და მეამაყებოდა, ასეთ კარგ ბიჭს რომ ვუყვარდი. ის-ის იყო, მე და ზაქარიამ მოვილაპარაკეთ, რომ ჩემი ხელის სათხოვნელად მოვიდოდნენ, მოულოდნელად, ომი დაიწყო. თავზარი დამეცა, როდესაც ეს გავიგე. მივხვდი, რომ ჩვენს ბედნიერებას საფრთხე ემუქრებოდა. ზაქარია პირველსავე დღეებში გაინვიეს ომში, მას კი ჩემი დატოვება არ უნდოდა. ამიტომ წასვლის წინადღეს სახლში მიმიყვანა და თავის ცოლად გამოამცხადა. ასე ჩვენს სოფელში 10 გოგო გათხოვდა. მეორე დღეს კი ზაქარია, ჩვენი სოფლის სხვა ბიჭებთან ერთად, ომში გავაცილეთ. მისი წერილები 1944 წლის ბოლომდე მოდიოდა. მერე კი უკვე აღარაფერი გაგვიგია. ძალიან განვიცდიდი მის დაკარგვას. ყველა დაღუპულად თვლიდა, სუფრასთან მის შესანდობარს სვამდნენ და დაღუპული მებრძოლების მემორიალზეც კი მისი სახელი და გვარი დაანერგეს, მაგრამ მე არ ვეგუებოდი ამას, ველოდი და ველოდი... ჩემი მშობლები მეხვეწებოდნენ, რომ შინ დავბრუნებულიყავი, მაგრამ ზაქარიას ოჯახს არ ვტოვებდი. მთელი ძალები მოვიკრიბე, პარტიამიც შევედი, დავიწყე კოლმეურნეობაში მუშაობა, ჩამოვაყალიბე ჩემი ქმრის სახელობის რგოლი და სოციალისტური შრომის გმირი გავხდი, ხოლო ჩემი რგოლი გარდაამავალი დროშის მფლობელი გახლდათ წლების განმავლობაში. ყველა ჩემს კაიქალობაზე ლაპარაკობდა, ხოლო 50-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობის დელეგატადაც ამირჩიეს. ამ ყველაფერს იმიტომ ვაკეთებდი, რომ ჩემი ქმრის სახელი არ შემერცხვინა. 1953 წლის გაზაფხული იდგა. დილიდან მინდორში ვიყავი. მეზობლის ბავშვმა მოიბრინა და შორიდან დამიძახა: — მარგალიტა დეიდა,

**4 წლის განმავლობაში მისგან არც წერილი მოსულა და არც გარდაცვალების შესახებ შეუგყობინებიათ**





ზაქარია ჩამოვიდა! მუხლები მომეკვეთა, გული მკერდიდან ამოხტომას ლამობდა. კოლმეურნეობის მანქანას აღარ დაველოდე და 10 კილომეტრი სირბილით გავიარე. ეზოში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ზაქარიას დანახვაზე გავმეშდი. მომერიდა, ამდენი ხალხის თანდასწრებით კისერზე რომ ჩამოვკვიდებოდი. უეცრად, ყველა ჩემკენ მობრუნდა და გაჩუმდა. ზაქარიაც მოტრიალდა, მაგრამ თვალები მოწკურა და გაცეცხული მიყურებდა. — მარგო, შენა? — მარტო ეს იკითხა. მივუახლოვდი და მის წინ გავეჩვიე. თავზე მაკოცა და რაღაც, უხერხულად შეიშმუნა. ოთახში შევედი, მინდოდა, ისიც შემომყოლოდა და იქ მომეკლა მისი მონატრების სურვილი, მაგრამ ოთახში უცხო ქალი დამხვდა, რომელიც ქართველს არ ჰგავდა. გულმა რეჩხი მიყო. — თქვენ ვინ ხართ-მეთქი? — პასუხად, რუსულად მითხრა რაღაც, მაგრამ ვერ გავიგე, რადგან ეს ენა არ ვიცოდი. ისევ გარეთ ვაპირებდი გასვლას, მაგრამ კარში ზაქარიას შევეჩვიე. ამ დროს გარეთ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მან კი ხელი უცხო ქალისკენ გაიშვირა და მითხრა: — გაიცანი, ეს ჩემი ცოლია... ჯერ ვერაფერი ვთქვი, მერე კი ამოვილულულე — აბა, მე ვინ ვარ-მეთქი? — თუმცა, პასუხის დალოდებას რა აზრი ჰქონდა? ეზოში გავედი. ხალხი მზერით მისამძიმრებდა. მე კი წელმონყვეტილი მივდიოდი და გონს ვერ მოვდიოდი. იქ უკვე აღარ დამედგომებოდა. სოფელი გავიარე და ალაზანთან მივედი. თავის მოკვლა არ მიფიქრია, უბრალოდ, ჩამოვჯექი და ჩემს ცხოვრებაზე დავფიქრდი. გადავწყვიტე, რომ იმავე დღეს გადავბარებულყავი ჩემს მშობლებთან. დიდხანს მიჭირდა იმის გადატანა, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, მაგრამ საბოლოოდ შევეგუე ბედს და განვგარძე შრომა. შემდეგ შევიტყვე, რომ თურმე ზაქარია ტყვედ ჩავარდნილა და იქიდან როგორღაც თავი დაუღწევია. ამ ქალს შეუფარებია და მერე ცოლად გაჰყოლია... ეს ამბავი გავიგე, მაგრამ ჩემთვის ნუგეში სულაც არ იყო... გავიდა წლები, მე ყველაფერს ვაკეთებდი საიმისოდ, რომ ჩემი ქალობა არ შემერცხვინა. მისი ცოლი კი გალოთდა. მერე რამდენჯერმე ისიც თქვეს, რომ ვენახში უნახავთ სხვა მამაკაცთან ერთადო. ზაქარია ძალზე ბრაზობდა, მათი სახლიდან სულ ჩხუბის ხმა გამოდიოდა, მაგრამ ვერაფერი შეასმინა... ეს ქალი 45 წლის ასაკში დაიღუპა. ამის შემდეგ ზაქარია ჩემ გარშემო ტრიალებდა, მაგრამ ერთხელ გატეხილი გული აღარ გამთელდა და უარი ვტიციე... ასე მარტომ გავლიე ჩემი ცხოვრება. ვერ ვაპატიე ღალატი... დღეს დილით კი, მისი გარდაცვალების ამბავი გავიგე და გული დამწყდა, რომ ამ ვაკემა თავისი ცხოვრებაც დაღუპა და ჩემიც... ომის ბრალია ყველაფერი, ომი რომ არ ყოფილიყო, ბედნიერი ოჯახი გვექნებოდა...

# გრიგოლ რობაქიძე

## აქოლოვ ჰიესლოერი

### უცხოელი მწერლის

#### თვლით

(ზვიანის ვრამენტიანი)



საბჭოური ცენზურის მიერ ათწლეულების მანძილზე აკრძალული, გამოჩენილი ქართველი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის მიერ დახატული, ადოლფ ჰიტლერის პორტრეტი ბევრ მკითხველს გააკვირვებს, ზოგი კი (მეტადრე, უფროსი — ომგამოვლილი თაობის წარმომადგენლები), შესაძლოა, აღაშფოთოს კიდევ. ზოგიერთის წინაშე კი, ბევრ კითხვას დასვამს. ერთი რამ უდავოა: ინტერესს ნებისმიერ მკითხველში აღძრავს — ჩვენ სომ მხოლოდ შავნელ ფერებში დახატულ ფიურერს ვიცნობთ და ვერასდროს წარმოგვედგინა, რომ მისი სხვაგვარად დანახვა იყო შესაძლებელი. სულ სხვანაირად იყო საქმე მაშინ, როდესაც ჰიტლერი კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდა და სულ სხვაგვარად უყურებდნენ მას იქ (მის სამშობლოში), სადაც იმ დროს, სამშობლოს მონყვეტილი, ქართველი მწერალი ცხოვრობდა...

### მთარგმნელისაგან

გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი შემოქმედებიდან (რომანები: „ჩაკლული სული“, „გრალის მცველი“; პორტრეტები: „ლენინი“, „სტალინი“, „ტროცკი“, „მუსოლინი — მზიურნიშნული“, „ადოლფ ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვლით“), ქართველი მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ადოლფ ჰიტლერზე დაწერილი ესე, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო, სრული სახით ქართულად დღემდე არ გამოქვეყნებულა. უფროსად-გაზეთებში წლების წინ დაიბეჭდა მხოლოდ მისი რამდენიმე ფრაგმენტი. ამჯერად ჩვენც რამდენიმე ნაწყვეტს გთავაზობთ, ცალკე წიგნად კი მას მალე მიიღებს მკითხველი.

თარგმანში მაქსიმალურად შევეცადეთ, დაგვეცვა გრიგოლ რობაქიძის სტილი. ამ მიზნით გამოვიყენეთ მისი ლექსიკა და რიტმიული სვლები.

ბროშურის გამოცემის ზუსტი თარიღი უცნობია. ავტორი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ის II მსოფლიო ომის პირველ წლებშია დაწერილი და გრიგოლ რობაქიძის თქმით, „არც ფაშისტურია და არც ნაცისტური“...

დავით შანგიძე

### კონტურები

მისი უამრავი ფოტო მინახავს, მაგრამ ყოველ მათგანზე იგი სხვადასხვანაირია. შეიძლება იფიქრო, მისი შინაგანი მზერა ობიექტივს გაუბრისო. ეს „შორეული სახის“ უტყუარი ნიშანია. ჩემს ყურადღებას იპყრობს ფოტო, სადაც იგი ჰინდენბურგთან ერთად არის გადაღებული: დიდი სარდალი, ოთხმოცს გადაცილებული ჭარმაგი კაცი, ჯერ კიდევ კლდესავით დგას, ოღონდ მოკლებულია ყოველგვარ იდუმალებას. იგი აქ იმყოფება, ესაა და ეს. მაშინ როცა ჰიტლერი, მოკრძალებით გულზე ხელებგადაჭდობილი და გარინდული, ოდნავ შესაგრძობი აურის საფარველში გახვეული, უსასრულოდ იზრდებდა და სიშორისაყენ მიისწრაფვის, ვინ იცის, იქნებ მისი სახე გამუდმებით ასხივებს ისეთ შინაგან ძალას, რომ დაუნდობელი, მოურიდებელი კამერა უძლურია თვალწამით შეაჩეროს და ფირზე აღბეჭდოს იგი.

დაფარული არ გაცხადდების, მაგრამ მაინც ღირს შეეცადო, გამოიცნო იგი. ძალზე დამახასიათებელია ის ფოტო, სადაც იგი ბატონ რიბენტროპს, ლონ-

დონში მამინდელ ელჩს, ფლოტის თაობაზე მიღებული კონვენციისთვის მადლობას უხდის: სერიოზული და შენუხებული სახე აქვს, ბატონი რიბენტროპი კი სიხარულისგან გასხვივოსნებულია და ის სხივი ფიურერის შინაგანი შუქისგან მოედინება. დიახ, მისი სახე აშკარად განსახოვნდება იმ ადამიანში, ვისაც იგი იმ წუთში ესაუბრება. იგი ხშირად ჩნდება მოზარდების წრეში და მათი აღფრთოვანებული სახეებიც მისი შუქითაა გაცისკროვებული.

მას ჟამიდან ჟამზე კვირის ახალ ამბებში ვუყურებ ხოლმე. აქ მისი სახე უფრო უშუალო და მეტყველი ჩანს. მარშალ გერინგის ქორნილზე გადაღებული ფილმი კი მას ლამის სიმბოლოურად წარმოგვიდგენს. იგი ყველასთან ახლოს დგას, განსაკუთრებით კი ახალდაქორნივებულ წყვილთან და მაინც ჩანს, რომ სადღაც სხვაგანაა, მასთან შეუძლებელია მიახლოება. ისეთი გრძობა გიჩნდებათ, თითქოს ზემოთ ვინმე უცხო შემოსულა, მაშინვე ყველასთვის ახლობელი გამხდარა და მაინც ჩანს, რომ თანამებრძოლები და მეგობრები, ანუ მისი ახლობლები, ამ სიშორეს ყველაზე უფრო მწვავედ სწორედ მის სიახლოვეს გრძობენ.

ერთხელ იგი — თუკი უფლება მაქვს, ჩემი სუბიექტური განცდა სიტყვიერად გამოვხატო — შემოქმედებით, სულიერ სიბრტყეზე აღვიქვი, იქ, სადაც ირეალური ლამის რეალურს ესაზღვრება. ამიტომაც ვბედავ ვთქვა: ვერც ერთი მხატვარი ვერ შეძლებდა მისი შინაგანი სრულად გამოეხმო და პორტრეტში გაეცოცხლებინა. იქნებ ვინმე ხეზე მკვეთელს ხვდომოდა ნილად ეს ბედნიერება, მაგრამ მაშინ პორტრეტს მისი მუქლური და თან შუქიანი თვალები დააკლდებოდა, მის შინაგან სამყაროს თავის თავში ფარულად რომ დაატარებენ. ამ თვალების მკაცრი მზერის წინაშე გაცამტყვრდება ყოველივე ყალბი და ცრუ.

მისი მიხრა-მოხრა თავის სწორუპოვრობის გამოა თვალში საცემი. აი, იგი კიბეზე ჩამოდის. კიბის ძირში მედიდურად ჩერდება, საგნებს ზემოდან დასცქერის და შორს ისე იყურება, თითქოს უეცრად რაღაც საფრთხე იყოსო; შემდეგ თავს ხრის, ოდნავ მკაც-

რად, გრძელი, ლონიერი ნაბიჯით განაგრძობს გზას. ხელებს იქნევს, გრძელ, ენერგიულ ხელებს, რომლებიც მის მტკიცე ნაბიჯს ფრთას ასხამენ. აქ მისი ყოველი მოძრაობა პლასტიურად დასრულებული ჩანს.

### ხმა იღუმალი

მისი ყოველი გამოსვლა ერთადერთი და განუიმეორებელია. ათასობით ადამიანი მასთან უშუალო შეხვედრას ელოდება, მილიონები კი რადიოგადაცემის მოლოდინში გაქვავებული. აბრიალებული ტალღა ტალღაზე მოგორავს და ალტკინებისგან გუგუნებს. ტანი უგრძობობთ: იგი მოდის, იგი უკვე ახლოსაა. შუქშობილის მოლოდინში ყოველი ხმის გაგონებაზე უტოკავთ ფეხები. უსაშველოდ მოდიდებულან ტალღები. აქ მარტო აღარავინაა: „ყოველი მხარი ძმაა და ყოველი მზერა დაია შენი“ („გრაალის მცველი“). ტალღისგან ატაცებული ბედნიერი მსმენელი ჰაერში ნანაობს: იგი ერთდროულად ნადავლიც არის და ნადავლის მომპოვებელიც. და აი, ფიურერიც აქ არის. ქარბორბალასავით ეხვევა გარს შეძახილი: „ჰაილ! ჰაილ! ჰაილ!“ აბობოქრებული ზღვის ზედაპირი მშვიდდება. ნელ-ნელა იკეცებიან ჩამცხრალი ტალღები. არსაიდან არ ისმის ხმა, ყველა ჩანყნარებულია, მხოლოდ გულები ძვრენ ძალუმად, მოლოდინით ანთებულნი. და აი, გაისმის დაბალი ხმა, მკაცრიც და მოსიყვარულეც, და სუნთქვაშეკრულთ ესმით ნაცნობი სიტყვები: „გერმანელო მამაკაცებო და ქალებო!“ რამდენიმე ყესტი და, ორატორი ჭეშმარიტად ღვთიური გზნებით საქმეზე გადადის.

ამ დაბალ ხმას მილიონობით ადამიანთან ერთად მეც გულშეურვალედ ვუსმენ, დროგამოშვებით სიტყვებს თავს ვანებებ, მხოლოდ შინაგან ენას ვაყურადებ და უცნაურ ხილვას ვეღარ ვეშვები. ორი მილიონი მიცვალებული წევს ქანცგანყვეტილ მიწაზე. შვიდნახევარ მილიონს ჯერ კიდევ სისხლი სდის, დიდ გერმანულ არმიას იარაღი და უხერია. პირქუმ, უმთვარო ღამეში არაამქვეყნიური სიჩუმე ისადგურებს. უეცრად შორიდან მოისმის ხმა, ნალვლიანი და ტკივილიანი, მაგრამ თევგანწირვითა და სასიცოცხლო ენერგიით აღსავსე. სიჩუმეში გამოაგნებლად გაისმის ეს



ხმა, ნუთუ ეს მითად ქცეული უცნობი ჯარისკაცის ხმაა? სიჩუმეში გამოაგნებლად გაისმის ეს ხმა და ამავე დროს გულის სიღრმეში ყველას ჰგონია, თითქოს თავად ლაპარაკობდეს.

აღლოვ ჰიტლერის სიტყვების უკან მუდამ ვგრძნობ ამ ხმის გამოძახილს. იგი ისე სულისშემძვრელად ლაპარაკობს, რომ ხანდახან აღარც კი მჯერა, ეს ხმა ერთი ცალკეული ადამიანის ხმა შეიძლება იყოს თუ არა. აი, ჭეშმარიტად სად ცნაურდება გერმანული თვითობა.

იქნებ ეს თვითობა მეტაფორულად არის გასაზრებელი?

### გადამწყვეტი წამი

წარმომიდგენია: 1919 წელს გერმანიას ვერსალის დიქტატს უწესებენ. შეძრწუნებული გერმანელი ხალხი თავის ისტორიის ერთ წამს გარინდულა — დროის ეს მონაკვეთი ვარსკვლავთა თვალნაშპგავს. ყოველი გერმანელი, კაცი თუ ქალი, ყრმა თუ მოხუცი, ფენისა და რანგის მიუხედავად, გულის სიღრმეში მხოლოდ ერთს გრძნობს: იგი გერმანელია. შიგნით, სიღრმეში, ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავს, ხალხის თვითმოფადობა საფრთხეშია. მთელ ქვეყანას ერთადერთი ტალღა გადაუვლის: ტკივილის ტალღა. მეტნაკლებად მას ყველა ატაცებული ჰყავს, ყოველი მათგანი თავის უნარისა და ძალის პირობაზე მისი მატარებელი ხდება. სისხლი მოწვეთავს ჭრილობიდან და თან გამაჯანსაღებელ ძალებს შობს. ტალღა ყველას სხეულში აღწევს, მის ზვირთებში ყველა ერთია — იგი კაციდან კაცზე გადადის, თითქოს იმ ერთს დაეძებდეს, რომელიც შეძლებს ატაროს და ერთ მუშტად შეკრას იგი. და ჰოი მიქცევა-მოქცევის საიდუმლოვ, დავანებულო მთელსა და ერთეულს შორის: ტალღა პოულობს მას, გულით ნანატრსა და ნაოცნებარს და აი, იგი რჩეული, მისი მიმღები და შემოქმედი ხდება.

არსებობს ერთი დიდი მიტინგის ფოტო, 1914 წელს ომის გამოცხადების დღეს გადაღებული. ათასობით ადამიანი, სუნთქვაშეკრული და შემფოთებული უგდებს ყურს ჭეჭა-ჭეხილის მოახლოებას. მასის შუაგულში მშვიდად დგას ერთი კაცი. სახე მოლოდინისგან დასძაბვია — მას amor fati, ანუ საბედისწერო სიყვარული აძლევს დაბრკოლების გადალახავ ნებისყოფის ძალას. სახემოლუშული ფიქრებში ჩაძირულა, მაგრამ ჩანს, რომ მის თვალს არაფერი გამოეპარება.





დგას მტკიცედ: სრულ მზადყოფნაში. იგია ის, ვისშიც იმ ტალღამ პოვა თავისი იდეების მატარებელი. გერმანულ სამყაროში ამ ნუთში დაიწყო ახალი ერა.

ისტორიამ შემდგომ გაამჟღავნა უსახელო გმირის სახელი: ადოლფ ჰიტლერი.

ზემოთ ერთი გამოთქმა გამოვიყენე: თავგანწირვისათვის შინაგანი მზაობა. მე მომისმენია ჰიტლერის ხმა — ხან ნაღვლიანი, ხან მუქარინი, ხან გამამხნევებელი და აღმაფრთოვანებელი — და მის უკან ყოველთვის ის მზაობა მიგრძნია. ეს თავგანწირვის სიმამაცე როდია, ეს გარდაქმნის სიმამაცე გახლავთ: ეს ცეცხლის გენიაა. მაგალითად აქ ერთ ლეგენდას მოვიხმობ.

ერთ ხეზე ასეთ ლეგენდას ჰყვებოდნენ: ვინც მისთვის ცეცხლის წაკიდებას გაბედავდა, იგი ცეცხლში იხილავდა ჭეშმარიტებას, ოღონდ სიგიჟის და მყისიერი სიკვდილის ფასად. და აი ერთი, ჭეშმარიტების შეცნობის სურვილით გულანთებული კაცი, ბედავს ლეგენდარული ხისთვის ცეცხლის წაკიდებას. იგი ხშირად მიდის ხოლმე ამ ხესთან და მზად არის, კაჟის კენჭებით სავსე პეშვით გააჩალოს ცეცხლი, მაგრამ შიშით მარჯვენა უჩერდება. ერთხელ დაღლილ-დაქანცული ხმელ ფოთლებში წამოწვება, ჩიბუხს გააბოლებს და სულ მალე ძილი მოერევა. უეცრად დამწვრის სუნს



ბენიგო მუსოლინისთან ერთად

იკრავს: ეტყობა, ჩიბუხიდან ერთი ნაპერწკალი შეუმჩნევლად გადმოვარდნილა. მიმოიხედავს და სიხარული შეიპყრობს: აი, ახლა კი ეზიარება ჭეშმარიტებას, ისე, რომ არც გონი წაერთმევა და არც სიკვდილის სუნთქვას შეიგრძნობს — ცეცხლი ხომ მისდა უნებურად გაჩაღდა! მაგრამ იმნამსვე მაინც აიტანს შიში და ალის ჩასაქრობად ხეს მივარდება. ხელებს გამალებით ამოძრავებს, დემონურად ყვირის და ღმუხის, თითქოს უნდა ამოთქვას: არა, არა, ეს არ მოხდება! ბოლოს, როგორც იქნა,

აქრობს ცეცხლს და ხელბედათუთქული გარბის.

იგი გარბის: მას სიმამაცე არ ეყო შეეცნო ჭეშმარიტება, რაიც, თუ გნებავთ, ამქვეყნად ყოფნის სიმამაცეცე გახლავთ. ამ სიმამაცის გარეშე კი არც დაფარული შეიცნობა და არც ისტორიული საქმენი ხდება. ლუთერი ნაუკიდებდა იმ ხეს ცეცხლს, ფრიდრიხ ნიცშეც და ნაპოლეონის ყოველი დიადი წამიც მუდამ იმ ცეცხლის ალში დგებოდა ხოლმე. დღევანდელი წინამძღოლები, ვინც კი თავიანთ ხალხში დაწინაურებულა, ყველა როგორც ერთი, ამ ცეცხლის გენითაა გულანთებული. მუსოლინის, amor fati-სგან მუშტად შეერულს, აქვს გადამწყვეტი იერიშის წამოწყების გამბედაობა, ხოლო ადოლფ ჰიტლერი ამ სიმამაცით უჩვეულოდ, ნერვის უკანასკნელ ძაფამდეა შეპყრობილი. ერთ მაგალითს მოვიყვან.

„1932 წლის 8 აპრილს გერმანიას ისეთი ავდარი დაატყდა თავს, ყოველგვარ წარმოდგენას რომ თევზატყბა. შავი ღრუბლებიდან სეტყვამ წამოუშინა, ნიაღვარმა წალეკა ბალები და ველ-მინდვრები. მღვრიე, ქაფიანმა წყალმა დატბორა გზები და ლიანდაგები, გრიგალმა ფესვიანად ამოგლიჯა საუკუნოვანი უზარმაზარი ხეები. ამ დროს ჩვენ მანქანით მანჰაიმის აეროდრომისაკენ მივემართებით. ვინ გაბედავდა გამძვინვარებული სტიქიისათვის მიენდოთვითმფრინავი — გერმანულმა ლუფტ-ჰანზამ შეაჩერა ყველა რეისი. აეროდრომზე კი, კოკისპირულ წვიმაში მჭიდრო რიგებად დგანან ჩვენი მომხრეების ყველაზე შეუდრეკელი რაზმები. მათ უნდათ აქ იყონ, უნდათ საკუთარი თვალთ იხილონ, ასეთ ავდარში ფიურერი როგორ მიენდობა თვითმფრინავს. ფიურერი ბრძანებს, დაუყოვნებლივ აიღონ სტარტი. ჩვენთვის უნდა შესრულდეს დღის განრიგი, რადგან დასავლეთ გერმანიაში ასეულ ათასობით ადამიანი გველოდება. თვითმფრინავი ანგარიდან გამოჰყავთ. მონტიორებისა და სპეცრაზმელების კუნთმაგარი ხელები ძალ-ღონის არაადამიანური დაძაბვის ფასად ახერხებენ ბილიკზე თვითმფრინავის დაკავებას, რომ ქარიშხალმა არ აიტაცოს და არ დაამსხვრიოს იგი. მოტორების ორდანი ახმიაწებულია. პილოტი უჩინარი ხელით ორლანისტივით ცვლის რეგისტრებს და ხან უკლებს და ხან უმატებს გუგუნს. მოტორები უკვე გახურებულია, სანამ ასაფრენ ბილიკს გაუთავისუფლებდნენ, მოთოკილი ძალით მოუთმენლად ძაგძაგებს ჩვენი ჰიპოგრი-

ფი (ბერძნ. ცხენისტანიანი ფრთოსანი მითური ცხოველი. პოეტური პეგასის წინამორბედი). ერთი ყალყზე შედგომა და ჩვენი ძვირფასი ბედაური უკვე მწვანე მინდორზე მიქრის. რამდენიმე თამამი ნახტომი, უკანასკნელი წამიერი შეხება მიწასთან, ჩვენ უკვე ჰაერში ვართ და ჯადოქრის მოთუხთუხე ქვაბში ვიძირებით. ამას ფრენა აღარ ჰქვია. ესაა ბზრი-ალ-ტრიალი, რომელიც დღემდე უმოკრესი სიზმარივით გვაგონდება. ჩვენ ხან გრიგალს მოვექცევით თავზე, ხან



ღრუბლების ნაფლეთებს მივაპობთ, უხილავი გრიგალი ხან სიღრმეში ჩაგვიტანს, ხან კი გვეჩვენება, თითქოს შორეული ამნე ზევით ვერტიკალურად გვეწოდეს. და მაინც, უსაფრთხოების საოცარი შეგრძნება ღვივის ჩვენში სტიქიის ამ ბობოქრობის ფამს. ფიურერის აბსოლუტური სიმშვიდე ყველას გვედება“ (ოტო დიორისი: „ღამით, ჰიტლერთან ერთად“).

ადოლფ ჰიტლერი ისე შეუპოვრად მოქმედებს, რომ გიჩნდება შეგრძნება: ურჩხულიც რომ გადაუდგეს წინ, არ შეუშინდება. დიახ, გჯერა, რომ იმ ურჩხულს დაამარცხებს. იგი მიმართავს ხალხს, მტკიცედ და გაბედულად და საკუთარ თავსა და სხვებს შორის მიჯნას ვეღარ გრძნობს: თავის ქვეყნის პულსი მასშივე ფეთქავს. იგი კვლავ და კვლავ იყენებს ნაცვალსახელს — „მე“, ოღონდ „მე“ ამ შემთხვევაში, ხალხის ზეპიროვნულ თვითობას ნიშნავს. ამ დროს მისი ფოლადივით სიტყვა უზარმაზარ ძალას ასხივებს, უფრო მეტიც — იგი ქმედით ძალად გადაიქცევა. მისი გამჭრიახი გონება ჯერ არშობილ საიდუმლოს სწვდება და ლალი ჩირაღდანმტყორცნელის დარად, ბრმა ბედისწერას ათვინიერებს. სიტყვის ბოლოს მისი დიონისური ფრთების მოქნევა იმ მფრინავის ფრენას ჰგავს, ოკეანეს რომ გადაუფრინა და ახლა მის მოლოდინში გარინდული, ხალხის წინ ძლევამოსილად ეშვება მინაზე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# მშენებელი ღმერთის გუგამთხე გამოსახული ჯგუფი, მსიხმდომოხმუნანი და სსსწაულები, ჩოქლები სს უნდა „გაგაშეტიშოთ“...

პირველი, რაც ფოტოს ნახვისას თვალში მოგხვდებათ, ტაძრის გუმბათის თავზე, ღრუბლებით გამოსახული სახეა. მისი ნაკვეთები იმდენად მკაფიო და პროპორციულია, რომ მავანს ეჭვს აღუძრავს — ფოტოს მისტიკურობა მონტაჟის მეშვეობით ხომ არ არის მიღწეული? მაგრამ პროფესიონალი ფოტოგრაფები აღიარებენ, რომ მსგავსი სურათის შექმნა ხელოვნური ხერხების, თუნდაც, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებითაც კი, შეუძლებელია.

უცნაური დამთხვევაა — სწორედ იმ დღეს, როდესაც ეს ფოტო პირველად ვნახე, წმინდა სამების ტაძრის არქიტექტორთან, არჩილ მინდიაშვილთან ინტერვიუს ჩასანერად შეხვედრა მქონდა დანიშნული. რა თქმა უნდა, ფოტო თან წავიღე და ბატონ არჩილს ვუჩვენე.

## იმა ტუხიაშვილი

### არჩილ მინდიაშვილი:

— ეს სურათი ნანახი მაქვს, რამდენიმე თვის წინ, მეგობარმა მომიტანა, ოღონდ, იმ ფოტოზე, გუმბათის თავზე გამოსახული ჯვარი უკეთ იკითხებოდა... როგორც არქიტექტორმა, შემიძლია გითხრა, რომ ფოტო დაახლოებით 4 წლის წინ არის გადაღებული. იმ დროს, ტაძარი ქვითაც არ იყო მოპირკეთებული, თუკი ფოტოს დააკვირდებით, გუმბათი მთლიანად ხარაჩოებშია ჩასმული — ე.ი. ჯვარი ტაძარზე ჯერ არ იყო აღმართული. მაგრამ თქვენ მიერ მოტანილ ფოტოზეც ჯვრის სილუეტი ყვითლად მოჩანს და მთელი ეს ადგილი გადათეთრებულია...

### დავით შარაშენიძე, საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი:

— ბოლო დროს, ადამიანები ჩვენ ირგვლივ გაფაციცებით ეძებენ სასწაულებს და რაიმე არაბუნებრივ მოვლენებს. ამასთანავე, არავინ ცდილობს იმის უარყოფას, რომ სასწაულები ნამდვილად ხდება: უფალი ხომ ამ გზით ახსენებს ადამიანებს მის არსებობას. ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მცირედმორწმუნეობაა. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მსგავსი გამოცხადებები ჩვენი ცხოვრების მიზნად არ იქცეს. აი, რას ამბობს წმინდა ისააკ ასური: „ყველაზე დიდი სასწაულია, ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობა“. როდესაც შეიცნობ შენს სულიერ „მეს“, მაშინ იხილავ ჭეშმარიტ სასწაულს. წმინდა მამები იმასაც ამბობენ, რომ ჭეშმარიტი სასწაულის ხილვისას, ადამიანს მასზე ლაპარაკის სურვილი უქრება. დღეს კი, პირიქით ხდება — ოღონდ ვინმემ რაიმე უჩვეულო იხილოს... კაცობრიობას ახლა ღვთისგან განდგომის ჟამი უდგას, რომელიც სხვათა შორის, სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევა, ეკლესია მსგავსი მოვლენების მიმართ ყოველთვის დიდ სიფრთხილეს



იჩენდა. ახლა კი, პირიქით — როგორც კი ხატი ოდნავ დაიცვარება, აქტიურად იწყება ლაპარაკი იმაზე, რომ ხატები ტირიან და ა.შ. არ იფიქროთ, რომ უარყოფი მირონდინარე ხატების არსებობას, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ადამიანის ცხოვრების ამოსავალი წერტილი, რასაც შემდეგ, სულიერი განწმენდის, აღსარების თქმის, წმინდა ლიტურგიაში მონაწილეობის და ზიარების მიღების უგულებელყოფა მოსდევს. არადა, სწორედ ამ გზით ვუახლოვდებით უფალს. ხშირია შემთხვევა, როდესაც სასწაული სწორედ იმ ადამიანს ეცხადება, რომლის ცხოვრების წესი არ არის მართებული. ასეთი გამოცხადების შემდეგ კი, ეს ადამიანები თამამად ლაპარაკობენ სასწაულებზე, რაც შესაძლოა, სულიერ ხიბლშიც კი გადაეზარდოს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხშირად,

ასეთი ცრუსასწაულის „ავტორი“, ბოროტი ძალაა. ხოლო მსგავს გატაცებებს ადამიანები ფსიქიკურ აშლილობამდე ან მძიმე სულიერ დაავადებამდეც კი მიჰყავს. სულიერი მამები ამ დროს გვიჩვენებენ — ჯობს, სრულიად უარყო, ვიდრე მიიღო. ზოგჯერ შესაძლოა, ღვთის სასწაულიც კი უარყო, მაგრამ ამას უფალი ღვთის გმობად კი არ ჩაგითვლით, არამედ — წინდახედულეზად... დღეს უამრავი ამის მსგავსი ფოტო ვრცელდება ხალხში და ამაზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს მხოლოდ ეს იყოს ქრისტიანობის გვირგვინი. ეს არის ღვთის ძალმოსილების ყველაზე უმნიშვნელო გამოვლინება, რადგან უფალი თავის თავს ბევრჯერ სხვა გზით ავლენს, პირველ რიგში კი, მისი არსებობა ღვთისმსახურებისას შეიგრძნობა. სამწუხაროდ, დღეს აქცენტები არასწორად კეთდება, ხოლო ის, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ყურადღების მიღმა რჩება.

### როგორია თქვენი დამოკიდებულება სიზმრისეული გამოცხადებების მიმართ?

— ზოგს ჰგონია, რომ სიზმარი ერთმნიშვნელოვნად ბოროტისგან მოდის, რაც არასწორია. სიზმარი შესაძლოა, ზოგჯერ ღვთიური გამოცხადებაც იყოს. მაგრამ დიდი საშიშროება იმისა, რომ ჩვენი სულიერი უმნიშვნელობისა და მოუზადებლობის გამო, ბოროტისგან ცდუნებულნი აღმოვჩნდეთ. ამიტომ, სულიერი მამები ასეთ დროსაც, მეტი სიფრთხილის გამოჩენას გვირჩევენ, რადგან სიფხიზლე ადამიანს ყოველთვის სწორი გზის არჩევისკენ უბიძგებს.

### მამაო, ხილულ სასწაულს ხომ თვით წმინდა წერილიც ცნობს?

— სასწაულები ხდებოდა, ხდება და მანამ მოხდება, ვიდრე ქვეყნიერება იარსებებს. მთავარია, როგორი იქნება ამ სასწაულების მიმართ ადამიანების დამოკიდებულება. მაგალითად, არსებობს წმინდა ადგილი — ათონის მთა, სადაც ღვთისგან მოვლენილი სასწაული ყოველდღიურად, უფრო მეტიც — ყოველწამიერად ხდება. ყოველდღიანად ღვთისმშობელი ათონის მთაზე თავის არსებობას სხვადასხვა გზით ავლენს, მაგრამ როგორც არ უნდა სთხოვოთ იქაურ ბერებს, მათგან ვერაფერს მოისმენთ, რადგან სასწაულებზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს...



# „გეორგი ბეჟაშვილი წმინდა კათილგახარო ბეჟა თაგარ“

14 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია სადღესასწაულოდ იხსენიებს წმინდა თამარ მეფეს. ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ თამარი მამამისმა, გიორგი მესამემ თავის სიცოცხლეშივე გამოაცხადა თანამოსაყდრედ და სამეფო ტახტის მემკვიდრედ: „დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა მის ოფაზისა, აღმკულნი იაკინთთა, ზმირთა და სამარგმოთა მიერ“. ეს მოხდა 1178 წელს. მაშინ თამარი 12 წლის იყო. 6 წლის მანძილზე, მამა-შვილი ერთად განაგებდა სამეფოს. 1184 წელს, გიორგი III გარდაიცვალა და 18 წლის თამარი საქართველოს სამეფოს ერთადერთი პატრონი და მმართველი გახდა.

## მორენა მერკვილაკა

ღვთისმოსავმა თამარ მეფემ ხელისუფლების სათავეში მოსვლის პირველსავე დღეს, ღვთივსაბუნო საქმე აღასრულა — უამრავი საბოძვარი გასცა ქვრივ-ობოლთა და უპოვართათვის. ღარიბ-ღატაკთა და უძლურთათვის ზრუნვა წმინდა მეფეს მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეუწყვეტია. მისი გულმონყალების შესახებ ლეგენდები დადიოდა. თავადაც ხშირად ამბობდა თურმე, ღიმილით: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“. თამარის მეფობის ხანაში, ეკლესიებთან „საზრუნველნი“ დაარსდა უპოვართათვის. გარდა ამისა, „სარწმუნო ზედამდგომელნი“ ყოველწლიურად ქვეყნის მთელ შემოსავალს ანგარიშობდნენ და მეფის ბრძანებით, შემოსავლის მეთაფი ღარიბ-ღატაკებს ურიგდებოდა: „ყოვლისა ნათალი გლახაკთა მიეცემოდა და უკლებლად ერთისა ქრთილისა მარცულამდეცა“, — მოგვითხრობს მემატინე. თამარ მეფე თავადაც ხელსაქმობდა უპოვართათვის: დღისით, სამეფო საქმეებს განაგებდა, ღამით კი, ხელსაქმეს ჰკიდებდა ხელს — კერავდა, ქსოვდა, რათა საკუთარი ნახელავით გლახაკნი შეემოსა. მეფეს ხშირად, საკუთარი ხელით დაუპურებია უქონელნი, სარეცელი გაუშლია უძლურთათვის, მოუსვენებია, გაუშენებებია...

ერთხელ, თამარ მეფე გელათში სადღესასწაულო წირვაზე წასასვლელად ემზადებოდა. მასთან მსახური მივიდა და მოახსენა, კოშკის კართან ქალი დგას და მონყალებს ითხოვსო. მეფე სამეფო შუბლსაკრავზე ძვირფას ქვესს ამაგრებდა და უბრძანებია, დამელოდოსო. პალატიდან გამოსულ თამარს, ქალი ადგილზე აღარ დახვედრია. მეფეთ მეფე ძალზე შეწუხებულა და უთქვამს — ღარიბ-ღატაკი დედაკაცის სახით, თავად უფალ იესო ქრისტეს ვუთხარი უარი მონყალებზეო... გელათში ჩასვლისთანავე, ახალთახალი სამეფო შემოსაკრავი მოუხსნია და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატისთვის შეუწირავს.

თამარ მეფის ღვთისმოსაობა მხოლოდ გულმონყალებით არ გამოიხატებოდა. წესად ჰქონია „ღამე-ყოველ მღვიძარება, ლოცვა, მუხლმოდრეკა და ცრემლით ვე-



დრება“. საეკლესიო წეს-კანონთა დაუკლებლად აღმსრულებელი, ამასვე მოითხოვდა სხვებისგანაც — „დარბაზის კარს მყოფი, წირვად ვერავინ დააკლდებოდა: მწუხრი, დილეულ, სამხრი, ვითარცა თქმულ არს“.

მთლიანად ღმერთის ძალას იყო მიხედობილი ღვთივგაბრწყინებული მეფე თამარი, ამიტომაც იყო, რომ ბრძოლის დროს „მხოლოდ ძალსა ღმრთისა, ყოვლისა მყრობელისა და ჯუარსა წმიდასა“ ანდობდა ქვეყნის ბედს, ბრძოლის ველზე კი, ყოველთვის ლოცვითა და ჯვრის სახვით აცილებდა ლაშქარს. შამქორის ომის წინ, მეფემ შემდეგი სიტყვებით მიმართა მეომრებს: „ძმანო ჩემო, ვიცი, კვლავაც არ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მტრისათვის და სიმცირითა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენთან არს...“ შემდეგ, დროშა გორგასლიან-დავითიანი დავით სოსლანს, მეუღლეს და მთავარსარდალს გადასცა... დალოცა ლაშქარი, ღმერთს შუავედრა მხედრობა, „ნარუდლუანა ძელი ცხოვრებისა“ და გაისტუმრა ბრძოლის ველზე, თვითონ კი, ფეხშიშველი, მტეხის ტაძრისკენ გაემართა და ღვთისმშობლის ხატის წინ

დიდხანს ლოცულობდა ლაშქრისა და ქვეყნისათვის.

მართლაც, მონყალე თვალთ გადმოხედა უფალმა ღვთისმოყვარე მეფესა და ღვთისმშობლის წილხედრ საქართველოს: ციხე-ქალაქ შამქორთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში, რომლის დროსაც, თურქები ბევრად აღემატებოდნენ დახვედურთ, ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

მეორე უდიდესი ბრძოლა, რომელიც თამარის მეფობის დროს გაიმართა და ქართველთა გამარჯვებით დასრულდა, ბასიანის ომი გახლდათ. თურქთა 400-ათასიანი ლაშქრის სარდალმა რუმ-იკონიის სულთანმა რუქნ ად-დინმა მოციქული წარგზავნა ტფილისს და ჯარის სიმრავლით გაგულისებულმა ისიც კი იკადრა, რომ თამარ მეფეს, სჯულის გამოცვლის საფასურად, ცოლობა შესთავაზა, ხოლო თუ თამარი ქრისტიანად დარჩებოდა, მაშინ სულთანი მას ხარჭად დასმით ემუქრებოდა.

თამარის ბრძანებით, სასწრაფოდ შეიკრიბა ქართველთა ლაშქარი. სულთანს კი მეფემ საპასუხო წერილი მისწერა: „...შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილ ხარ უმეცარი მსჯავრსა ღმრთისასა. ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა რას კაცობრივსა საქმესა მინდობილი ვარ, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მყრობელისასა და შეწევნისა ქრისტეს ჯუარისასა, რომელსა შენ ჰგმობ...“

ბასიანის ბრძოლის წინ, თამარ მეფემ მეომრები ვარძიის ღვთისმშობელს შუავედრა. შემდეგ, ფეხშიშველი წარუძღვა წინ ლაშქარს, ლოცვითა და ცრემლით; ქვეითად მიაცილა ქალაქის კარიბჭემდე, თან ჯვარს მიაბრძანებდნენ... უკან მიბრუნებული კი, მთელი ღამე მუხლმოდრეკით ლოცულობდა და გამარჯვებას შესთხოვდა უფალს...

28 წელი იმეფა თამარმა. ამ ხნის მანძილზე, მრავალი გამარჯვების სიხარული განაცდივინა ქართველ ერს.

თამარ მეფემ ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე მიაპყრო ყურადღება საეკლესიო საქმეებს: ღვთივგანბრძობილი მეფის გონიერმა თვალმა მალევე შენიშნა ზნეობრივი რყევანი სამღვდელეობაში, რაც ეკლესიის უმაღლეს ღვთისმსახურთა პატივმოყვარეობისა თუ სხვა ღვთივსაწინააღმდეგო ქმედებებში გამოიხატებოდა... ისტორიკოსთა ცნობით, თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მიქაელი (რომელიც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელიცაა) იყო მაგალითი „უნესობათა“... ეკლესიაში შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად და უმსგავსობათა აღსაკვეთად, თამარ მეფემ საეკლესიო კრება მოიწვია, რომელსაც იერუსალიმში მოღვაწე ბერი ნიკოლოზი და ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონი უძღვებოდნენ. კრების დაწყების წინ, მღვდელმთავართა და მამათა სიმრავლეს თამარ მეფემ მდებლად მიმართა: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად, სიმართლედ დაადგინეთ და გულბოროტნი ეკლესიიდან გააძევეთ; თუ მართალი არ ვიყო, ნურც მე მომერიდებით, რადგან ეს გვირგვინი მეფო-

ბისთვის მაქვს და არა ღმერთებრძოლო-ბისთვის. მთავართა წინაშე მათი სიმდიდრისთვის ნუ თუალახუამთ და გლახაკთა ზედა მათი სიმცირისთვის უპატიურად ნუ მოიქცევით. სიტყვა იყოს თქვენი და საქმე ჩემი; თქვენ გვასწავლეთ, ჩვენ ვისწავლით; ხელი ხელს მივცეთ სჯულიერების დასადგენად, თქვენ ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქვენ ვითარცა მწიგნობარი, მე ვითარცა ებგური“.

ღვთივმორწმუნე მეფე ეკლესია-მონასტრებზეც ძალზედ ზრუნავდა. მის დროს აშენდა ფიტარეთი, ბეთანია, ყინწისი, ქვათახევი; კლდეში ამოიკვეთა ვარძია, სადაც დიდმარხვის დღეებს ატარებდა გვირგვინოსანი. ვარძიის მონასტერში დღესაც მოედინება მაკურნებელი წყარო, რომელსაც „თამარის ცრემლები“ ეწოდება: რადგან ვარძია თამარის სახელთანა დაკავშირებული, წყაროსაც თამარის ცრემლები უწოდეს. ამბობენ, წყაროს წყალს, განსაკუთრებულად უშვილო წყვილების კურნების ძალა შესწევს...

თამარმა არა მხოლოდ საქართველოს ეკლესია-მონასტრები გაამდიდრა, არამედ ქვეყნის გარეთ მდებარე ქრისტიანულ ტაძრებსა და სავანეებზეც ზრუნავდა — უხვად შეამკო ლავრები და სავანეები: პალესტინაში, სინას მთაზე, პეტრიწონში, შავ მთაზე, ათონის მთაზე, საბერძნეთში, თრაკიაში, რუმინეთში, ისაგრიაში, კონსტანტინოპოლში.

საოცრად თავმდაბალი, გულმონყალე და შემწყნარებელი ყოფილა გვირგვინოსანი, ამიტომაც იყო, რომ „მშვიდმა და მშვიდობისმყოფელმა“ თამარ მეფემ გააუქმა სიკვდილით დასჯა და სასჯელის სახით სხეულის დასახიჩრება — ასოს მოკვეთაც აკრძალა; მკაცრად იკრძალებოდა დამნაშავეს ჯოხით ცემაც.

დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა თამარ მეფე, როდესაც ჯანმრთელობა შეერყა. ეს 1210 წლის შემოდგომაზე მოხდა. ავადმყოფობის შესახებ თავიდან არავისთან დასცდენია სიტყვა და მხოლოდ მამინაგანცხადა, როდესაც სენი „დღითი დღე დამძიმდებოდა მის ზედა“. გაუსაძლისი ტკივილი რამდენიმე წელი ტანჯავდა თამარ მეფეს. მთელი ერი ლოცვით ავედრებდა უფალს თამარის სიცოცხლეს, მაგრამ — ამაოდ...

„ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელი მუუფეო ცათა და ქვეყნისაო! შენ შეგავედრებ საიფოსა ამას საქართველოს, პატრიოსანთა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომეც და მერმე სულსა ჩემსა“; — ეს იყო უკანასკნელი სიტყვები წმინდა მეფე თამარისა.

დღემდე უცნობია თამარ მეფის საფლავის ადგილსამყოფელი. ზოგიერთი ისტორიული წყაროს თანხმად, წმინდა მეფე გელათშია დაკრძალული, ზოგი წყარო კი მის საძვალედ, იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ასახელებს. ამიტომ, მორწმუნეებს წმინდა თამარ მეფის წმინდა სამარხთან მიხილების საშუალება არა აქვთ. თუმცა, შეგვიძლია, რწმენითა და სასოებით მივეახლოთ მის წმინდა ხატებს და მადლი, შემწეობა და ღვთის წინაშე მოხება შევთხოვთ წმინდა მეფეს.

## როგორ და რატომ ითვლიან პულსს

რუბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამაცაშვილი

### რა არის პულსი

თუ თითო შეეხებით სხეულის იმ უბნებს, სადაც ზედაპირულად მდებარეობს მსხვილი არტერიები (კისერზე, საფეთქლის არეში, ტერფის ზურგის მხარეს), თითის ქვეშ შეიგრძნობთ ამ არტერიათა კედლების ბიძგისებურ, რიტმულ რხევას, რომელსაც პულსს უწოდებენ. იგი წარმოიქმნება გულის ყოველი შეკუმშვისას, როცა სისხლის განდევნის მომენტში წნევა აორტაში მატულობს და პულსური ტალღა არტერიათა კედლების გასწვრივ, წვრილ კაპილარებამდე ვრცელდება.

### როგორ განვსაზღვროთ პულსი

პულსის განსაზღვრის რამდენიმე მეთოდი არსებობს. მათ შორის, ყველაზე მარტივი, პალპატორულია, რომელიც ხელის თითებით პულსური ტალღის შეგრძნებას გულისხმობს. ექსტრემალურ სიტუაციებში, პულსის განსაზღვრისათვის ყველაზე ხელსაყრელი წერტილი კისრის მთავარ საძილე არტერიაზე მდებარეობს. მისი პოვნა ადვილია, თუ თითებს ქვედა ყბის უკანა კუთხიდან ქვევით, კისრის გასწვრივ ჩამოაცურებთ და სასუნთქი არხის გვერდით მდებარე ჩაღრმავებას მონახავთ, სადაც საძილე არტერიის პულსაცია კარგად შეიგრძნობა.

სმირად, პულსს სხივის არტერიაზე — ცერა თითის ქვემოთ განსაზღვრავენ. ამისთვის, საჩვენებელ, შუა და არათითებს სხივ-მაჯის სახსრის ზევით ათავსებენ და არტერიას შეიგრძნობენ. ამ დროს, პაციენტის ხელის მტევანი, გულის სიმძლავრე უნდა მდებარეობდეს.

თუ პულსური დარტყმები, დროის თანაბარი შუალედების შემდეგ შეიგრძნობა, პულსი რიტმულია (ანუ სწორი), საპირისპირო შემთხვევაში კი — არეული (არასწორი). მაგალითად, ასეთი პულსი აღინიშნება მოციმციმე არითმიის დროს, როცა პულსური დარტყმები ერთმანეთს არეულად მიჰყვება.

პულსის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი სიხშირეც. მისი განსაზღვრისთვის, ითვლიან პულსური დარტყმების რაოდენობას 10 წამში და 6-ზე ამრავლებენ, მაგრამ თუ რიტმი არასწორია, პულსის სიხშირე აუცილებლად ერთი წუთის განმავლობაში უნდა დაითვალოს. ასევე, უნდა გაითვალისწინოთ, რომ გამოკვლევის დასაწყისში, პულსი ჩვეულებრივ უფრო ხშირია, შემდგომ თანდათანობით ნელდება და მუდმივ დონეზე რჩება. ყველა ადამიანს, პულსის საკუთარი მახასიათებელი სიხშირე აქვს. ჯანმრთელ ადამიანებში, იგი გულის შეკუმშვათა სიხშირეს შეესაბამება და სიმშვიდის პირობებში, მაკაცებისთვის წუთში 60-80-ს შეადგენს, ქალებში კი — 5-10 დარტყმით უფრო ხშირია. ჯანმრთელ, მოზრდილ ადამიანს, პულსის ყვე-

ლაზე დაბალი მაჩვენებელი წოლით მდგომარეობაში აქვს, ჯდომისას, პულსი 4-6 დარტყმით, დგომისას კი — წუთში 10-14 დარტყმით ხშირდება. ზამთარში, პულსის სიხშირე, როგორც წესი, უფრო დაბალია, ვიდრე ზაფხულში. მისი სიხშირე ცვალებადობს დღე-ღამის განმავლობაშიც: 8-დან 12 საათამდე, იგი მაქსიმალურია, შემდეგ, 14 საათამდე, თანდათანობით კლებულობს, 15 საათიდან კი, ისევ იწყებს გახშირებას და 18-დან 20 საათამდე, მაღალი რჩება. ღამით კი, როცა ადამიანს სძინავს, პულსის სიხშირე მინიმალურია. პულსი შესაძვნავად ჩქარდება ცხელი სითხისა და საკვების მიღების შემდეგ, ცივი სასმელები კი, საპირისპირო ეფექტს იძლევა.

პულსის სიხშირის ცვალებადობა, ფიზიკურ დატვირთვასაც უკავშირდება. რაც უფრო ინტენსიურია კუნთების დატვირთვა, მით უფრო ხშირია პულსი. ამ დროს, მნიშვნელოვანია პულსის დასაზღვრე მაქსიმალური სიხშირის ცოდნა. ამისთვის, 220-ს უნდა გამოაკლოთ საკუთარი ასაკი. მიღებული სხვაობა უნდა გაამრავლოთ 0,7-ზე (ან 0,6-ზე თუ 60-ს გადაცილებული ხართ, ან ცუდ ფიზიკურ ფორმაში იმყოფებით). ამგვარად, მიიღებთ პულსის ოპტიმალურ მაჩვენებელს — ნებისმიერი ფიზიკური დატვირთვისას. მაგალითად, თუ თქვენ 50 წლის ჯანმრთელი მამაკაცი ხართ, 220-ს აკლებთ 50-ს (ასაკს) და მიიღებთ პულსის დასაზღვრე მაქსიმალურ სიხშირეს ფიზიკური დატვირთვისას წუთში 170 დარტყმას. თუ 170-ს გამარავლებთ 0,7-ზე, მიიღებთ 119-ს — ოპტიმალურ მაჩვენებელს, რომელსაც უნდა ინარჩუნებდეთ ნებისმიერი ფიზიკური დატვირთვისას.

წუთში 60 დარტყმაზე ნაკლებ პულსს ბრადიკარდიას უწოდებენ. მისი განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება, გულის ზოგიერთი დაავადება და სხვა, მაგრამ პულსის ასეთი გაიშვითება, რომელიც რეგულარული ფიზიკური ვარჯიშის შედეგად მიიღწევა, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფაქტორად მიიჩნევა, რადგან გული, ამ შემთხვევაში, უფრო „ეკონომიურად“ მუშაობს: სისხლის „დარტყმითი მოცულობა“ (გადასროლილი სისხლის რაოდენობა) და დარტყმებს შორის პაუზის ხანგრძლივობა მატულობს.

გულის კუმშვით ფუნქციონა და მოკიდებული პულსის სისუსე — გულის შეკუმშვის მომენტში არტერიის აკეზა სისხლით. იმის მიხედვით, თუ როგორია სისხლის გადასროლის ძალა, განსხვავებულია არტერიათა მოცულობა სისხლის გავლის მომენტში. ამის შესაბამისად, განასხვავებენ ენ. სავე პულსს, რომელიც ხელით შეხებისას, არტერიის ქარბად შევსების შეგრძნებას ტოვებს და ენ. ცარიელ ანუ ძაფისებურ პულსს, რომელიც ხშირად გჭვდება გულ-სისხლძარღვთა სისტემის უკმარისობის დროს.



# ასთმა: „იხოსხლათ დიდხანს და ბედნიერად

დღეისათვის, ბრონქული ასთმა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. ასთმა აქვს მოზრდილთა 5%-ს და ბავშვების 10%-ს, მაგრამ ასთმით დაავადებულსაც, შეგიძლიათ, დიდხანს და ბედნიერად იცხოვროთ. საჭიროა მხოლოდ გარკვეული ნესების დაცვა.

ბრონქული ასთმა, სასუნთქი გზების ქრონიკული ალერგიული დაავადებაა. მისი დამახასიათებელი ნიშანია ზემოგრძობიარე ბრონქები, რომლებშიც ნებისმიერი გამაღლიზიანებლის ზემოქმედებისას ბრონქოსპაზმი ვითარდება — ვინოვდება მათი სანათური, ჭარბად გამოიყოფა ლორწო და შუბდება ლორწოვანი გარსი. ბრონქოსპაზმის დროს, ადამიანი სუნთქვის გაძნელებას და მოხრჩობის შეგრძნებას უჩივის.

ასთმა ნებისმიერ ასაკში შეიძლება განვითარდეს, მაგრამ დაავადება ჩვეულებრივ, ბავშვობაში „იღებს სტარტს“. მის განვითარებას, ხშირად მემკვიდრეობას აბრალევენ. ცნობილია, რომ თუ ბავშვის მშობლები ასთმიანები არიან, ბავშვის დაავადების ალბათობა 70-80%-ია. ზოგჯერ, ასთმის პროვოცირებას არარაციონალური კვება იწვევს. ამიტომ, უმჯობესია, ნუ დააძალებთ პატარებს ციტრუსს, თაფლს, შოკოლადს, თევზს და სხვა, ალერგენული თვისებების მქონე პროდუქტს.

## ნუ დაანებებთ ჩახმასს

ყველა ასთმიანს აქვს დაავადების „ჩამართველი მექანიზმი“ — ტრიგერი, რომელიც ასთმის გამწვავებას იწვევს. ტრიგერის როლში ხშირად გვევლინება:

### ● ალერგენები

სტატისტიკის მიხედვით, ასთმით დაავადებულთა 70% საყოფაცხოვრებო ალერგენებზე რეაგირებს. მათ მიეკუთვნება: მტვერი, ოთახის მტვრის ტიპა, ტარანები და შინაური ცხოველები — კატები და ძაღლები. ამასთან, ალერგიას იწვევს შინაურ ცხოველთა არა ბუნვი, არამედ მათი ნერწყვი, ქერტილი და ცხიმოვანი ჯირკვლის გამონაყოფი. შინაურ ცხოველთა ალერგენი ხანგრძლივად ინახება გარემოში და თავი შეიძლება მაშინაც კი შეგვასხენოს, როცა ცხოველი სახლში აღარ გყავს. უვნებელი არ არის აკვარიუმის თევზებიც. მათი მშრალი საკვები ძლიერი ალერგენია. ავადმყოფთა 30-40%-ში, შეტყვის მიზეზი, მტვრის ალერგენებია. მტვრისმიერი ბრონქული ასთმის პიკი გაზაფხულსა და ზაფხულზე მოდის.

### ● ნამლები

განსაკუთრებით საშიშია პენიცილინის რიგის ანტიბიოტიკები, ვიტამინები, სულფანილამიდები, ასპირინი. ეს სამკურნალო საშუალებები, საშიშროებას წარმოადგენს არა მხოლოდ დაღვევისას, არამედ ხანგრძლივი კონტაქტის შემთხვევაშიც.



## უეცარი შეტევა

ასთმიანთა ბრონქების კედლები გასქელებული და შეშუპებულია, რადგან ასთმის შეტყვისას, მათში ჰაერი ნაკლები რაოდენობით გადის — ადამიანი ასველებს, ჰაერი არ ჰყოფნის. სამი ასეთი შეტყვის შემდეგ, ავტომატურად დაისმება „ბრონქული ასთმის“ დიაგნოზი.

ზოგჯერ, დაავადება ფარულად მიმდინარეობს — ადგილი აქვს მხოლოდ ღამის ხველის გახანგრძლივებულ შეტყვებს, სუნთქვის გაძნელებას, მსტვინავ ხიხინებს გულმკერდის არეში. თუ ეს სიმპტომები ეუფილინის მიღების შემდეგ გაივლის, შესაძლოა, ისინი ბრონქული ასთმის გამოვლინება იყოს.

ექიმები ასთმის რამდენიმე ფორმას განასხვავებენ. მსუბუქი ფორმისას, შეტევა თვეში ან კვირაში ერთხელ, მძიმე შემთხვევაში კი — თითქმის ყოველდღიურად ვითარდება.

მოხრჩობის შეტყვები სპონტანურად იშვიათად ვითარდება. ხშირად მათ პროვოცირებას იწვევს:

● ვირუსული დაავადებები — ინფექციური აგენტი ლორწოვანზე მოხვედრისას მას აზიანებს და ბრონქების ჰიპერრეაქტიულობას ზრდის.

● მკვეთრი სუნი — საღებავები, სუნამოები, საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებები, სიგარეტის კვამლი.

● მეტეოროლოგიური ცვლილებები — ატმოსფერული წნევის დაქვეითება ან მომატება, ტემპერატურის მკვეთრი დაცემა. ასთმიანებისთვის არ არის რეკომენდებული სიცივეში სეირნობა.

## როგორ მკურნალობენ ასთმას

ასთმის სამკურნალოდ ორი სახის პრეპარატები გამოიყენება.

**სიმპტომური** — ანუ სწრაფი დახმარების პრეპარატები ბრონქების გამავლობას აღადგენს და ბრონქოსპაზმს ხსნის.

**ბაზისური** თერაპიის პრეპარატებს დაუყოვნებელი ეფექტი არა აქვს, მაგრამ მოქმედებს დაავადების ძირითად მიზეზზე — ამცირებს და თრგუნავს ბრონქების ალერგიულ ანთებას. საბაზისო თერაპიის პრეპარატებს ეკუთვნის გლუკოკოტიკოსტეროიდული ჰორმონები. დაავადების სირთულის მიხედვით, მკურნალობა ტარდება ან კურსობრივად — შემოდგომასა და გაზაფხულზე, ან ნონ-სტოპის რეჟიმში — რამდენიმე წლის განმავლობაში.

ჰორმონებით ხანგრძლივი მკურნალობა გვერდით მოვლენებს იწვევს. ჰორმონებზე მყოფ ავადმყოფებს, ხშირად ემართებათ ფარინგიტი (ხახის ლორწოვანის ანთება), უქვეითდებათ კალციუმი ძვლებში. ამიტომ, ჰორმონოთერაპიას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავენ და ცდილობენ, ბავშვებს არ მისცენ.

ექიმები ასთმიანებს ურჩევენ, მუდამ თან იქონიონ ინჰალატორები. გადაუდებელ შემთხვევებში, შეუცვლელია ნებულაიზერები, რომლებიც წამლებს ორთქლად გარდაქმნიან.

ასთმის მკურნალობაში, ფართოდ გამოიყენება სპეციფიკური იმუნოთერაპია — სამკურნალო ალერგენებით, რაც ცვლის ორგანიზმის რეაქციას ალერგენებზე და ორგანიზმი მათზე აღარ რეაგირებს.

## გავქვეით ასთმას

● ასთმიანებისთვის შესაძლებელია და აუცილებელია ცხოვრების აქტიური სტილი — მუშაობა, სპორტი, მოგზაურობა.

● სასარგებლოა სპორტის ის სახეობები, რომლებიც ავითარებს სუნთქვის აპარატს: ცურვა, ხელბურთი, კალათბურთი, უშუ და სხვა. მაგრამ ნუ ეცდებით რეკორდების დამყარებას, რადგან საკმაოდ ხშირად, შეტევა მეტისმეტი ფიზიკური დატვირთვისას ვითარდება. ამიტომ, ვარჯიში მხოლოდ რეჟიმის (ჩანყნარების) პერიოდშია დასაშვები.

● ასთმით დაავადებულთათვის, დასვენება უმჯობესია დიდი ქალაქებიდან მოშორებით. მათთვის სასარგებლოა მშრალი ზღვის და მთიანი ადგილების ჰავა. კარგია დასვენებისას მასაჟის კურსების ჩატარება.

## თუ სახლში ასთმიანი გყავთ

● ყოველდღიურად, სველი წესით დალაგეთ სახლი;

● მოაშორეთ მისი ოთახიდან ბუმბულისა და მატყლის ლოგინი, შალის ხალიჩები;

● უარი თქვით შინაურ ცხოველებზე — კატებზე, ძაღლებზე, აკვარიუმის თევზებზე;

● ნუ მოსწვთ სიგარეტს.



მიუხედავად იმისა, რომ მოდელ პრინსტის, ოჯახში მზარეულობას ჭურჭლის რეცხვა ურჩევნია, მაინც გემრიელი კერძები გამოსდის, რასაც მისი თითქმის ყველა მეგობარი აღნიშნავს.

# „წამკლავად ჩემს მეუღლეს ნახევრად უძი სწავლული ვაჭარს“

ლებრივ ბორშის, მანენის „სუპს“, ჩიხირთმას, კარგად ვწვავ კარტოფილს. გამომდის უგემრიელესი ფელამუში.

— რომელიმე კერძის შენეულ რეცეპტს ხომ ვერ გაგვიზიარებ?

— შემწვარი კარტოფილის ჩემეულ რეცეპტს შემოგთავაზებთ: აიღეთ კარტოფილი, გათაღეთ და დაჭერით ჩვეულებრივ ნაჭრებად. ამის შემდეგ, მოაყარეთ სვანური მარილი და შეწვით კარაქში. თავდაპირველად, დადგით მაღალ ცეცხლზე, 5 წუთის შემდეგ კი — დაბალზე. ამას გარდა, მინდა სალათის რეცეპტი შემოგთავაზოთ, რომელიც ფეხმძიმობისას მოვიფიქრე: აიღეთ სალათის ფურცლები და დაჭერით, შემდეგ დააყარეთ კუბურებად დაჭრილი სულგუნი, „ვიჩინა“ და კიტრი, მოაყარეთ ლამაზად დაჭრილი პომიდორი და მოასხით ერთმანეთში არეული მაიონეზი და კეტჩუპი, სულ ბოლოს, ამ ყველაფერს დაახეხეთ ჰოლანდიური ყველი. ეს სალათი მარტივი გასაკეთებელია, თანაც — გემრიელი.

— დიეტას ხშირად იცავ? — დიეტაზე ცხოვრებაში პირველად,

შარშან გაზაფხულზე ვიყავი. რაციონიდან მთლიანად ამოვიღე პური და ვჭამდი მხოლოდ კიტრს, ყველსა და მანონს. სხვათა შორის, 10 დღეში 6 კილო დავიკვილი.

— ოდესმე ხინკალი ან ხაჭაპური თუ გაგიკეთებია?

— ხაჭაპური გამიკეთებია, ხინკალი — არა. ძალიან გემრიელ ხაჭოიან პელმენებს ვამზადებ.

— მეუღლეს პირველად რომელი კერძი მოუმზადებ?

— მიმას პირველად ნახევრად უმი სპაგეტი ვაჭამე (იცინის)... დღესდღეობით კი, მას ჩემი მომზადებული თითქმის ყველა კერძი მოსწონს.

— შვილს ყველაზე ხშირად რას უმზადებ?

— მას ფაფა, შემწვარი კარტოფილი და ვერმიშელისგან მომზადებული კერძი უყვარს. ვიღებ ვერმიშელს და ვბრუნავ კარაქში, შემდეგ ვასხამ ადუღებულ წყალს და დაბალ ცეცხლზე ვხარშავ. ამის შემდეგ, გემოვნების მიხედვით, ვაყრი შაქრის ფხვნილს.

— სუფრის ლამაზად განწყობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებ?

— რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს სადა და ხარისხიანი ჭურჭლით განწყობილი სუფრა.

— სასმელებიდან რომელს გამოყოფდი?

— ვერ წარმომიდგენია ცხოვრება ყავისა და ჩვეულებრივი წყლის გარეშე. სხვა სასმელს საერთოდ არ ვსვამ. ალკოჰოლური სასმელებიდან მხოლოდ წითელი ღვინო მიყვარს.

— თუ არსებობს ისეთი კერძი, რომელსაც ვერასოდეს გააკეთებ?

— რა თქმა უნდა. ეს არის საცივი და ტოლმა, რომლებსაც დედის დახმარების გარეშე ვერ მოვაზადებ. თუმცა, ამავეს ვფიქრობდი ფელამუშზეც, მაგრამ როცა ჩემმა დედამთილმა მისი მომზადება მასწავლა, მერე იოლი მომეჩვენა. გამოდის, ჩემი დედამთილი კარგი მასწავლებელი ყოფილა.

## ეკა მინდაძე

— საკმაოდ პატარა ვიყავი, პირველად ერბოკვერცხი რომ შევინვი. ბავშვობიდან გვიყვარდა მე და ჩემს დას დედასთან ერთად სამზარეულოში ფუს-ფუსი. განსაკუთრებით, ნამცხვრის ცხობა მომწონდა. 3 დღეში ერთხელ, გადმოვიღებდით ხოლმე დედის ნამცხვრების რეცეპტების რვეულს და ხან ერთ ნამცხვარს ვაცხობდით და ხან — მეორეს. სხვათა შორის, გამოგვდიოდა.

— გურმანი ხარ?

— რა თქმა უნდა. მშვიერი, ყოველთვის ცუდ გუნებაზე ვარ. როგორც კი შევჭამ, მაშინვე კარგ ხასიათზე ვდგები (იცინის).

— კერძებიდან ყველაზე მეტად რომელი გიზიდავს?

— ძალიან მიყვარს მეგრული ელარჯი, ბაჟე, ცხარე და მწარე კერძები. განსაკუთრებით, ყველი მიყვარს. თუ სახლში ყველი არ არის, იმ დღეს მშვიერი ვარ.

— ელარჯი თვითონ თუ მოგიმზადებია?

— ელარჯი არა, მაგრამ დედაჩემის დახმარებით ღომი გამიკეთებია.

— ყველაზე გემრიელად რომელ კერძს ამზადებ?

— ვიდრე ჩემი მშობლების სახლში ვცხოვრობდი, კერძებს ძირითადად, დედა ამზადებდა. მას მხოლოდ „შავ საქმეში“ ვესმარებოდი: ვურეცხავდი მწვანილს, ვუჭრიდი ხახვს, ვუთლიდი კარტოფილს და ასე შემდეგ. გიორგისთან როცა ვცხოვრობდი, იქ კერძებს ბებია ამზადებდა. მზარეულობას სარეცხისა და ჭურჭლის რეცხვა მირჩევნია, მაგრამ ვინაიდან ჩვენ მარტო ვცხოვრობთ, იძულებული ვარ, ჩემს მეუღლესა და შვილს თავად მოვუმზადო ესა თუ ის კერძი. ვამზადებ არაჩვეუ-



თუ სახლში ყველი არ არის, იმ დღეს მშვიერი ვარ



# მოკრივის რინგიდან – ფოტოსტატობამდე

როგორ უშლიდნენ ევროპის ჩემპიონს ემიგრანტებთან ურთიერთობას

ქართული კრივის განვითარებაში **დავით კვაჭაძემ** უდიდესი წვლილი შეიტანა და მისი წარმატებების შემდეგ, სპორტის ეს სახეობა ჩვენს ქვეყანაში გაცილებით პოპულარული გახდა. კარიერის განმავლობაში ქვემძიმე წონაში მოასპარეზე მოკრივემ 180 ორთაბრძოლა ჩაატარა და 165 მოიგო. იგი ერთადერთი ჩვენი თანამემამულე გახლავთ, რომელიც სამჯერ, თანაც — ზედიზედ — გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ცხადია, კვაჭაძის სპორტულ მიღწევათა მწვერვალს, ევროპის ჩემპიონობა წარმოადგენს და ის პირველი ქართველია, რომელმაც კრივში ამ ტიტულის მოპოვება მოახერხა. სხვათა შორის, ბატონი დათოს მიღწევა კარგა ხნის განმავლობაში ვერაფერს გაიმეორა: ეს, მხოლოდ 1993 წელს, გიორგი კანდელაკმა შეძლო.

ყოფილი მოკრივის ბიოგრაფია იმითაც გახლავთ საინტერესო, რომ მან საკუთარი თავის რეალიზება არა მხოლოდ სპორტში, არამედ ფოტოსტატობაშიც მოახერხა. ამჟამად სანქტ-პეტერბურგში მცხოვრებმა კვაჭაძემ ამ სფეროში ბევრ წარმატებას მიაღწია და მის ნამუშევართა გამოფენა სხვადასხვა გალერეაში საკმაოდ ხშირად ეწყობა.

## ლამა თაბაბარი

დავით კვაჭაძის ოჯახის წევრებს თავდაპირველად, სულაც არ სურდათ, რომ მომავალი ევროპის ჩემპიონი კრივს გაჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ძმა თავის დროზე, სპორტის ამ სახეობას მისდევდა, დათოს ურჩევდა, ფეხბურთი ეთამაშა. ამიტომ, რამდენიმე თვის მანძილზე, დათო იძულებული იყო, კრივის დარბაზიდან შინ ბურთით ხელში დაბრუნებულიყო ხოლმე, ვითომ საფეხბურთო სკოლაში იყო სავარჯიშოდ. ერთი პერიოდი, მან კრივის გამო, სკოლაში სწავლას უკლო და დამრიგებელი დაეუმუქრა — სახლში მოვალ და დედაშენს ყველაფერს ვეტყვიო. დათო, მასწავლებლის ვიზიტს მთელი დღე, ფანჯარასთან ელოდა, ხოლო როდესაც დაინახა, „ვეფხისტყაოსანი“ გადაშალა და ხმამაღლა კითხვას შეუდგა. ამის შემხედვარე კლა-


სის დამრიგებელმა მოსწავლე დაინდო და დედაშენს იმის ნახევარიც არ უთხრა, რის თქმასაც აპირებდა... ბოლოს და ბოლოს, ოჯახი შეეგუა იმას, რომ კრივი, შვილის მოწოდება იყო და მისთვის წვრთნა აღარ დაუშლიათ.

კვაჭაძე იხსენებს, რომ სპორტი ფანტიკურად უყვარდა და რინგი ესიზმნებოდა კიდევ. წონის მომატების კი, ისე ეშინოდა, რომ ახლაც, წელის სმისას, თითოეულ ყლუპს ითვლის...

1972 წელს, ბათუმში გამართულ საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე თბილისელმა მოკრივემ ფინალში ბრწყინვალედ იასპარეზა და მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვა. რეფერიმ შეცდომით, გამარჯვების ნიშნად, მის მონინაალმდეგეს აუწია ხელი და ამას, სხვების გასაოცრად, ბუნებით მშვიდი კვაჭაძის აღშფოთება არც გამოუწვევია... შეცდომა დიქტორმა გამოასწორა და გამარჯვებულად დათო გამოაცხადა, მაგრამ ამან მისი მეტოქე ისე აღაშფოთა, რომ მისი დანყნარება გამარჯვებულს მოუხდა...

კვაჭაძის პირველი დიდი მიღწევა 1976 წელს, სვერდლოვსკში, 81 კილოგრამის წონით კატეგორიაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვება გახლდათ. მანამდე, ჩვენს თანამემამულეთაგან ბოლოს, ქვეყნის პირველობა, ებრაული წარმოშობის მოკრივეს, გაბრიელ ხანუკაშვილს 1949 წელს ჰქონდა მოგებული.

კვაჭაძეს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, კონსტანტინე კოპცევი ამზადებდა. პირველი შეხვედრა ტურნირზე ქართველმა, სპორტის ოსტატ საზონოვს მოუგო, ხოლო მომდევნო ეტაპზე, იუნ-




იორებს შორის ევროპის ჩემპიონს, მირონიუკს. ნახევარფინალში კვაჭაძის მეტოქე, საბჭოთა კავშირის პირველობის ოთხგზის გამარჯვებული, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი, სვერდლოვსკელი ვასილი კოროტაევი გახლდათ. მართალია, ამ შეხვედრაში გულშემოტიკურები სენსაციას ელოდნენ, მაგრამ სპორტის ფუნქციონერები სიურპრიზებს არ გეგმავდნენ. მეტიც — ტურნირის ორგანიზატორებმა ქართველს უბრძოლველად დანებება შესთავაზეს. მათ კვაჭაძეს განუცხადეს, რომ მაინც წააგებდა და ამიტომ ჯობდა, რინგზე საერთოდ არ გამოსულიყო, რათა კოროტაევის ფინალური ორთაბრძოლის წინ დაეხვეწა. მაგრამ დათომ ამაზე უარი განაცხადა და მრისხანე მეტოქე დაამარცხა. ეს დაპირისპირება მოგვიანებით, ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ორთაბრძოლად აღიარეს. აქვე გეტყვით, რომ კოროტაევი შემდგომში, ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც 1994 წლის 12 იანვარს, ნიუ-იორკში, ბრაიტონ-ბიჩზე დაქირავებულმა მკვლელმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა.

...სვერდლოვსკელის ძლევის შემდეგ, დათომ ფინალშიც იმარჯვა და ოქროს მედალი მოიგო. ჩემპიონატის დამთავრებისას, კვაჭაძე საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს, მაგრამ, მისი თქმით, მწვრთნელებს ამ ნაბიჯის გადადგმა ადრეც შეეძლოთ. როგორც ირკვევა,



კვაჭაძის პირველი დიდი მიღწევა 1976 წელს, სვერდლოვსკში, 81 კილოგრამის წონით კატეგორიაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვება გახლდათ



**მაგნის შემდგომ პრესკონფერენციაზე, მან ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ მეტოქე ნოკაუტში ჩააგდო**

მათ კრივის კვაჭაძისეული „შვიდობის-მოყვარე“ მანერა არ მოსწონდათ და სუსტ მხარედ იმას უთვლიდნენ, რომ არ ცდილობდა, ნებისმიერი ორთაბრძოლა ნოკაუტით დაესრულებინა. 1976 წელს, საბჭოთა მოკრივეთა ნაკრები მონრეალის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა და მწვრთნელები ქვეყნის ჩემპიონატში კვაჭაძის მოულოდნელმა გამარჯვებამ დილემის წინაშე დააყენა. მათ არჩევანი დაათოს, რისკიევა და კლიმანოვს შორის უნდა გაეკეთებინათ. ქართველი, გამოსაცდელად, კუბის საერთაშორისო ტურნირზე გაუშვეს, სადაც მან პანამეიკოსული თამაშების ორგზის ტრიუმფატორი, ადგილობრივი სპორტსმენი, ორიესტას პედროსი დაამარცხა, ხოლო ცენტრალური ამერიკის ჩემპიონს, ასევე კუბელ ლუის ვალერისთან ორთაბრძოლა მსაჯებმა წააგებინეს. მეორე დღეს, პრესა გამარჯვებულად კვაჭაძეს აცხადებდა, მაგრამ ეს ჩვენებურისთვის ვერაფერი ნუგეში იყო.

გამომდინარე იქიდან, რომ ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენთა ძირითადი კონკურენტები კრივში, ამერიკელები და კუბელები გახლდნენ, ნაკრების ხელმძღვანელობა „თავისუფლების კუნძულზე“ კვაჭაძის გამოსვლას სკეპტიკურად მოეკიდა. ამიტომ, მათ, ოლიმპიადის მონაწილის გამოსავლენად, დაათო, რისკიევთან და კლიმანოვთან დააპირისპირეს. მართალია, მან ორივე დაამარცხა, მაგრამ მონრეალში ქვემძიმე წონაში კლიმანოვი ნაიყვანეს, ხოლო რისკიევისთვის ადგილი უფრო დაბალ წონაში მოიძებნა. არადა, კანადაში გამგზავრების შემთხვევაში, მას შანსი ჰქონდა, პროფესიონალებში მომავალ მსოფლიო ჩემპიონს, ლეგენდარულ ამერიკელ მოკრივე, ლეონ სფინქსს შეხვედროდა, რომელიც იმხანად, მოყვარულებში გამოდიოდა. ეს სწორედ ის სფინქსია, რომელმაც მუჰამედ ალი დაამარცხა.

1977 წლის საბჭოთა კავშირის პირველობის წინ, რომელიც ქალაქ ფრუნზეში იმართებოდა, კვაჭაძეს არავინ მიიჩნევდა ფავორიტად, მაგრამ ასპარეზობა მან გაცილებით იოლად მოიგო,

ვიდრე წინა წელს. ამის შემდეგ, უკვე არავინ აყენებდა ეჭვქვეშ საბჭოთა ნაკრებში ქართველის წევრობას და იგი თავის წონაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ჰალეში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატზე წასვლის უპირველეს კანდიდატად მიიჩნეოდა. მაგრამ გამგზავრებამდე, ერთ-ერთ საკავშირო გაზეთში იმ საბჭოთა მოკრივეთა სია გამოქვეყნდა, რომელთაც, სტატიის ავტორის აზრით, გე-დე-ერში წარმატების შანსი ჰქონდათ და ჩამონათვალში კვაჭაძის გვარი არ ფიგურირებდა. ამას დათოზე არ უმოქმედია და მან, ქართველი სპორტსმენებიდან პირველმა, ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, თან ფინალში გერმანელი სპორტსმენი დაამარცხა, რომელიც წარმოშობით ჰალედან გახლდათ. დავითს საკუთარი მანერისთვის არც იმ ტურნირზე უღალატია და მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ორთაბრძოლის დროს, ახალგაზრდა ლუქსემბურგელ მოკრივეს იოლად ამარცხებდა, ნოკაუტით მოგება არ უცდია: კვაჭაძემ რინგზე სამივე რაუნდი დაყო და მხოლოდ ქულებით გაიმარჯვა.

დათოს საბრძოლო სტილთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ეპიზოდს მოგიყვებთ. 1979 წელს, ჯაკარტაში ჩატარებული, ინდონეზიის პრეზიდენტის სახელობის თასის ტურნირზე კვაჭაძემ ფინალი ნოკაუტით მოიგო და შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ნაკრებს შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოუტანა. მაგნის შემდგომ პრესკონფერენციაზე კი, მან ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ მეტოქე ნოკაუტში ჩააგდო.

გასული საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა სისტემატურად იმართებოდა. მართალია, მატჩები ამხანაგურად იყო, მაგრამ „გოსკომსპორტი“ (სპორტის სახელმწიფო კომიტეტი) მათ უშინშენილოვანესი საერთაშორისო შეჯიბრების სტატუსს ანიჭებდა. სპორტსმენებს მყარ ვალუტასაც უზღდიდნენ, თან, „საბჭოთა გულუხვობასაც“ იჩენდნენ — გამარჯვებულ მოკრივეს 100 დოლარს აძლევდნენ და მას, გადასახადების გამოქვითვის შემდეგ, 75 დოლარი რჩებოდა, ხოლო დამარცხების შემთხვევაში — 15 დოლარი. ამის შემდეგ, გასაკვირი არ არის, რომ სპორტსმენებს ოკეანის გაღმა ხიზილალა და არაყი მიჰქონდათ გასაყიდად, იქიდან კი, ფართო მოხმარების იაფფასიანი საქონელი ჩამოჰქონდათ. ზოგიერთი მათგანი იმასაც არ ერიდებოდა, რომ სასტუმროს ნომრიდან ხელის საპონი და პირსახოცი გამოეყონებინა... კვაჭაძეს ამისთვის თანაგუნდელები არასოდეს გაუცილავს, მაგრამ თავად, აღნიშნული „ბიზნესით“ დაკავებული არასდროს ყოფილა. ის ფაქტობრივად, მოკრივეთა გუნდის ერთადერთი წარმომადგენელი იყო, რომელიც

სამშობლოში გასაყიდად არაფერს ეზიდებოდა...

ერთ-ერთი მატჩისას, კვაჭაძის ორთაბრძოლას თბილისიდან წასული ემიგრანტი დაესწრო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, ამერიკაში ცხოვრობდა. იგი თანამემამულის საბრძოლო მანერამ იმდენად მოხიბლა, რომ ყველა საბჭოთა სპორტსმენს მაჯის საათი აჩუქა, ხოლო დათოს დამატებით, მუსიკალური ცენტრი უსახსოვრა. თუმცა, ამ საჩუქრის გამო, უკან დაბრუნებულმა სპორტსმენმა „შერემეტიევის“ აეროპორტში საკმაოდ ინერვიულა, რადგან ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა, საზღვარზე ცენტრი ჩამოერთმიათ. მე-ბაჟემ, როდესაც მოკრივის ტვირთი გასინჯა, ასეთი კითხვა დაუსვა: „სახლში მაგნიტოფონი გაქვთ?“ — „დიახ“, — უპასუხა კვაჭაძემ. — „მამინ, წადით“, — გახლდათ მეზაჟის ბრძანება. იმ პერიოდში, ფორმიანი ხალხი უბრალო მოქალაქეებში ისეთ შიშს იწვევდა, რომ მოკრივემ თავისდა უნებურად იკითხა — „სად წავიდე?“ ამის გაგონებაზე, ძალოვანი სტურუქტურის წარმომადგენელმა მოკრივეს მოკლედ მოუჭრა — „სახლში“. სხვათა შორის, დათოს შიში საფუძველს მოკლებული სულაც არ გახლდათ, რადგან ნებისმიერ სპორტსმენს, რომელსაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა ხშირად უწევდა, საბჭოთა უშიშროება მუდმივად ადევნებდა თვალყურს. ერთხელ, როდესაც ქართველი სპორტსმენი მორიგი საზღვარგარეთული ვოიაჟის შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა, ის კაგებში დაიბარეს. ადგილზე მისულს, უშიშროების ახალგაზრდა თანამშრომელმა ავსტრიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება მიულოცა და თან დააყოლა — „მოგიყვებით, ვის და რაზე ელაპარაკებით თვეების ქუჩაში?“ ავსტრიის დედაქალაქში ასპარეზობა ღია ცის ქვეშ ჩატარდა და მართლაც, ორთაბრძოლის დასრულებისას, კვაჭაძესთან ორი ქართველი ემიგრანტი მისულა, რომლებსაც თანამემამულისთვის სამშობლოს შესახებ შეკითხვები დაუყრიათ... მოკრივის მონაყოლს „ჩეკისტი“ მოთმინებით, მაგრამ უკმაყოფილო სახით უსმენდა. ამის შემხედვარე, კვაჭაძემ ვერ მოითმინა და უშიშროების თანამშრომელს ჰკითხა — „მითხარით, სხვა დროს, საზღვარგარეთ თუ რომელიმე საბჭოთა ემიგრანტს კიდევ შეხვდები, გავიქვ?“ — „უმჯობესია, იქ არავის შეხვდეთ...“ — უპასუხა ახალგაზრდა „ჩეკისტმა“.

ოფიციალურად, საბჭოთა მოკრივეები პროფესიონალებად არ მიიჩნეოდნენ და მათ მოყვარულის სტატუსი ჰქონდათ, მაგრამ რინგზე ოფლის ღვრა „პროფესიონალებზე“ არანაკლებად უწევდათ. არადა, მათგან განსხვავებით, ფაქტობრივად, მიზერულ ჰონორარს იღებდნენ. იმ დროს, როდესაც საზღვარგა-



რეტელ მოკრივეებს მილიონიან ჰონორარებს უზღიდნენ, საბჭოთა ნაკრების წევრს თვეში სტიპენდია — 200-დან 300 მანეთამდე ჰქონდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ბევრ სპორტსმენს, რომელსაც რინგზე მუშტების ქნევის გარდა, სხვა პროფესია არ ჰქონდა, საკუთარი მომავალი აშინებდა. ისინი უცხოელი კოლეგებისგან განსხვავებით, იმხელა დანაზოგს ვერ აგროვებდნენ, რომ უზრუნველ ცხოვრების გარანტია ჰქონოდათ, არადა, ოჯახები ჰყავდათ სარჩენი. რამდენჯერმე, ამერიკასა და საბერძნეთში კრივის „სკაუტებმა“ დათოს საზღვარგარეთ დარჩენა და პროფესიონალებში გადასვლა შესთავაზეს. მაგრამ იმ დროს, ეს წარმოუდგენელი იყო, რადგან კვაჭაძის დედასა და ძმებს უშიშროება ძალზე ცუდ დღეში ჩააგდებდა.

გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა კავშირიდან წასვლას თავად კვაჭაძეც არ აპირებდა, არადა, ამის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა, რადგან არაერთხელ უსამართლოდ დაიჩაგრა. თუნდაც იმის გასხენება რად ღირს, რომ მონრეალში ოლიმპიადაზე არ წაიყვანეს. ერთხელ, ანკეტის შევსებისას, კითხვაზე — თუ რომელ უცხო ენას ფლობდა? — მან ხუმრობით ჩაწერა — რუსულს. ამას სპორტის მესვეურთა მხრიდან დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და კვაჭაძე კინალამ ნაკრებიდან გააგდეს... გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ პერიოდში, სპორტსმენი თბილისში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მისი თქმით, ხალხი მზად იყო, ხელისგულზე ეტარებინა.

მას შემდეგ, რაც დათო საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი გახდა, კრივის სექციას უამრავი ბავშვი მიანყდა, რომელთაც სურდათ, საკუთარ კერპს დამსგავსებოდნენ. ერთხელ, კვაჭაძე თბილისის ქუჩებში მისეირნობდა და ამ დროს, მასთან ერთ-ერთი სპორტული მაღაზიის დირექტორი მივიდა, რომელმაც მადლობის ნიშნად, ხელი ჩამოართვა: როგორც გაირკვა, მას შემდეგ, რაც კვაჭაძემ ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მოკრივის ხელთათმანები, რომლებიც მაღაზიის თაროზე წლების განმავლობაში იდო, ორ დღეში გაყიდულა.

კვაჭაძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ზედიზედ მესამედ, 1978 წელს გახდა და ასეთი მიღწევა საბჭოთა კავშირის დაშლამდე, არც ერთ ქართველ სპორტსმენს არ ჰქონია. 2 წლის შემდეგ, მოსკოვის ოლიმპიადაზე კვაჭაძე მეოთხედიწინაღმი ქულებით იუგოსლავიელ სპორტსმენთან დამარცხდა, რომელმაც საბოლოოდ, ტურნირზე ოქროს მედალი მოიპოვა.

სპორტული კარიერა სახელოვანმა მოკრივემ 1980 წელს დაასრულა და ქართველის პატივსაცემად, მაშინ, სა-

ბჭოთა კავშირი—აშშ-ის მოკრივეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა თბილისში ჩატარდა. როდესაც მატჩის ანგარიში გათანაბრდა და 4:4 გახდა, გადაწყვეტი ორთაბრძოლისთვის რინგზე კვაჭაძე და ლონი ებსი ავიდნენ. მართალია, ამერიკელი წინააღმდეგობის განწევს ცდილობდა, მაგრამ სპორტის სასახლეში მისული გულშემატიკურის მხარდაჭერით, თბილისელმა მოკრივემ მეტოქე ქულებით დაამარცხა. გამარჯვებულმა სპორტსმენმა რინგი ნაბად-მოსხმულმა დატოვა, რომელიც მან საჩუქრად მიიღო...

აქტიური სპორტიდან წასვლის მერე, კვაჭაძე მწვრთნელად ჯერ თბილისში მუშაობდა, ხოლო 1991-1995 წლებში, საქართველოს კრივის ფედერაციას ხელმძღვანელობდა. შემდეგ იგი სანქტ-პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად და დღემდე, რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში მოღვაწეობს, სადაც ლეს-გაფტის სახელობის კრივის აკადემიაში ასწავლის ახალგაზრდებს. მანამდე, ყოფილ მოკრივეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტის კათედრის გამგის თანამდებობა ეკავა. მწვრთნელობისას კვაჭაძემ საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს რამდენიმე ჩემპიონი აღზარდა. გარდა ამისა, მისმა ორმა შეგირდმა გოგონამ კრივის ფრანგულ სახეობაში — „სავატ“ — საერთაშორისო არენაზე დიდ წარმატებას მიაღწია. რამდენიმე წლის წინ კი, ბატონმა დათომ ფოტოპარატი აიღო ხელში და გადაღება დაიწყო, რაშიც საკმაოდ დიდი ნიჭი აღმოაჩნდა. ფოტოგადაღება თავიდან, კვაჭაძისთვის ჰობი იყო, მაგრამ ცოტა ხანში, მან თბილისში, საფრანგეთსა და ბელგიაში პერსონალური გამოფენები მოაწყო. ან გარდაცვლილმა დავით ყიფიანმა, თანაქალაქელის ფოტოების შემხედვარემ, აღნიშნა, რომ აქამდე ვერ წარმოედგინა, თუ ფოტოპარატი „ხატვა“ ისე შეიძლებოდა,

როგორც ამას კვაჭაძე აკეთებდა. მსოფლიოში ნამდვილად არ მოიძებნება ბევრი არათუ მოკრივე, არამედ ნებისმიერი სპორტის სახეობის წარმომადგენელი, რომელიც ფოტოხელოვნებით დაკავებულიყო და მისი მსგავსი წარმატებისთვის მიეღწია. საერთაშორისო კლასის ოსტატი საკუთარ მოღვაწეობას ასე აფასებს: „ჰობის, რომელიც უკვე მეორე პროფესიად მექცა, რამდენიმე წელია, მივდეგ, მაგრამ ამ სფეროში გარკვეულ წარმატებას უკვე მივაღწიე. ბევრი მხატვარი, რომლის აზრიც გასათვალისწინებელია, ჩემს ფოტონამუშევრებს ფერწერულ ტილოებს ადარებს. 2002 წელს, ბელგიის ქალაქ დერდემში პერსონალური გამოფენა მქონდა, რომლის ორგანიზებაში ცნობილი ბელგიელი მხატვარი, ჰაროლდ ვან პეერი დამეხმარა. ეს უკანასკნელი სანქტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ლექციების კურსს კითხულობდა და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ადგილობრივი ხელოვნების მოყვარულნი თანამედროვე ფლამანდიელი მხატვრების ნამუშევრებს გაეცნენ. ერთ-ერთ ვერნისაჟზე ერთმანეთს საერთო ნაცნობმა წარგვადგინა. მოგვიანებით პეერმა, რომელიც ჩემს ფოტოებს გაეცნო, გადაწყვიტა, ისინი საკუთარ სამუშაოში გამოეყენებინა, ოღონდ, იმ პირობით, რომ ნამუშევრებს თვითონ ამოარჩევდა. ქალაქის რატურში გამართულმა ექსპოზიციამ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, რომლებმაც სტუმართმოყვარეობით მომხიბლეს“.

ქართულ-რუსული გართულებული ურთიერთობის ფონზე, კვაჭაძე, რომელიც სანქტ-პეტერბურგში იმყოფება, მისდამი რუსების დამოკიდებულების შესახებ ამბობს: „ჩემ მიმართ ცუდი დამოკიდებულება არასოდეს მიგრძნია. გასათვალისწინებელია, რომ ამ საკითხში გარკვეული დაძაბულობა პოლიტიკოსებს შეაქვთ, ხოლო უბრალო ხალხი ძველებურად ვეგობრობთ. შეიძლება ითქვას, რომ გამომართლა, რადგან ჩემ ირგვლივ წესიერი და შეგნებული ხალხი ტრიალებს. თავადაც საკმაოდ კომუნისტური ადამიანი ვარ, რადგან თბილისის ცენტრში, „იტალიურ ეზოში“ გავიზარდე, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ერთად, მეგობრულ ატმოსფეროში ვცხოვრობდით. სანქტ-პეტერბურგში ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა ახლობლებისთვის, რომელთა შორის, სპორტსმენები, მუსიკოსები და მსახიობები არიან. ვცდილობთ, მათ ქართული სტუმართმოყვარეობა ვუჩვენოთ და ჩვენი კერძებით გავუმასპინძლდეთ. მართალია, ქალაქში ხანდახან მაჩერებენ და პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარმოადგენას მთხოვენ, მაგრამ ამგვარად, ჩემზე ხშირად, „ღია ფერის“ მეგობრებს ექცევიან“.



რამდენიმე წლის წინ კი, ბატონმა დათომ ფოტოპარატი აიღო ხელში და გადაღება დაიწყო, რაშიც საკმაოდ დიდი ნიჭი აღმოაჩნდა

# ასპარეზი ასპარეზი კალათბურთელი ვიორჯი უიკინი ვალე სპარტელოს ასპარეზს

კლუბ „მაქაბის“ ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ტანმალალი კალათბურთელის გიორგი შერმადინის სიმაღლე 2 მ და 16 სმ-ს აღწევს. ის მხოლოდ 17 წლისაა და როგორც ექიმები ამბობენ, მისი ორგანიზმი ჯერ კიდევ ზრდის პროცესშია...

გიორგი 12-13 თვეა, რაც კალათბურთში აქტიურად ვარჯიშობს. მისი „ნათლობა“ „მაქაბის“ გუნდში 2005 წლის 24 თებერვალს შედგა. დღესდღეობით, მოქმედ კალათბურთელთა შორის, ერთ-ერთი ლიდერია — ამბობს კლუბის ხელმძღვანელი, ჯამლიტ ხუსაშვილი.

## სოფო ჭონიშვილი

— გიორგი შერმადინი „მაქაბისში“, შარშან, 28 დეკემბერს მოვიდა და ჩვენს კლუბში ვარჯიშის სურვილი გამოთქვა. პირველი ჩემი კითხვა, რომელიც გიორგის დავუსვი, იყო — რომელიმე კლუბთან ან მწვრთნელთან ხომ არ ჰქონდა დადებული რაიმე იურიდიული კონტრაქტი-მეთქი? უარყოფითი პასუხი მივიღე და მისი აყვანა გადავწყვიტე. გიორგი შერმადინი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და ტანმალალი კალათბურთელია. რა თქმა უნდა, მომავალი წინა აქვს.

— თუ შეგიძლიათ, გიორგის პირველი წარმატება გაიხსენოთ?

— მისი „ნათლობა“ კალათბურთში 25 თებერვალს — დუბლიორთა, ხოლო 25 მარტს — ძირითად შემადგენლობაში მოხდა. თავდაპირველად, როცა გიორგი ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ არასოდეს მიუღია მონაწილეობა ოფიციალურ შეჯიბრებებში, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ვიფიქრე — ხომ არაფერი ანუხებებს-მეთქი?! მაგრამ როცა ვარჯიშში დავინწყეთ, მიგზვდი, რომ მისგან საუკეთესო კალათბურთელი დადგებოდა. გიორგი „მაქაბისში“ მოსვლამდე, 2 წლის განმავლობაში, სხვადასხვა მწვრთ-

ნელთან ვარჯიშობდა, მაგრამ ვერც ერთ-მა მასში ნიჭი ვერ შენიშნა. როგორც ჩანს, იმ პერიოდში, მას ეს ნიჭი გამოვლენილი არ ჰქონდა... ჩვენთან რომ მოვიდა, იმას, რასაც რომელიმე მისი გუნდის წევრი 1 თვეში ითვისებდა, გიორგის ამისათვის მხოლოდ ერთი დღე სჭირდებოდა. იგი ასფურცელსავით იზრდებოდა. მთელი გუნდი ცდილობდა, გიორგის დახმარებოდა, რათა მას სწრაფად ათვისებინა კალათბურთის ანბანი. მანაც, იმედები არ გაგვიცრუა: არა მარტო ის ათვისდა, რასაც ჩვენ ვასწავლიდით, ამაზე შორს წავიდა და ყველა მოლოდინს გადააჭარბა. სულ ცოტა ხანში, ლიდერად ჩამოყალიბდა. როცა ქვეყნის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში, სულ რაღაც 1 თვეში, ახალგაზრდა კალათბურთელი ლიდერად იქცევა — ეს მართლაც, საოცარია. მან ძალზე კარგი შედეგებით დაამთავრა 2005-2006 წლის სეზონი — 25 მატჩში 701 ბურთი ჩააგდო კალათში. ფარიდან ასლექტილი 380 ბურთი მოხსნა; ამას დავუმატოთ უამრავი შედეგიანი პასი. გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ გიორგის ზრდის პროცესი ჯერჯერობით დასრულებული არ არის, ექიმების ვარაუდით, ის კიდევ 4 სმ-ით გაიზრდება!

— ბატონო ჯამლიტ, საქართველოში თუ არსებობს იმის პირობები, რომ საუკეთესო კალათბურთელი აღიზარდოს?

— გიორგი შერმადინს ყველანაირ პირობებს ვუქმნით იმისათვის, რომ საუკეთესო კალათბურთელად ჩამოყალიბდეს. მას ასევე ეხმარება სხვადასხვა სამედიცინო დანესეხილება, რომელიც გი-



გიორგი და ნინი შერმადინები

ორგის ჯანმრთელობას დროდადრო აკონტროლებს. მას, ასევე აყვანილი ჰყავს პირადი ექიმი, სპორტული მედიცინის სპეციალისტი. თბილისში ყველა საცურაო აუზის ხელმძღვანელი მზად არის, დახმარების ხელი გაუწოდოს, რადგან ამ ეტაპზე, მისთვის ცურვა აუცილებელია. ეს ყველაფერი იმის თქმის საფუძველს მაძლევს, რომ შერმადინს დღესდღეობით, საქართველოში ისეთი პირობები შეექმნება, როგორც შეიძლება, სხვა ქვეყანამ ვერც შეუქმნას. თუ გიორგი შერმადინი უმაღლესი რანგის ევროპულ კლუბში ან სულაც ამერიკის საკალათბურთო ლიგაში სათამაშოდ წავა, ვფიქრობ, მალე დაუმტკიცებს ყველას, რომ საქართველოშიც იზრდებიან პროფესიონალი კალათბურთელები. 5 თვის წინ, NBA-ს მენეჯერები იყვნენ ჩამოსულები, რომლებმაც გიორგის თამაში ნახეს და გაცემულები დარჩნენ. შერმადინს უკვე იცნობენ ევროპაში — რუსეთში, ესპანეთში, იტალიაში, NBA-ს კლუბებში, ითხოვენ მის იქ ჩასვლას, მაგრამ მიმაჩნია, რომ მისთვის ჯერჯერობით, ნაადრევია რომელიმე დიდ კლუბში თამაში. თუ ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, ცოტა ხანში, თბილისში ჯამლეტისა და შერმადინის უფასო საკალათბურთო სკოლა გაიხსნება, რომელიც 500 ბავშვზე იქნება გათვალისწინებული. ხელშეკრულება უკვე დადებული და ხელმოწერილია, ჩვენს ბავშვებს შესანიშნავი უფასო საკალათბურთო სკოლა ექნებათ.



გიორგი შერმადინი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და ტანმალალი კალათბურთელია



# დიანა ქვედელი შვილი: „ქმონს ცხოვრებს ჩემი სწორედ ქმონდეთ!..“

დასაწყისი იხ. გვ. 11

— ჩემს ამერიკელ შეყვარებულს რომ ვუთხრა, მუცელზე ზედმეტი ქონი გაქვს-მეთქი, ორ კვირას ტრენაჟორების დაბზნში გაატარებს. ქართველს რომ ეს უთხრა, — თუ არ მოგწონვარ, კარგად იყავიო, — გეტყვის. საქართველოში საკუთარ სხეულს მოდელი ბიჭებიც კი არ უვლიან, არ ვარჯიშობენ. ჩვენთან „ცისფრებად“ ითვლებიან ისინი, ვინც ფრჩხილებზე ლაქს ისვამს. ჩემი შეყვარებული ფრჩხილებზე ლაქსაც ისვამს და პედლიკურსაც იკეთებს. მე მსიამოვნებს ასეთი კაცის გვერდით ყოფნა. ასეთ დროს შენც გინდებდა სურვილი, რომ მუდმივად ფორმაში იყო.

**— რას ურჩევ ქართველ ქალებს, როგორი მოუარონ თავს?**

— ყველა ამერიკელი აღნიშნავს, რომ ქართველ ქალს არა აქვს ზედმეტი წონის პრობლემა — წარმოიდგინე, მშობიარობის მერეც კი. რაც ღმერთმა მოგცა, იმას მოვლა უნდა. შვიდი საათის შემდეგ არ უნდა ჭამონ, მძას ვერავის ავუკრძალავ, იმიტომ, რომ მე თვითონაც მშვენივრად ვსვამ. უნდა იყვნენ ტრენაჟორების დაბზნის ხშირი სტუმრები და რაც მთავარია, საკუთარი თავი უნდა დააფასონ, თორემ ქართველი მამაკაცი ძალიან „გაგვიბლატავდნენ“.

**— როგორი მამაკაცი გიზიდავს?**

— ამოუცნობი. ვერ ვიტან, როცა მამაკაცი შევხედავ და უკვე ჩემია. მე და ჩემი შეყვარებული თავიდან ვერ ვიტანდით ერთმანეთს და მასში სწორედ ამან მომხიბლა. ვგიჟდები, თუ კაცმა სიურპრიზების მოწყობა იცის. ერთხელ მეგობრები ვიკრიბებოდით, ჩემს შეყვარებულს მთელი დღე ვეხვეწებოდი, წამოდი-მეთქი. ბოლოს რომ დაფურევე მითხრა, შხაპს მივიღებ და მერე უნდა დავიძინოო. ძალიან განვიცადე, მთელი დღე მისთვის ვიპრანჭებოდი. იმ ადგილას რომ მივედი და ისიც იქ დამხვდა, სიხარულისგან კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. არ მიყვარს ტელეფონით ბიჭის გაცნობა.

**— შენ თვითონ როგორ აბამ მამაკაცს?**

— ხანდახან მაინტერესებს, რამდენად გამომივა ამა თუ იმ მამაკაცის შებმა. როცა სადმე მივდივარ, იქ ყველაზე მეტად მე ვილხენ. ეს კაცებს მოსწონთ. დაბოლო-მილი და ნაზი ქალები უკვე მოდამი აღარ არის. ნაზიც უნდა იყო, ველურიც და



დაბოლო-მილი და ნაზი ქალები უკვე მოდამი აღარ არის



ხანდახან მაინტერესებს რამდენად გამომივა ამა თუ იმ მამაკაცის შებმა

ყოველდღე უნდა იცვლებოდე. ერთგვარი ხასიათი არავის მოსწონს.

**— მოდი, ისევ მოდელის პროფესიას დავებურობდე. ერთ-ერთმა მოდელმა მითხრა, მამაკაცმა თავის საძინებელ ოთახში ჩემი შიშვლად გადაღებული ფოტო რომ დაიდოს, არ მესიამოვნებო. შენ რას იტყვი ამაზე?**

— იცი, რა... თუ მამაკაცი ავადმყოფია, შენს სურათს მაინც გამოიყენებს და არა აქვს მნიშვნელობა, ამ სურათზე შიშვლად იქნები თუ ჩაცმული. მე ეს არ მაკომპლექსებს. მწვანე კონცხზე გადაღებებზე რომ ვიყავით, ისეთი ადგილი შევარჩიეთ, სადაც შედარებით ცოტა ხალხი იყო. შიშვლ ტანზე თხელი, თეთრი პერანგი მეცვა. წყალში ბუნებრივია, დასველდა და გამჭვირვალე გახდა. ვერ გეტყვი, ჩემ ირგვლივ რამდენმა ადამიანმა მოიყარა თავი.

**— შეიტყვე რომ ქალი არავითხელ გიცვამა.**

— ჰო, ქალების ცემა მიყვარს. მოჭიდავე დაქალი მყავს და ასეთ დროს ისიც მესმარება ხოლმე. ერთი ჩემი ახლობელი გოგო უცხოელს ხვდებოდა, მერე რაღაც პერიოდის განმავლობაში დასცილდნენ ერთმანეთს, რადგან იჩხუბეს. მეორემ ეს მომენტი გამოიყენა, უცხოელს კალთაში ჩაუჯდა და იმ ტიპს შებმა დაუწყაო. გვერდზე გავიყვანე და ვუთხარი, შენც ქართველი ხარ და მეც, ეს უცხოელი ნაგა, შენ დარჩები და ერთმანეთს კიდევ შევხვდებით-მეთ-

ქი. არ დამიჯერა. ავიღე და კარგად მივხევე. სამხედროები ამბობენ, რომ ადამიანი ყველაზე კარგად ფიზიკურ ტვივილს იმასოვრებს.

**— როცა გაბრაზებენ, მამაკაცებსაც სცემ სოლმე?**

— ქართველმა მამაკაცმა ხელის შემობრუნება იცის. თანაც საერთო ენას ძლიერი სქესის წარმომადგენლებთან უფრო ვპოულობ, ქალები რატომღაც ვერ მიტანენ. საერთოდ, ცოლიან კაცებს არაფერს ვერჩი, ასე რომ, ჩემი არ უნდა ემინოდეთ.

**— სულ ახლახან დაამთავრეთ ფილმის გადაღება, რომელიც ვენცრის ფესტივალზე გაიგზავნება. მომიყვი ამ ფილმის შესახებ?**

— ამ ფილმის რეჟისორი გიგა აგლაძეა. მთავარი როლისთვის ისეთი გოგო უნდოდა, ვინც კამერის წინ „იზასავებდა“. საერთოდ, ცხოვრებაში ძალიან ეჭვიანი ვარ და აქაც ეჭვიანი ცოლის როლი მერგო. მსახიობობას კარგად გავართვი თავი, თუმცა, ერთი საათის გაცნობილ კაცთან „ზასაობა“ რთული ყოფილა.



ქართველი მამაკაცი ასეთ სურათებს ბალიშის ქვეშ დამალავდა



### ჯესიკა ალმა MMA-ს წამყვანი



MTV - ს პრემიის — MTV Movie Awards - ის დაჯილდოების ცერემონიის წამყვანის სახელთან დაკავშირებულ სპეკულაციებს ბოლო მოულო ჯესიკა ალმას განცხადება: „მოხარული ვარ, რომ MTV-მ ამ ფანტასტიკურ

რი საღამოს დიასახლისობა სწორედ მე შემომთავაზა!“

დაჯილდოება 3 ივნისს კალიფორნიაში, კალვერსიტის დარბაზში Sony Pictures Studios ჩატარდება. წელს MMA უფრო მეტი იქნება, ვიდრე უბრალოდ ლამაზი შოუ. ცერემონია, რომელმაც ჰოლივუდის ბოკოსტერების შესახებ გადაღებული ღვარძლიანი პაროდებით გაითქვა სახელი, ამჯერად მაყურებელს თავადაც ფილმის სახით წარუდგება, რომელშიც მთავარი როლის შესრულება, ჯესიკა ალმას დაეკისრება.

გასული წელი ჯესიკა ალმასთვის წარმატებული იყო. მან სამ გახმაურებულ ფილმში ითამაშა. ესენია: „ცოდვათა ქალაქი“ (სადაც მისი პარტნიორები ბრიუს უილისი, ჯოშ ჰარტნეტი და ელაიჯა ვუდი არიან), „ფანტასტიკური ოთხეული“ და „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამოთხეში“. ამ სურათების საერთო შემოსავალმა უკვე 500 მლნ დოლარს გადააჭარბა. მაყურებელს კარგად ახსოვს ჯესიკა ალმას მიერ ნათამაშები როლი: ჯემის კამერონის ტელესერიალში — „შავი ანგელოზი“. მთავარი როლები 2006 წლის MMA-ში „40 წლის ბერბიჭა“ და „დაუპატივებელი სტუმრები“ (წ ნომინაცია), „ბეტმენი: დასაწყისი“, „ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი“, „ფორიაქი და სიმშვიდე“, „ცოდვათა ქალაქი“, „ვარსკლავური ომები: ეპიზოდი მესამე — სითხების შურისძიება“ (3 ნომინაცია). წელს MMA-ზე კიდევ რამდენიმე ნომინაციის დებიუტი შედგება: „საუკეთესო როლი“ (ცალკე ქალისა და ცალკე მამაკაცის საუკეთესო როლების ნაცვლად), „ყველაზე სექსუალური პერსონაჟი“ და „რეჟისორი-სტუდენტი“. MMA-06-ს MTV-ს მაყურებელი მსოფლიოს 171 ქვეყანაში, 23 ენაზე იხილავს. გადაცემის აუდიტორია 1,3 მილიარდ ადამიანს შეადგენს.

### შებნ სფთენი მაიმუნს შყადარეს

დიდი ხანია, რაც „გლადიატორ“ რასელ ქროუს კლანჭები აღარ გამოუჩენია — და აი, ფეთქებადი ხასიათით ცნობილი მსახიობის რისხვა, მოულოდნელად შერონ სტოუნს დაატყდა თავს. ქროუმ განაცხადა, რომ პლასტიკურმა ოპერაციებმა შერონი ორანგუტანგს დაამსგავსა. 42 წლის რასელ ქროუ დარწმუნებულია, რომ შერონის მშვენიერი გარეგნობა პლასტიკური ქირურგის დამსახურებაა: „მისგან აღარაფერი დარჩა! თვალები გაქრა, ტუჩების ნაცვლად კი, რეზინის ზოლები აქვს. ისღა დარჩენია, გვარი და სახელი გამოიცვალოს!“ — ამბობს ქროუ. „ძირითადი ინსტინქტის“ 48 წლის ვარსკვლავი მუდამ კატეგორიულად უარყოფდა, რომ თითქოსდა მის სხეულს ოდესმე ქირურგის სკალპელი შეხებია. 2004 წელს, მშვენიერმა შერონ სტოუნმა ცნობილ ქირურგს, რომელმაც გაკვრით მიანიშნა, თითქოს შერონი მისი პაციენტი იყო, სასამართლოში უჩივლა და პროცესი მოიგო კიდევც.



### ჯყატცმუღი მადრნა

პოპმუსიკის დედოფალი მომავალი მსოფლიო ტურნესთვის მრავალ სიურპრიზს ამზადებს. მსოფლიო ტურნეს მთავარი სენსაცია — ჯვარზე გაკრული მადონა იქნება... პირველ კონცერტზე მისულ მაყურებელს მომღერალი მონამის როლში მოეცლინება.

თავად ჯვარი უხეშ, დაღურსმულ ძელებს არაფრით ჰგავს. მადონას ჯვარი ბრილიანტებითა და „სვაროვსკის“ კრისტალებით იქნება მოოჭვილი. ძვირფასი თვლების ღირებულება 10 მლნ დოლარს აჭარბებს. პოპის ვარსკვლავი უკვე მრავალი წელია კაბალას მიმდევარია, ამიტომ მომავალი შოუს სიმბოლოს არჩევანი, მისი თაყვანისმცემლების გაოცებას იწვევს. გამორიცხული არ არის, რომ ჯვარზე გაკრული მადონას ხილვამ, მორწმუნე ქრისტიანთა აღშფოთება გამოიწვიოს.

### ჯყნრტყბ ლტპყსრს ბყალტყბი შტყ

ჯყნრფერ ლტპყსრ ტყლყარხ MTV-ს ზყმტყლყანყლობასთან საყუთარრ პროგრამის, რყალურრ შოუს ტრტპის გადაცემის შექმნის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს. MTV-ში მსახიობის მონაწილეობით ყოველკვირეული გადაცემა მზადდება. პროგრამა კინოვარსკვლავის რყალურ ცხოვრებას უჩყვენებს და იმავდროულად, მაყურებელს იმ დამწყებ მოცყვაყვეებს გააცნობს, რომლებიც ჯყნრფერ ლტპყსრს მხარდაჭერით შოუბრტყნესში გზის გაყვალყას ცდილობენ. ტყლყპროყექტს თავდაპირველად სათაურად Move შეურჩიეს, მაგრამ პროყექტის სრული სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესი, ჯყრ კიდევ არ დამთავრებულა. ბოლო ხანებში, ჯყნრფერ ლტპყსრ დამოუკიდებელ პროყექტებზე: ბიოგრადიულ სურათზე El Cantante და ტრილერზე Bordertown მუშაობდა.





# უიტნი ჰიუსტონი სიგიჟის ზღვატყე



1992 წელი. ლეგენდარული ფილმის „პირადი მცველი“ დროინდელი უიტნი ჰიუსტონი

პოპვარსკვლავს ნარკოტიკები ღუპავს. მისი პიროვნება, სხეული, ოჯახი და ფინანსები კოკაინმა გაანადგურა. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ჰიუსტონი საკუთარ ტრაგედიას ვერ აცნობიერებს. მისთვის დღეს ერთადერთი რეალობა — კოკაინის მორიგი დოზაა. უიტნის ახლობლები სასონარკვეთილნი არიან: „თუ არ შევაჩერეთ, ის მომდევნო ნაბიჯს უსასრულობაში გადადგამს“.

საკუთარი ბინძური თეთრეულის გამომზეურებას ყველა ერიდება, მაგრამ უიტნი ჰიუსტონის მულმა, ბობი ბრაუნის დამ, ტინამ ამ ნაბიჯის გადადგმა ოჯახის საკეთილდღეოდ, მსოფლიოს პოპმუსიკის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის გადასარჩენად გადაწყვიტა. ტინამ პრესას პირდაპირ განუცხადა: „უიტნი ნარკომანია. იგი კრეკ-კოკაინს ყოველდღიურად იღებს“. ჩვეულებრივი კოკაინისგან კრეკი გადამუშავების მეთოდით გამოირჩევა — მიღებულ სუბსტანციას ნარკომანები ეწევიან ან ვენაში იკეთებენ, რაც ორგანიზმზე გაცილებით დამანგრეველად მოქმედებს, ვიდრე კოკაინის ყნოსვა. ტინა ირწმუნება, რომ უიტნი კრეკს ერთდროულად ეწევა კიდევ და ვენაშიც იკეთებს.

„უიტნი საკუთარ თავსაც და სხვებსაც საფრთხეს უქმნის. ეს სრული დეგრადაციაა. დღეს თუ ხვალ ის გადამეტებულ დოზას მიიღებს და დაიღუპება“, — ამბობს ტინა ბრაუნი. მისი გულახდილი განცხადება რამდენიმე დასავლურმა გამოცემამ ერთდროულად გამოაქვეყნა, რამაც საზოგადოებას ნამდვილი შოკი მოჰგვარა. ტინა ჰყვება, რომ უიტნის თავს საშინელება ტრიალებს. მომღერალი საბაზანო ოთახში კვირაობით იკეტება. საბაზანოს კედელში ნახვრეტი გააკეთა და სახლში მიმდინარე მოვლენებს თვალს იქიდან ადევნებს. მას მუდამ ეჩვენება, რომ ბობს სახლში გოგონები მოჰყავს და მათთან სექსით ტკბება. ეჩვენება რომ დემონები დასდევენ: „აი, ისინი“, — გაჰკვივის საცოდავი ნარკომანი და თითს სადღაც სივრცეში უმისამართოდ იშვერს. ჰალუცინაციებით თავზარდაცემული უიტნი სარკეებს, ავეჯს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას

ანადგურებს, შემდეგ თვითგემას იწყებს — საკუთარ სხეულს ჰკბენს და ილუზორულად მისი ყოფილი მშვენიერებისგან კვალ-იც კი აღარ დარჩა. ნარკოტიკებმა 1991 წლის „ბლანეტის ულაბაზესი ქალის“ ტიტულის მფლობელის მშვენიერი ღიმილი გაანადგურა. დანტისტმა უიტნის 6.000 დოლარად ღირებული კბილების პროთეზი დაუმზადა, მაგრამ მუდმივად შეურაცხად მდგომარეობაში მყოფმა უიტნიმ კბილები ჭუჭყიანი თეთრეულის გროვავაში, ტუალეტის ქალაქდებსა თუ პამპერებში ისე მიკარგა, რომ ერთხელაც კი არ გაუქუთებია. მომღერალს სიგარეტის ნამწვების, კრეკ-კოკაინის მოსამზადებლად საჭირო კოვზების გროვავაში სძინავს და გამუდმებით ნარკოტიკებითაა გაბრუნებული.

„უიტნი ჰიუსტონის ელემენტარულ ნესებს



მარან, მამორის არდადეგები უიტნი ოჯახთან ერთად მალბურნი გააგარა. მუულებსა და 13 წლის გოგონასათვის „ასეთი“ უიტნის ხილვა, უკვე ჩვეულებრივი ამბავია

სრულიად უგულვებლყოფს. აბაზანაში სექსსათამაშოებით ერთობა და სახლს ყვირილით აყრუებს. მისი 13 წლის გოგონას, ბობი კრისტინას დედის ქცევა თავზარს სცემს. ზოგჯერ უიტნი რამდენიმე დღით იკარგება. მან 80-იანი წლების პოპვარსკვლავთან შერელისთან (ნამდვილი სახელია შერილ უიკ ნორტონი) ერთად, ატლანტის ერთ-ერთ რაიონში სახლი დაიქირავა, სადაც ისინი ნარკოორგიებს აწყობენ. სახლის მეპატრონე მათ წინააღმდეგ სარჩელს ამზადებს, რომელშიც მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 25.000 დოლარს ითხოვს.

ტინა ფულზე შემთხვევით როდი ალაპარაკდა! უიტნი ჰიუსტონი და ბობი ბრაუნი, პრაქტიკულად, გაკოტრებული არიან. მომღერლის დიდი ოჯახი და ქმრის ნათესავები მრავალი წლის მანძილზე უიტნის შემოსავლებით სულ დგმულობდნენ. შორეული თუ ახლო ნათესავების 30-კა-

ციანი არმია უიტნის გულუხვობით სარგებლობდა. მომღერალი საკუთარი სიამოვნებისთვისაც უამრავ ფულს ხარჯავდა. უიტნის ძირითადი კაპიტალდაბანდება ნიუ-ჯერსიში, მენდჰემში მდებარე მამული, რომელიც მან 2005 წელს 5,6 მლნ დოლარად შეიძინა და ჯორჯიის შტატში, ალფარტეში მდებარე 1,8-მილიონიანი დიდი სახლია. ამ თანხის უდიდესი ნაწილი ჰიუსტონმა ვალად აიღო, ვალს კი გადახდა უნდა... უიტნი ჰიუსტონი სიმღერებს თავად არ ქმნიდა, ის მხოლოდ სხვის ნაწარმოებებს ასრულებდა, ამიტომ საკუთარ ჰიტებზე სავტორო უფლებები არ გააჩნია. მისი შემოსავლის ძირითადი წყარო, საკონცერტო გამოსვლები იყო. ამჟამად კი, კონცერტების ჩატარებზე ლაპარაკიც კი უადგილოა.

პოპვარსკვლავის სავალალო ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, მის ანონიმ ახლობელს. თამამი დასკვნები გამოაქვს და ვარაუდობს, რომ შოკის მომგვრელი ექსკლუზივისთვის ტინა ბრაუნმა სოლიდური თანხა — 200 ათასი დოლარი მიიღო. შესაძლოა, მას ამ საქციელისკენ საკუთარმა ძმამ, თავად უიტნის მუულებმა, ბობი ბრაუნმა უბოძა. როგორც ჩანს, დამამ ოჯახისა და უიტნის მკურნალობისათვის საჭირო ფულის შოვნა ამ გზით გადაწყვიტა.

„ნარსულში მე თავადაც ნარკომანი ვიყავი. მძიმე გზა გავიარე და მაშინ უიტნი მხარში ამოიდგა. ვიდრე კლინიკაში ვმკურნალობდი, ჩემი შვილები მან შეიფარა. ახლა ჩემი ჯერია. ნარკომანია საშინელი სენია. ჩვენ ვალდებული ვართ, უიტნის განკურნებაში დავეხმაროთ, თორემ ის სულ მალე დაიღუპება“, — ამბობს ტინა ბრაუნი.

მკითხველს შევასხენებთ, რომ უიტნი ჰიუსტონმა ჩარტები 1985 წელს სადებიუტო სინგლით — Saving All My Love For You დაიბოლო. მის მიერ შესრულებული ყველა სიმღერა ჰიტად იქცა (I Wanna Dance With Somebody, One Moment in Time და სხვა). სინგლი — „მუდამ მეყვარები“ (I Will Always Love You) ფილმის „პირადი მცველი“ საუნდტრეკიდან, სადაც მომღერალმა 1992 წელს მთავარი გმირი შესანიშნავად განასახიერა, სარეკორდო რაოდენობით (37 მლნ ასლი) გაიყიდა. ჰიუსტონის კოლექციაში ამერიკის მუსიკალური აკადემიის 21 პრემია და 6 „გრემი“ ინახება.

სამწუხაროდ, 90-იანი წლების ბოლოს, უიტნი ჰიუსტონის ცხოვრებაში ნარკოტიკები გაჩნდა. კლინიკაში ჩატარებულმა მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. მომღერალი კლინიკაში უკანასკნელად 2005 წელს მოათავსეს. ნარკოლოგიური ცენტრისაკენ მიმავალი უიტნი, მანქანაში მარისხუნას აბოლებდა... ახლა 42 წლის ნარკომანი იმ უიტნი ჰიუსტონის საცოდავი აზრდილია, რომელსაც ოდესღაც მილიონები აღმერთებდნენ, მაგრამ მას დღეს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. მთავარია, ნარკოტიკის მორიგი დოზა არ დაუგვიანდეს...

რუსულან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-18)

ახალგაზრდა ექიმის, ლანა მესხისა და ბიზნესმენ ლევან ქართველიშვილის ურთიერთობა საკმაოდ რთულად ეთარდება ლანას ბუბის გარდაცვალების შემდეგ, ისინი გარკვეულ ხანს, რაჭაში, სოფელში დაყოფენ. ლანას დედა, თამარი აღმაცრად უყურებს ლევანს: ის ქვრივია, 6 წლის ქალიშვილი ჰყავს.

ერთხელ, მათ სტუმრად ვინმე ნოკოლოზ დვალი გამოეცხადებათ, რომელიც თვალს არ აშორებს ლანას. როგორც შემდგომ გაირკვევა, ის კარგად იცნობს ლევანს. ქალიშვილთან დაახლოებას კი, იმის გამო ცდილობს, რომ ლანას ბუბის, ქეთოს მიერ დატოვებული რაღაც განძეულობის ხელში ჩაგდება სურს. დვალი ლანას ებუქება კიდეც თუ ლევანს გაპყვები ცოლად, მის შვილს კარგი დღე არ ელისო. ცოტა ხანში, ლანა თბილისში ბრუნდება და იმ ნოტარიუსს ეწვევა, რომელთანაც ქეთოს, დალუქული წერილი დატოვებია.

ამ წერილით ქეთო შვილიშვილს აუწყებს, რომ ბანკში ანდერძი აქვს ჩაბარებული და იმასაც ჩამოუთვლის, თუ მისი მოკრძალებული ქონებიდან, კონკრეტულად ვის რა შეეცდა.

ნოტარიუსისგან გამოსულ ლანას, გზაში ლევანი ნამოქვნა. ამ მოულოდნელი შეხვედრით დაბნეული ქალიშვილი ლევანს შინ ნაპყვება, სადაც წყვილი რამდენიმე ბედნიერ საათს გაატარებს. თუმცა მოგვიანებით, წყვილს უსიამოვნება მოუვა შესარიგებლად მისულ ლევანს, ლანა თავიდან, გაცოფებული დასვდება, მაგრამ მერე, ცოტა მოღებუა და მის არგუმენტებსაც შედარებით მშვენიერად მოისმენს. მოულოდნელად, მას ახალდაქორწინებული თინკო და ლამა მიადგებიან კარზე თინკო მეგობარს უცნაურ ამბავს აუწყებს: გივი გიგაური ისევ თავის ფირმაში გვეპატიუებაო, — რაზეც ლანას ციფ უარს მიიღებს.

სელობასთან ერთად ლანას ბუბა მთავარ საგვარეულო განძს — ლალ-სთვლიან ძვირად ღირებულ ბეჭედსაც დატოვებს, რომელიც მათი შორეული წინაპრისთვის ერთერთ ქართველ მეფეს უბოძებია. ლანა საბოლოოდ რწმუნდება, რომ ნიკოლოზ დვალის მთავარი მიზანი სწორედ ამ ბეჭედის ხელში ჩაგდებაა და ამიტომ, მისგან თავის დასვენას ყველანაირად ცდილობს.

მაგრამ ამასობაში, დვალი ლევანს ბავშვს გაიტაცებს, ლანას კი



**ულტიმატუმს ნაუყენებს: თუ ჩემს ნებას არ დაპყვები, მამა-შვილი ერთმანეთს ვეღარ ნახავსო. ლანა იძულე-ბულია, მოძალადის ულტიმატუმში მიიღოს და ლევანს, ახლობლების თანდასწრებით გამოუცხადოს, რომ ცოლად შენ კი არა, ნიკოლოზ დვალს მივყვებიო...**

ლანას სრულიად მოულოდნელი განცხადების შემდეგ, სუფრანზე წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, გაოგნებულმა თამარმა კი უშალ გულზე იტაცა ხელი:

— რა თქვი, ვის მივყვებიო? — ძლივსღა ამოღერლა მან შემდეგ და შვილი ისე აათვალიერ-ჩაათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო.

— ნიკოლოზ დვალს. — კაცმა არ იცის, რის ფასად შენარჩუნებული მშვიდი ხმით უპასუხა ლანამ, შემდეგ წამით შეყოვნდა და მერეღა დასძინა: — ახლა კი მამატივით, მაგრამ უნდა დაგტოვოთ, ძალიან დავილაღე..

— ლანაუკა, ბოშო! — სასწრაფოდ გამოფხიზლდა მანამდე კარგა გვარიანად შეზარხოშებული გოგა. — თლათ გედვირიე თუ რა არი?

— აქედან ფეხსაც ვერ მოიცივლი! — უყვირა, უცბად, შვილს თამარმა და მაგიდას მუშტიც მთელი ძალით დაჰკრა, მაგრამ ლანა, რომელსაც არც გოგას და არც დედის სიტყვებისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, სუფრას მინც დემონსტრაციულად გაუცალა და ბუბის სამუშაო ოთახში გაუჩინარდა.

— ხალხო, ხედავთ რა ხდება ჩემს თავს? — სუფრასთან უსიტყვოდ მსხდარ ახლობლებს სასონარკვეთილი მზერა მოაველო თამარმა. — გესმით, რა თქვა ამ ჩემი ცოდვით სავსემ?.. კაცის მკვლელს მივყვებიო... კაცის მკვლელს... მივკვრის, ცოცხალი როგორ ვარ!.. გული როგორ არ მისკდება!..

— დამშვიდდი, დედა! — გამწარებულ თამარს მხარზე ხელი უხერხულად მოუთათუნა რეზომ. — მაგ სულელს მე დაველაპარაკები! — ფეხზე წამოდგა ის შემდეგ, მაგრამ ლევანმა შეაჩერა:

— ჯერ მე უნდა დაველაპარაკო... — ყრუდ თქვა მან.

— როგორც გენებოს... — ვერშემდგარ სიძეს თანაგრძნობით გადახედა რეზომ და ისევ დაჯდა. ლევანი კი ქეთოს ოთახში შევიდა და კარი მჭიდროდ მოიხურა.

თაჭაქინდრული ლანა ქეთოს სამუშაო მაგიდას უჯდა. მას ოთახში ლევანის შესვლის შემდეგაც არ აუნევია თავი. თავად ლევანი კი ქალს დინჯად მიუახლოვდა და მის გვერდით, სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა. სკამმა მინც უსიამოვნოდ გაიჭრიალა. ლანამ კი მამაკაცს ერთი გვერდულად გამოხედა და ისევ თავი ჩაქინდრა.

— შეგიძლია, ცოტა ხნით მინც ასწიო თავი და თვალებში შემომხედო? — შორიდან დაიწყო ლევანმა.

პასუხად, ლანა მხრებში კიდეც უფრო ჩაიკარგა.

— გაიგონე, რა გითხარი? — ჩაეკითხა მას ლევანი.

— გავიგონე... — თავი ნელ-ნელა ასწია ლანამ, შემდეგ ლევანისკენ შებრუნდა და ისეთი მავდრებელი მზერა მიაპყრო, რომ ამ უკანასკნელს მისი სიბრაღულით წამით გულიც კი მოეწურა.

— მაშინ არაფერი დამიმალაო... სიმართლე მითხარი, იმ ახვარმა ასე რით დგამინა?.. — ჰკითხა მან შემდეგ ქალს.

— ვინ? — განყენებული ხმით იკითხა ლანამ.

— კარგად იცი, ვისზეც გეკითხები! — გაღიზიანდა ლევანი. — დვალმა რით დაგამინა-მეთქი?

— მე არავის დავუშინებია... — მამაკაცის მზერას ვეღარ გაუძლო და თავი ისევ ჩაქინდრა ლანამ.

— სად ნახეთ ერთმანეთი? — დაკითხვას განაგრძობდა ლევანი.

— არსად.

— თვალებში შემომხედე და ისე იცრუე! — ქალს თავი ძალით აანწვინა ლევანმა.

— თავი დაანებე! — ფეხზე ფეთიანით წამოხტა ერთიანად ავანკალბული ლანა.

— ჯერ სიმართლე უნდა გათქმევიო და მერე გადაწყვეტ, რა უნდა დამმართო! — კბილებში ავად გამოცრა ლევანმა.

— რაო? — შეცბა ლანა — მეშუქრები კიდევ?

— შენ ჯერ ჩემი მუქარა არ მოგისმენია! — ქალთან ძალიან ახლოს მივიდა და თვალებში ავად ჩახედა ლევანმა. — ვინ მოგცა ჩემი ასე გაპაპულელების უფლება?

— შენი გაპაპულეება თავში აზრადაც კი არ მომსვლია... — ინსტინქტურად უკან დაიხია ლანამ.

— თავში რაიმე აზრი მინც რომ მოგსვლიდა, დვალის სახელს ჩემთან საერთოდ არ ახსენებდი!

— უხსენებელი რა სჭირს?

— მთლიანად უხსენებელია!

— ვისთვის როგორ...

— ხედავ, როგორ აჭიკჭიკდი?.. — ამ სიტყვების შემდეგ თავდაცვ ოდნავ უკან დაიხია და ქალი დამცინავად შეათვალიერა ლევანმა. — ახლა ისიც არ მითხრა, უკვე შემიყვარდაო, თორემ სიცლით მოვკვდები.

— არა. — ამოიოხრა ლანამ. — არ



შემყვარებია და ალბათ, არც არასდროს შემყვარდება. მაგრამ ეს ნამდვილად არ არის ჩემი მთავარი უბედურება.

— აბა, რა არის შენი მთავარი უბედურება? — დაინტერესდა ლევანი. — ისეთი რა გაგიჭირდა, რომ იმ არამზადაში გამცვალე?

— იმიტომ გაგცვალე, რომ ვერც შენი შეყვარება შეეძელი... ძალიან ვეცადე, მაგრამ ვერ შეეძელი... უსიყვარულოდ კი შენთან ვერ ვიცხოვრებ... — ძლივს ამოიღულულა ლანამ და თავი ისევ მხრებში ჩარგო.

— მოიცა! — ხელი ისე აიქინა ლევანმა, თითქოს რომელიღაც აბუზარი ფიქრის თავიდან მოშორებას ცდილობსო. — გესმის, რას ამბობ?

— მესმის, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. გულს ვერ ვუბრძანებ...

— აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე! — ოთახში ნერვიულად გაიარ-გამოიარა ლევანმა და შემდეგ, ისევ ლანას წინ შედგა. — გულს ნამდვილად ვერ უბრძანებ. თუმცა, შენ მგონი, ტვინთან დაკავშირებული პრობლემებიც უნდა გქონდეს...

— რა თქვი?.. — საკუთარ ყურებს არ დაუჯერა ლანამ.

— რაც გაიგონე! — ქალს ზურგი აქცია და ოთახიდან დემონსტრაციულად გავიდა ლევანი.

— რა ქენი?.. ვერ მოარჯულე ხომ ეგ ტვინნაღრძობი?.. — მაშინვე შეაგება კითხვარეზომ ქეთოს სამუშაო ოთახიდან გამოსულ ლევანს.

პასუხად, ლევანმა ჯერ სუფრას მოავლო თვალი და შემდეგ, ბოლმიანად ჩაილაპარაკა:

— ქალბატონ ლანას ჩემი მოსარჯულე-ბელი რა სჭირს?.. ცოტა ხანში, ალბათ თვით ნიკოლოზ დვალი მოიყვანს ცოლად და ნალრძობ ტვინსაც ის გაუსწორებს...

ამ სიტყვების შემდეგ, ლევანმა ყველას მდაბლად დაუკრა თავი და კარისკენ გაემართა. თუმცა, ამასობაში კარს ვიღაც გარედან მთელი ძალით მოაწვა და წამში ოთახში მოლიმარი თინიკო შემოვარდა, რომელსაც უკან ლანამ მოჰყვებოდა.

— შეიძლება? — სუფრასთან შეკრებილთ თვალი უცბად მოავლო თინიკომ და ქმრისკენ არც კი გაუხედავს, ისე დასძინა:

— ხომ გეუბნებოდი, ყველანი ადგილზე იქნებიან-მეთქი?.. აი, ხომ ხედავ, ჯერ ლევანიც კი არ წასულა! — შინაურულად გადახეხია შემდეგ ის ლევანს.

— სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად მივიღვივარ... — უმაღ შეაგება თინიკოს ლევანმა.

— კარგი ერთი... რა ცეცხლის მოკიდებაა? — ლევანის პასუხი დიდად არაფრად ჩააგდო თინიკომ და ახლა მოულოდნელი სტუმრების შესახებდრად კართან მისულ თამარს გადაეხეხა: — დეიდა თამარ, უნდა გვაპატიო!.. გზაში მანქანა გაგვიფუჭდა და ორმოცზე იმიტომ დაგვაგვიანდა...

— არა უშავს, შვილო, არა უშავს... — თინიკოს მხარზე ხელი უხალისოდ მოუთათუნა თამარმა და ლამსაც მიესალმა — მობრძანდი, დაბრძანდი. — სუფრისკენ გაუძღვა ის შემდეგ ახალგაზრდა წყვილს.

— ლევან! — მიუბრუნდა ლანამ აივანზე გასულ მამაკაცს. — ცოტა ხნით შენც ხომ არ დარჩებოდი?

— არა მგონია...

— მაშინ, ერთი წამით მაინც დამელოდე, შენთან ძალიან სერიოზული საქმე მაქვს.



— დაბლა, მანქანასთან დაგელოდები. — უპასუხა ლევანმა და კიბეზე დაეშვა. ლანამ კი, შეკრებილთ ბოდიში მოუხადა და ლევანს ფეხდაფეხ გაჰყვა.

სუფრასთან მოკალათებულმა თინიკომ მის წვერებს თვალი კიდევ ერთხელ მოავლო და იკითხა:

— მართლა... ლანა სად არის?

— ბებიამისის ოთახშია რაღაცაზე გასული. — უპასუხა თამარმა. — ახლავ ვეუძახებ.

— არა, არ დაუძახოთ! — შეაჩერა თამარი ფეხზე მკვირცხლად წამომხტარმა თინიკომ. — თავად ვეუძახებ და ამით კიდევ ერთ სიურპრიზს მოვუწყობ... მიჩვენე ერთი, რომელ ოთახშია ქალბატონი განმარტოებული?

პასუხად, თამარმა თინიკოს ქეთოს ოთახზე სევდიანად მიუთითა:

— შედი, შვილო... „სიურპრიზს“ აქეთ დაგახვედრებს... — ხელი უხალისოდ ჩაიქინა მან შემდეგ.

— მართლა? — გამხიარულდა თინიკო. — საინტერესოა, ამჯერად რა მოიფიქრა? — თვალები ეშმაკურად მოწკურა მან შემდეგ და ოთახის კარზე ჯერ ფრთხილად დააკაკუნა და მერე ხმაურით გამოალო.

უწინდებურად მაგიდასთან მჯდარ თავჩაქინდრულ ლანას კარისკენ არც ამჯერად გაუხედავს.

— კაკკუუ! — კარზე კაკუნი სიტყვიერადაც გაახმოვანა თინიკომ. — დაუპატიუებელ სტუმრებს არ მიიღებ?

— მობრძანდი... — როგორც იქნა, თავი ასწია ლანამ და დაქალს ცრემლიანი თვალები შეანათა.

— არ მელოდი, ქალბატონო? — წამში ლანასთან გაჩნდა თინიკო, გადაეხეხა და — კითხვა კითხვაზე დაყარა: თბილისიდან რომ თავგვივით ჩემად გამომეპარე, ვითომ რა იყო?.. თუ გეგონა, აქაურობას ვერ მოვაგნებდი?.. ვერ მოგართვეს!.. — იქვე მდგარი სკამი თავისკენ მიიჩოჩა მან. შემდეგ ლანას პირდაპირ დაჯდა და ისევ გააგრძელა: — მორჩი ახლა სლუკუნს!.. ხომ იცი, რომ ამით ბებიამენს ვერ გააცოცხლებ!.. ამიტომ, სჯობს, ის ამისნა, ლევანს რა დამართე?.. ასე გიუივით რატომ გარბოდა საწყალი კაცი?

— გზაში შეგებდა? — იკითხა ლანამ.

— არა, ჯერ აქვეა, ლანას ელაპარაკება...

— სასწრაფოდ საქმის კურსში ჩააყენა მეგობარი თინიკომ. — ასე რომ, თუ რაიმე აწყენინე, ბოდიშის მოხდას ნამდვილად მოასწრებ.

— ლანაც ჩამოიყვანე? — უცბად, სიტყვა ბანზე აუგდო ლანამ თინიკოს.

— პირიქით, იმან ჩამომიყვანა, — უპასუხა საუბრის თემის მოულოდნელი შეცვლით გაკვირვებულმა თინიკომ, — მაგრამ გზაში მანქანა გაგვიფუჭდა და აქამდე ნვალებით ამოვალნიეთ... აღარ მეტყვი, ლევანს რა დაემართა? — მაინც ვერ მოითმინა მან შემდეგ. — კაცს სახეზე ფერი აღარ ედო!..

— შენ რა? მართლა არაფერი გაგიგია?

— რა უნდა გამეგო? — შეცბა თინიკო.

— რა და ლევანს ბავშვი რომ დაეკარგა...

— კარგი ერთი?.. — გაფითრდა თინი-

კო. — სად?.. როდის?..  
 — თუმცა, უკვე იპოვეს...  
 — მაღლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქა თინიკომ. — მაინც, როგორ დაიკარგა?  
 — არ დაკარგულა... უბრალოდ, ბავშვურად ნაუცუღელია და ბებიებს მარანში დამალვია, იმათ კიდევ ერთი ვაი-ვიში აუტყხიათ, მოგვტაცესო...  
 — არა, რა... — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია თინიკომ. — ახლანდელი ბავშვები ძალიან მაგრად ურევენ და არ ვიცი, რა მეშველება!..  
 — შენ რაღა შუაში ხარ? — გაუკვირდა ლანას.  
 — როგორ თუ რა შუაში ვარ? — იტიკცა თინიკომ. — მე რა, შვილი არ მეყოლება თუ რა?..  
 — ა-ა?.. — სევდიანად გაელიმა ლანას.  
 — მაგას გულისხმობ?  
 — დიახ, ქალბატონო! სხვათა შორის, უკვე სამი კვირის ფეხმძიმე ვარ! — სიამაყით გამოუცხადა მას თინიკომ.  
 — მართლა? — გაუხარდა ლანას. — უკვე მოსალოცადაც გქონიათ შენ და ლაშას საქმე...  
 — ჰო, მაგრამ ჯერ ლაშასთან მაინც არაფერი ნამოგცდეს.  
 — როგორ? — გაუკვირდა ლანას. — ლაშამ არ იცის, რომ...  
 — ჯერ არა.  
 — აბა, როდისღა უნდა უთხრა?  
 — თბილისში რომ ჩავალთ, მერე... აბა, მანამდე რომ მეთქვა, როგორ ფიქრობ, რაჭის გზას დამაყენებდა?.. იცი, როგორ მანჯღრია მანქანამ?.. სულ გვერდები ამომინაცა...  
 — ისე, მართლა, რამ გაგაბედვინა ამ გზაზე წამოსვლა?  
 — შენ სულ ამ გზაზე არ დადიხარ?  
 — ჰო, მაგრამ მე ხომ ფეხმძიმედ არა ვარ?! — გაუკვირდა ლანას. — თუმცა, ვინ იცის... — ხმადაბლა დასძინა მან შემდეგ.  
 — რა თქვი? — ყურები ცქციტა თინიკომ. — შემთხვევით, შენ და ლევანმაც ხომ არაფერი იეშმაკეთ?  
 — ნუ სულელობ, რა! — თავი შორს დაიჭირა ლანამ.  
 — ნეტავ, ერთი შენი!.. — სკამის საზურგეზე ნებიერად გადაწვა და გემრიელადაც გაიზმორა თინიკომ. — მაგას რა მნიშვნელობა აქვს?.. ის კი არადა, „იმის“ გაკეთება ქორწილამდე სჯობს კიდევ... აბა, იქნება, ლოგინში საერთოდ ვერ ეწყობით

ერთმანეთს და მერე უნდა ირტყათ თავში ხელები?..  
 — მე რომ ჭკუას მარიგებ, საინტერესოა, თვითონ რატომ არ მოიქეცი ასე?  
 — ვინ მაცალა? — ეშმაკურად გაილიმა თინიკომ. — კაცთან სახლში სტუმრად მივედი და მაშინვე ცოლად მომიყვანა... ასე რომ, თუ შენ და ლევანს ჯერ არაფერი გიფიქრიათ, დრო კიდევ გაქვთ და აბა, თქვენ იცით!  
 — რა თქვი, ლევანი სად შემხვდაო? — საუბრის თემა ისევ მოულოდნელად შეცვალა ლანამ.  
 — გოგო, შენ სკლეროზი ხომ არ დაგენყო? — გაუკვირდა თინიკოს. — წელან არ გითხარი, სადაც შემხვდა? ისე გაიყვით ჩაირბინა კიბეზე, რომ მე და ლაშამ რამდენიმე სიტყვა ძლივს დავანით...  
 — თვითონ არაფერი უთქვამს?  
 — რა უნდა ეთქვა?.. არა, ისე, ლაშა ჩაჰყვა მანქანამდე და ალბათ, იქ ილაპარაკებენ... სხვათა შორის, შენც საინტერესო ამბები ამოგიტანეთ ქალაქიდან.  
 — მაინც, რა ამბები?  
 — მოიცა, ლაშაც ამოვა და ერთად მოგიყვებით.  
 — შენ რომ მომიყვე, არ შეიძლება?  
 — როგორ არა, მაგრამ ლაშა, როგორც იურისტი, ისე აგიხსნის რალაც-რალაცებს.  
 — ნუ დამალავ, მითხარი, რა მოხდა? — მოთმინების ძაფი გაუწყდა ლანას.  
 — რა მოხდა, ძვირფასო და გივი გიგური გასკვანჩეს! — საზეიმოდ გამოუცხადა მეგობარს თინიკომ.  
 — რა უქნეს? — თინიკოს ნათქვამი ბოლო სიტყვა კარგად ვერ გაიგონა ლანამ.  
 — დაიჭირეს, გოგო, და-ი-ჭი-რეს! — დაუშარცვლა მას თინიკომ.  
 — გიგური? — ახლა კი მართლა ვეღარ დამალა გოცუბა ლანამ. — როდის?  
 — ორი დღის წინ...  
 — აკი ლაშამ თქვა, ასეთი და ისეთი პატრონები ჰყავსო?..  
 — ეგ კი თქვა, მაგრამ მერე ისიც დაუმატა, რომ ასეთი სერიოზული ჩავარდნის შემდეგ, ალბათ, გიგურს დიდხანს აღარ აჯეჯილებენ, უბრალოდ, ჯერ კარგად „მონველიან“ და მერე მაინც დაიჭერენო. ისე აგიხდა ყველაფერი! პირდაპირ საკუთარ კაბინეტში აიყვანეს.  
 — ალალი და უსაყვედურო!..  
 — სხვათა შორის, ეს ამბავი რომ გავიგე, მეც ზუსტად იგივე ვთქვი, გოგოები კი მაინც ჩუმ-ჩუმად იცრემლებოდნენ...  
 — რომელი გოგოები?  
 — გივის ბულალტერი და ახალი პირადი მდივანი.  
 — ეგენი სადღა ნახე?  
 — სად უნდა მენახა... ფირმაში ვიყავი მისული.  
 — მაინც წაგძლია ხომ სულმა?  
 — ვალიარებ. — დანებების თუ თანხმობის ნიშნად, მარჯვენა ხელი ასწია თინიკომ. — მართლა წამძლია სულმა, ორი დღის წინ, ფირმაში შევიარე და კინალამ მეც გივისთან ერთად გამსკვანჩეს.  
 — შენ რაღა შუაში იყავი?  
 — ერთი ფეხით შემასწრეს „სოდ“-ის თანამშრომლებმა გიგურის კაბინეტში,

თორემ იქ რომ დავხვედროდი, იქნებ, ჩემთვისაც ეტაცათ ხელი. გახსოვს, შენ როგორ აგიყვანეს?.. მაგათთვის ხომ სულერთია, ვის დაიჭერენ და რატომ?..  
 — ანუ აჯერად მხოლოდ გიგური შერჩათ ხომ ხელში?..  
 — სულაც არა... იმ მომენტში, გივის კაბინეტში კიდევ ყოფილა ერთი კაცი, გვარად დვალი, მაგრამ...  
 — ვინ ყოფილა? — გაფითრდა ლანა.  
 — ხომ გითხარი, ვილაც დვალი-მეთქი... — გაუმეორა თინიკომ. — ლაშამ სახელიც მითხრა, მაგრამ დამავიწყდა.  
 — ისიც ხომ არ დაიჭირეს? — გული მოეცა ლანას.  
 — დაიჭირესო?.. — გაუკვირდა თინიკოს. — როგორ გეკადრება, ქალბატონო! დაიჭირეს კი არა, დამშვიდობებისას, „სოდ“-ის ერთმა თანამშრომელმა გადაკოცნა კიდევ, თურმე.  
 — ვინ? — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა ლანას. — დვალი?  
 — დიახ, ბატონო. მეტსაც გეტყვი: მგონი, უკვე გიგურის ფირმასაც ის დაეპატრონა. ყოველ შემთხვევაში, როგორც გოგოებმა მითხრეს, ორი დღეა, გიგურის კაბინეტში ზის და განკარგულებას განკარგულებაზე იძლევა... ისე, იმ კაცს მგონი, შენც უნდა იცნობდე?! — მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა თინიკომ ლანას. — ყოველ შემთხვევაში, ლაშამ ასე მითხრა...  
 — თუ ნიკოლოზ დვალზეა ლაპარაკი, ნამდვილად ვიცნობ. — როგორც იქნა, გამოტყდა ლანა.  
 — ჰო, ჰო, ნიკოლოზი... ნამდვილად ნიკოლოზი ჰქვია. — სასწრაფოდ აიტაცა თინიკომ. — ლაშას კიდევ ვუთხარი, რა კარგი გვარ-სახელი ჰქონია-მეთქი. ისე გარეგნობითაც არ დაინუნება თურმე... გოგოებს პირველსავე დღეს დაუნყიათ მისთვის თვალების ყუფუნის, მაგრამ გივოს გადაუსხამს საწყლებისთვის ცივი წყალი: ტყუილად წვალობთ გოგოებო, ოფიციალური საცოლე ჰყავსო...  
 — როგორ? — გაუკვირდა ლანას. — დვალს გივოს იცნობს?  
 — ადრე იცნობდა თუ არა, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ახლა გაიცნობდა, აბა, რას იზამდა... კაცი შეფად უზის და ბრძანებებს აძლევს...  
 — ესე იგი, დვალს ოფიციალური საცოლე ჰყავსო, ხომ? — წამით ჩაფიქრდა ლანა. — არ გიკითხავს, ვინ არისო?  
 — ეგ რატომღა უნდა მკითხა? — მხრები არხეინად აიჩქრა თინიკომ.  
 — ჰო, რა თქმა უნდა. — თავი მოწყვნილად ჩაქინდრა ლანამ.  
 — და საერთოდაც, რას გეტყვი, იცი? — დაიწყო თინიკომ, მაგრამ ფრაზის დასრულება ვეღარ მოასწრო, რადგან ოთახში თამარმა შემოიხვედა:  
 — მორჩით ჭორაობას? — ჰკითხა მან თინიკოს ისე, რომ ლანასთვის ზედაც არ შეუხვდავს.  
 — მოვრჩით, მოვრჩით, დეიდა თამარ, მოვდივართ. — ფეხზე წამოხტა თინიკო. — თუმცა, მოიცა, მოიცა! — ისევ ლანას მიუბრუნდა ის შემდეგ. — აბა, ჩამიკაკლე ერთი,

**ინფორმური ბელეფონი**  
 822-006-008  
 822-006-088  
 822-006-108  
 (ზარი ფასიანია)  
 18 წლიდან







შენ რაღა სიურპრიზი დამხვედრე?  
 — რა სიურპრიზი? — გაუკვირდა ლანას.  
 — კარგი, კარგი... შეაჩერა თინიკო თამ-  
 არმა. — ეგ ამბავი მერე გარკვევით, ახლა კი  
 გამოდით სუფრასთან, თორემ ჩაახრჩობს  
 შენს ქმარს გოგა ღვინოში...  
 — მერე, ლევანი სადღაა, რომ არ ეს-  
 მარება?  
 — ლევანის ამბავი მაგ ქალბატონს ჰკითხე!  
 — ბრანზიანად გადახედა შვილს თამარმა.  
 — რა მოხდა? — მიუბრუნდა ლანას  
 თინიკო. — ისევ იჩხუბეთ?  
 — ეჰ! — ხელი დანანებით ჩაიქნია თამ-  
 არმა. — ჩხუბს რა უჭირდა?  
 — აბა, რა მოხდა?  
 — ხომ გითხარი, ეგ ამ ქალბატონს  
 ჰკითხე-მეთქი!  
 — დედა! — ვეღარ მოითმინა ლანამ. —  
 ხელახლა ნუ დაიწყებ!  
 — დედა და ბნედა — შენი! — მაინც არ  
 გაჩუმდა თამარი. — იმისთვის ვინვალე და  
 გაგზარდე, რომ ჩემთვის სიბერე ჩაგემწარე-  
 ბინა?  
 — ჯერ რა დროს თქვენი სიბერეა, დედა  
 თამარ! — სასწრაფოდ ჩაერია დედა-შვი-  
 ლის კამათში თინიკო. — და საერთოდაც,  
 იცით, რომ კუჭი შიმშილით მისმება?  
 — მამაბი, შვილო! — შეწუხდა თამარი.  
 — ამდენმა უბედურებამ მგონი, საბოლოოდ  
 გამომამტერა. ნამოდი, მიუჯექი შენს ქმარს  
 გვერდით. სუფრა უკვე გავაახლე.  
 — ნეტავ, იმისთანა მშვენიერ სუფრას  
 რაღა გაახლება სჭირდებოდა? — ახალი  
 თემა სასწრაფოდ აიტაცა თინიკომ. — თანაც,  
 ასეც რომ არ იყოს, ხომ გაგიგონიათ, როცა  
 გშობა, ზაქარია, ცივი მჭადიც შეაქარიაო...  
 რას შვრები?... აღარ აპირებ ამ სკამიდან  
 ადგომას? — მიუბრუნდა ის შემდეგ ლანას.  
 — თქვენ დაიწყეთ და მეც მალე შემოვი-  
 ერთდებით. — როგორც იქნა, ფეხზე წა-  
 მოდგა ლანა.  
 — კარგი, აბა, გელოდებით. — მეგობარი  
 კიდევ ერთხელ ეჭვით შეათვალა თინი-  
 კომ, შემდეგ თამარს ხელკავი გამოსდო და  
 ოთახიდან ისე გაიყვანა...  
 ლანა რომ შუა ოთახში გავიდა, გოგა  
 ლამას უკვე ისე გამინაურებოდა, რომ ჭიქას  
 ჭიქაზე უჭახუნებდა. რეზო და მავა კი სუ-  
 ფრასთან სარგადაყლაპულბეზით ისხდნენ  
 და თინიკოს შეკითხვებს, ძირითადად, შორის-  
 დებულებით პასუხობდნენ. ლანას დანახვაზე

გოგას პირთან მიტანილი ჭიქიანი ხელი წა-  
 მით ჰაერში გაუშვდა, თუმცა გონს მალევე  
 მოეგო, სასეუ ჭიქა ბოლომდე გამოცალა და  
 მაგიდაზე ხმაურით დადგა:  
 — ასე მტერი დაეცალოს ბებიაჩემის  
 მონაგარს!  
 — ამინ, ამინ! — მაშინვე დაეთანხმა მას  
 ლამა და ლანას შესახვედრად წამოდგა.  
 ახალგაზრდებმა ერთმანეთი შინაურულად  
 მოიკითხეს და შემდეგ ყველანი კვლავ სუ-  
 ფრას მიუხდნენ, თუმცა თავად სუფრა ვე-  
 ლარაფრით აწყო. პირველად ფეხზე შალი-  
 კო და მისი ცოლი წამოდგნენ: საქონელი  
 გვეყავს მისახედო; მათ რეზო და მავა მიჰყვ  
 ნენ და თან, სტუმრებს ბოდიში მოუხადეს:  
 ბიძაჩვენთან რაღაც საქმე გვაქვს; დაბნულმა  
 გოგამ კი, კიდევ რამდენიმე სადღეგრძელო  
 წარმოთქვა და ისიც წასასვლელად მოეშა-  
 და.  
 — შენ რაღა გეცა, ბიჭო? — დატუქსა  
 თამარმა ძმისშვილი. — შენც დაგავინყდა  
 სტუმრის პატივისცემა თუ რა არის?  
 — რა გქნა მამიდა! — ხელები დამნაშავე-  
 სავით გაშალა გოგამ. — ღვინის დაღვევა  
 თქვენ აღარ გინდათ და მე კიდო რამდენ-  
 ჯერ უნდა გითხრა, რო მოხარებული წყლის  
 სასმელად არ ამოვდივარ ხოლმე აქნა... არა,  
 ხომ ხედავ, ლანაუკამ რომ მაინც შემოაჩხრი-  
 ალა ჩაის „პირბორები“?!  
 — ჯერ ერთი, ეს ჩაი კი არა, ყავაა. —  
 შეეკამათა ბიძაშვილს ლანა.  
 — კიდო უარესი! — უკან მაინც არ  
 დაიხია გოგამ. — სად ყავა და სად ჩემნაირი  
 სოფლელი კაცი?... ამიტომ, ნავალ ახლა მე  
 ჩემი გზით... ხვალ კი ჩემთან გადავიპატიყებ  
 ლამას და მერე, ჩვენ ვიცით, ხომ? — მხარზე  
 ხელი შინაურულად დაჰკრა მან შემდეგ ლამას.  
 — რა თქმა უნდა! — დაეთანხმა გოგას  
 ღვინის სმის იმტაზე მოსული ლამა და ლანას  
 მირთმეული ქაფაყა ყავით სავსე ფინჯანს  
 მანაც აღმაცერად გადახედა.  
 გოგას წასვლის შემდეგ, თამარი სუ-  
 ფრასთან ცოტა ხანს კიდევ იჯდა და შემ-  
 დეგ, სტუმრებისთვის ლოგინის გასაშლე-  
 ლად გავიდა. მისი გასვლისთანავე, თინიკო  
 ლამას ეცა:  
 — რაო ლევანმა, რა გითხრა?  
 — რაზე? — პირდაპირ პასუხს თავი  
 აარიდა ლამამ და თან, ლანას თანაგრძნო-  
 ბით გადახედა.  
 — ვითომ ვერ ხვდები, რასაც გვეითხე-

ბი? — გაგულისდა თინიკო. — ლანაზე  
 ძალიანა-მეთქი გაბრაზებული?  
 — აი, ეს კი არც შენი საქმეა და არც  
 ჩემი. — თავი ისევ შორს დაიჭირა ლამამ.  
 — ლევანმა და ლანამ თავიანთი ურთიერ-  
 თობა თავადვე უნდა გაარკვიონ.  
 — მე უკვე ყველაფერი გარკვეული მაქვს...  
 — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა ლანამ.  
 — ლევანმაც იცოდა მითხრა, — ამოიხსრა  
 ლამამ. — ჩვენ შორის ყველაფერი საბო-  
 ლოლოდ გაირკვაო...  
 — მოიცა ერთი! — გაანწყვტინა თინი-  
 კომ ქმარს. — გარკვეული არა, კიდევ ის...  
 გამოთქმა მაინც არ გაგიგონია, შეყვარე-  
 ბულების ჩხუბი რევეგნს მართალი ეგონაო?  
 — გმადლობ, კომპლიმენტისთვის. — თავი  
 მდაბლად დაუკრა ცოლს ლამამ. — მაგრამ  
 თუ არ ვცდები, ეგ ცოლ-ქმარზე ნათქვამი.  
 — მერე, მაგას რა მნიშვნელობა აქვს? —  
 მაინც არ დაცხრა თინიკო. — დღეს არ  
 არიან, ხვალ გახდებიან.  
 — ჩვენ ცოლ-ქმარი აღარასოდეს  
 გახვდებით... — უცბად, ებილებში ცივად  
 გამოცრა ლანამ.  
 — ოჰო?! — გაოცებით გადახედა მას  
 თინიკომ. — მგონი, მართლა აღარ ხუმრობ,  
 აი?! გამაგებინე ერთი, ასეთი მაინც რა  
 მოხდა?  
 — თინიკო! — გაანწყვტინა ცოლს ლამამ  
 — კმარა... ხანდახან მაინც ხომ უნდა მისხდე,  
 რომ გაჩუმების დროა?  
 — კი, მაგრამ როგორ გაჩუმდე, როცა  
 ვხედავ, რომ ჩემი მეგობარი კლდეზე იჩხუ-  
 ბა?! — პირში ეცა ქმარს თინიკო. — შენ  
 თვითონ არ მითხარი, რომ ის კაცი ახვარზე  
 ახვარიო?  
 — რომელი კაცი? — ყურები ცქვიტა  
 უცბად, ლანამ.  
 — რომელსაც ცოლად მიჰყვები!.. — ხმას  
 აუწია თინიკომ. — შენ გგონია, მართლა  
 არაფერი ვიცი?... ლამა, უთხარი გეხვეწები,  
 ვინ არის სინამდვილეში ნიკოლოზ დვალი!  
 — ისევ ქმარს მიუბრუნდა ის შემდეგ.  
 — დვალის ამბავი ლანამ ჩემზე უკეთესად  
 იცის... — არც ამჯერად აჰყვა ლამა ცოლს.  
 — და რადგან მისი ცოლად გაყოლა გადა-  
 ნყვიტა, ეს უკვე მხოლოდ მისი პირადი საქმეა.  
 — მერე ლევანი? — გულუბრყვილოდ  
 იკითხა გულდანწყვტილმა თინიკომ.  
 — ალბათ, ლევანიც არ დაიკარგება... —  
 თავისთვის ჩაილაპარაკა ლამამ.  
 — ჰმ! — ბრანზიანად გადახედა თინიკომ  
 ქმარს. — ორივეს უცბად არ მოუკვარახჭი-  
 ნა საქმე?!  
 — მე მეტი არაფერი შემიძლია. — სახეზე  
 აშკარა სინანული გამოეხატა ლამას. — თანაც,  
 ახლა ლანასთან ბევრად უფრო მნიშვნელო-  
 ვანი საქმე მაქვს, ვიდრე მისი გათხოვება...  
 — ამაზე მნიშვნელოვანი ნეტავ, რაღა  
 უნდა იყოს? — გაუკვირდა თინიკოს. —  
 თუ კიდევ მოხდა რაიმე და მე არ ვიცი?!  
 დროზე ამოღერღე რაღა! — ეცა ის  
 ქმარს.  
 — საქმე ისაა, რომ გიგაურის დაჭერ-  
 ამ ლანას საქმეც ხელახლა დააბრუნა წარ-  
 მოებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეი-  
 ძლება, ყველაფერი თავიდან დაიწყოს...

# ახალი სასიუჟარო კომპანი, ჯორჯ ბენსონი და „აქარიკალი“ ქართული ზღაპრისა

მომღერალი დათო გომართელი ამერიკიდან, კერძოდ, ნიუ-იორკიდან შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდა. მასსოვს, იგი იქ გამგზავრებას, დიდი ინტერესით ელოდა, და ნიუ-იორკში ჩასულს, იმედები არც გასცრუებია: კონცერტის გამართვის პარალელურად, დათომ ამერიკაში კლიბიც გადაიღო, რომლის პრემიერაც „იმედის“ ეთერში უკვე შედგა.



კლიპში მონაწილეობს გოგონა, ნათია ბუნტური, რომელიც ფილადელფიაში ცხოვრობს

## დათო გომართელი საცხოვრებლად ამერიკაში მიდის

— ნიუ-იორკში 19 მარტს ქართული სათვისტომოს მიწვევით ჩავედი და, ერთ-ერთ კლუბში კონცერტი გამართე. მაყურებელი საკმაოდ ბევრი იყო. კარგი კონცერტი გამოვიდა, ყველა კმაყოფილი დარჩა. ამასთან, ქართული სათვისტომოს დახმარებით, ნიუ-იორკში კლიპის გადაღებაც მოვახერხე. იქაური ქართველები დამეხმარნენ: კერძოდ, ოპერატორი ლევან კოლუაშვილი, რომელიც იქ საარეჟისოროზე სწავლობს და ასევე ოპერატორი გიორგი მელიქიშვილი.

— კლიბი რომელ სიმღერაზე გადაიღე?

— ახალი სიმღერაა, რომელიც ჩემს ალბომში შევა. ის ლილიკო ნემსაძეს ეკუთვნის, ტექსტის ავტორი ირინა სანიკიძეა, არანჟირება ბორიკო შხიანმა გააკეთა. სიმღერას ჰქვია — „არავისთვის ასე არ მიმღერია“, თუმცა მისამღერში ჟღერს ასეთი ფრაზა: „პატარა ხარ... რატომღაც მგონია, როცა მსმენელი ამ სიმღერას მოისმენს, მას ასეც შეაჩქმევს — „პატარა ხარ“...

— ალბათ, სიმღერა სასიყვარულო თემაზეა არა?

— დიახ (იღიმება)... ასეა... კლიპში მონაწილეობს გოგონა, ნათია ბუნტური, რომელიც ფილადელფიაში ცხოვრობს. ის პენსილვანიის საბალეტო დასის წევრია. არ მინდოდა, ამერიკაში ჩემი მოგზაურობა დოკუმენტურად დაფიქსირებულიყო და ეს ყველაფერი ფირზე ავსახე.

— ამერიკაში გადაღებული კლიბი შესწინა კლიბს — „მამა აფრიკას“, რომელიც მოსკოვის ერთ-ერთ კლუბშია გადაღებული, ვითომ აჯობებს? ის საკმაოდ პოპულარული იყო?

— ჯერ არ ვიცი, ახალ ნამუშევარს როგორ მიიღებს მაყურებელი; „მამა აფრიკას“ მართლაც, მაღალი რეიტინგი ჰქონდა. ის განსაკუთრებით ქართველ მამაკაცებს მოსწონდათ, რადგან მასში ლამაზი

ქალები მონაწილეობდნენ. მაინც ვფიქრობ, რომ მისი პოპულარობა ამან განაპირობა.

— თუმცა, ის არც სხვა მხრივაც დასაწინი.

— კი, გეტანხმები, მაგრამ ახალ კლიპსაც ვერ დაუნუნებთ ხარისხს. ის მრავალფეროვანი, საინტერესო და ხალისიანი გამოვიდა. მასში ასახულია დღის და ღამის ნიუ-იორკი. ნიაგარაზე ჯორჯ ბენსონის კონცერტზე ვიყავი, რამდენიმე კადრი იმ კონცერტიდანაც შევიდა ჩემს კლიპში.

— მაინც რატომ გადაწყვიტე მისი ამერიკაში გადაღება?

— მინდა და ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩემს შემოქმედებაში რაღაც ახალი შევიტანო, მსმენელს, მაყურებელს სიახლე შევთავაზო. ამიტომ, არა მგონია, ნიუ-იორკში გადაღებული კლიბი უინტერესო იყოს. თან, ყველას არა აქვს ამერიკაში ვიდეორგოლის გადაღების საშუალება. მე ბედმა გამიღიმა, ეს შესაძლებლობა მომეცა და იმ ქვეყანაში კლიპის გადაღება მოვახერხე.



ნიუ-იორკში დათოს კონცერტს ცოლ-ქმარი — ეროსი და ია კაწმარიშვილებიც ესწრებოდნენ

— ამერიკაში პირველად იყავი?

— კი, პირველად. არაერთ საინტერესო ადამიანს შევხვდი. ჩემს კონცერტზე ქართველები ჩამოსულები იყვნენ ვაშინგტონიდან, ფილადელფიიდან... პირველსავე სიმღერაზე მაყურებელი ამყვა და ცეკვა დაიწყო. მათთვის თითოეული ქართველის იქ ჩასვლა, დიდი ზემოქმედება იქცა. უჭირთ იქ ყოფნა, ნოსტალგია აწუხებთ. დიდი ხანი საღამომდე მუშაობენ, თავისუფალი დრო ცოტა აქვთ. 3 საათი ვიმუშავე სცენაზე. შუალედში, შესვენებისას, ჩემთან ორი გოგო მოვიდა: ბატონო დათო, ვისიამოვნეთ თქვენი კონცერტით, მაგრამ ბოლომდე ვერ დავრჩებით, რადგან დილას 7 საათზე სამსახურში ვართ წასასვლელი, — მომიბოდიშეს და წავიდნენ...

— შენ თუ იცხოვრებდი ამერიკაში?

— მართალი გითხრა, მაქვს იქ ცხოვრების სურვილი, ვფიქრობ, რომ წავიდე.

— როდის გეგმავ გამგზავრებას?

— ზუსტად არ ვიცი. თუ წავალ — ალბათ, ნიუ-იორკში: საინტერესო ქალაქია. ამერიკა ის ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოში პირველია. ყველაფერი იქიდან იწყება — ყოველგვარი სიახლე. იქ შოუ-ბიზნესიც უმაღლესი ინდუსტრიის დონემდეა აყვანილი.

— რა ხდება ჩვენთან ამ მხრივ? რატომ არ ვითარდება ეს სფერო საქართველოში?

— ჯერ ერთი, ძალიან მწირია ბაზარი, თუმცა ქართველებს არავისზე ნაკლები ნიჭი არ გვაქვს. მაგრამ ჩვენთან ამ ნიჭის, პროდუქტის განვითარების, უცხოეთში გატანის გამოცდილება — აწუხ, როგორ უნდა მიენოდოს ის ხალხს, — ფაქტობრივად, არ გააჩნიათ, ამის სკოლა არ არსებობს. ამერიკაში დიდი ვარსკვლავების კონცერტებს დაგვსწარი. გაცეცხლებული ვართ, ყველაფერი მაღალ დონეზეა, იმიტომ, რომ



თვითონ სისტემა ჩამოყალიბებული.

— ამერიკაში შენით რომელიმე პროდიუსერი ხომ არ დაინტერესებულა?

— არა, ამ კუთხით არავისთან მქონია შეხვედრა.


— საქართველოში შოუბიზნესით ცხოვრება შეუძლებელია?

— შეუძლებელია. როდესაც უცხოელს ეუბნები, რომ მომღერალი ხარ, მას ჰგონია, რომ ძალიან მდიდარი ადამიანი ხარ, რადგან საზღვარგარეთ მომღერლებსა და შოუბიზნესის წარმომადგენლებს ცხოვრება არ უჭირთ.

— ქართულ შოუბიზნესში მუსიკოსები ერთმანეთთან მეგობრობენ?

— როგორ არა!

— ზოგი ამბობს, რომ მათი მეგობრობა მოჩვენებითი და ყალბია.



ნიუ-იორკში 19 მარტს ქართული სათვისტომოს მიწვევით ჩავედი

— ვერაფერს გეტყვი, მე ბევრი მეგობარი მყავს. მაგრამ არიან ისეთებიც, ვისთანაც არ ვმეგობრობ, რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ერთმანეთის მტრები ვართ. კონკურენცია არსებობს და უნდა იყოს კიდეც, ეს ნორმალურია, საჭიროა იმისთვის, რომ შემოქმედი არ მოდუნდეს და სიახლეებზე იფიქროს. იმასაც უნდა შეეგუოს, რომ მუდმივად რეიტინგული ვერ იქნება, რადგან მას ჰყავს კონკურენტები და გამუდმებით საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს.

— უახლოეს მომავალში რას გეგმა?

— გამოდის ჩემი ალბომი და მორიგ ალბომზეც ვინყებ მუშაობას; მასში ქართულ-რუსული რომანსები შევა. გამოიჩნდა სპონსორი, რომელსაც აქვს სურვილი, ასეთი სახის ალბომი გამოცეც.

— წარმატებებს გისურვებ.

— დიდი მადლობა.

## ნუსა შანშიაშვილი თბილისში

6 მაისს, გიორგობას, „სითი ქლაბში“ მომღერალ ნუსა შანშიაშვილს კონცერტი ჰქონდა ის, კონცერტის წინაღობა მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა როგორც ცნობილია, უკვე რამდენიმე წელია, რაც ნუსა მოსკოვში მოღვაწეობს: თუმცა, მომღერლის სამოღვაწეო ასპარეზად, ნიუ-იორკიც მოიაზრება. 6 მაისს, „სითი ქლაბის“ შემოქმედებით ჯგუფს (თაკო დოლაბერიძე, ნინა ანდრონიკაშვილი და გია გუმბერიძე) უნდოდა, კლუბში მისული მაყურებლისთვის სიაშოვნება მიენიჭებინა და მათთვის ერთგვარი სიურპრიზიც მოეწყო... გია გუმბერიძე ვახსენე და იმასაც გეტყვით, რომ ეს ადამიანი ამერიკაშია და ნუსას პროდიუსერია და მას შემოქმედებითი ცხოვრების დაგეგმვაში ეხმარება.

### გია გუმბერიძე:

— ნუსა ნებისმიერ სცენაზე — დიდსა თუ პატარაზე, ყველგან ახერხებს სითბო, სიხარული და სიაშოვნება მიანიჭოს მაყურებელს; ის მთლიანად იხარავს. მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თბილისში ჩატარებულ კონცერტს, რადგან ის აქ დაიბადა და გაიზარდა. მის რეტურში არის ერთი არაჩვეულებრივი სექტაკლი, რომელიც ედიტ პიასს ეძღვნება. ვცდილობთ, რომ უახლოეს მომავალში ნუსამ ეს წარმოდგენა ოპერისა და ბალეტის სცენაზე გამართოს. ამ საკითხზე მოლაპარაკებები უკვე დანერგულია.

იმ საღამოს, მომღერალი თბილისელი პუბლიკისთვის მართლაც გულთ მღეროდა. რა-

ტომლაც კლუბში არ მინახავს ჩვენი ცნობილი სახეები, შოუბიზნესის წარმომადგენლები. შესაბამისად, ნუსას არც სცენაზე შენაცვლება ვინმე, როგორც ეს სხვა მომღერლების კონცერტებზე ხდება ხოლმე.

ამ დღისთვის, მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსულმა მომღერალმა სიმღერები ახალი ალბომიდანაც შეასრულა და სულ ბოლოს, რამდენიმე მისი ცნობილი ძველი ჰიტიც გაისმა იყო ცეკვა, მხარულუბა და როგორც იტყვიან, — „დიდი ხალისობა“. ასე რომ, სტუმარიც და მასპინძელიც კმაყოფილები ჩანდნენ.



## მერაბ სეფაშვილმა ეპროგრამის ერთად იქნა

6 მაისს, გიორგობას, მერაბ სეფაშვილი ფილარმონიაში მღეროდა. მისი სოლო კონცერტი ჩართული იყო ქართული ცეკვისა და სიმღერის ფესტივალში — „ქართული სული“. მერაბი მეგობრებთან (ცოცხალ ბენდთან) ერთად იდგა სცენაზე და ყველა დროის პოპულარულ სიმღერებს ასრულებდა. მან გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული ასე მიულოცა დიდ საკონცერტო დარბაზში მისულ მაყურებელს.

## რა იანებოდა სკალ...



● ნიჭიერი მუსიკოსი გიგი გეგელაშვილი „ახალი ნახტომისთვის“ ემზადება. 15 მაისს, ის მაყურებელს თავის ახალ პროექტს წარმოუდგენს, რისთვისაც მთელი წელია ემზადება.

### შირაი და ლიპი ზიზუს აქაზან

ჟაკ შირაკის პრესამსახურის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ორი-ოდე დღის წინ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ზინედინ ზიდანს დაურეკა, რათა მის მიმართ საკუთარი და საერთოდ, მთელი ქვეყნის პატივისცემა გამოეხატა. შირაკმა ზიზუს მადლობა გადაუხადა იმ ღვაწლისათვის, რომელიც მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველს საფრანგეთის ნაკრების წინაშე მიუძღვის. გარდა ამისა, მან ფეხბურთელი ელისეის სასახლეშიც მიიწვია. შეგახსენებთ, რომ წლევეანდელი მსოფლიო პირველობის შემდეგ, ზიდანი კარიერის დასრულებას აპირებს.

ზინედინ ზიდანის მიერ მუნდიალის შემდეგ კარიერის დასრულების გადაწყვეტილების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას მარჩელო ლიპიც გამოეხმაურა. როგორც ცნობილია, ლიპი წვრთნიდა „იუვენტუსს“, რომლის შემადგენლობაშიც ზიზუმ 5 სეზონი გაატარა. ტურინელებმა ზიდანი „ბორდოს-გან“ 5 მილიონ დოლარად შეიძინეს. შემდეგ კი, ფრანგი ნახევარმცველი მადრიდის „რეალში“ გადავიდა („სამეფო კლუბებმა“ ტურინელებს მის საფასურად 64 მილიონი დოლარი გადაუხადეს). „ვიჟიჟროზ, ზიდანი ბოლო 20 წლის მანძილზე მოთამაშე ფეხბურთელებს შორის, ყველაზე დიდი ნიჭითაა დაჯილდოებული. ის ყოველთვის გუნდზე მუშაობდა და „პრიმადონა“ არასოდეს ყოფილა. მასსოვს, თუ რა მორცხვი აღამიანი იყო ზინედინი, როდესაც ტურინში ჩამოვიდა. ჩვენი თანამშრომლობის პირველ ეტაპზე, მას სიმშვიდის შენარჩუნებასა და ფეხბურთის ისე თამაშს ვურჩევდი, როგორც შეეძლო. ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ ზიდანის მსგავს ფეხბურთელთან ვმუშაობდი“, — ამბობს მარჩელო ლიპი.



### ჰაჯიანოვ დაჰავდა

„მილანის“ თავდამსხმელი, ანდრეი შევჩენკო მუხლის ტრავმის გამო, დაახლოებით 25 დღე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. ამის შესახებ, იტალიური კლუბის პრესამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია. შევჩენკომ მუხლი „პარმასთან“ გამართულ შეხვედრაში დაიზიანა. ასე რომ, უკრაინელი ფორვარდი სერია A-ს ბოლო ტურშიც ვერ მიიღებს მონაწილეობას, რომელიც კარლო ანჩელოტის გუნდის მეტოქე „რომა“ იქნება.



### შირაი: „უნდიალს რუნის გარეშე მოვიგებთ“



ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ალან შირერი აცხადებს, რომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე უეინ რუნის არყოფნის შემთხვევაში, ალბიონელთა ეროვნული გუნდის ლიდერის როლი, „ლივერპულის“ კაპიტანმა, სტივენ ჯერარდმა უნდა იტვირთოს. „რა თქმა უნდა, რუნის ტრავმა ნაკრებისათვის სერიოზული დარტყმაა, — დასძენს შირერი, — მაგრამ სხვა ფეხბურთელების მიმართ უსამართლობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ამჯერად ინგლისელებს გერმანიაში წარმატების შანსი აღარ დარჩათ.

ეროვნულ ნაკრებში მსოფლიო კლასის არაერთი ფეხბურთელი თამაშობს. მათ გუნდის ლიდერის ფუნქციის საკუთარ თავზე ალბა შეუძლიათ. თუ სტივენ ჯერარდი თავის ჩვეულ პოზიციაზე ითამაშებს, ნაკრების შემტევი პოტენციალი სულაც არ შესუსტდება. ძალიან მსურს შემტევი პოზიციაზე მაიკლ ოუნის ხილვა. იგი სტივენთან ერთად, დიდ ძალას წარმოადგენს. რაც შეეხება მოედნის ცენტრს, აქ დევიდ ბექჰემს, ფრენკ ლემპარდს, მაიკლ კერიკსა და ჯო კოულს დავაყენებდი“.

### პარირას „ინტარი“ არ მოსწონს

ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, კარლოს ალბერტო პარეირა მიიჩნევს, რომ მილანის „ინტერის“ თავდამსხმელმა ადრიანომ, რაც შეიძლება მალე უნდა დატოვოს თავისი კლუბი. „ადრიანოს“ ფიზიკური მზადყოფნა არ მალეღვებს, — დასძენს პარეირა, — მაგრამ უმჯობესია, ის არ ისეთ იმყოფებოდეს გუნდში, რომელშიც რთულია მუშაობა და რომელშიც ფეხბურთელები თამაშის ნაცვლად იტანჯებიან. სხვათა შორის, როდესაც ის ნაკრებს უერთდება, საკლუბო პრობლემებს უმალვე ივიწყებს“.

### მათეუსს გერმანიის ნაჩაბისა არ სჯარა

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი ლოთარ მათეუსი, მომავალი მუნდიალის მთავარ ფავორიტად, არგენტინის ნაკრებს მიიჩნევს. „არა მგონია, რომ პლანეტის პირველობა ბრაზილიის ნაკრებმა მოიგოს. ამ გუნდში საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ ბრაზილიელები ყველაზე ძლიერები მაინც არ არიან. მათთვის ტრადიციულად, სუსტ წერტილად რჩება დაცვის ხაზი, რითიც შეიძლება არგენტინელებმა ისარგებლონ. აგრეთვე, ურიგოდ არ გამოიყურებიან ინგლისელები და იტალიელები, მაგრამ ყველაზე მეტად, ჰოლანდიის ნაკრების თამაშით ვარ აღფრთოვანებული. რა თქმა უნდა, ვოცნებობ, რომ ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა მოიგოს ტურნირი, თუმცა, ვითარებას რეალურად უნდა შევხედოთ. გერმანიის ნაკრები ნახევარფინალამდე რომ მივიდეს, ესეც ჩინებული შედეგი იქნება გუნდისთვის“, — დასძენს მათეუსი.




### ჰაქლაზან თუ არა აორკალაბი წარმატების გამეორებას?

„პუსან ი-პარკისა“ და ლონდონის „ჩელსის“ ყოფილი მწვრთნელის, იან პორტერფილდის თქმით, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისტი — სამხრეთ კორეის ნაკრები, მომავალ მუნდიალზე იმავე მიღწევას ვეღარ გაიმეორებს. „2002 წელს სრულიად ფენომენალური რამ მოხდა. კორეელთა წარმატებაში დიდი როლი ითამაშა ადგილობრივ ქომაგთა მხარდაჭერამ. ჩვეულებრივ, კორეის ნაკრები გასვლაზე არცთუ ისე კარგად თამაშობს და მას იმავე მიღწევის გამეორება გაუჭირდება. თუ კორეის გუნდი საფრანგეთის ნაკრებისათვის ქულების ართმევას და პლეი-ოფში გასვლას მოახერხებს, ეს აზიელთათვის უბრალოდ, შესანიშნავი შედეგი იქნება“, — აცხადებს პორტერფილდი.



# BMW RS4



სწორედ დიდ ბრიტანეთში გამოაცხადეს ახალი კუპეს ფასები: Z4-ის ტოპ-M ვერსია ამ ქვეყანაში 41.240 ევრო ელირება, ჩვეულებრივი — Z4 3.0-ის ორი კომპლექტაცია — Sport და SE — შესაბამისად, 32.900 და 31.375 ევრო.

BMW Z4 M Coupe აღჭურვილია 3,2 ლ მოცულობის 6-ცილინდრიანი ძრავით,

რომელიც 343 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს; ვერსია Z4 3.0-ის ძრავას მახასიათებლებია: სიმძლავრე — 265 ცხ.ძ., 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარების დრო — 5,7 წმ. მიუხედავად ამისა, ყველა მოდიფიკაციის მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ითაა შეზღუდული.

შარშანდელ შემოდგომაზე ფრანკფურტის ავტოსალონზე გამოჩენისთანავე, BMW Z4 Coupe Concept-მა ავტომოყვარულები იმით გააკვირვა, რომ ეს არა სერიული, არამედ კონცეპტუალური მოდელი იყო. მანქანა აბსოლუტურად სრულყოფილი გახლდათ და პრაქტიკულად, მზად იყო საიმისოდ, რომ კონვეიერზე დაეყენებინათ. მაგრამ ეს მომენტი წლებად აღარიაღმდე გადაიდო.

ბავარიელი ავტომწარმოებლები არ მალავენ, რომ Z4 Coupe-სა და მისი გაძლიერებული — M-ვერსიის გასაღების ძირითად ბაზრად, ჩრდილოეთ ამერიკას მიიჩნევენ. მათი წარმოებაც იქ — კერძოდ, სამხრეთ კაროლინის ქალაქ სპარტანბურგში მდებარე ქარხანაშია დაგეგმილი. მაგრამ ამ მოდელით ევროპაცაა დაინტერესებული. ამ ინტერესს ყველაზე მეტად ჯერჯერობით, ინგლისელები იჩენენ — ყოველ შემთხვევაში, პირველად



# Ferrari 599 GTB

წყალობით, 1 ცენის ძალა მხოლოდ მისი მასის თითოეულ 2,6 კგ-ზე მოდის. ამიტომაც, მწარმოებელთა წინასწარი (არაოფიციალურად) განცხადება — ამ მანქანას 330 კმ/სთ სიჩქარის გასავითარებლად, სულ 4,0 წმ ესაჭიროებაო, — სავსებით რეალური ჩანს.

იმის გამო, რომ ახალი მოდელი 575M Maranello-ს „მემკვიდრეა“, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ის წინამორბედზე ბევრად მეტი არ ელირება — ე.ი. დაახლოებით 112 ათასი დოლარი.

Ferrari-ს სამოდელიო რიგში ამ მანქანის გამოჩენის შესახებ იტალიელებმა ჯერ კიდევ იანვარში, დეტროიტის ავტოსალონზე გამოაცხადეს. თებერვალ-მარტში, უენევაში უკვე მისი პრემიერა გაიმართა.

ახალი მოდელი — Ferrari 599 GTB-ის წინამორბედი, 550/575M Maranello-ს ოჯახი გახლავთ, რომელიც ბაზარზე 10-წლიანი არსებობის მანძილზე (550-ე მოდელი — 1996 წლიდან, ხოლო 575-ე — 2002 წლიდან) 5700 ეგზემპლარად გაიყიდა.

ახადი „ფერარი“ — ორადგილიან, ალუმინის კუპე-„ბერლინეტს“ წარმოადგენს, რომლის დიზაინი ფირმა Pininfarina-ს, ხოლო ძრავა Ferrari Enzo-ს ეკუთვნის. V ტიპის 12-ცილინდრიანი ძრავა 620 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს და მანქანის მცირე წონის




# Ascari A10

ინგლისური ფირმის — Ascari — პოლანდიელი მუხატრონე, კლასს ცვარტი, რომ იტყვიან, აღარ ხუმრობს. საავტომობილო ბაზარზე მის მიერ 2005 წლის

დეკემბერში გამოშვებული სუპერმანქანის — Ascari KZ1-ის „მონელებაც“ ვერ მოუსწრიათ და ის უკვე მომდევნო — Ascari A10-ს სთავაზობს.

სხვათა შორის, პირველი მოდელი — KZ1 — თავად ფირმის მფლობელის სახელის — Klaas Zwart — ინიციალებს წარმოადგენს. ბატონი კლასი თურმე, საკუთარი ავტოტრასის მფლობელიცაა, რომელიც ესპანეთში მდებარეობს.

რაც შეეხება Ascari A10-ს — ის კარბონისგანაა დამზადებული და სულ 50-ეგზემპლარიანი ტირაჟით იწარმოება. მანქანა BMW-ში შექმნილი, 5 ლ სამუშაო მოცულობის, 8-ცილინდრიანი V ტიპის ძრავათია აღჭურვილი, რომლის სიმძლავრე 600 ცხ.ძ-მდეა გაზრდილი; მას 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფი თან ერთვის. Ascari A10-ის მაქსიმალური სიჩქარე 352 კმ/სთ-ს, მასა — 1280 კგ-ს, ფასი — 610 ათას დოლარს შეადგენს.





7 მაისს ფილარმონის დიდ საკონცერტო დარბაზში, ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლების კონკურსი გაიმართა, სადაც ანსამბლ „იმედის“ მოზრდილი ასაკის ჯგუფმა, პირველი და მეორე ადგილები დაიკავა, ხოლო „იმედი 2“ ანუ პატარების ჯგუფი, გრან-პრის მფლობელი გახდა, რაც მათ საზღვარგარეთ კონცერტების გამართვის საშუალებას აძლევს. თუმცა ჯერ არ არის დადგენილი, კონკრეტულად რომელ ქვეყანაში გაემგზავრებიან ანსამბლის წევრები. აღნიშნული ფესტივალი ილიკო სუსიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობისაა, შესაბამისად, ჟიურის თავმჯდომარე თენგიზ სუსიშვილი გახლდათ, რომელმაც თავად გადასცა ეს პრიზი გამარჯვებულებს. ამ ფესტივალზე, ეს ანსამბლ „იმედის“ მესამე გამარჯვებაა, მათ ნინო რამიშვილის სიცოცხლეშივე მოიპოვეს ეს პრიზი...

# «იმედი» ქართული ქორეოგრაფიის სკოლისა და ღია

## ნათია ჟივიკა

ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“, მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში 1987 წელს ჩამოყალიბდა. მისი ხელმძღვანელები, ცნობილი მოცეკვავეები, ცოლ-ქმარი — ნუნუ ლვინერია და ჯემალ რეხვიაშვილი არიან. მანამდე ისინი სხვადასხვა სკოლაში ჩამოყალიბებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს ხელმძღვანელობდნენ, 1987 წლიდან კი, მთელი საკუთარი გამოცდილება ანსამბლ „იმედის“ ბავშვებს გაუზიარეს და დაუფასდათ კიდევ. „იმედმა“ უამრავ წარმატებას მიაღწია. სამჯერ გახდა წლის საუკეთესო ანსამბლი. ამასთანავე, „იმედი“ ყოველწლიურ ბავშვთა ხალხური შემოქმედების ოლიმპიადის უცვლელი ლიდერი და მრავალგზის ლაურეატია. 2001 წელს ფოთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, ანსამბლმა პირველი ადგილი დაიკავა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წელს, ბატონი ჯემალი, ანსამბლის დამდგმელი ქორეოგრაფი, ხოლო 2001 წელს ქალბატონი ნუნუ, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ღირსების ორდენით იქნენ დაჯილდოებულნი, ხოლო 2005 წლის ზაფხულში კი, ანსამბლი თავისუფლების დღეების აღსანიშნავად, უკრაინაში გაემგზავრა, სადაც იქაური მაყურებელი აღაფრთოვანა ქართული ცეკვის სილამაზით.

შექმნის დღიდან, ამ ანსამბლმა 5 თაობა აღზარდა და გზა ქართული ცეკვის აკადემიურ ანსამბლებში დაულოცა.

„იმედისთვის“ ყველაზე დიდი წარმატება,

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმული სპექტაკლი — „ცეკვა ზღაპარში“ გახლდათ. იმ წელს, პირველად დაიდგა ქართული ქორეოგრაფიული სპექტაკლი, რომლის რეჟისორიც ლევან ნულაძე, ხოლო მხატვარი შოთა გლურჯიძე იყვნენ. ზღაპრის შინაარსის მიხედვით, სოფლიდან ჩამოსულ მეყვავილე გოგონასა და თბილისელ ტყვედების გამყიდველ ბიჭს ერთმანეთი შეუყვარდებათ. მერე, გოგონას დევი მოიტაცებს, ბიჭი კი, მას საქართველოს ყველა კუთხეში ეძებს. ბოლოს, როგორც ყველა ზღაპარი, ესეც კეთილად მთავრდება — ბიჭი შეყვარებულ გოგონას პოულობს და ბედნიერების ნიშნად, „ქართულს“ ცეკვავს. ამ ზღაპარში, რა თქმა უნდა, ყველა როლს ბავშვები, ანსამბლის მოცეკვავეები ასრულებენ. სპექტაკლი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ქართველი მაყურებელი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა.

### თენგიზ სუსიშვილი:

— სიტყვები არ მყოფნის... „იმედის“ ბავშვები ქართული ქორეოგრაფიის ხეაღმშენებელი დღეა.

### ჯემალ რეხვიაშვილი:

— ეს ბავშვები, ნამდვილი პროფესიონალები არიან. „იმედი“ ნამდვილად იმსახურებს აკადემიური ანსამბლის სტატუსს.

### ლევან ნულაძე:

— ამ ბავშვების ნიჭიერებით აღფრთოვანებული ვარ. სცენაზე არ ჩანან და როგორც ცეკვავენ!.. განსაკუთრებით, იმ ბავშვმა აღმაფრთოვანა, რომელიც დოლს უკრავდა. ერთი ციცქნა იყო და უშველებელი დოლი ეჭირა ხელში. როცა კაცი ბავშვობიდან სწავლობს, რომ ქალს ცეკვის დროს არ უნდა შეეხოს, ის ნამდვილი ვაჟკაცი გაიზრდება.

„იმედზე“ არაერთი გადაცემა მოუშვადებია ცნობილ ტელეჟურნალისტს, **თამარ ზოლქვაძეს**, რომელსაც ვთხოვეთ, ორიოდ სიტყვით, ამ ანსამბლზე თავისი შთაბეჭდილება გამოეხატა.

— მიუხედავად იმისა, რომ

ქართველი მაყურებელი განებივრებულია ფოლკლორული ცეკვის კარგი ანსამბლებით, წარმოუდგენელია, რომ 15-20 წუთის განმავლობაში, ხალხი რომელიმე მათგანს აპლოდისმენტებით აჯილდოებდეს. ანსამბლმა „იმედმა“ კი, ეს დაიმსახურა. როცა „ცეკვა ზღაპარში“ დასრულდა, მაყურებელი მათთვის ტაშს არ იშურებდა. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში დაახლოებით მ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლია, ნუნუ ლვინერიასა და ჯემალ რეხვიაშვილის მიერ აღზრდილი ბავშვები, განსაკუთრებული ხელწერით გამოირჩევიან. მათ თავიდანვე ასწავლიან, თუ როგორები უნდა იყვნენ ნამდვილი ქართველი მამაკაცი და ქალი. მათ რეპეტიციას არაერთხელ დავსწრებივარ და გაოგნებული ვიყავი, რადგან მთელი დღის განმავლობაში არ დამჯდარან და 40 ბავშვიდან, თითოეულს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. არ გამოეპარებათ არც ერთი მათი მცდარი ილეთი და სახის მიმიკა. მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-ქმარი საკმაოდ მკაცრია, ბავშვებს ისინი მაინც ძალიან უყვართ და მათი რიდი და პატივისცემა აქვთ.

ბოლოს დავძენთ, რომ 2006 წლის აგვისტოში, ანსამბლი საგასტროლოდ მიწვეულია ლათინურ ამერიკაში, სადაც არაერთი კონცერტი უნდა გამართოს.



ჯემალ რეხვიაშვილი ნუნუ ლვინერია



1. ესპანელი ფერმწერი

2. უმოტორო საფრენი აპარატი

3. რბილი ავეჯი

4. ლიხსტენშტაინის დედაქალაქი

5. ახსოვნა მსახურთა

6. საიკონო ტანსაცმელი

7. კორეის ფულის ერთეული

8. ძალზე დაქანებული

9. დიამეტრის ნახევარი

10. შინაური ცხოველი

11. კურკის დასაშლელ ბელა თეთრი თისა

12. რბილი ტყავი

13. სიტყვების პირობითი შემოკლება

14. პროფესიონალი მონადირე

15. ხმლის ტარი

16. ფლოტის მეთაური

17. ზის ალვირი

18. ჯარის საუკეთესო ნაწილი

19. აკვინე ეაროს ავტორი

20. კარგი ამინდი

21. გამხმარი ხილი

22. ქალაქი იაპონიაში

23. ტელეგრაფი

24. ხელოვნური თმა

25. ერთგვარი ნაყები

26. ერთგვარი გულიანი ნამცხვარი

27. ცალკეული შენობა

28. ახალგაზრდა მონეკელი პატარა თემა

29. რევანს ლადისის ოპერა

30. საღებავი, იყენებენ ხაზვისას

31. ძაღლის ჯიშები

32. წირავი-ლიცე მცველებ-ლისთვის

33. ლატვიის ფულის ერთეული

34. სუროთმოდერების ძეგლი

35. კათოლიკური ჯგავრი

36. ქიმ. ელემენტალითონი

37. ერთგვარი კანფექტი

38. მდინარის ქვაბის ნაპირი

39. აშშ-ის კოსმოსური ცენტრი

40. ხმელეთში შეჭრილი წლის ნაწილი

41. ციხის გალავანი

42. უზმეთის ფულის ერთეული

43. ციმბირის უდიდესი მდინარე

**წინა წიგნის სკანოკრილის პასუხები**

1. სეიმი; 2. ალბიონი; 3. ლიბერო; 4. კუტი; 5. გოეთე; 6. ბანაკი; 7. აარე; 8. თემა; 9. რინგი; 10. ქარსალა; 11. ფლიდი; 12. მალამო; 13. მიმინო; 14. მოტივი; 15. კული-ვიეტნამი; 16. პარიკი; 17. კორსიკა; 18. არქიელი; 19. კოკა; 20. კედი; 21. დილა; 22. ფოლი; 23. ტიფოზი; 24. გიდელი; 25. ლაპი; 26. დინარი; 27. ვიეტნამი; 28. ელიტა; 29. სინდისი; 30. დიკინსონი; 31. მიკადო; 32. მნე; 33. ინტერიერი; 34. ონაგრი; 35. კონიაკი; 36. ნამი; 37. იმოლა; 38. ფიატი; 39. ომანი; 40. უნდილი; 41. ხაჭო; 42. ოლე; 43. ლამპა; 44. ლოსი; 45. არილი; 46. ბუი; 47. ნიუ.

სურათებზე: სიგურნი უივერი; დენის ლირი.

# kviris astrologiuri prognozi

(11 – 17 maii)

## პირი 21.03-20.04

საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა პარმონიულად წარიმართება. დადებით მუხტს შეგმატებთ საყვარელ ადამიანთან მოულოდნელი შეხვედრაც. იღბლიანი პერიოდია ნებისმიერი ახალი წამოწყებისთვის. უქმე დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

## კური 21.04-20.05

თქვენი ფანტაზიის უნარი და შესაბამისად, შემოქმედებითი შესაძლებლობები მკვეთრად გაიზრდება. მნიშვნელოვან ინფორმაციას მიიღებთ, რაც მომავალ საქმიანობაში დაგეხმარებათ. სასიყვარულო ურთიერთობებში მოსაწყენი სტაბილურობა დაისადგურებს.

## ტყუნი 21.05-21.06

ბევრ ადამიანთან მოგიწევთ კონტაქტის დამყარება. ოთხშაბათს და ხუთშაბათს უამრავი სატელეფონო საუბარი და საქმიანი თუ უბრალოდ, მეგობრული შეხვედრა გელით. შესაძლოა, დიდი ხნის უნახავმა ახლობელმა დახმარებისთვის მოგმართოს.

## კივი 22.06-22.07

იღბლიანი კვირაა. კარგი განწყობილება და ოპტიმიზმი მრავალი ამოცანის ამოხსნაში დაგეხმარებათ. არ არის გამორიცხული, უცხო ადამიანებმა თქვენს საქმეებში ცხვირის ჩაყოფა მოინდომონ — არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ მათ ამის საშუალება.

## ლონი 23.07-23.08

ამ კვირაში განსაკუთრებით მომხიბლავი იქნებით, ამიტომ ეს პერიოდი მაქსიმალურად გამოიყენეთ საქმიანი თუ პირადი ურთიერთობების მოსაგვარებლად. კოლეგებთან მნიშვნელოვანი და პერსპექტიული საუბარი გელით. აუცილებლად დაასრულეთ წინა კვირას დაწყებული საქმეები.

## ქალწული 24.08-23.09

იღბლიანი პერიოდია სასარგებლო კონტაქტების დასამყარებლად. შემოქმედებითი შთაგონება გეწვევთ, მოგეცემთ საშუალებას, სათანადოდ წარმოაჩინოთ საკუთარი თავი და თქვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოთ. დასაოჯახებელი ქალწულების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელია.

## სასწორი 24.09-23.10

თქვენთვის დამახასიათებელი შრომის მოყვარეობისა და სიბეჯითის წყალობით, ამ პერიოდში მნიშვნელოვანი წარმატების იმედი უნდა გქონდეთ. არ არის გამორიცხული, შემოსავლის დამატებითი წყაროც გაგიჩნდეთ, რაც საგრძობლად აისახება თქვენს საერთო მატერიალურ მდგომარეობაზე.

## მორილი 24.10-22.11

ეს კვირა ოჯახური და პირადი საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. მოერიდეთ იმპულსური ნაბიჯების გადადგმას. შემოქმედებითი თვალსაზრისით, დატვირთული პერიოდი გექნებათ და ეცადეთ, იგი რაციონალურად გამოიყენოთ.

## მზვილღოსანი 23.11-21.12

ამ კვირის განმავლობაში თქვენთვის მთავარი პრიორიტეტი საქმიანი ურთიერთობა და მოლაპარაკებები იქნება. შეიძლება სამუშაო ადგილის შეცვლა შემოგთავაზონ. ახალი იდეები გაგიჩნდებათ, რომელთა რეალიზების საშუალებაც მალე მოგეცემათ.

## თხის რძე 22.12-20.01

პროფესიულ კარიერაში — წინსვლა, შესაბამისად, ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებით, წარმატება გელით. აი, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას კი, პოზიციების დათმობას გირჩევთ, თორემ თქვენი სიჯიუტე შეიძლება მომავალში სანანებლად გექცეთ.

## მერწყული 21.01-19.02

მოსალოდნელია მცირე ფინანსური წარმატება, რასაც სასიამოვნო ოჯახური შენაძენიც მოჰყვება. ეს კვირა კარდინალური ცვლილებების პერიოდია, განსაკუთრებით ქონებრივი მდგომარეობის მხრივ. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს და ავანტიურულ მოქმედებებს.

## თევზები 20.02-20.03

ჩვეული ოპტიმიზმი მოულოდნელად გამოჩნილი პრობლემების გადაწყვეტაში დაგეხმარებათ. პირად ცხოვრებაში მცირე შეფერხება გელით, თუმცა მდგომარეობიდან იოლად გამოხვალთ, თუ მეტ დროს გაატარებთ მეგობრების წრეში და ნაკლებად იფიქრებთ წარუმატებლობაზე.

# როგორ აწასკობ საკუთარ თავს?

1. მეგობარმა გაგაცნოთ თავისი საქმრო, რომელიც მაღალი, ლამაზი და ძალზე მომხიბლავი ყმაწვილია. თქვენ:

- ა) არ ფარავთ საკუთარ აღფრთოვანებას, მაგრამ მეგობრის დაკვირვებულ თვალი თქვენს მხერაში ცოტაოდენ „თეთრ შურსაც“ ამჩნევს — 1;
- ბ) ნაძალადეგად ილიმებით, გულში კი, უნაკლო სასიძოსთვის რაიმე ხინჯის გამოძენას ცდილობთ — 3;
- გ) დათრგუნვილად გრძნობთ თავს — ასეთი უბადლო გარეგნობის ყმაწვილი სიზმრადაც კი არ გინახავთ — 0;
- დ) ფიქრობთ, რომ ვიდრე ისინი არ დაქორწინებულან, ჯერ კიდევ გაქვთ მისი დათრევის შანსი — 2.

2. თქვენი მეუღლე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, მივლინებიდან რამდენიმე საათით ადრე დაბრუნდა. თქვენ ამ დროს სახეზე არაყნის ნიღაბი გისვიათ, თმაზე კი ბიგუდები გიკეთიათ. თქვენ:

- ა) გახარებული ხართ მისი დაბრუნებით და ვიდრე თავს მოინსრიგებდეთ, ცდილობთ, რაიმე თავშესაქცევი გამოუძენოთ მას — 1;
- ბ) როგორც კი საჭვრეტში ქმარს მოჰკრავთ თვალს, სასწრაფოდ უღებთ კარს და კიდევ უფრო სწრაფად თავის მოსანსრიგებლად შედიხართ სააბაზანოში — 3;
- გ) ვერ ახერხებთ საკუთარი გაღიზიანების დაფარვას — მან ყველაფერი გააფუჭა იმით, რომ ჯერ კიდევ მოუნსრიგებელს წამოგადგათ თავზე — 0;
- დ) გულმხურვალედ კოცნით მას და სულაც არ გადარდებთ, რომ არაყნით თხუპნით — 2.

3. სამსახურში ყოფნისას, თანამშრომელმა ისე ჩაგიქროლათ დერეფანში, რომ არც კი მოგსალმებიათ. რას გავიფიქრებთ?

- ა) ნამდვილი გაუზრდელი და თავხედილია — 3;
- ბ) დერეფნის მოფარებული კუთხიდან უნდა შემეშინებინა და უჩვენებდი სეირს — 2;
- გ) ალბათ, ვილაცამ ჩემს წინააღმდეგ განაწყობა — 0;
- დ) ალბათ, მათი განყოფილება ისევე ცაიტნოტში აღმოჩნდა — 1.

4. სწორედ იმ დღეს სამსახურში შეიტყვეთ, რომ თქვენი დანიშნულების საკითხი დადებითად გადაწყდა, შინ დაბრუნებულს კი ქმარმა ამბავი დაგახვედრათ, რომ ის შემცირებაში მოჰყვა და უმუშევარი დარჩა. გაუხვლეთ თუ არ მას თქვენს კარიერაში მომხ-



**დარი ცვლილების შესახებ?**

- ა) არავითარ შემთხვევაში! ეს მას თავმოყვარეობას შეუღლებს — 0;
- ბ) გაუმხელთ, რადგან თქვენ მის სამსახურიდან გათავისუფლებაში ბრალი არ მიგიძღვით — 3;
- გ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ქმარი გკითხავთ, როგორ მიგდით საქმეები — 2;
- დ) ორიოდ დღეს მოიცდით და მხოლოდ ამის შემდეგ აცნობებთ სიახლეს — 1.

**5. მოხდით საბანაო კოსტიუმში გამონყობილს, პლაჟზე გადაადგილებისას, იქვე მყოფი მოზარდების აღფრთოვანების გამოშატველი შექახილები და ყიჟინა მოგესმათ. რა რეაქცია გექნებათ?**

- ა) ამაზე საკმაოდ მშვიდად რეაგირებთ — მოზარდები ხომ ყოველთვის ხმაურიანად და გამომწვევად იქცევიან — 1;
- ბ) მათი აღფრთოვანების მიღმა შეურაცხყოფელ ნოტებს იჭერთ — 0;
- გ) გაღიზიანდებით — თქვენ ხომ ცოცხალი ადამიანი ხართ და არა ეროტიკული ჟურნალის ყდაზე გამოსახული გოგონა — 2;
- დ) მრისხანედ გაიფიქრებთ: როგორ ბედავენ ეს ცხვიროუხოცავი ღლაპები ჩემი გარეგნული მონაცემების შეფასებას — 3.

**6. თქვენი მეგობრის დაბადების დღეზე, მისი ქმრის მხრიდან მიუღიანი საღამოს მანძილზე თქვენდამი გამოვლენილ მოჭარბებულ ყურადღებას გრძნობთ. როგორ შეაფასებდით ამ ყურადღებას?**

- ა) ჯერ ერთი, ის მასპინძელია და

ვალდებულია, ყურადღება გამოიჩინოს; მეორეც, ის ჩემი მეგობრის ქმარია და უკვე დიდი ხანია მიცნობს და მესამე — ის ყურადღებუიანი და ტაქტიანი ადამიანია — 1;

ბ) ამას ჩემი მეგობრის ჰუმანურობას უნდა ვუმაღლოდე, ალბათ, მან გააფრთხილა ქმარი, რომ ყურადღება გამოეჩინა ჩემ მიმართ, რათა კავალრის გარეშე არ მომენყინა — 0;

გ) უეჭველია, თვალი დამადგა — 2;  
 დ) როგორც ჩანს, ამ დონჟუანმა ჩემზე შთაბეჭდილების მოხდენა გადაწყვიტა. მედიდურება უნდა მოვაშლევინო და საკუთარი ადგილი მივუჩინო — 3.

**7. თქვენი მეგობარი გამოგიტყდათ, რომ თქვენი და თქვენი მეუღლის ლამაზი ურთიერთობა, ცოტა არ იყოს, შურს. ამ დროს, თქვენ მშვენივრად უნყით, რომ მეუღლესთან ისეთი ურთიერთობა, როგორც სასურველია, ნამდვილად არ გაქვთ. როგორ მოიტყვევით?**

ა) შეიფერებთ მეგობრის მიერ თქვენი ოჯახის მისამართით წარმოთქმულ ქათინაურს — 3;

ბ) გაიფიქრებთ, რომ თქვენი მეგობარი ან ბრმაა, ან მასხრად გიგდებთ — 0;

გ) სიამაყით გაიფხორებით, რადგან იდეალურ წყვილად მიგიჩნევენ, თუმცა თავადაც გიკვირთ, რატომ ახდენთ ასეთ შთაბეჭდილებას.

დ) მიუხედავად ქმართან გარკვეული უთანხმოებისა, იგრძნობთ, როგორ მაღამოდ მოეცხება თქვენს გულს მეგობრის სიტყვები — 2.

**8. თქვენს უმცროს დას სუ-**



პერრომანტიკული თავყანისმცემელი გამოუჩნდა, რომელიც საუცხოო ქათინაურებით უზვად ამკობს მას. ის კი, თავის მხრივ, სიტყვასიტყვით გადმოგცემთ მის ნათქვამს. თქვენ:

ა) მისი მონათხრობი საღერლელს აგიშლით და ანალოგიური მოგონებების მოყოლას იწყებთ — 3;

ბ) მისი სიტყვების მოსმენისას, ოპტიმიზმის გრძნობა გეკარგებათ — 0;

გ) დის მიერ გადმოცემული ორიოდ ქათინაურის შინაარსის მოსმენის შემდეგ, დემონსტრაციულად ამთქნარებთ და სხვა თემაზე იწყებთ საუბარს — 2;

დ) ცდილობთ, შურის გრძნობა ჩიხით და გულწრფელად გაიხაროთ დის ბედნიერებით — 1.

**ტესტის შედეგები**

**24-19 ქულა:** საკუთარ თავზე გადაჭარბებულად დიდი წარმოდგენა გაქვთ. ვინაიდან თქვენს თავს ყველაზე უკეთესად მიიჩნევთ, სულაც არ გადარდებთ ის, რომ გარშემო მყოფები არ იზიარებენ თქვენს აზრს. გაითვალისწინეთ, ეს სიკეთეს არ მოგიტანთ. თქვენი ხასიათის წყალობით, ახლობლებსაც უჭირთ თქვენთან ურთიერთობა, მამაკაცები კი, უბრალოდ გაგირბიან.

**18-13 ქულა:** ზედმეტად თავდაჯერებული ბრძანდებით. საერთო ჯამში, თქვენ საღად აფასებთ საკუთარ ნაკლოვანებებს, რასაც ვერ ვიტყვით თქვენს ღირსებებზე, რადგან ამ მხრივ, საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა გაქვთ. იმის გამო, რომ ძალზე არაობიექტურად აფასებთ საკუთარ შესაძლებლობებს, ჩნდება დიდი უფსკრული თქვენს წარმოდგენასა და რეალურ შესაძლებლობას შორის. გაითვალისწინეთ, შესაძლოა, ამ უფსკრულში ჩაიჩხოთ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თქვენთან ურთიერთობის შედეგად, ძალზე ბევრი ადამიანი რჩება იმედგაცრუებული.

**12-7 ქულა:** საკუთარ თავს რეალურად აფასებთ — სწორედ ისეთად აღიქვამთ თავს, როგორც სინამდვილეში ხართ. გაქვთ იმის უნარი, რომ საღად

შეაფასოთ საკუთარი ნაკლიც და ღირსებაც. გარდა ამისა, გამოირჩევით ქალებისთვის იშვიათად დამახასიათებელი თვისებით: გაცნობიერებული გაქვთ ის, რომ სხვებს შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები და ინტერესები ჰქონდეთ, ვიდრე თავად თქვენ და თქვენი პრობლემებია. სულაც არ არის გასაკვირი, რომ ყველას სიყვარულს იმსახურებთ: კოლეგებისას — ობიექტურობის გამო, მეგობრებისას — ნათელი გონებისა და საფუძვლიანი თავდაჯერებულობის გამო.

**6-0 ქულა:** ზედმეტად დაკომპლექსებული ადამიანი ხართ. პატივმოყვარეობის ნატამალიც არ გაგაჩნიათ და საკუთარ თავში ცოტა რამეს თუ აფასებთ. ფსიქოლოგიურად იმდენად შებოჭილად ცხოვრობთ, რომ შეიძლება ითქვას, საკუთარი შესაძლებლობების ნახევარსაც კი არ იყენებთ. ეს კი იმის ბრალია, რომ მეტისმეტად არათავდაჯერებული ბრძანდებით, არ გსურთ საკუთარი თავისა და ბედნიერებისთვის ბრძოლა. თქვენ იმ ტიპის ადამიანი ხართ, ვინც მიიჩნევს, რომ მასზე არაფერია დამოკიდებული ანუ მთლიანად გარემოებაზე ხართ დამოკიდებული, რაც, რალა თქმა უნდა, არასწორია. გააქტიურდით, იბრძოლეთ საკუთარი თავისათვის და ყველაფერი გამოგივათ.

# ქართულ ენაში სამკვიდრებელი გამოთქმები

## გაზეთი

იყო დრო, როდესაც სიტყვა „გაძე-ტას“, მსოფლიოს მხოლოდ ერთი ქალაქის — ვენეციის მცხოვრებნი ხმარობდნენ. ამ სიტყვას, მაშინ სულ სხვა აზრი ჰქონდა: „გაძეტა“ — ვერცხლის პატარა ფულს ეწოდებოდა.

ვენეცია, შუა საუკუნეებში ევროპის პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობის უდიდესი ცენტრი და მდიდარი რესპუბლიკა იყო. ვენეციელ ვაჭრებს სჭირდებოდათ ცნობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, აინტერესებდათ ფასები, საქონლის ხარისხი და სხვა. თუ არა ნავსადგურში, სადაც უცხოელების ათასობით გემი იყრიდა თავს, სხვაგან სად შეძლებდნენ მათთვის საინტერესო ცნობების შეგროვებას? ვენეციელებმა სპეციალური ბიუროები შექმნეს. ეს ბიუროები აგროვებდნენ ცნობებს არა მარტო საქონლის ფასების და გემების გამოსვლის შესახებ,

არამედ, მეზღვაურთა მიერ ნაამბობ შორეული ქვეყნების ამბებსაც ეტანებოდნენ. ბიუროების აგენტები დაეხეტებოდნენ ნავსადგურში და ინერდენტ საინტერესო ცნობებს. შემდეგ, ეს პატარა ხელნაწერი ფურცლები თითო ვერცხლის ფულად — გაძეტად იყიდებოდა მოსახლეობაში.

დროთა განმავლობაში, ფულის სახელწოდება „გაძეტა“ (მცირეოდენი ცვლილებით), თვით იმ ხელნაწერ ფურცლებს დაერქვა, ხოლო შემდეგ, როდესაც ბეჭდვა შემოვიდა, ეს სახელწოდება მტკიცედ დამკვიდრდა მრავალ ენაში. ნაბეჭდმა გაზეთმა მალე „დაბადა“ ჟურნალი. სხვათა შორის, ამაზე თვით სახელწოდება „ჟურნალი“ მიუთითებს, რომელიც ფრანგულ ენაზე გაზეთს ნიშნავს.

## ზენიტი

ეს სიტყვა დამკვიდრებულია არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებშიც.

მკვლევარები დიდხანს ეძებდნენ, მაგრამ ვერც ქართულში და ვერც რომელიმე ევროპულ ენაში ვერ აღმოაჩინეს მისი „ნიშაპარი“ სიტყვა.

ეს გასაკვირი არ არის, ასეთი, ერთი შეხედვით „უთვისტომო“ სიტყვები მრავლად არის ყველა ენაში და უმეტესად, ლათინურიდან ან ბერძნულიდან არის დამკვიდრებული.

სიტყვა „ზენიტი“, როგორც ბევრი სხვა სიტყვა, ჩვენში დამახინჯებული სახით არის შემოსული. არაბულ ენაზე, ცის ყველაზე მაღალ ნაწილს — „ზემტი“ ჰქვია. როდესაც ევროპელი ასტრონომები არაბ მეცნიერთა წიგნებს გაეცნენ, როგორც ჩანს, ცის ყველაზე მაღალი ნაწილის სახელი — „ზემტი“ თავიანთ ენებში გადაიტანეს. დროთა განმავლობაში, გადამწერთა დაუდევრობის წყალობით, ამ სიტყვამ სახე იცვალა. ასე დამკვიდრდა ეს სიტყვაც ქართულ ენაში.

## იაპონური სენსაცია

## სუდოკუ

### ფინანსების სუდოკუს პასუხები

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულეების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩანეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოერდეს. სწორად ამოსხნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

5	1	4	2	9	7	3	6	8
8	2	7	3	6	1	5	9	4
6	3	9	4	8	5	2	1	7
1	5	2	9	7	8	4	3	6
9	4	8	6	5	3	7	2	1
3	7	6	1	2	4	8	5	9
4	6	5	8	3	9	1	7	2
7	9	1	5	4	2	6	8	3
2	8	3	7	1	6	9	4	5

1	3	6	4	2	7	5	8	9
8	7	9	6	5	1	2	3	4
2	4	5	8	9	3	7	6	1
3	5	1	9	7	2	6	4	8
6	2	7	1	8	4	3	9	5
4	9	8	3	6	5	1	7	2
7	1	4	5	3	9	8	2	6
5	8	2	7	4	6	9	1	3
9	6	3	2	1	8	4	5	7

### \* მარტივი



7	2	4	5	6				8
	6		2	9	8			1
	1		4			5	2	6
		5	6	4	3	2		
6	8	2				3	5	4
		7	8	2	5	1		
3	4	6					1	
2			1	7	4			9
9				5	6	8	4	2

### \* \* საშუალო


9	8	3		4				1	6	
				2	9	1		3		
1	2	7		3				5	9	
			1	3		4	8		5	
3		4	9			5	6		1	
8		5	7			2	3			
6	5			7			1	8	3	
		3		1	2	8				
7	1				5			9	4	2



# ფოტოკუჩიონები







**TB STARS**

# პირველი ელიტური სახლი ბუჩაქში

689/18

**საბაზაფხულო  
ფასდაკლება**

**5%**

**31 მაისამდე**



**ღიმილეთი**

**ბუჩაქში**



**ინდივიდუალური გადახდის სისტემა**

**☎ 38-91-92 45-17-17  
877-77-70-77 899-35-90-00**

**გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")**

**ბინები 57 მ<sup>2</sup> - დან  
თანამედროვე ლიფტი  
სუპერმარკეტი  
საბავშვო გალი  
აუთიაში  
სამედიცინო ცენტრი  
მიწისქვეშა ავტოსადგომი  
დაცვა  
კაფე - ბარი  
იზოლირებული,  
კეთილმოწყობილი  
ფართობი 5000 მ<sup>2</sup>  
მოწოდებული ქუჩა და  
მიმდებარე ტერიტორია  
თეთრი კარკასი  
ფასი — 400\$-დან**